

ვაულო  
კოელიო

ღმმჟჟი რაჟ  
სეხიოთიოეჟ  
ჰნიოი



\* \* \*

უკვე თხუთმეტი წელი იქნებოდა, რაც მოხუცი ბერტა ყოველ დილით გამოდიოდა სახლიდან და კართან ჯდებოდა. ვისკოსელები ამას მიჩვეულები იყვნენ, მოხუცები ხომ ერთთავად წარსულზე ფიქრობენ, ჩავლილ ახალგაზრდობას იხსენებენ, იმ სამყაროს აკვირდებიან, რომელსაც თითქმის აღარც ეკუთვნიან და მიზეზს ეძებენ მეზობლებთან საჭორაოდ.

ბერტა კი სულ სხვა რამისთვის იჯდა კარის წინ. იმ დილას, აღმართზე ამომავალ უცხოელს რომ მოჰკრა თვალი, რომელიც აუჩქარებლად მიდიოდა ქალაქის ერთადერთი სასტუმროსაკენ, მიხვდა, უაზროდ არ ჩაუვლია მის ლოდინს. ვინ მოთვლის, ამ წლების მანძილზე რამდენჯერ სცადა, წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ეს კაცი, ის კი სრულიად სხვანაირი აღმოჩნდა: - გვარიანად ნახმარი, ლამის გაქუცული ტანსაცმელი ეცვა და არც წვერი ჰქონდა გაპარსული.

გვერდით კი ეშმაკი მოჰყვებოდა.

„ჩემი ქმარი არ შემცდარა, - გაიფიქრა ქალმა, - აქ რომ არ ვმჯდარიყავი, ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა“.

ბერტას დიდად არ ეხერხებოდა ადამიანის ასაკის ამოცნობა. ახალჩამოსული, ასე, ორმოცი-ორმოცდაათი წლის უნდა ყოფილიყო. „ახალგაზრდააო“, გაიფიქრა. ნაფიქრს მხოლოდ ის მიუხვდებოდა, ვისაც ბერტას ასაკამდე მიეღწია. მერე სცადა, გამოეცნო, რამდენ ხანს დარჩებოდა კაცი ქალაქში. ამაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, მაგრამ მაინც დაასკვნა, ეტყობა, დიდხანს არ დარჩებაო, რადგან ხელთ მხოლოდ ერთი პატარა ჩემოდანი ეჭირა. ალბათ, ერთ ღამეს გაათევდა და წავიდოდა, ისევ თავისი მიზნისკენ გააგრძელებდა სვლას, რომლის შესახებაც ბერტამ არც არაფერი იცოდა და არც აინტერესებდა.

და მაინც, ტყუილად არ ჩაუვლია იმ წლებს, სახლის ზღურბლზე მის მოლოდინში რომ გაატარა: წლობით აქ ჯდომამ შემოჯარული მთების სილამაზე შეაგრძნობინა, რასაც ადრე იმ უბრალო მიზეზით ვერ ამჩნევდა, რომ აქ იყო დაბადებული, გაზრდილი და თვალის შეჩვეული ჰქონდა.

ჩამოსული, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტუმროში შევიდა. ბერტამ ისიც კი იფიქრა, მღვდლისთვის ხომ არ ეცნობებინა ამ არასასურველი სტუმრის გამოჩენა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. მიხვდა, რომ მღვდელი არ დაუჯერებდა, იტყოდა, დედაბერი ჭკუიდან შეიშალაო.

სხვა რა გზა ჰქონდა, მოსახდენს უნდა დალოდებოდა. ეშმაკს ხომ უბედურების დასატრიალებლად დიდი დრო არც სჭირდება - ქარიშხლებითა და ზვავებით ორასწლიან ხეებს თვალის დახამხამებაში ძირკვავს.

უცებ ბერტას თითქოს გონება გაუნათდა: მხოლოდ იმიტომ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ვისკოსში გამოჩენილი ბოროტება შეიცნო, არაფერი შეიცვლებოდა: ეშმაკი მიდის და მოდის, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, მისი გამოჩენით ვინმე დაზარალდეს. ეშმაკები მუდმივად დაბორიალობენ მიწაზე: ხან - ისე, უბრალოდ, იმის გასაგებად, რა ხდება ამქვეყნად, ხან კი - ამა თუ იმ სულის გამოსაცდელად, მაგრამ თავადაც ძალიან ცვალებადნი არიან, ლოგიკას მოკლებულნი ერთადერთ ვნებას ემორჩილებიან - ღირსეულ მოწინააღმდეგეს შეეჭიდონ. ბერტამ იცოდა, რომ ვისკოსში დიდად მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა და ამ ქალაქით ერთ დღეზე მეტხანს ვერავინ დაინტერესდებოდა, მით უმეტეს, წყვდიადის მეუფე - ეშმაკი.

სცადა, სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი, მაგრამ ახალმოსული გონებიდან არ სცილდებოდა. ცა კი, სულ ცოტა ხნის წინ ნათელი და კამკამა, თანდათან მოიქუფრა.

„არც არის გასაკვირი, - გაიფიქრა ბერტამ, - წლის ამ დროს ხომ ამინდი მოულოდნელად იცვლება ხოლმე“. ცის მოქუფვრა უცხოს გამოჩენასთან რატომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული? უბრალო დამთხვევა იქნებოდა.

მოულოდნელად, სადღაც შორიდან ქუხილი გაისმა და სამჯერ გამეორდა. ცხადია, წვიმას აპირებდა. ვისკოსში გავრცელებული გადმოცემების თანახმად, ჭექა-ქუხილი უფლის რისხვას მოასწავებდა: ალბათ, ადამიანებს უბრაზდებოდა იმის გამო, რომ გულგრილად ეკიდებოდნენ მის არსებობას.

„რაც უნდა ვიღონო. ბოლოს და ბოლოს, იმან, ვისაც ველოდი, სულ ახლახან შემოაბიჯა ქალაქში“.

ბერტა კიდევ რამდენიმე წუთს აკვირდებოდა და აყურადებდა ირგვლივ ყველაფერს. ქალაქის თავზე საავდრო ღრუბელი ჩამოწვა, მაგრამ ქუხილი აღარ გამეორებულა. ბერტას ცრურწმენებისა და მითებისა არ სჯეროდა, ადგილობრივ გადმოცემებს კი, უძველესი კელტური ცივილიზაციიდან რომ იღებდა სათავეს და იმ ხანადვე დაარსებულ ვისკოსში დღემდე იყო შემორჩენილი, საერთოდ, ზღაპრებად მიიჩნევდა.

„ჭექა-ქუხილი მხოლოდ ბუნების მოვლენაა. უფალს ხალხთან დალაპარაკება რომ ნდომოდა, სხვა, უფრო იოლ გზას მოძებნიდა“.

სანამ ამაზე ფიქრობდა, ისევ დაიჭექა, ამჯერად სულ ახლოს. ბერტა წამოდგა, სკამი აიღო და შინ შევიდა, მაგრამ გაუცნობიერებელი შიშით მოეწურა გული და ამ შიშის მიზეზი ვერაფრით გაარკვია.

„რა უნდა ვქნა?“

ძალიან მოუნდა, ამ უცხოს სასწრაფოდ დაეტოვებინა ეს ქალაქი: თავად ძალიან ბებერი იყო იმისათვის, რომ თავიც დაეცვა, ვისკოსიც და, რაც მთავარია - ყოვლისმპყრობელი ღმერთიც, რომელიც, თუკი საჭირო გახდებოდა, დასახმარებლად და დასაყრდენად უეჭველად ვინმე უფრო ახალგაზრდას აირჩევდა. ეს ყველაფერი

ცარიელი ბოდვა იყო მხოლოდ: მის ქმარს დროის გასაყვანად ათასი ტყუილ-მართლის მოგონება უყვარდა ხოლმე.

მაგრამ ბერტამ ეშმაკი ნამდვილად დაინახა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

ეშმაკი, რომელიც ადამიანივით ხორცშესხმულად იყო მოსული და მოგზაურის ტანსაცმელი ეცვა.

სასტუმროსთან ერთად ამ შენობაში მოთავსებული იყო სასურსათო მაღაზია, რესტორანი, სადაც ადგილობრივი კერძებით უმასპინძლებოდნენ სტუმრებს, და ბარი, სადაც საღამოობით ვისკოსის ბინადარნი იკრიბებოდნენ ამინდზე სალაპარაკოდ, ანდა იმაზე საჭორაოდ, რომ ახალგაზრდებს სოფელში ცხოვრება აღარ აინტერესებდათ. „ცხრა თვე ზამთარია, დანარჩენი სამი კი - კატორღა“, - ამბობდნენ ისინი და იმას გულისხმობდნენ, რომ წელიწადში მხოლოდ ოთხმოცდაათი დღე ჰქონდათ მინდვრების მოსახნავად, დასათესად და მოსავლის ასაღებად, მერე - მოსათიბად, ზვინების დასადგმელად და ცხვრის გასაკრეჭად.

ყველა აქაურმა იცოდა, რომ იმ სამყაროში ცხოვრობდნენ, რომელიც უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ ბედისწერას ჯიუტად არ ნებდებოდნენ და არ უნდოდათ, დაეჯერებინათ, რომ ამ მთებში უხსოვარი დროიდან მობინადრე მიწათმოქმედთა და მეცხვარეთა უკანასკნელ თაობას ეკუთვნოდნენ. ადრე თუ გვიან აქაც გამოჩნდებოდა მანქანები, საქონლის ბაგებსაც ქალაქიდან მოშორებით ააშენებდნენ და საქონელსაც სულ სხვანაირად გამოკვებავდნენ. ქალაქს რომელიმე მსხვილი საზღვარგარეთული კომპანია იყიდდა და სათხილამურო კურორტად აქცევდა.

ასეთი ბედი ეწია ყველა მიმდებარე ქალაქს თუ სოფელს, მხოლოდ ვისკოსი არ ნებდებოდა ბედისწერას. როგორც ჩანს, ვისკოსელებს სხვებზე მეტად ჰქონდათ გამჯდარი წარსულისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა და იმ წინაპართა პატივისცემა, ოდითგან ამ მიწაზე რომ ცხოვრობდნენ და შთამომავალთ თავიანთი მიწის სიყვარულს უნერგავდნენ.

მოგზაურმა ყურადღებით ჩაიკითხა სარეგისტრაციო ბარათი და შეესება დაიწყო. მისი აქცენტის მიხედვით ადგილობრივებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ სადღაც სამხრეთ ამერიკიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული, და ამიტომაც, გადაწყვიტა, „არგენტინა“ ჩაეწერა, - მათი ფეხბურთელთა გუნდი მოსწონდა ძალიან. გრაფაში „სახლის მისამართი“ კოლუმბიის ქუჩა მიუთითა, რადგან გაახსენდა, რომ სამხრეთ ამერიკაში ასეთი წესი არსებობდა - ქუჩებსა და მოედნებს პატივისცემის ნიშნად მეზობელი ქვეყნების სახელებს არქმევდნენ. თავისი სახელი კი გასული საუკუნის მოღვაწე ერთ-ერთი ტერორისტისაგან ისესხა.

ორი საათიც არ იყო გასული და ვისკოსის ორას ოთხმოცდაერთმა ბინადარმა უკვე იცოდა, რომ ქალაქში ჩამოსულ უცხოელს კარლოსი ერქვა, წარმოშობით არგენტინიდან იყო და ბუენოს-აირესში კოლუმბიის ქუჩაზე ცხოვრობდა. აი, სწორედ

ეს არის პატარა ქალაქების უპირატესობა - შეიძლება უწვალებლად ყველამ ყველაფერი გაიგოს შენ შესახებ.

სხვათა შორის, უცხოელსაც სწორედ ეს უნდოდა.

ის თავის ნომერში ავიდა და ჩემოდანი გახსნა - ტანსაცმელი, საპარსი, მეორე წყვილი ფეხსაცმელი, გაციების საწინააღმდეგო ვიტამინები, ჩანაწერებისათვის განკუთვნილი სქელი რვეული და ოქროს თერთმეტი ზოდი ამოიღო. თითო ორ კილოგრამს იწონიდა. შემდეგ აღმართზე სიარულითა და მძიმე ტვირთის თრევით გადაღლილმა, მაშინვე დაიძინა. დაწოლამდე სკამი მაინც მიადგა კარს, თუმცა სჯეროდა, რომ ვისკოსის ორას ოთხმოცდაერთივე ბინადარი სანდო ადამიანი იყო.

გაღვიძებულმა ყავა დალია, პორტიესთან გასარეცხად დატოვა ტანსაცმელი, ოქროს ზოდები ისევ ჩემოდანში ჩაალაგა და სოფლის აღმოსავლეთით აღმართული მთის მიმართულებით წავიდა. გზად მხოლოდ ერთ ადგილობრივ ბინადარს მოჰკრა თვალი - ვიღაც დედაბერი თავისი სახლის კარის წინ იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა.

ტყის სიღრმეში რომ შევიდა, შეიცადა, სანამ მწერებისა და ჩიტების ხმებსა და ქარის ხმაურს მიეჩვეოდა ყური. იცოდა, ტყეში ვინმეს შეეძლო, შეუმჩნევლად ეთვალთვალა, ამიტომაც თითქმის მთელი საათი უსაქმურობასა და უმოძრაობაში გაატარა.

მერე, როცა დარწმუნდა, რომ მოთვალთვალე კარგა ხნის წასული იქნებოდა, რადგან ვერაფერს ისეთს ვერ შეიტყობდა, რაც მეზობლებთან საჭოროდ გამოადგებოდა, უცხოელმა ერთ-ერთი პატარა ქვაყრილის სიახლოვეს, ასო „Y“ -ს რომ ჩამოჰგავდა, მიწა ამოთხარა და შიგ ოქროს ერთი ზოდი ჩაფლა. მერე აღმართს აუყვა. კიდევ ერთ საათს ისე იჯდა, თითქოს ბუნების ცქერით იყო გართული, ბოლოს მეორე პატარა კლდესთან - ეს უკვე არწივს ჰგავდა - ორმო ამოთხარა და ათივე ზოდი შიგ ჩადო.

უკან, ვისკოსისკენ მომავალმა ვიღაც ქალიშვილი დაინახა. გოგონა წიგნით ხელში იჯდა ერთ-ერთ იმ ნაკადულთან, თოვლის დნობის შემდეგ დროებით რომ ჩნდებოდა ხოლმე ამ მხარეში. ქალიშვილმა მისი მიახლოება იგრძნო, წიგნს თვალი მოსწყვიტა, ამოხედა, მაგრამ იმავე წამს ისევ განაგრძო კითხვა: ბავშვობაში, ალბათ, დედა ასწავლიდა, რომ უცნობებს არ უნდა დალაპარაკებოდა.

უცხოელი კი, აბა, რატომ არ უნდა გამოლაპარაკებოდა ადგილობრივ ბინადარს და რატომ არ უნდა გაება მეგობრული ურთიერთობა? მას ამის უფლება ჰქონდა და ამიტომაც მიახლოებისთანავე მიესალმა:

- გამარჯობა. ამ დროისათვის რაღაც უჩვეულოდ ცხელა, არა?

ქალიშვილმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

- რაღაც მინდა გიჩვენო, - არ მოეშვა უცხოელი.

ქალიშვილს ეტყობოდა, კარგად აღზრდილი ადამიანი უნდა ყოფილიყო, წიგნი გვერდზე გადადო, ხელი გაუწოდა და გაეცნო:

- მე შანტალი მქვია. საღამოობით იმ სასტუმროს ბარში ვმუშაობ, სადაც თქვენ გაჩერდით. გამიკვირდა კიდეც, რომ არ ივანშმეთ: სასტუმრო ხომ მარტო ნომრების ხარჯზე არ მდიდრდება, რესტორნიდანაც კარგა დიდი შემოსავალი აქვს. თქვენ კარლოსი ხართ, არგენტინიდან ჩამოხვედით, ცხოვრობთ კოლუმბიის ქუჩაზე. უკვე მთელმა ქალაქმა იცის ამის შესახებ, იმიტომ, რომ ადამიანები, ვინც ჩვენთან არასანადირო სეზონზე ჩამოდიან, ყურადღების ცენტრში ექცევიან ხოლმე. ორმოცდაათი წლის იქნებით, თმა გაჭაღარავებული გაქვთ, თვალეზზე გეტყობათ, რომ ბევრი რამ გინახავთ და გადაგიტანიათ. რაც შეეხება თქვენს შემოთავაზებას... ცხადია, დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ვისკოსის შემოგარენის ყველა კუთხე-კუნჭულს საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ, ასე რომ, უკეთესი იქნებოდა, მე მეჩვენებინა თქვენთვის რაღაც ისეთი, რაც არასოდეს გინახავთ. მაგრამ თქვენ, ალბათ, ამისთვის ვერ მოიცლით.

- მე 52 წლისა ვარ, კარლოსი არ მქვია და ყველაფერი, რაც სარეგისტრაციო ბარათში წერია, ტყუილია.

შანტალი დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა. უცხოელმა კი განაგრძო:

- სულაც არ ვაპირებ ვისკოსის ხედებით ტკბობას, მინდა, ისეთი რამ გაჩვენო, რაც მართლა არასოდეს გინახავს.

შანტალს არაერთხელ წაეკითხა იმის შესახებ, უღრან ტყეში როგორ იტყუებდნენ უცხოელები ქალიშვილებს, რომლებიც მერე უკვალოდ ქრებოდნენ. წუთით შიშმა აიტანა, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა და თავგადასავლის სურვილმა შეიპყრო. ეს კაცი, ალბათ, ვერც ვერაფერს გაბედავდა - სულ ახლახან უთხრა, რომ მთელმა ვისკოსმა ყველაფერი იცოდა მის შესახებ, თუნდაც ეს ყველაფერი მართლა ტყუილი ყოფილიყო.

- მაინც ვინა ხართ? - ჰკითხა ქალიშვილმა, - მე ხომ შემძლია, პოლიციას ვაცნობო თქვენ შესახებ?

- გპირდები, ყველა კითხვაზე გიპასუხებ, მაგრამ ჯერ გამომყევი. აქვე მივდივართ, სულ ხუთი წუთის სავალია.

შანტალმა წიგნი დახურა, ამოიოხრა და იგრძნო, რომ შიშთან ერთად საოცრების ნახვის აღტაცებული მოლოდინი მოეძალა. მერე წამოდგა და უცხოელს გაჰყვა. რატომღაც, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მორიგი იმედგაცრუება ელოდა: ყოველთვის ასე ხდებოდა ხოლმე - ყველაფერი მრავლის მომასწავებელი შეხვედრით იწყებოდა და სიყვარულის აუსრულებელი ოცნებით მთავრდებოდა.

უცხოელმა კი ამასობაში იმ ქვაყრილთან მიიყვანა, ასო „Y“-ს რომ ჩამოჰგავდა, სულ ახლახან ამოთხრილი მიწის პატარა ბორცვზე მიუთითა და სთხოვა, ენახა, რა იყო იმ ორმოში.

- დავისვრები, - უპასუხა შანტალმა, - ხელები და კაბა გამიჭუჭყიანდება.

უცხოელმა მიწიდან ტოტი აიღო, გადატეხა და შანტალს გაუწოდა. გოგონა გაოცდა, მაგრამ, რადგანაც გადაწყვეტილი ჰქონდა, უცხოელის ყოველი სურვილი უსიტყვოდ შეესრულებინა, თხრა დაიწყო.

ხუთიოდე წუთის შემდეგ მიწაში ამოგანგლული ზოდი დაინახა.

- ოქროს ჰგავს, - თქვა მან.

- ოქროა, ჩემი ოქრო. ახლა, თუ შეიძლება, ისევ მიაყარე მიწა.

შანტალმა თხოვნა შეუსრულა. უცხოელმა მეორე სამალავთანაც მიიყვანა. შანტალმა იქაც ამოთხარა მიწა და ამჯერად ოქროს რაოდენობამ გააოცა.

- ესეც ოქროა. და ესეც ჩემია.

შანტალმა ისევ დააპირა ორმოს ამოვსება, მაგრამ უცხოელმა შეაჩერა, მერე ქვაზე ჩამოჯდა, სიგარეტი გააბოლა და შორეთს გახედა.

- ეს რატომ მიჩვენეთ? - ჰკითხა შანტალმა.

კაცი დუმდა.

- ვინ ხართ? ვისკოსში რას აკეთებთ? ან ეს ოქრო რატომ მიჩვენეთ? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ შემოძლია, ყველას მოვუყვე, რა გაქვთ აქ დამალული?

- ძალიან ბევრი კითხვა მომყარე, - უთხრა უცხოელმა, ის ისევ მთებს გასცქეროდა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა შანტალის იქ ყოფნას, - ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ ყველას მოუყვები... მეც სწორედ ეგ მინდა.

- თქვენ ხომ შემპირდით, რომ თუ გამოგყვებოდით, ყველა კითხვაზე მიპასუხებდით.

- უპირველესად, მინდა, გითხრა, რომ ყველა დანაპირები არ უნდა დაიჯერო. ამქვეყნად ძალიან ბევრ რამეს დაგპირდებიან: სიმდიდრეს, სულის ხსნას, სიყვარულს კუბოს ფიცრამდე. არიან ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ, რომ ყველაფრის შეპირების უფლება აქვთ. ისეთებიც არიან, ვინც უკეთესი ცხოვრების იმედით ყველა დანაპირებს იჯერებს. შენ მეორე ჯგუფს მიეკუთვნები. ისინი, ვინც ჰპირდებიან და შეპირებულს არ ასრულებენ, ბოლოს და ბოლოს, უსუსურებად და არაფრის მაქნისებად იქცევიან ხოლმე. იგივე ემართებათ იმ გულუბრყვილოებსაც, რომლებიც პირველსავე დანაპირებს ებღაუჭებიან.

უცხოელი შეგნებულად ართულებდა სათქმელს, რადგან ახლა ის თავის თავსა და თავის ცხოვრებაზე ლაპარაკობდა; იმ დამეზე, მთლიანად რომ შეცვალა მისი ცხოვრება; იმ სიცრუეზე, იძულებით რომ მიიღო, რადგან სიმართლის გაცნობიერება არა და არ შეეძლო. მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ თუ უნდოდა, შანტალს გაეგო მისი ნათქვამი, მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ელაპარაკა.

მაგრამ შანტალი თითქმის ყველაფერს ხვდებოდა. ყველა ასაკოვანი კაცივით, ეს უცხოელიც, ალბათ, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ლოგინში როგორ ჩაეწვინა ეს ახალგაზრდა ქალი. როგორც სხვა ადამიანები, ისიც, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ფულით ყველაფრის ყიდვა შეეძლო; და ყველა ჩამოსულივით, მასაც ეგონა, რომ გულუბრყვილო და გამოუცდელი პროვინციელი გოგონები ნებისმიერ, რეალურად შეთავაზებულ თუ მინიშნებულ წინადადებას დათანხმდებოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს წინადადება, ბოლოს და ბოლოს, ამ მიყრუებული სოფლიდან დააღწევინებდათ თავს.

ეს კაცი პირველი არ იყო და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი, ვინც ასე უხეშად და მარტივად ცდილობდა მის შეცდენას. შანტალს მხოლოდ ერთი რამ აშფოთებდა - რაღაც ძალიან ბევრ ოქროს სთავაზობდა. თავად არასოდეს უფიქრია, რომ ასე ძვირი ღირდა. უცხოელის შემოთავაზებამ ერთდროულად სიამაყითაც აუვსო გული და თავზარიც დასცა.

- ბავშვი არა ვარ, დაპირებების მჯეროდეს, - დროის მოსაგებად უპასუხა შანტალმა.

- და, მიუხედავად ამისა, ყოველთვის გჯეროდა და ახლაც გჯერა.

- ძალიან ცდებით. კარგად ვიცი, რომ სამოთხეში ვცხოვრობ, ბიბლიაც წაკითხული მაქვს და ევას შეცდომას აღარ გავიმეორებ, მას ხომ ის არ აკმაყოფილებდა, რაც ჰქონდა.

ცხადია, შანტალი ცრუობდა. გულში შიშიც კი შეეპარა, უცხოელს ინტერესი არ განელებოდა და არ წასულიყო. სინამდვილეში ხომ ეს მან შეიტყუა უცხოელი ხაფანგში, თავად დაგეგმა ეს, თითქოსდა, შემთხვევითი შეხვედრა ტყეში და წიგნის წასაკითხად ისეთი სტრატეგიული ადგილი შეარჩია, რომ ქალაქისაკენ მიმავალ უცხოელს გვერდი ვერ აევილო - ყველაფერი ისე მოაწყო, რომ გამოლაპარაკებოდა, რაღაც დაპირებები მიეღო და შემდგომი რამდენიმე დღის განმავლობაში ახალი სიყვარულისა და თავისი მშობელი მიწის მიტოვების იმედით ესულდგმულა. არაერთი იმედგაცრუების მიუხედავად, შანტალს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ შეხვდებოდა კაცს, ვინც სიცოცხლის ბოლომდე ეყვარებოდა. უფრო ადრე, ყმაწვილქალობაში, შემთხვევით შეხვედრებზე შეგნებულად ამბობდა უარს, რადგან ეგონა, რომ შეეძლო არჩევანის გაკეთება, მაგრამ თანდათან მიხვდა, რომ დრო საოცრად სწრაფად გარბოდა, უფრო სწრაფად, ვიდრე ადრე წარმოედგინა. ამიტომაც უკვე მზად იყო, პირველსავე შემხვედრს გაჰყოლოდა და ვისკოსი მიეტოვებინა,



თუნდაც იმ კაცისადმი არავითარი გრძნობა არ ჰქონოდა. შანტალი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა ამ ადამიანის შეყვარებას: ბოლოს და ბოლოს, სიყვარულიც, ისევე, როგორც მრავალი სხვა რამ ამქვეყნად, დროს მოჰქონდა.

ფიქრი უცხოელმა შეაწყვეტინა:

- ჰოდა, მეც სწორედ ამის გაგება მინდა, სად ვცხოვრობთ, სამოთხესა თუ ჯოჯოხეთში.

ხაფანგი ჩაიკეტა.

- სამოთხეში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სამოთხეც ბეზრდება ადამიანს.

ეს სასინჯი ქვა იყო. ის, რაც შანტალმა წარმოთქვა, სინამდვილეში, ნიშნავდა: „მე მარტო ვარ და არ ვარ წინააღმდეგი“. მას კი უნდა ეკითხა: „შენც მოგბეზრდა ეს სამოთხე?“

- შენც მოგბეზრდა ეს სამოთხე? - ჰკითხა უცხოელმა.

ახლა სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, არ უნდა აჩქარებულიყო და მახეში გაბმული არ უნდა დაეფრთხო.

- არც კი ვიცი. ხანდახან მგონია, რომ მომბეზრდა, ხან კი მეჩვენება, რომ სწორედ აქ უნდა ვიცხოვრო და სხვაგან ვერსად გავძლებ.

თან სრული გულგრილობაც უნდა გამოეხატა.

- თქვენი ნებაა, თუკი არ გსურთ, რამე მიაშობთ ამ ოქროზე, გასეირნებისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, წავალ და ისევ კითხვას განვაგრძობ.

- ერთი წუთით!

აჰა!

- ცხადია, ძალიან მინდა, ავიხსნა, რისთვის გაჩვენე ეს ოქრო. აქ ტყუილად ხომ არ მომიყვანიხარ?!

ეჭვიც არ შეჰპარვია - სექსი, ფული, ძალაუფლება, დაპირებები! მაგრამ შანტალმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს დიდ საოცრებას ელოდა: კაცებს ხომ უცნაურ კმაყოფილებას ანიჭებთ თავიანთი უპირატესობის შეგრძნება და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ყველა წინასწარ ხვდება მათ ჩანაფიქრს.

- გეტყობათ, ძალიან გამოცდილი ადამიანი ხართ, კარგად იცნობთ ცხოვრებას და შეგიძლიათ, ბევრი რამე მასწავლოთ.

ესეც ასე! უმთავრესი წესია - საჭირო მომენტში არ უნდა დააფრთხო, ოდნავ უნდა მოუდუნო მარყუჟი და ბეწვზე ხელი გადაუსვა.

- მაგრამ ერთი უცნაურობა გახასიათებთ: ყველაზე მარტივი კითხვის პასუხად გრძელ მსჯელობას იწყებთ დაპირებებზე ან იმაზე, როგორ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა. დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, თუ იმ კითხვაზე მიპასუხებთ, რომელიც თავიდან დაგისვით: ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ?

უცხოელმა, როგორც იქნა, თვალი მოსწყვიტა მთებს და ქალიშვილს შეხედა. მას ადამიანთა მოდემის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის იმხელა გამოცდილება ჰქონდა, რომ ახლა შეეძლო, თითქმის ზუსტად ეთქვა, რაზე ფიქრობდა ეს გოგო. შანტალი, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ოქრო იმიტომ აჩვენა, თავისი სიმდიდრით გაეოცებინა - ზუსტად ისევე, როგორც თავად შანტალი ცდილობდა, თავისი სინორჩითა და გულგრილობით მოეხდინა მასზე შთაბეჭდილება.

- ვინ ვარ? დავუშვათ, ის, ვინც უკვე დიდი ხანია, ერთ ჭეშმარიტებას დაეძებს; თეორიულად, ამ ჭეშმარიტებას უკვე ჩავწვდი, მაგრამ მისი პრაქტიკაში გამოცდის საშუალება ჯერ არ მქონია.

- რა ჭეშმარიტებას?

- ეს ჭეშმარიტება ადამიანთა ბუნებას შეეხება. ერთ დღესაც მივხვდი, რომ თუ საშუალება გვეძლევა, ვცდუნდეთ, ბოლოს და ბოლოს, ვცდუნდებით კიდევ. ამ დედამიწის ზურგზე ნებისმიერ ადამიანს აქვს მიდრეკილება, ბოროტება ჩაიდინოს. ნებისმიერი ადამიანი - ცხადია, თუ ხელსაყრელი პირობები შეექმნება, ბოროტების საქმნელად არის განწყობილი.

- მე კი მგონია...

- საქმე ის კი არ არის, შენ ან მე რა გვგონია; არც იმაზე, რა გვინდა, რომ გვჯეროდეს. არამედ, მართალია თუ არა ჩემი თეორია. შენ გინდოდა, გაგეგო, ვინ ვარ. ერთი ძალიან მდიდარი და ძალიან ცნობილი მეწარმე გახლავარ, ჩემს საწარმოებში ათასობით ადამიანი მუშაობდა, თუ საჭიროება მოითხოვდა, ხელქვეითებს მკაცრად ვექცეოდი, მაგრამ არც სიკეთეს ვიშურებდი. მე ის ვარ, ვინც ცხადლივ შეიგრძნო საშინელება, რაც სხვა ადამიანებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ; მე ის ვარ, ვინც ნეტარების უკიდევანობით ტკბებოდა და წვდომის თვალშეუდგამ სიშორეებს ფლობდა. მე ვარ ის, ვინც სამოთხეში ცხოვრობდა, თუმცა კი მიიჩნევდა, რომ ოჯახური ყოველდღიურობის უფსკრულში იტანჯებოდა; მე ის ვარ, ვინც შეიცნო ჯოჯოხეთი, თუმცა შეეძლო, აბსოლუტური თავისუფლების ნეტარებით დამტკვარიყო. მე ვარ ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სიკეთესაც იქმნოდა და ბოროტებასაც და ვგონებ, ამქვეყნად ჩემზე უკეთ არავინ იცის პასუხი ყოფიერების არსის იმ კითხვაზე, მე რომ მაწუხებს. აი, ამიტომ ვარ აქ. და მე ისიც ვიცი, რას მკითხავ ახლა.

შანტალი დაიბნა, თუმცა კი მიხვდა, რომ ფეხქვეშ დაუყოვნებლივ უნდა ეგრძნო ნიადაგი.

- თქვენ ელით, რომ გკითხავთ: „რატომ მაჩვენეთ ეს ოქრო?“ მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, რას აკეთებს ჩვენთან, ვისკოსში, ესოდენ სახელოვანი და მდიდარი მეწარმე, თუკი შეუძლია, პასუხი ყოველ კითხვაზე წიგნებში ამოიკითხოთ, უნივერსიტეტში ისწავლოს ან სტუმრად მიიწვიოს რომელიმე ფილოსოფოსი და მისგან შეიტყოს.

უცხოელს მოეწონა შანტალის გამჭრიახობა. როგორც ჩანს, ამჯერადაც, ისევე როგორც ყოველთვის, - სწორი არჩევანი გააკეთა.

- ვისკოსში იმიტომ მოვედი, რომ მინდა, ჩემი ნაფიქრი შევამოწმო. ერთხელ დიურენმატის პიესა ვნახე თეატრში. ხომ გაგიგია ასეთი მწერალი?

ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო: რა თქმა უნდა, ქალიშვილს წარმოდგენაც არა ჰქონდა ამ მწერალზე, მაგრამ ახლავე გულგრილ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქოს მშვენივრად ესმოდა, ვისზეც ელაპარაკებოდა უცნობი.

- მერე? - მოჩვენებითი გულგრილობით ჰკითხა შანტალმა.

- მიხარია, რომ ამ მწერლის სახელი გსმენია, მაგრამ, შენის ნებართვით, გაგახსენებ, რომელ პიესაზე ვლაპარაკობ, - კაცი გულმოდგინედ არჩევდა სიტყვებს, რათა სათქმელში გადაჭარბებული ცინიზმი არ გამჟღავნებულიყო, მაგრამ ის სიმტკიცეც ეგრძნობინებინა, იმათთვის რომ არის დამახასიათებელი, ვინც შეგნებულად და განზრახ ცრუობს, - იმ პიესაში მოქმედება ერთ პატარა ქალაქში მიმდინარეობს. ქალაქში ქალი ჩადის, რომელიც ადრე იმ ქალაქში ცხოვრობდა, და ახლა მხოლოდ ერთი მიზანი ამოდრავებს - დაამციროს და გაანადგუროს ის ადამიანი, რომელმაც ეს ქალი ახალგაზრდობაში უარყო. მთელ მის ცხოვრებას, მის გათხოვებას, გამდიდრებისკენ სწრაფვას, რაც სრულად განახორციელა, ერთადერთი ქვეტექსტი ედო: სამაგიერო მიეზლო თავისი პირველი სიყვარულისთვის. მეც წამოვიწყე ჩემი საკუთარი თამაში. გადავწყვიტე, რომელიმე მიყრუებულ, სამყაროსაგან მოწყვეტილ ქალაქში ჩავსულიყავი. იქ, სადაც ადამიანები ცხოვრებას შეჰხარიან და სიმშვიდე და თანაგრძნობა სუფევს. ჩავსულიყავი და მეცადა, ისე მომეწყო საქმე, რომ ამ ადამიანებს ძირითადი მცნებები დაერღვიათ.

შანტალმა პირი იბრუნა და მთებს გახედა. ეჭვიც არ ეპარებოდა: უცხოელი მიხვდა, რომ დიურენმატის სახელი არც კი გაეგონა, ამიტომაც ახლა შიშით ელოდა ძირითად მცნებებზე შეკითხვას, არადა არასოდეს აინტერესებდა საეკლესიო ცხოვრება და არც იმაზე ჰქონდა წარმოდგენა, რა მცნებებზე ელაპარაკებოდა ეს კაცი.

- ამ ქალაქის ყველა ბინადარი, შენით დაწყებული, პატიოსანი ხალხია, - განაგრძო უცხოელმა, - მე შენ ოქროს ზოდი გიჩვენე, რომელსაც შეუძლია, თავისუფლება მოგანიჭოს, აქედან წასვლისა და მოგზაურობის საშუალება მოგცეს. ერთი სიტყვით, მოგცეს ყველაფერი, რაზეც მიყრუებულ, პატარა ქალაქებში გაზრდილი გოგონები ოცნებობენ ხოლმე. ამ ზოდს აქ დავტოვე, შენ კი, მიუხედავად იმისა, რომ იცი, ეს

ოქრო ჩემია, შეგეძლება, წაიღო. და, როგორც კი წაიღებ, უკვე დაარღვევ ერთ მცნებას: „არა იპარო“.

ქალიშვილმა უცხოელს შეხედა.

- ამ ათი ზოდის წყალობით კი ვისკოსის სხვა ბინადართ შეეძლებოდათ, აღარ ემუშავათ, - განაგრძო უცხოელმა, - ამ ზოდებზე იმიტომ აღარ მიგაყრევინე მიწა, რომ სხვაგან დამალვას ვაპირებ, სადაც ვერავინ მიაგნებს. ისიც მინდა, გთხოვო, რომ ქალაქში დაბრუნებისთანავე უამბო ყველას ამ ოქროს შესახებ და უთხრა, რომ მსურს, ეს ზოდები ქალაქის ბინადართ ვაჩუქო მხოლოდ ერთი პირობით - ისეთი რამ უნდა გააკეთონ, რასაც თავის სიცოცხლეში ვერც წარმოიდგენდნენ.

- მაგალითად?

- მაგალითებს არ მოგიყვან, უბრალოდ, გეტყვი, რომ მინდა, დაარღვიონ მცნება: „არა კაც კლა“.

- რა თქვით? - ლამის იკვილა შანტალმა.

- რაც გაიგონე. მინდა, დანაშაული ჩაიდინონ.

უცხოელმა უცებ შენიშნა, რომ გოგონა ერთიანად დაიძაბა; იმასაც მიხვდა, ნებისმიერ წუთს შეეძლო, წამომხტარიყო, გაქცეულიყო და მისთვის ბოლომდე აღარ მოესმინა. ამიტომ სწრაფად განაგრძო.

- ქალაქს ერთი კვირის ვადას ვაძლევ. თუ მეშვიდე დღის ბოლოს ვისკოსის რომელიმე ბინადარს - არა აქვს მნიშვნელობა, ვინმე უმაქნისი ბებერი იქნება, მძიმე ავადმყოფი თუ გონებაშეზღუდული სულელი, რომელსაც მხოლოდ ტანჯვა მოაქვს ირგვლივ მყოფთათვის, - მკვდარს იპოვიან, ამ ოქროს ქალაქს გადავცემ და დავასკვნი, რომ ჩვენ ყველანი ცოდვით ვართ დამძიმებულნი. თუ შენ მოიპარავ ოქროს, ვისკოსი კი უარს იტყვის ცდუნებაზე, ანდა, პირიქით, - დავრწმუნდები, რომ ამქვეყნად ცუდი და კარგი ადამიანები არსებობენ, რაც, თავისთავად, მდგომარეობას გამირთულებს, რადგან ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ამქვეყნად სულიერი ბრძოლები მიმდინარეობს, რომელთა დასასრულიც არავინ უწყის, რადგან ერთსაც და მეორესაც შეუძლია გამარჯვების მოპოვება. შენ თვითონ თუ გწამს ღმერთი? თუ გწამს, რომ მართლაც არსებობს სულეთი და ანგელოზები და დემონები ერთმანეთს ებრძვიან?

შანტალს არაფერი უპასუხია, უცხოელი მიხვდა, რომ კითხვა არასწორად დაუსვა და თავი დიდ საფრთხეში ჩაიგდო - ქალიშვილს შეეძლო, უბრალოდ, ზურგი ექცია მისთვის, ბოლომდე აღარ მოესმინა და გაქცეულიყო. ირონიის დრო აღარ რჩებოდა, პირდაპირ საქმეზე უნდა გადასულიყო.

- ხოლო თუ ვისკოსიდან წასვლისას თერთმეტივე ზოდის უკან წაღება მომიწევს, მივხვდები, რომ ყველაფერი, რისი დაჯერებაც მინდოდა, სიცრუე ყოფილა. ამან

შეიძლება, მომკლას კიდეც, რადგან ჩემთვის უფრო იოლი იქნება სიცოცხლე, თუ მართალი აღმოვჩნდები და დავიჯერებ, რომ ამქვეყნად ბოროტება მძლავრობს. ეს კია, მაინც ძველებურად დავიტანჯები, თუმცა იოლია ტკივილის ატანა, როცა იცი, რომ ირგვლივ ყველა იტანჯება. მაგრამ თუ დიადი ტრაგედიები მხოლოდ ზოგიერთთა ხვედრია, მაშინ გამოდის, რომ უფლის ჩანაფიქრსა და მის შემოქმედებაში რაღაც რიგზე არ არის.

შანტალს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ ძალა მოიკრიბა და თავს მოერია:

- ასეთი რამ როგორ მოგაფიქრდათ? ან ამ საშინელების განსახორციელებლად ჩემი ვისკოსი რატომ აირჩიეთ?

- შენ და შენი ქალაქი არაფერ შუაში ხართ: მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ, რადგან ერთი ადამიანის თავგადასავალში მთელი კაცობრიობის ისტორია აისახება. მე მინდა, ვიცოდე, ადამიანები კეთილები არიან თუ ბოროტები. თუ კეთილები არიან, მაშასადამე, ღმერთი სამართლიანია და მომიტევებს ყველაფერს, რაც ჩამიდენია: მომიტევებს იმ ბოროტებას, ჩემი მტრებისთვის რომ მისურვებია; იმ არასწორ გადაწყვეტილებებს, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში რომ მიმიღია; და იმ წინადადებასაც, ხუთი წუთის წინ რომ შემოგთავაზე. მომიტევებს, რადგან სწორედ მან მიბიძგა და დამაყენა ცოდვის გზაზე. მაგრამ თუ დავრწმუნდები, რომ ადამიანები ბოროტები არიან, მაშინ მივხვდები - ყველაფერი დასაშვები ყოფილა, არც მე გადამიდგამს მცდარი ნაბიჯები; ყველანი წინასწარ ვყოფილვართ განწირულები და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, რას ვაკეთებდით ამქვეყნად, რადგან იმქვეყნიური წამებისაგან თავის დაღწევა ადამიანის ნაფიქრსა და ნამოქმედარზე არ ყოფილა დამოკიდებული.

და სანამ შანტალი გაიქცეოდა, კიდეც მოასწრო, ეთქვა:

- შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ საერთოდ გაგიქრეს ჩემთან ურთიერთობის სურვილი. ასეთ შემთხვევაში მე თვითონ მოვუყვები ყველას, რომ ძალიან მინდოდა, ვისკოსს დავხმარებოდი, შენ კი უარი მითხარი. მე თვითონ შევთავაზე ვისკოსის ბინადართ იმას, რაც შენ უნდა გეთქვა. და თუკი ისინი ვინმეს მოკვლას გადაწყვეტენ, ის მსხვერპლი, ალბათ, შენ იქნები.

ვისკოსელებმა სულ მალე შეიტყვეს უცხოელის ჩვევები: ყოველ დილას ადრიანად იღვიძებდა, ერთ ჭიქა მაგარ ყავას სვამდა და მთებისკენ მიდიოდა სასეირნოდ, წვიმაც კი არ უშლიდა ხელს. არადა მისი ქალაქში ჩამოსვლის მეორე დღიდან შეუჩერებლად წვიმდა, დროდადრო კი წვეთები ჰაერშივე იყინებოდა და ფიფქებად ჩამოდიოდა. უცხოელი არასოდეს სადილობდა, შუადღის შემდეგ სასტუმროში დაბრუნებული, თავის ოთახში იკეტებოდა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ დასაძინებლად წვებოდა.

სადამოხანს უცხოელი ისევ მიდიოდა სასაქონლოდ, ოღონდ - უკვე ქალაქის შემოგარენში. ის ყოველთვის პირველი შედიოდა რესტორანში, შეუცდომლად ირჩევდა საუკეთესო კერძებს, ღვინოსაც განსაკუთრებულს უკვეთავდა - ფასით კი არა, გემოვნებით, რადგან საუკეთესო ყოველთვის როდი ნიშნავს „ყველაზე ძვირს“ - მერე სიგარეტს აბოლებდა და ბარში გადიოდა. თანდათან დაუახლოვდა კიდევ რესტორნის სტუმრებს.

გულისყურით ისმენდა ვისკოსის ისტორიას და ამბებს იმის შესახებ, თუ ვინ სახლობდა ვისკოსში მრავალი საუკუნის წინ. ვისკოსელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მაშინ ქალაქი უფრო დიდი იყო, ვიდრე დღეს, რასაც ქალაქის სამი მთავარი ქუჩის ბოლოს არსებული ნანგრევებიც ადასტურებდა; ეცნობოდა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, თქმულებებსა და ცრურწმენებს, რაც ესოდენ დამახასიათებელია მიწადმოქმედი ადამიანებისათვის და მათივე ნაამბობით ერკვეოდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალ-ახალ აღმოჩენებში.

მაგრამ როცა მისი დრო დგებოდა და თავის თავზე იწყებდა თხრობას, ყველა იბნეოდა - ხან ამბობდა, რომ მეზღვაურად მუშაობდა; ხან იარაღის უზარმაზარ ქარხნებს ახსენებდა, თვითონ რომ მართავდა, სანამ ყველაფერი არ მიატოვა და ღმერთის საძებნელად მონასტერში არ შეიკეტა.

ბარიდან გამოსული ვისკოსელები ერთმანეთს ეკამათებოდნენ, რამდენად მართალი იყო ის, რასაც უცხოელი ყვებოდა. ქალაქის მერს მიაჩნდა, რომ არაფერი იყო იმაში უცნაური, ადამიანს ერთგანაც ემუშავა, მეორეგანაც და მესამეგანაც, თუმცა ვისკოსელებმა აკვნიდანვე იცოდნენ, რომ ყოველ მათგანს მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა გასავლელი. მღვდლის აზრით კი, ეს ოდესღაც ჭეშმარიტ გზას აცდენილი და დაბნეული ადამიანი ვისკოსში თავისი თავის საპოვნელად იყო ჩამოსული.

თუმცა, ერთ რამეში ეჭვი არავის ეპარებოდა - ეს უცხოელი კვირაზე მეტხანს არ დარჩებოდა ქალაქში. სასტუმროს დიასახლისი ყვებოდა, რომ ამ კაცს უკვე დაერეკა დედაქალაქის აეროპორტში და თავისი გაფრენის თარიღი დაემოწმებინა. გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ აქედან აფრიკაში მიფრინავდა და არა სამხრეთ ამერიკაში. ამ სატელეფონო საუბრის შემდეგ უცხოელს ჯიბიდან ფულის დასტა ამოეღო: წინასწარ სურდა ნომრისა და კვების საფასურის გადახდა. სასტუმროს დიასახლისს შეუთავაზებია, რატომ ჩქარობთ, გენდობით, თუ გნებავთ, საკრედიტო ბარათით გადაიხადეთ და ნაღდი ფული გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის დაიტოვეთო; უნდოდა, ეთქვა, იქნებ აფრიკაში არც იღებენ საკრედიტო ბარათებსო, მაგრამ აღარ უთქვამს, რადგან უფიქრია, უტაქტო ნათქვამი გამომივაო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სტუმრის საუბარს აყურადებდა, და მეორეც - ამ ნათქვამით ხომ ისე გამოდიოდა, თითქოს აფრიკა სხვა ქვეყნებზე უფრო განუვითარებული ეგონა.

უცხოელს გულისხმიერებისთვის მაღლობა უთქვამს დიასახლისისათვის, მაგრამ ფული მაინც გადაუხდია.

უკვე მესამე სადამო იყო, ბარში შემოსულ ყოველ ადამიანს სასმელით უმასპინძლდებოდა და ისევ ნაღდ ფულს იხდიდა; ასეთი რამ არასოდეს მომხდარა ვისკოსში, ამიტომ ბარის კლიენტებს სულაც აღარ ადარდებდათ ის შეუსაბამობები, მის მონათხრობში რომ შეიმჩნეოდა და ყველა ერთხმად ამტკიცებდა, ხელგაშლილი, კეთილგანწყობილი და თავმდაბალი ადამიანია, ამ მიყრუებული ქალაქის ბინადართაც ისევე ექცევა, როგორც დიდი ქალაქის მცხოვრებლებსო.

საკამათო ერთიღა რჩებოდა: ბარში გვიანობამდე შერჩენილ სტუმართაგან ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მერის მოსაზრება შეესაბამებოდა სინამდვილეს - ამ ადამიანს ბევრი რამ ენახა ამქვეყნად და ამიტომაც ასე აფასებდა ჭეშმარიტ მეგობრობას; დანარჩენები კი უფრო მღვდლის მოსაზრებას ემხრობოდნენ, რომელსაც თანამდებობრივადაც ევალეობდა სხვა ადამიანთა სულიერ მდგომარეობაში წვდომა, და აღიარებდნენ, რომ ეს უცხოელი მარტოსული ადამიანი იყო და ვისკოსში ახალ მეგობრებსა და სამყაროზე ახალ თვალთახედვას ეძებდა. ასე იყო თუ ისე, უცხოელი ყველას მოსწონდა და ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ორშაბათს, როცა მისი გამგზავრების დრო მოვიდოდა, გული დასწყდებოდათ.

ყველაფერთან ერთად, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ჩამოსული ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო. ეს კი მას შემდეგ დაასკვნეს, რაც ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი შეამჩნიეს: ვისკოსში ჩამოსული მამაკაცები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მარტო იყვნენ ჩამოსულები, აუცილებლად უმეგობრდებოდნენ შანტალ პრიმს - იმ გოგონას, ბარში რომ მუშაობდა, - ან პატარა რომანის გასაბმელად, ანდა, კიდევ ვინ იცის, რატომ. სტუმარი კი შანტალს მხოლოდ მაშინ მიმართავდა, როცა სასმელს უკვეთავდა, და არც მრავლისმეტყველი და ვნებიანი მზერით უყურებდა.

მდინარის პირას უცხოელთან შეხვედრის შემდეგ, შანტალს სამი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ქარი ხან მინელდებოდა, ხან ისევ მძლავრობდა, რკინის დარაბებს ეხლებოდა და ისე არახუნებდა, შანტალს გული ეყინებოდა. თუ ცოტა ხნით მაინც მოახერხებდა წათვლემას, ოფლში გაღვრილს ეღვიძებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიის მიზნით, ღამით მუდამ თიშავდა ხოლმე გათბობას.

პირველ ღამეს აღმოაჩინა, რომ სიკეთის პირისპირ იდგა. იმ ორ კოშმარს შორის, ჩამინებულს რომ ესიზმრა და მოგვიანებით ვერა და ვერ გაიხსენა, ის გულმხურვალედ ლოცულობდა და ღმერთს შესთხოვდა დახმარებას. წუთითაც არ დაუშვია, ვისკოსელებისთვის მოეთხრო ის, რაც უცხოელისგან მოისმინა, რადგან სულაც არ აპირებდა, ცოდვისა და სიკვდილის მაუწყებელი გამხდარიყო.

იმ ღამესვე მიხვდა, რომ ღმერთი ძალიან შორს იყო მისგან და ვერაფრით დაეხმარებოდა, ამიტომ თავის გარდაცვლილ ბებიას სთხოვა თანადგომა. მშობიარობას გადაყოლილი შვილის ობლად დარჩენილი პატარა გოგონა ბებიამ გაზარდა და აღზარდა. შანტალი მთელი ძალით ებლაუჭებოდა ერთ აზრს - ბოროტება ერთხელ უკვე მოვიდა ამ ქალაქში და წესით, სამუდამოდ უნდა წასულიყო.

შანტალს, როგორც ამბობენ, პირად ცხოვრებაში უამრავი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუდამ ახსოვდა, რომ მის ქალაქში პატიოსანი ადამიანები ცხოვრობდნენ, პირნათლად აღასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ამაყად თავაწეულები დააბიჯებდნენ და მთელი ოლქის პატივისცემას იმსახურებდნენ. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო - ორი ასწლეულის განმავლობაში ვისკოსში ადამიანთა მოდგმის უსაშინლესი წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, და ყველანი ამას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდნენ, რადგან თავიანთ უბედურებას რომაელებთან ბრძოლებში დამარცხებული კელტების წყევლით ხსნიდნენ.

ასე იყო მანამ, სანამ ვისკოსი ერთმა ადამიანმა არ მოაქცია, რომელსაც სწამდა, რომ წყევლა კი არა, მაღლი იყო ამ ქვეყნის მმართველი. შანტალი დარაბების რახარუხს აყურადებდა და იხსენებდა, როგორ უყვებოდა ბებია ამ ამბავს:

„მრავალი, მრავალი წლის წინ ჩვენთან, ერთ-ერთ გამოქვაბულში, ერთი განდეგილი ცხოვრობდა, წმინდა საბინი, თავისი სიწმინდით საქვეყნოდ სახელგანთქმული. იმხანად ვისკოსი ერთი პატარა სასაზღვრო სოფელი იყო, სადაც მართლმსაჯულებას გამოქცეული ავაზაკები, კონტრაბანდისტები, მეძავეები, თანამზრახველთა საპოვნელად მოსული თავგადასავლების მაძიებლები და დაქირავებული მკვლელები აფარებდნენ თავს. მათ შორის ყველაზე საზარელი და ნამუსგარეცხილი ერთი არაბი იყო, სახელად აქაბი - სწორედ მან დაიმორჩილა მთელი ქალაქი და მისი შემოგარენი და გლეხებს, რომელნიც ჯერ კიდევ ცდილობდნენ, პატიოსნად და ღირსეულად ეცხოვრათ, გაუგონარი ხარკი დაუწესა.

ერთხელ საბინმა თავისი გამოქვაბული მიატოვა, აქაბის სახლს მიადგა და ღამის გასათევი სთხოვა.

- ნუთუ არ იცი, რომ მკვლელი ვარ, ჩემს სამშობლოში უამრავი ხალხი გამოვასალმე სიცოცხლეს და არც შენი მოკვლა გამიჭირდება, - გაეცინა აქაბს.

- ვიცი, მაგრამ გამოქვაბულში ცხოვრებამ დამღალა. გთხოვ, ერთი ღამე მაინც გამათევინე სახლში, - უპასუხა საბინმა.

აქაბს ბევრი რამ სმენოდა წმინდანის შესახებ, ისიც იცოდა, რაოდენ პატივს სცემდა აქაური ხალხი, და სწორედ ეს აწუხებდა, რადგან ვერ დაუშვებდა, დიდებაში ვინმე შესცილებოდა, მით უმეტეს, ასეთი უძლური და ძაბუნი კაცი. ამიტომაც გადაწყვიტა, იმავე ღამეს მოეკლა, რათა ყველასთვის ეჩვენებინა, ვინ იყო აქაურობის ჭეშმარიტი და ერთადერთი ბატონ-პატრონი.

ერთხანს საუბრობდნენ. აქაბს მოეწონა წმინდანის ნაუბარი, მაგრამ ბუნებით ურწმუნომ მაინც ვერ დაიჯერა სიკეთის არსებობა. ავაზაკმა წმინდანს ღამის გასათევი ადგილი მიუჩინა, თვითონ კი გააფთრებულმა დაიწყო ხანჯლის ლესვა. საბინი ერთხანს უცქეროდა, რას საქმიანობდა აქაბი, მერე კი თვალები დახუჭა და დაიძინა.



აქაბი მთელ ღამეს ლესავდა ხანჯალს. დილით კი, როცა განდევილმა გაიღვიძა, ქვითინით უთხრა:

- შენ ჩემი არ შეგშინებია და არც განგისჯივარ. რაც თავი მახსოვს, ჩემს სახლში პირველად გაათია ღამე ადამიანმა. შენ გჯეროდა, რომ შემემძლო, სიკეთე გამეკეთებინა და თავშესაფარი მიმეცა ადამიანისთვის; შენ დაიჯერე, რომ შემემძლო ასე მოქცევა, და მეც ასე მოვიქეცი.

იმ დღიდან აქაბმა ავაზაკობას თავი ანება და ქალაქში წესრიგის დამყარებას მიჰყო ხელი. სწორედ იმ დროიდან ათასი ჯურის ავაზაკთა თავშესაფარი ვისკოსი თანდათან ისეთ ქალაქად იქცა, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ორი მოსაზღვრე ქვეყნის ვაჭრობაში“.

- ჰო, ასეა.

შანტალმა ტირილი შეწყვიტა და ფიქრში მადლობა გადაუხადა ბებიას, რომ ეს უძველესი ამბავი გაახსენა. ვისკოსში კეთილი ადამიანები ცხოვრობდნენ და მას შეემძლო, ამ ხალხის იმედი ჰქონოდა. გოგონამ დაძინება სცადა, მაგრამ სანამ რული მოეკიდებოდა, იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა მოეყოლა ვისკოსელებისთვის, რაც უცხოელისგან შეიტყო. არც ის იყო ძნელი წარმოსადგენი, რა შიში და გაოგნება აღებეჭდებოდა ჩამოსულს სახეზე, როცა ვისკოსელები ქალაქიდან გაამევებდნენ.

მეორე დილას გაოგნებული აკვირდებოდა, როგორ გამოვიდა რესტორნიდან უცხოელი, მერე იქით გაემართა, სადაც ბარი, სასტუმროს პორტიეს მისაღები და ადგილობრივი პროდუქტების მაღაზია იყო განთავსებული, და ვითომც აქ არაფერიაო, ჩვეულებრივი ტურისტით გააბა საუბარი, თითქოს მართლა აინტერესებდა, როგორ კრეჭდნენ ადგილობრივი ბინადარნი ცხვარს ან როგორ გამოჰყავდათ ღორი. ვისკოსელებს სჯეროდათ, რომ შეუძლებელი იყო, უცხოელები არ აღფრთოვანებულიყვნენ მათ ქალაქში დავანებული ამ ჯანმრთელი და ბუნებრივი ყოფით, ამიტომაც ამტკიცებდნენ, - თან ყოველ ჯერზე უფრო დამაჯერებლად და ვრცლად, - რა კარგი იყო თანამედროვე ცივილიზაციის ცოდვებისაგან მოშორებით ცხოვრება, თუმცა გულის სიღრმეში ყოველი მათგანი იმაზე ოცნებობდა, ერთხელ მაინც აღმოჩენილიყო მანქანების დინებაში, რომელთა გამონაბოლქვი გარემოს წამლავდა, და ისეთ ადგილას გაევილო, სადაც ყოველი ნაბიჯი ღამის სიკვდილის ტოლფასი იყო. დიდი ქალაქები გლეხებზე მაგიურ და გამაოგნებელ ზეგავლენას ახდენდა.

მაგრამ როგორც კი ვინმე უცხოელი გამოჩნდებოდა ვისკოსში, აქაურები ერთხმად იწყებდნენ იმის მტკიცებას, რა მადლიერნი იყვნენ ბედისწერისა, რომ წილად ხვდათ ამ სამოთხეში დაბადებისა და ცხოვრების ბედნიერება. ამას ისეთი მონდომებით ამტკიცებდნენ, თითქოს მხოლოდ უცხოელი კი არა, საკუთარი თავიც უნდა დაერწმუნებინათ ნათქვამის სიმართლეში. თითქოს ისიც კი აღარ ახსოვდათ, რომ აქ

ჩამოსულ უცხოელთაგან არავის მოუნდომებია, მიეტოვებინა ყველაფერი და სამუდამოდ ამ სამოთხეში დასახლებულიყო.

ახლაც ჩვეულებრივი და სასიამოვნო საუბარი მიმდინარეობდა და სრული სიმშვიდე სუფევდა, სანამ უცხოელმა ის არ თქვა, რის თქმაც არ შეიძლებოდა:

- რა კარგად აღზრდილი ბავშვები გყოლიათ ვისკოსში! დილაობით ფანჯრებთან არასოდეს ყვირიან, სხვა ქალაქების ბავშვებს არ ჰგვანან.

რადგანაც ვისკოსში საერთოდ არ იყვნენ ბავშვები, წუთით უხერხული და დამაბული სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ იმავე წამს ვიღაც საზრიანმა უცხოელს ჰკითხა, როგორ მოეწონა ადგილობრივი სამზარეულოს რომელიღაც მორიგი კერძი, სადილად რომ მიართვეს, და სოფლური ცხოვრების სიკეთესა და ქალაქურის ბოროტებაზე საუბარი ისევ ჩვეულებრივად წარიმართა.

შანტალი ყოველ წუთს ელოდა, რომ სთხოვდა, ტყეში შეხვედრის შესახებ მოეთხრო ხალხისათვის. მაგრამ ის შანტალისკენ არც იხედებოდა, მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, როცა დამსწრეთათვის სასმელი შეუკვეთა, ფულიც მაშინვე გადაუხადა.

ბოლოს, როცა სტუმრები დაიშალნენ და უცხოელიც თავის ნომერში ავიდა, შანტალმა წინსაფარი მოიხსნა, ვიღაცის მიერ მაგიდაზე დატოვებული კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, დიასახლისის სთხოვა, წუხელ ცუდად მეძინა და ბარს დილით დავალაგებო, თანხმობა მიიღო, პალტოს სტაცა ხელი, ქუჩაში გაიჭრა და ღრმად ჩაისუნთქა ღამის ცივი ჰაერი.

სახლამდე ორი წუთის სავალი ჰქონდა, გოგონას სახეზე წვიმის წვეთები ეცემოდა, მიდიოდა და იმაზე ფიქრობდა, რომ, ალბათ, ეს ყველაფერი გიჟური და ბოროტი ხუმრობა იყო და უცხოელს ასეთი სულელური გზით სურდა მისი ყურადღების მიპყრობა.

მაგრამ მაშინვე ის ოქრო გაახსენდა, საკუთარი თვალთ რომ ნახა.

ან, იქნებ, არც იყო ოქრო? შანტალი ისეთი დაღლილი იყო, ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, ამიტომაც შინ მისვლისთანავე ტანთ გაიხადა და საწოლში ჩაწვა.

მეორე ღამეს შანტალი სიკეთისა და ბოროტების პირისპირ აღმოჩნდა. ლოგინში ჩაწოლისთანავე მკვდარივით დაეძინა, თითქოს უფსკრულში ჩავარდაო, არც არაფერი დასიზმრებია. ერთ საათში გაეღვიძა. ქუჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა - ქარიც კი აღარ არახუნებდა რკინის დარაბებს, ღამის ფრინველებიც გაყურსულიყვნენ. არაფერი, აბსოლუტურად არაფერი მიანიშნებდა, რომ შანტალი ჯერ ისევ ცოცხალთა საუფლოში იმყოფებოდა.

ფანჯარასთან მივიდა და ცარიელ ქუჩას გახედა. წვიმა ისევ ცრიდა, ჩამოწოლილ ნისლში ძლივსლა მოჩანდა სასტუმროს ნეონის აბრა. ამ მქრქალი შუქით განათებული

ვისკოსი უფრო ჩამკვდარი ეჩვენა. შანტალისათვის უცხო არ იყო პატარა, პროვინციული ქალაქისათვის დამახასიათებელი ეს მდუმარება, რომელიც სიმშვიდესა და სიმყუდროვეს კი არა, ერთფეროვნებას ნიშნავს.

მზერა მთებზე გადაიტანა: ჩამოქუფრულ ღრუბლებში მთებიც აღარ ჩანდა, თუმცა, ოქრო სადღაც იქ იყო დამალული. უფრო ზუსტად, ოქრო კი არა, ოქროსფერი აგურები, რომლებიც უცხოელმა უჩვენა.. თითქოს სთხოვდა, ორმო ამოეთხარა, ოქრო გაეტაცებინა და აქაურობას გასცლოდა.

სააბაზანოში შევიდა, დიდხანს აკვირდებოდა საკუთარ თავს სარკეში, გაიფიქრა, რომ სულ მალე დაკარგავდა მომხიბვლელობას. მერე ისევ ლოგინში ჩაწვა. ინანა, რომ ბარში ვიღაც კლიენტის მიერ დატოვებული სიგარეტის კოლოფი არ წამოიღო, თუმცა მეორე მხრივ კარგადაც მოიქცა, რადგან ვიღაც აუცილებლად მოიკითხავდა კოლოფს და ხალხის ნდობის დაკარგვა სულაც არ უნდოდა. ვისკოსში ასეთი წესები იყო: სიგარეტის ნახევრად ცარიელ კოლოფს თავისი პატრონი ჰყავდა, ნაპოვნ ღილსაც მანამ ინახავდნენ, სანამ ვინმე არ მოიკითხავდა; ხურდას, როგორც წესი, სრულად აბრუნებდნენ და ანგარიშის დამრგვალება იკრძალებოდა. წყეული ქალაქი იყო - ყველაფერი მტკიცედ, საიმედოდ და წინასწარგანზრახულად იყო დაწესებული.

შანტალი დარწმუნდა, რომ ვეღარ დაიძინებდა, სცადა, ისევ ელოცა და ბებიაზე ეფიქრა, მაგრამ ფიქრი სხვა მიმართულებით გაურბოდა, სულ თვალწინ ედგა ორმო, ტალახში ამოსვრილი ოქროს ზოდი და ტოტი, რომელიც გზაზე დამდგარი მომლოცველის კვერთხივით ეჭირა ხელში. რულმა რამდენჯერმე წაართვა თავი, მაგრამ მაშინვე ფხიზლდებოდა, გამოფხიზლებულს კი, ფანჯრებს მიღმა გამეფებული იგივე მდუმარება თანგავდა და ისევ იგივე, ტალახში ამოსვრილი ოქროს ზოდი უდგებოდა თვალწინ.

და როცა პირველი ათინათი გაკრთა ფანჯარაში, შანტალმა ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა.

ვისკოსელები მიჩვეულები იყვნენ გარიჟრაჟზე ადგომას, მაგრამ ჯერ ძალიან ადრე იყო და ქალაქს ისევ ეძინა. შანტალი ცარიელ ქუჩას მიუყვებოდა, დროდადრო უკან იხედებოდა, ამოწმებდა, უცხოელი ფეხდაფეხ ხომ არ მისდევდა. თუმცა, ისეთი ნისლი იდგა, ხელის გაწვდენაზე არაფერი ჩანდა. დროდადრო ჩერდებოდა კიდევ, ცდილობდა, ნაბიჯებისთვის მიეგდო ყური, მაგრამ მხოლოდ თავისი გულის გამალებული ფეთქვა ესმოდა.

გოგონა ტყის სიღრმეში შევიდა, იმ ქვაყრილს მიუახლოვდა, ასო „Y“ -ს რომ ჩამოჰგავდა, - ეს ქვაყრილი ისედაც მუდამ აშფოთებდა, გეგონებოდა, სადაცაა ჩამოიშლებაო, - იგივე ტოტი აიღო, წინადღეს მიწაზე რომ დააგდო, და ზუსტად იმ ადგილას დაიწყო თხრა, უცხოელმა რომ მიუთითა, მერე ორმოში ჩაყო ხელი და ზოდი ამოიღო. ანაზღად რაღაც უცნაურობა შეამჩნია: ტყეში ისეთი მდუმარება

სუფევდა, თითქოს ვიღაცის იქ ყოფნით დამფრთხალი ჩიტები და ცხოველები გაყურსულიყვნენ, აღარც ფოთლები შრიალებდა.

შანტალმა ზოდი ამოიღო. მისმა სიმძიმემ გააოცა, ზოდს მიწის კოშტები მოაშორა და ერთ-ერთ გვერდზე ორი დამლა და კიდევ რაღაც ციფრები შენიშნა, რომელთა მნიშვნელობაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ ამოხსნა.

ნეტავ რა უნდა ღირდეს ეს ზოდი? შანტალმა ამ ოქროს ზუსტი ფასი არ იცოდა, მაგრამ, როგორც მაშინ უცხოელმა უთხრა, საკმარისი იყო იმისათვის, რომ სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად ეცხოვრა. მას ახლა თავისი ახდენილი ოცნება ეპყრა ხელთ, რაღაც საოცრებით მის თვალწინ რომ განსხეულებულიყო. ეს იყო შანსი, თავი დაეღწია ვისკოსში გასატარებელი მარად ერთნაირი დღეებისა და ღამეებისთვის; თავი დაეღწია სასტუმროსათვის, სადაც იმ ხნიდან მუშაობდა, რაც სრულწლოვანი გახდა; მეგობრებთან ყოველწლიური შეხვედრებისთვის, რომელნიც რა ხანია ვისკოსიდან წავიდნენ, რადგან მშობლებმა შეძლეს დიდ ქალაქებში მათი გაგზავნა სასწავლებლად და უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად; იმათთან განშორებისთვის, ვისაც უკვე მისჩვეოდა და უყვარდა; მამაკაცებისათვის, თავიდან ოქროს მთებს რომ ჰპირდებოდნენ, მეორე დღეს კი გამოუმშვიდობებლად მიემგზავრებოდნენ ქალაქიდან; ყველაფრისათვის, რასთან დამორებაც მოასწრო ან ვერ მოასწრო. აქ, აი, ამ ტყეში დადგა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წუთი.

ცხოვრება მუდამ უსამართლოდ ექცეოდა შანტალს: მამა არც კი იცოდა, ვინ იყო, დედა მის გაჩენას გადაჰყვა და დანაშაულის შეგრძნებით დაუმძიმა სული; ბებია კერვით ირჩენდა თავს და ყოველ გროშს უფრთხილდებოდა, რომ შვილიშვილს წერაკითხვა მაინც ესწავლა. შანტალი მეოცნებე იყო - სჯეროდა, რომ ყველა წინააღმდეგობას გადალახავდა, გათხოვდებოდა, დიდ ქალაქში იშოვიდა სამუშაოს, ან ვინმე მონადირე დასასვენებლად ჩამოვიდოდა მათ ქალაქში და შანტალს აღმოაჩენდა; იქნებ, სახელგანთქმული მსახიობიც გამხდარიყო, ან წიგნი დაეწერა და სახელი გაეთქვა; იქნებ, ისეც მომხდარიყო, ფოტოგრაფები დასდევნებოდნენ სურათების გადასაღებად; იქნებ, ცხოვრება წითელ ხალიჩასავით გაჰგებოდა ფეხქვეშ.

ყოველი დღე მოლოდინისა იყო. ყოველ საღამოს შეიძლებოდა, ვისკოსში ის ადამიანი გამოჩენილიყო, ვინც მას ღირსეულად შეაფასებდა. ყოველ ღამეს იმის იმედი მოჰქონდა, რომ კაცი, რომელიც მის ლოგინში იწვა, მეორე დილას თან წაიყვანდა და ველარასოდეს ნახავდა ამ სამ ქუჩას, კრამიტით გადახურულ ქვის სახლებს, სასაფლაოს, ეკლესიას, სასტუმროსა და ნატურალური პროდუქტებით მოვაჭრე მაღაზიას, თვეობით რომ ვერ ყიდდა საქონელს და ბოლოს ისევე ქარხნულის ფასად ასაღებდა.

ხანდახან ფიქრობდა, საუკუნეების წინ აქ მოსახლე კელტები თავიანთ განძს სადმე დამალავდნენო. ოცნებობდა, ამ განძისთვის მიეგნო, მაგრამ შანტალის ოცნებათაგან ეს ოცნება ყველაზე აუსრულებელი და განუხორციელებელი ჩანდა.

და, აი, შანტალს ხელთ ოქროს ზოდი ეპყრა - ის განძი, რომლის არსებობაც, სინამდვილეში, არასოდეს სჯეროდა და რომელიც სრულიად გაათავისუფლებდა.

ანაზად თავზარი დაეცა - ილბალი, სიცოცხლეში ერთხელ რომ ეწვია, შეიძლებოდა, იმავე სადამოს დაეკარგა. ხომ შეიძლებოდა, უცხოელს გადაეფიქრა? ან სხვა ქალაქში გამგზავრებულყო, იქ სხვა ქალი მოეძებნა, რომელიც სიხარულით აუსრულებდა თხოვნას? რატომ არ შეიძლებოდა, შინ დაბრუნებულყო, ჩემოდანში ჩაეწყო თავისი ბარგი-ბარხანა და ვისკოსიდან გამგზავრებულყო?

წარმოდგინა, როგორ დაემშვიდობდა ფერდობზე, მანქანას ქვევით, გზაზე გააჩერებდა, დილას კი, სეირნობისას, უცხოელი მოულოდნელად აღმოაჩენდა, რომ ოქრო გაქრა. შანტალი უახლოეს ქალაქამდე გაჰყვებოდა მანქანას, უცხოელი კი სასტუმროში დაბრუნდებოდა და პოლიციას გამოიძახებდა.

ქალაქში ჩასული, მძღოლს მადლობას გადაუხდიდა, პირდაპირ ავტოსადგურში მივიდოდა, სადმე შორს მიმავალი ავტობუსის ბილეთს იყიდდა, სწორედ ამ დროს მიადგებოდა ორი პოლიციელი და თავაზიანად სთხოვდნენ, ჩემოდანი გაეხსნა. ოქროს დანახვისთანავე თავაზიანობა გაუქრებოდათ - მიხვდებოდნენ, რომ იპოვეს ქალი, რომელზეც სამი საათის წინ ჩადენილი ქურდობისათვის ძებნა იყო გამოცხადებული.

პოლიციაში მიყვანილი შანტალი აუცილებლად დადგებოდა არჩევანის წინაშე - ან სრული სიმართლე ეღიარებინა, რასაც არავინ დაუჯერებდა, ან ეთქვა, რომ ტყეში სეირნობისას ამოთხრილი მიწა დაინახა, თვითონაც განაგრძო თხრა და მიწიდან ოქროს ზოდი ამოიღო. ერთხელ ერთ განძის მაძიებელთან გაატარა ღამე - ისიც კელტების ოქროს დაეძებდა; სწორედ ის უმტკიცებდა, კანონის მიხედვით განძი მპოვნელს ეკუთვნისო, ოღონდ, რომელიც პარაგრაფიდან გამომდინარე, თუ განძი ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს, მპოვნელი ვალდებულია, ნაპოვნის შესახებ განაცხადოსო. ეს ზოდი კი არავითარ ისტორიულ ღირებულებას არ წარმოადგენდა: უბრალო ოქროს ზოდი იყო, თანამედროვე დამლთა და რაღაც ციფრებით.

ცხადია, უცხოელსაც დაჰკითხავდნენ. ის ვერაფრით დაამტკიცებდა, რომ შანტალი მის ნომერში იყო ნამყოფი და იქიდან მოიპარა ოქროს ზოდი. მისი და შანტალის ჩვენებები ერთმანეთს არ დაემთხვეოდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ უცხოელს, შეიძლება, გავლენიანი მეგობრები და სასარგებლო კავშირები აღმოსჩენოდა; მაშინ შანტალს კი არა, მას დაუჯერებდნენ. შანტალს შეეძლო ექსპერტიზა მოეთხოვა და ამით დაემტკიცებინა, რომ სიმართლეს ამბობდა - ოქროზე ხომ მიწის კვალს აღმოაჩენდნენ.

ამასობაში ჭორები ვისკოსსაც მისწვდებოდა და მისი ბინადარნი - შურისა თუ გაბოროტების გამო - პოლიციას შანტალის წინააღმდეგ განაწყობდნენ, იმასაც

მოუყვებოდნენ, რომ ეს გოგონა არაერთხელ შეუნიშნავთ ჩამოსულებთან კავშირში, ამიტომაც, ალბათ, შეძლებდა კიდევ ოქროს ზოდის მოპარვას, სანამ უცხოელს ეძინა.

და ყველაფერი ძალზე სამწუხაროდ დასრულდებოდა: ოქროს სასამართლომდე ჩამოართმევდნენ, შანტალი საქმის განხილვამდე ისევ ვისკოსისაკენ მიმავალ მანქანას გაჰყვებოდა და თავის ქალაქში დაბრუნდებოდა - დამცირებული, განადგურებული, ჭორებისა და განკიცხვისათვის განწირული, რაც რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდებოდა. მერე აღმოჩნდებოდა, რომ სასამართლო განხილვასაც არ ექნებოდა შედეგი, არც ადვოკატების დასაქირავებლად ეყოფოდა ფული და, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდებოდა, უარი ეთქვა ოქროზე.

შედეგად, აღარც ოქრო ექნებოდა და აღარც კარგი სახელი.

მაგრამ ამას მეორე მხარეც ჰქონდა: უცხოელმა სიმართლე უთხრა. თუ შანტალი ოქროს მოიპარავდა და მიიმალეებოდა, ამით თავის ქალაქს გადაარჩენდა უფრო დიდი უბედურებისაგან.

თუმცა, ჯერ კიდევ სახლიდან გამოსვლამდე იცოდა, რომ ვერასოდეს გაბედავდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას. მაინც, რატომ დაეუფლა შემზარავი შიში სწორედ იმ წუთს, როცა შეიძლებოდა, მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვლილიყო? განა იმ ადამიანებს არ ჩასწოლია ლოგინში, ვინც მოსწონებია? განა კარგი ანაზღაურების ფასად არ უკვკლუცია ბარის სტუმრებთან? განა არ ცრუობდა დროდადრო? განა არ შურდა ძველი მეგობრებისა, რომლებიც ვისკოსში მხოლოდ საახალწლოდ, ახლობლების მოსანახულებლად ჩამოდიოდნენ?

შანტალმა მაგრად ჩაბლუჯა ოქროს ზოდი, ერთიანად ძალაგამოცლილი, სასოწარკვეთილი ფეხზე წამოდგა, ისევ ორმოში ჩადო ოქრო და მიწა მიაყარა. არა, ამას ვერასოდეს გააკეთებდა - არა იმიტომ, რომ პატიოსანი იყო, არამედ იმ აუტანელი შიშის გამო, ერთიანად რომ მოეცვა მისი არსება. იმ წუთს მან ცხადად გააცნობიერა, რომ ადამიანს ორად ორ შემთხვევაში არ შეეძლო თავისი ოცნების ასრულება: როცა ოცნება სრულიად აუხდენელია, ანდა როცა ბედისწერის ბორბალი მოულოდნელად შემობრუნდება მისკენ, ოცნება შეიძლება აუხდეს, მაგრამ თვითონ არ არის მზად მის მისაღებად. სწორედ მაშინ დაგზაფრავს იმ გზის შიში, რომელიც არ იცი, საით მიემართება; იმ ცხოვრების შიში, ამოუცნობ თვალსაწიერს რომ გიშლის; და შიში იმისა, რომ ყველაფერი ჩვეული და შენეული სამუდამოდ წარსულს უნდა ჩააბარო.

ადამიანებს ცხოვრების შეცვლა სურთ და, იმავდროულად, უნდათ, ყველაფერი ისევე დარჩეს, როგორც იყო. შანტალმა არ იცოდა, რატომ ხდებოდა ასე, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ ახლა სწორედ ასეთი რამ ემართებოდა. იქნებ ზედმეტად იყო მიჯაჭვული ვისკოსს, ზედმეტად იყო მიჩვეული, დამარცხებულად ეგრძნო თავი - და გამარჯვებისკენ მიმავალი ყოველი შანსი მისთვის დაუძლეველად მძიმე ტვირთი აღმოჩნდა.

ექვიც აღარ ეპარებოდა, რომ უცხოელს მობეზრდებოდა მისი პასუხის ლოდინი და ძალიან მალე - იქნებ, ამ საღამოსაც - გადაწყვეტდა, თავისი არჩევანი ვინმე სხვაზე შეეჩერებინა. მაგრამ შიში უფრო მეტი იყო, ვიდრე ცხოვრების შეცვლის სურვილი.

ხელებს, სულ ცოტა ხნის წინ ოქროს ზოდი რომ ეჭირა, ისევ იატაკის ჯოხი, ვედრო და ტილო უნდა აეღო. შანტალმა ზურგი აქცია მიწაში ჩაფლულ განძს და ქალაქისკენ წალასლასდა: იქ, სასტუმროში, ალბათ, უკვე ელოდა სასტუმროს გაღიზიანებული დიასახლისი, რომელსაც წუხელ შეჰპირდა, რომ ბარს დაალაგებდა, სანამ ეს ერთადერთი კლიენტი გაიღვიძებდა.

შანტალის შიში არ გამართლდა - უცხოელი არსადაც არ გამგზავრებულიყო. იმ საღამოსვე ნახა ბარში: უჩვეულოდ მხიარული და თავაზიანი ჩანდა, თავის თავგადასავლებს ყვებოდა, იქნებ, მოგონილსაც, მაგრამ საკუთარ წარმოსახვაში მაინც ცხადად და სრულად განცდილს. დღესაც, გუმინდელივით, მხოლოდ მაშინ შეხედეს ერთმანეთს, როცა შეკვეთის ფულს იხდიდა.

შანტალი უზომოდ დაღლილი იყო და იმაზე ოცნებობდა, რაც შეიძლებოდა, სწრაფად დაშლილიყო ხალხი. უცხოელი კი დღეს განსაკუთრებით კარგ გუნებაზე ჩანდა, ახალ-ახალ ისტორიებს ყვებოდა, ბარში მსხდარნიც ყურადღებით, ინტერესითა და იმგვარი პატივისცემით უსმენდნენ, ქედმოდრეკილ ზიზღს რომ ჰგავს ხოლმე, რასაც, უმეტესწილად, სოფლები განიცდიან ქალაქელების მიმართ, რადგან მიიჩნევენ, რომ ქალაქელები უფრო ჭკვიანები, განათლებულები, თანამედროვეები და კულტურულები არიან და ცხოვრებაშიც უკეთ ერკვევიან.

„სულელები, - გაიფიქრა შანტალმა, - ვერც კი ხვდებიან, რა საჭირონი არიან. ვერ ხვდებიან, რომ ყოველთვის, როცა ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ბინადარს ჩანგალი მიაქვს პირთან, ამას მხოლოდ ვისკოსელებისა და მათი მსგავსი ადამიანების წყალობით აკეთებს; იმათი წყალობით, ვინც დილიდან დაღამებამდე თავისი ოფლით მოიპოვებს სარჩოს, დაუღალავად, რუდუნებით ამუშავენს მიწას და საქონელს უვლის. ისინი უფრო სჭირდება სამყაროს, ვიდრე დიდი ქალაქის ბინადარნი, მაგრამ ისე უჭირავთ თავი და ისე იქცევიან, როგორც არასრულფასოვანი, არაფრის მაქნისი ადამიანები, თავადაც რომ ხვდებიან საკუთარ არარაობას.“

უცხოელი კი ამასობაში ნამდვილად აპირებდა იმის დემონსტრირებას, რომ მისი კულტურა უფრო ფასეული და ძვირფასი იყო, ვიდრე ბარში მსხდომი ადამიანების მძიმე შრომა. მან კედელზე დაკიდებულ სურათზე მიუთითა:

- იცით, ეს რა არის? მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ტილოა, ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის და საიდუმლო სერობას ასახავს - იესოს ბოლო ვახშამს მოციქულებთან.

- წარმოუდგენელია! - წამოიძახა დიასახლისმა, - ნუთუ ასეთი ცნობილი სურათია?! მე კი ძალიან იაფად ვიყიდე.

- ეს ხომ მხოლოდ რეპროდუქციაა: თვითონ ნახატი კი აქედან ძალიან შორს, ერთი ეკლესიის კედელზეა გამოსახული. ამ ნახატზე ლეგენდაც არსებობს. თუ გსურთ, შემოძლია, გაამბოთ კიდევ.

დამსწრეებმა თანხმობა განაცხადეს და შანტალს კვლავ შერცხვა იმის გამო, რომ აქ იდგა და ისმენდა, როგორ იწონებდა თავს ეს ნაძირალა თავისი ყოვლად უმაქნისი ცოდნით მხოლოდ იმიტომ, რომ ეგონა, მან სხვებზე მეტი იცოდა.

- ამ ტილოს ხატვისას და ვინჩი დიდ სირთულეს წააწყდა: იესოს სახით სიკეთე უნდა გამოესახა და იუდას სახით - ბოროტება; იუდას სწორედ ამ ვახშმის დროს უნდა გაეცა ქრისტე. ლეონარდომ ხატვა ვერ დაასრულა და გადაწყვიტა, მაშინ გაეგრძელებინა, როცა შესაფერის მოდელს იპოვიდა.

ერთხელაც, როცა რომელიღაც გუნდს უსმენდა, ერთ-ერთ მომღერალში ქრისტეს სახე დაინახა, თავის სახელოსნოში მიიწვია და რამდენიმე ჩანახატი და ეტიუდი გააკეთა.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. „საიდუმლო სერობის“ ხატვა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ ლეონარდო ვერა და ვერ პოულობდა ადამიანს, რომელსაც იუდას მოდელად გამოიყენებდა. კარდინალი, ამ ეკლესიის მოხატვას რომ ხელმძღვანელობდა, აჩქარებდა ლეონარდოს და სთხოვდა, რაც შეიძლება სწრაფად დაემთავრებინა ფრესკა.

და, აი, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ერთხელაც, ლეონარდომ ერთი ადამიანი შეამჩნია: სანიაღვრე თხრილში ეგდო, ახალგაზრდა იყო, მაგრამ ნაადრევად ჩამომჰკნარი, ჭუჭყიანი, მთვრალი და ჩამომონძილი. ეტიუდებისათვის დრო აღარ რჩებოდა და ლეონარდომ თავის მსახურებს უბრძანა, ეს კაცი პირდაპირ ეკლესიაში მიეყვანათ, რაც შეუსრულეს კიდევ.

დიდი გაჭირვებით მიათრიეს ეკლესიაში და ფეხზე დააყენეს. ლოთი ვერც კი ხვდებოდა, რა ხდებოდა მის თავს. ლეონარდოს ტილოზე გადაჰქონდა მის სახეზე აღბეჭდილი ცოდვიანობა, ამპარტავნება და ბოროტება.

სანამ მუშაობას დაასრულებდა, ის მათხოვარი ოდნავ გამოფხიზლდა, თვალი გაახილა, ნამუშევარს შეხედა და შეშინებულმა იყვირა:

- მე ერთხელ უკვე მინახავს ეს ნახატი!

- როდის? - გაოცდა ლეონარდო.

- სამი წლის წინ, სანამ ყველაფერს დავკარგავდი. იმ დროს გუნდში ვმღეროდი. ჩემი ცხოვრებაც ოცნებით იყო სავსე და მაშინ ვიღაც მხატვარმა ქრისტე დახატა ჩემი სახით.

უცხოელი დიდი ხნით დადუმდა და ლუდის სმით გართულ მღვდელს მიაჩერდა. მხოლოდ შანტალი მიხვდა, რომ ამ ამბავს უცხოელი პირადად მის გასაგონად მოჰყვა.



- იქნებ ბოროტებასა და სიკეთეს ერთი სახე აქვს? ყველაფერი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, როდის გადავეყრებით ჩვენი ცხოვრების გზაზე.

უცხოელი წამოდგა, დაღლილობა მოიმიზეზა, ბოდიში მოიხადა და თავის ნომერში ავიდა. ბარში მყოფებმა სასმელის ფული გადაიხადეს და ნელ-ნელა გაიკრიფნენ გასასვლელისკენ, თან ცნობილი ფრესკის იაფფასიან რეპროდუქციას აკვირდებოდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, ცხოვრების რომელ მონაკვეთში შეხვდნენ ანგელოზსა თუ ეშმაკს. და თუმცა სხვებისათვის არ გაუზიარებიათ თავიანთი ნაფიქრი, გულში ყველამ ერთხმად დაასკვნა: ეს ყველაფერი მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ აქაბმა ავაზაკთა მხარე მშვიდობიან და აყვავებულ ქალაქად აქცია. იმ დროიდან დღეები ერთმანეთისგან აღარ განსხვავდებოდა. ეს იყო და ეს.

გაწამებული შანტალი მექანიკურად მუშაობდა, მაგრამ იცოდა, ვისკოსის ბინადართაგან მხოლოდ ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა. სახეზეც კი შეიგრძნობდა ბოროტების მძიმე და მაცდუნებელი ხელის ალერსიან შეხებას. „იქნებ სიკეთესა და ბოროტებას მართლაც ერთი და იგივე სახე აქვს. ყველაფერი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, როდის გადავეყრებით ჩვენი ცხოვრების გზაზე“. კარგი ნათქვამია და, ეგებ, შეესაბამებოდა კიდეც სიმართლეს, მაგრამ ახლა ამისათვის აღარ ეცალა - ახლა მხოლოდ ძილი უნდოდა.

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ერთ-ერთი კლიენტისათვის ხურდის დაბრუნებისას ანგარიში შეეშალა, რაც ძალზე იშვიათად ემართებოდა ხოლმე, ბოდიში მოუხადა, მაგრამ თავი დამნაშავედ არ უგრძნია. აუღელვებელი ღირსებით ელოდა, როდის წავიდოდნენ უკანასკნელი კლიენტები. როგორც წესი, ეს მერი და მღვდელი იყვნენ ხოლმე. მერე სალარო ჩაკეტა, თავისი იაფფასიანი, მძიმე პალტო ჩაიცვა და სახლისკენ წავიდა - ასე მეორდებოდა უკვე მრავალი წლის განმავლობაში.

მესამე ღამეს ის ბოროტების პირისპირ აღმოჩნდა. ბოროტებამ ამჯერად უზომო დაქანცულობისა და მაღალი სიცხის სახე მიიღო - გულის წასვლამდე იყო დაღლილი, მაგრამ მაინც ვერ იძინებდა. სადღაც, ფანჯრებს მიღმა, შეუჩერებლად ყმუოდა მგელი. დროდადრო შანტალს ეჩვენებოდა, რომ ჰალუცინაციები დაეწყო: მხეცი თითქოს მის ოთახში შემოიპარა და მისთვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდა. მერე, ცოტა ხნით გონს მოსულს, ეკლესიაში წასვლა მოუნდა, რომ მღვდლისთვის ეთხოვა, ექიმი გამოეძახა - ცუდად იყო, ძალიან ცუდად. მაგრამ როცა წამოდგომა დააპირა, მიხვდა, ფეხები არ ემორჩილებოდა - ბამბასავით გახდომოდა - და ეკლესიამდე ვერ მიაღწევდა.

გარეთ რომც გასულიყო, ეკლესიამდე ვერ მივიდოდა.

რომც მისულიყო, დიდხანს მოუწევდა ლოდინი, სანამ პადრე გაიღვიძებდა, ჩაიცვამდა და კარს გაუღებდა, ამასობაში კი ღამის სუსხი ისე გაუძლიერებდა სიციხეს,

რომ იქვე ამოხდებოდა სული, იმ ადგილას, მრავალი ადამიანი წმინდად რომ მიიჩნევს.

„იქნებ, ჯობდეს კიდეც, - გაიფიქრა შანტალმა, - ბოლოს და ბოლოს, სასაფლაოზე მაინც აღარ მოუწევთ ჩემი წაყვანა: იქვე ვიქნები“.

მთელი ღამე სიცხესა და ბოდვაში გაატარა, მაგრამ როცა აისის პირველი სხივი ოთახში შემოიპარა, შენიშნა, რომ სიცხემ დაუკლო. თითქოს ძალაც მოემატა, დაძინება სცადა, მაგრამ საყვირის ნაცნობი ხმა ჩაესმა - მაშასადამე, ვისკოსში მეფუნთუშე ჩამოსულიყო, ესე იგი, ადგომისა და ყავის მომზადების დრო იყო.

არავის უბრძანებია პურის საყიდლად ქვევით ჩასვლა: არავინ ჰყავდა ისეთი, ვის წინაშეც პასუხისმგებლობას იგრძნობდა, ამიტომაც შეეძლო მთელ დღეს ლოგინში წოლა, სამსახურში ხომ საღამოობით მიდიოდა. მაგრამ შანტალი რაღაც ცვლილებას გრძნობდა სულში: გონება საბოლოოდ რომ არ დაეკარგა, გარესამყარო უნდა შეეგრძნო. უნდოდა, ადამიანები ენახა, რომლებიც, როგორც ყოველთვის, ამ დილასაც შეიკრიბებოდნენ პატარა მწვანე ფურგონთან, ხურდა ფულს პურში გაცვლიდნენ, ახალი დღის მოსვლით გაიხარებდნენ და იმითაც იქნებოდნენ ბედნიერები, რომ საქმეც ჰქონდათ საკეთებელი და პურიც - საჭმელად.

ქვევით ჩავიდა, იქ მყოფთ მიესალმა, პასუხად გაიგონა: „რა დაღლილი სახე გაქვს“, „რამე ხომ არ მოხდა?“ ყველა ღიმილით და თანაგრძნობით ესალმებოდა, მზად იყვნენ, რაღაცით დახმარებოდნენ, გულუბრყვილოები იყვნენ და კეთილები, მას კი შიშით, თავისი აღმატებულობის შეგრძნებით, ოცნებებითა და თავგადასავლების წყურვილით ეფლითებოდა სული. ძალიან უნდოდა, ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი საიდუმლო, მაგრამ იცოდა - საკმარისი იყო, ერთისთვის მაინც მოეთხორო, რომ შუადღემდე მთელ ქალაქს ეცოდინებოდა. ამიტომ, ჯობდა, თანადგომისთვის მადლობა გადაეხადა და შინ დაბრუნებულიყო, სანამ საღად არ შეძლებდა აზროვნებას.

- არა, არაფერი, - უპასუხა შანტალმა, - ღამით მგელი ყმუოდა და არ დამაძინა.

- მგლის ხმა საერთოდ არ გამიგია, - გაოცდა პურის საყიდლად მისული სასტუმროს დიასახლისი.

- რამდენიმე თვეა, ჩვენს შემოგარენში მგლის ყმული აღარავის გაუგია, - დაეთანხმა ქალი, რომელიც იმ ადგილობრივ საკვებს ამზადებდა, სასტუმროს მაღაზიაში რომ იყიდებოდა, - როგორც ჩანს, მონადირეებმა უკანასკნელი მგელიც მოკლეს, ჩვენთვის კი ეს ძალიან ცუდია, მონადირეები ხომ მგელზე სანადიროდ ჩამოდიან ხოლმე. რაც უფრო მოუხელთებელია მხეცი, მით მეტი აზარტით ნადირობენ მასზე. ისინი ხომ გიჟდებიან ასეთ უაზრო შეჯიბრებებზე.

- მეფუნთუშის გასაგებად არ უნდა გეთქვა, რომ მგლები გაწყვიტეს, - უთხრა სასტუმროს დიასახლისმა, - ხმა რომ გავრცელდეს, ხალხი საერთოდ აღარ ჩამოვა ვისკოსში.

- მთელი ღამე მესმოდა მგლის ყმუილი, - გაიმეორა შანტალმა.

- მაქცია იქნებოდა, - უთხრა მერის ცოლმა, რომელიც დასანახად ვერ იტანდა შანტალს, მაგრამ კარგად აღზრდილი ქალი იყო და თავისი გრძნობების დამალვას ახერხებდა.

- მაქცია საერთოდ არ არსებობს, - უთხრა საკმაოდ გაღიზიანებულმა სასტუმროს დიასახლისმა, - ჩვეულებრივი მგელი იქნებოდა და უკვე მოკლავდნენ კიდეც.

მაგრამ მერის ცოლი დანებებას არ აპირებდა:

- ვერ გეტყვი, არსებობს თუ არა, მაგრამ წუხელ მგელი ნამდვილად არ ყმუოდა. შანტალს ზედმეტად ამუშავებთ, იღლება და ათასი სისულელე ეჩვენება.

შანტალი მათ კამათში აღარ ჩარეულა, პური იყიდა და შინისკენ გაბრუნდა.

„უაზრო შეჯიბრება“, - გაახსენდა ერთ-ერთი მოსაუბრის სიტყვები. ჰო, სწორედ ასე წარმოუდგენიათ ცხოვრება - უაზრო შეჯიბრებად. შანტალმა ძლივს შეიკავა თავი, რომ უცხოელის შემოთავაზებული ნაძღვევის შესახებ არ ეთქვა ქალებისათვის - საინტერესოა, რა ახალ, ამჯერად უკვე ღრმავაზროვან შეჯიბრებას მოაწყობდნენ ეს სულით ღატაკი, ცხოვრებაში კარგად მოწყობილი ადამიანები. მკვლევლობის სანაცვლოდ - ათი ზოდი ოქრო, რაც მათი შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრებას უზრუნველყოფდა და ვისკოსს გარდასულ დიდებას დაუბრუნებდა - მგლებითა თუ უმგლებოდ, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნებოდა.

მაგრამ შანტალმა მაინც შეიკავა თავი, მტკიცედ გადაწყვიტა, საღამოსვე ეცნობებინა მათთვის ეს ამბავი, ოღონდ მაშინ, როცა ყველა ერთად მოიყრიდა თავს, რომ მოგვიანებით არავის ეთქვა, არაფერი ვიცოდი და ვერაფერი გავიგეო. იქნებ, ხელიც ეტაცათ უცხოელისათვის და პირდაპირ პოლიციაში წაეთრიათ, შანტალისთვის კი თავისი ოქროს ზოდი ეჩუქებინათ იმ სამსახურის საზღაურად, რაც ქალაქს გაუწია. ანდა, ეგებ არც დაეჯერებინათ მისი ნაამბობი. მაშინ უცხოელი ირწმუნებდა, რომ ქალაქის ბინადარნი წმინდანები იყვნენ, და წავიდოდა. მაგრამ ეს ხომ ასე არ იყო.

აქაურები უვიცები და გულუბრყვილოები იყვნენ, დადგენილი წესებით ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ. ყველას მხოლოდ ის სწამდა, რის რწმენასაც ტრადიციები ავალებდა, და სხვა არაფერი. ღვთისა ყველას ემინოდა. ყველა, - და თვითონაც მათ შორის, - თავზარდამცემ შიშს გრძნობდა, როცა ხვდებოდა, რომ ცხოვრების წესის შეცვლა იყო საჭირო, ხოლო, რაც შეეხება ჭეშმარიტ სიკეთეს, ის, ალბათ, არც არსებობდა საერთოდ - არც ამ ლაჩარი ადამიანებით დასახლებულ მიწაზე და არც ზეცაში, სადაც ყოვლისშემქმნელი ღმერთი უფლობდა და მარჯვნივ და მარცხნივ

იმიტომ მიმოაბნევედა სატანჯველს, რომ ადამიანებს მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის ეთხოვათ, დაეცვა ბოროტისაგან.

სიცხემ დაუწია; უკვე მესამე ღამე იყო, თვალი არ მოეხუჭა, მაგრამ ყავას რომ იხარშავდა, თავს ისე კარგად გრძნობდა, როგორც არასდროს. არა, ის არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეშინოდა. ეგებ ის ერთადერთი იყო, ვინც აცნობიერებდა თავის სილაჩრეს, სხვა დანარჩენები კი ცხოვრებას „უაზრო შეჯიბრს“ უწოდებდნენ და მარადიულ შიშს კეთილშობილებად რაცხდნენ.

უცებ ერთი ვისკოსელი გაახსენდა, მეზობელი ქალაქის აფთიაქში რომ მუშაობდა და ოცი წლის მუშაობის შემდეგ დაითხოვეს. სამსახურიდან განთავისუფლებულს არც დახმარება მოუთხოვია, არც პენსია, და ამას აფთიაქართან მეგობრობით ხსნიდა, ამბობდა, რომ არ უნდოდა მისი დაზარალება, რადგან აფთიაქარის ფინანსური პრობლემების შესახებ ყველაფერი იცოდა. პირწმინდა ტყუილი იყო: აფთიაქარს იმიტომ არ უჩივლა, რომ ეშინოდა, და რადგან ამქვეყნად, ყველაფერზე მეტად, სიყვარული სჭირდებოდა, უნდოდა, ისევ კეთილშობილ ადამიანად და კარგ მეგობრად ჩაეთვალიათ. მაგრამ, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც მივიდა კუთვნილი ფულის მისაღებად, აფთიაქარი არც დალაპარაკებია - უკვე ძალიან გვიან იყო, მას ხელი ჰქონდა მოწერილი გათავისუფლების განცხადებაზე და, მაშასადამე, აღარავითარი ფული აღარ ეკუთვნოდა.

ღირსიც იყო. კეთილშობილებას ხომ ის თამაშობს, ვისაც ეშინია, გარკვეული მდგომარეობა დაიკავოს ამქვეყნად. ცხადია, ბევრად იოლია, ჩვენივე კეთილშობილებისა დავიჯეროთ, ვიდრე ვინმეს დავუპირისპირდეთ და საკუთარი უფლებები დავიცვათ. უფრო იოლია, წყენა გადავცლაპოთ, შეურაცხყოფა ავიტანოთ, ვიდრე ვაჟკაცობა მოვიკრიბოთ და ძლიერ მოწინააღმდეგეს შევებრძოლოთ. ასე ხომ ყოველთვის შეგვიძლია, თავი იმით ვიმართლოთ, რომ ქვამ, რომელიც გვესროლეს, გვერდით ჩავგიქროლა, და მხოლოდ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილებმა, როცა ცოლს, ქმარს ან სკოლის მეგობარს სძინავს - ღამის სიჩუმეში დავიტიროთ ჩვენი სილაჩრე.

შანტალმა ყავა დალია, ერთი სული ჰქონდა, როდის დაღამდებოდა. ამ საღამოს გაანადგურებდა მთელ ქალაქს, ბოლოს მოუღებდა ვისკოსს. ქალაქს მაინც არ ჰქონდა მომავალი, აქ ბავშვები აღარ იზადებოდნენ: ახალგაზრდა ვისკოსელები ქვეყნის სხვა ქალაქებში ამჯობინებდნენ გამრავლებას - იქ, სადაც მუდამ სილამაზე და დღესასწაულია, სადაც ძვირფასი ტანსაცმელი აცვიათ, სადაც მოგზაურობენ და სადაც მუდამ მიმდინარეობს „უაზრო შეჯიბრება“.

დღე კი, მისი სურვილის მიუხედავად, ნელა მიიზღაზნებოდა. ნაცრისფერი ცა და ჩამოწოლილი ღრუბლები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს დრო გაჩერებულიყო. მთები ნისლის ბოლქვებს დაეფარა და ვისკოსი სამყაროსგან მოწყვეტილ, თავის თავში ჩაკეტილ და ჩაკარგულ ქალაქს ჰგავდა, ადამიანებით

დასახლებულ ერთადერთ კუნძულად რომ დარჩენილიყო ამ მიწისპირზე. შანტალმა ფანჯრიდან დაინახა, როგორ გამოვიდა სასტუმროდან უცხოელი და, ჩვეულებისამებრ, მთებისაკენ გაემართა. შანტალს თავისი ოქრო გაახსენდა და აღელდა კიდეც, მაგრამ მაშინვე დაიმშვიდა თავი - უცხოელმა ხომ ერთი კვირის საფასური გადაიხადა წინასწარ, მდიდრები კი ფულს ქარს არ ატანენ - ასე მხოლოდ ღარიბები იქცევიან.

სცადა, წაეკითხა რამე, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა. მერე გასეირნება გადაწყვიტა. ერთადერთი ადამიანი, ვინც გზად გადაეყარა, ბერტა იყო, ქვრივი დედაბერი, მთელი დღეების განმავლობაში სახლის წინ რომ იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც ქალაქში ხდებოდა.

- ბოლოს და ბოლოს, აცივდა, - აცნობა ბერტამ.

შანტალმა კი გაიფიქრა, ნეტავ გამაგებინა, ეს ხალხი ამინდს რატომ აქცევს ამდენ ყურადღებასო, და თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

მერე კი გზა განაგრძო, რადგან იმ წლების განმავლობაში, ვისკოსში რომ ჰქონდათ გატარებული, მას და ბერტას უკვე ყველაფერზე ესაუბრათ, რის შესახებაც ამქვეყნად შეიძლებოდა საუბარი. ერთ დროს შანტალი ყურადღებით აკვირდებოდა კიდეც ამ უძლიერეს ქალს, რომელმაც ქმრის სიკვდილის შემდეგაც მოახერხა ცხოვრების აწყობა. მისი ქმარი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, რაც ასე ხშირად ხდება ხოლმე ნადირობისას. მაშინ ბერტამ მთელი თავისი ქონება გაყიდა, ფული, დაზღვევასთან ერთად, უძრავი ქონებით მოვაჭრე რომელიღაც კომპანიაში ჩადო და ახლა პროცენტებით ცხოვრობდა.

თუმცა, მოგვიანებით ბერტასადმი ინტერესი გაუქრა. მასში ხედავდა ყველაფერ იმას, რისიც ეშინოდა: ალბათ, თვითონაც ასე დაბერდებოდა, სახლის წინ სკამზე ჩამოჯდებოდა, ზამთრობით ტანსაცმელში ჩაიფუთნებოდა, მუდამ ერთი და იმავე პეიზაჟით დატკბებოდა და ყურადღებით დააკვირდებოდა იმას, რაც არც ყურადღებას ითხოვდა, არც დაკვირვებას, რადგან არაფერი მნიშვნელოვანი, არსებითი და ღირებული აქ არ ხდებოდა.

შანტალი ტყეში შევიდა, გზის აბნევისა არ შეშინებია, საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა ამ ტყის ყველა ხეს, ყველა კენჭსა და ბილიკს. ცხადლივ წარმოიდგინა, რა შესანიშნავი საღამო ელოდა. ფიქრით ათასგვარად ალაგებდა სათქმელს: ხან ყვებოდა, რაც ნახა და მოისმინა, ხან დაწვრილებით იმეორებდა უცხოელის ნათქვამს და ამბავს მოუთხრობდა, რომლის შესახებაც თვითონაც ვერ იტყოდა დანამდვილებით, სიმართლე იყო თუ სიცრუე; თან იმასაც ცდილობდა, იმ ადამიანის ლაპარაკისთვის მიებაძა, ვინც უკვე მესამე ღამე არ აძინებდა.

„ის ძალიან საშიშია, უფრო საშიში, ვიდრე ნებისმიერი მონადირე, ვინც კი ოდესმე მინახავს“.

ტყის ბილიკებზე სეირნობისას შანტალი თანდათან მიხვდა, რომ ამ ქალაქში უცხოელზე არანაკლებ საშიში ადამიანიც არსებობდა და ეს ადამიანი თვითონ იყო. ჯერ კიდევ ოთხი დღის წინ ვერც წარმოიდგენდა, რომ უკვე მისჩვეოდა იმას, როგორც გახდა; იმას, რასაც ელოდა ამ ცხოვრებისაგან, და იმასაც, რომ ვისკოსში ცხოვრება არც ისე ცუდი იყო - ბოლოს და ბოლოს, ზაფხულობით მთელი ქალაქი ტურისტებით ივსებოდა და აქაურობას „სამოთხეს“ ეძახდნენ.

სამი დღის წინ კი საფრთხობელები თავიანთი სოროებიდან გამოძვრნენ, თავზარდაცემა ჩაუსახლეს სულში და აიძულეს, უბედურად, უსამართლოდ დაჩაგრულად და ღვთის მიერ მიტოვებულად ეგრძნო თავი. უფრო მეტიც - ისინი აიძულებდნენ, გაეცნობიერებინა, თურმე, რა სიმწარეს დაატარებდა საკუთარ თავში ყოველდღიურად, ამ ტყესა თუ ბარში, ადამიანებთან იშვიათი შეხვედრებისას და მარტოობის ჟამს.

„წყეულიმც იყოს ეს კაცი. და წყეულიმც ვიყო მე, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთა“.

შინისკენ მიმავალი ინანიებდა ცხოვრებაში განვლილ ყოველ წუთს, სწყევლიდა დედას, გაჩენის დღიდან რომ მიატოვა; ბებიასაც, რომელმაც ჩააგონა, რომ პატიოსანი და კეთილი ყოფილიყო; მეგობრებს, ერთხელაც რომ აღარ გახსენებიათ, და ბედისწერას, ასეთი რომ იყო და სხვაგვარი არ შეეძლო, გამხდარიყო.

ბერტა ისევ თავის ადგილას იჯდა.

- რატომ დარბიხარ აქეთ-იქით? - ჰკითხა შანტალს, - ჩამოჯექი, დაისვენე.

შანტალი გვერდით მიუჯდა და გაიფიქრა, რომ თუ რაღაცას გადააყოლებდა გულს, დროც, ალბათ, შეუმჩნევლად გაირბენდა.

- იცვლება ჩვენი ვისკოსი, - დაიწყო დედაბერმა, - ჰაერშიც კი რაღაც იგრძნობა, წუხელ მთელი ღამე მესმოდა, როგორ ყმუოდა „წყეული მგელი“.

ქალიშვილს გულზე მოეშვა. მაქცია იყო თუ სხვა რამ, წუხელ მაინც მგელი ყმუოდა, და მის გარდა, კიდევ ერთმა ადამიანმა კიდევ ერთხელ გაიგონა მისი ყმუილი.

- ამ ქალაქში საერთოდ არაფერი ხდება, - უპასუხა შანტალმა, - მხოლოდ წელიწადის დროები იცვლება და ახლა ზამთარი მოვიდა.

- არა, მოვიდა უცხოელი.

შანტალმა ძლივს შეიკავა თავი. ნუთუ უცხოელმა კიდევ ვინმესთან მოასწრო ლაპარაკი?

- ამ უცხოელის მოსვლას როგორ უნდა შეეცვალა ვისკოსი?

- ყოველდღე იმას ვუყურებ, რაც ირგვლივ ხდება. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ეს დროის ტყუილი ფლანგვაა, მაგრამ მხოლოდ ამან გადამატანინა იმ ადამიანის

სიკვდილი, ვინც ასე ძალიან მიყვარდა. ვხედავ, როგორ ცვლის ერთმანეთს წელიწადის დროები; როგორ იძარცვება ხეები, მერე კი ისევ იმოსება. მაგრამ დროდადრო ბუნების მოულოდნელი მოვლენები გასაოცარ ცვლილებებს წარმოშობს ხოლმე. მსმენია, რომ, აი, ის მთები ათასი წლის წინ მომხდარი მიწისძვრის შემდეგ წარმოიშვა.

ქალიშვილმა თავი დაუქნია: მას სკოლაშიც კი ასწავლიდნენ ამას.

- უცვლელი არაფერი რჩება. მეშინია, რომ ახლაც იგივე მოხდება.

შანტალი მიხვდა, დედაბერს რაღაც უნდა სცოდნოდა, დააპირა კიდევ ოქროს შესახებ მოეთხორო, მაგრამ მაინც თავი შეიკავა.

- მე აქაბზე ვფიქრობდი, ჩვენს დიად განმანათლებელზე, გმირზე, ადამიანზე, რომელიც წმინდა განდევილმა დალოცა.

- აქაბზე რატომ ფიქრობდი?

- აქაბს უნარი შესწევდა, მიმხვდარიყო, რომ სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი შეუძლია, ირგვლივ ყველაფერი გაანადგუროს. თუნდაც ეს წვრილმანი საუკეთესო განზრახვით იყოს განპირობებული. ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც ქალაქში მშვიდობა დაამყარა და ყველა ავაზაკი აქედან გაყარა, დასაბამი მისცა სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას, ვახშმად მეგობრები დაპატიჟა და გემრიელი კერძებით გაუმასპინძლდა. მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ სახლში მარილი არ ჰქონდათ.

მაშინ აქაბმა შვილს უხმო და უბრძანა:

- წადი ქალაქში და მარილი იყიდე, მაგრამ, გახსოვდეს, იმდენი გადაიხადე, რამდენიც ღირს - არც მეტი და არც ნაკლები.

- კარგად მესმის, რატომ არ უნდა გადავიხადო ზედმეტი, მაგრამ თუ შევევაჭრები და დავაკლებინებ, რატომ არ შეიძლება, ფულიც დავზოგოთ?

- დიდ ქალაქებში ასეც უნდა მოიქცე. მაგრამ ისეთი პატარა ქალაქისათვის, როგორც ჩვენია, ეს დამლუპველი იქნება.

შვილს აღარაფერი უკითხავს, მარილის საყიდლად გაემურა. სადილად მოსულმა სტუმრებმა კი, ამ საუბარს რომ მოჰკრეს ყური, აქაბს ჰკითხეს, რატომ არ შეიძლებოდა მარილის იაფად ყიდვა. და აქაბმა უპასუხა:

- ის, ვინც მარილს იაფად გაყიდის, ასე იმიტომ მოიქცევა, რომ ძალიან უჭირს. ვინც იაფად იყიდის, უპატივცემულობას გამოავლენს იმ დაღვრილი ოფლისა და მძიმე შრომისადმი, ამ გამყიდველმა რომ გასწია და ურომლისოდაც ვერაფერს შექმნი.

- მაგრამ ეს ხომ არ კმარა ვისკოსის დასალუპავად?

- სამყაროს შექმნის დროსაც ბოროტება უმნიშვნელოდ მცირე იყო. მაგრამ ყოველი მომდევნო თაობა თითო მწიკვს ან ერთ მუჭა ბოროტებას ამატებდა და ეგონა, ამით არაფერი დაშავდებოდა. ახლა კი, ხომ ხედავთ, სადამდე მოვედით.

- ავიღოთ, თუნდაც, ეს უცხოელი, - სიტყვა ჩამოართვა შანტალმა, იმ იმედით, რომ ბერტასგან გაეგო, ელაპარაკა თუ არა უცხოელს, მაგრამ რადგანაც დედაბერი ხმას აღარ იღებდა, ისევ განაგრძო: - ვერ ვხვდები, რატომ უნდოდა აქაბს ვისკოსის გადარჩენა? ადრე ეს ქალაქი ავაზაკთა თავშესაფარი იყო, ახლა კი ლაჩრების ბუდედ იქცა.

ცხადია, დედაბერმა რაღაც იცოდა. მხოლოდ ის უნდა გაეგო - საიდან. იქნებ თავად უცხოელმა უამბო ყველაფერი?

- მთლად არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს სილაჩრეა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მე მგონი, ამათ ცვლილებებისა ეშინიათ. ადამიანებს უნდათ, ვისკოსი ისეთივე დარჩეს, როგორც ყოველთვის იყო - დარჩეს იმ ადგილად, სადაც შეიძლება მიწის მოხვნა და საქონლის მომწყემსვა, მონადირეებისა და ტურისტების გულლიად გამასპინძლება, მაგრამ, ამასთანავე, იმ ადგილად, სადაც ყველამ ზუსტად იცის, რა მოხდება ხვალ, და ერთადერთი მოულოდნელობა მხოლოდ ბუნების მოვლენები იქნება. ალბათ, ამ გზით ცდილობენ სულიერი სიმშვიდის მოპოვებას. მე მხოლოდ ერთ რამეში გეთანხმები: ყველას ჰგონია, ყველაფერს მართავს, სინამდვილეში კი, მართვის სადავეები სხვას უპყრია.

- ჰო, მართალია, სხვას უპყრია და ჩვენ არაფერს ვმართავთ, - დაეთანხმა შანტალი.

- ამქვეყნად ვერავინ მიუმატებს უმნიშვნელო წერტილსა თუ ტირესაც კი იმას, რაც უკვე წერილ არს, - სახარების ერთი მუხლი შეცვალა დედაბერმა, - მაგრამ ჩვენ მოგვწონს ამ ილუზიით ცხოვრება, რადგან სწორედ ეს გვაძლევს ძალას. ბოლოს და ბოლოს, არჩევანი, რომელიც მე უნდა გავაკეთო, არაფრით განსხვავდება სხვა რომელიმე არჩევანისგან. ამასთან ერთად, სისულელე იქნებოდა, მეფიქრა, რომ სამყაროს ვმართავ, და ყოვლად უმიზეზოდ მეგონოს, თითქოს საფრთხე არ მემუქრება. ასეთი რწმენა ცხოვრებისათვის მოუმზადებლობით მთავრდება ხოლმე - სრულიად მოულოდნელად მიწისძვრა ამოზრდის მთებს; გაზაფხულზე გაკვირტულ ხეს ელვა გააპობს; ნადირობისას მომხდარი სულელური შემთხვევა კი ღირსეული ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს...

და უკვე მეასედ დაიწყო იმის მოყოლა, როგორ დაილუპა მისი ქმარი. ამ მხარეში ის საუკეთესო ეგერი იყო და ნადირობა მისთვის სპორტის ბარბაროსული სახეობა კი არა, ტრადიციის გაგრძელება იყო. მისი მცდელობითა და შრომით შეძლო ვისკოსმა ზოგიერთი მხეცის სახეობის გადარჩენა, მერიამ კანონიც კი გამოსცა; გადაშენებული ცხოველების დასაცავად და ქალაქის ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამ სახეობებზე ნადირობის ლიცენზიებსაც გასცემდა.



სწორედ ბერტას ქმრის წყალობით მოხდა, რომ ნადირობა, ზოგიერთები მხეცობად რომ მიიჩნევდნენ, სხვები კი - ტრადიციულ გართობად, ცხოვრებას ასწავლიდა ხალხს. მდიდარი, მაგრამ ნადირობაში გამოუცდელი ადამიანი რომ ჩამოვიდოდა, ველზე გაჰყავდა ხოლმე და ლუდის ქილას ქვაზე დადებდა.

შემდეგ ორმოცდაათი მეტრით მოშორდებოდა და პირველივე გასროლით ხვრეტდა ქილას.

- ამ მხარეში მე საუკეთესო მსროლელი ვარ, - ეტყოდა ჩამოსულს, - და ჩემსავით სროლას შენც გასწავლი.

მერე ქილას ისევ ძველ ადგილას დადებდა, სასროლ ადგილზე დაბრუნდებოდა, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებდა და სთხოვდა, თვალები აეხვიათ მისთვის. მერე უმიზნებდა და ისევ ესროდა.

- მოვარტყი? - კითხულობდა და თვალიდან სახვევს იხსნიდა.

- ცხადია, ააცილე, - სიხარულით მიუგებდა ახლადგამომცხვარი მონადირე, რადგან ეგონა, რომ ამ ამაყი ეგერის დამცირებას შეესწრო, - ტყვია კარგა მანძილით ასცდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ შენი გაკვეთილები რამეში გამომადგეს.

- ახლა მე შენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ჩაგიტარე, - ეტყოდა ბერტას ქმარი, - ყოველთვის, როცა ეცდები, რაღაცას მიაღწიო, ყურადღებით დააკვირდი, დაფიქრდი და ეცადე, გაიგო, როგორ უნდა გააკეთო. დახუჭული თვალებით მიზანს ვერ დაინახავ.

ერთხელ კი, როცა ეგერი პირველი გასროლის შემდეგ ლუდის ქილას ადგილზე დებდა, ჩამოსულმა მონადირემ გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, თავისი ხელოვნება ეჩვენებინა. სასხლეტს ისე გამოჰკრა თითი, ბერტას ქმარს აღარ დალოდებია, ქილას ააცილა, მაგრამ ეგერს მოახვედრა ყელში. და მონადირემ ის სასარგებლო რჩევა ვეღარ მიიღო მისგან; რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაფიქრებას და მიზნისაკენ გაცნობიერებულ სწრაფვას.

- ჩემი წასვლის დროა, - უთხრა შანტალმა, - სამსახურში მისვლამდე კიდევ რაღაც საქმეები მაქვს.

ბერტამ წარმატება უსურვა ქალიშვილს, თვალთ მიაცილებდა, სანამ შანტალმა ეკლესიასთან არ შეუხვია. იმ მრავალი წლის განმავლობაში, რაც დედაბერი თავისი სახლის კარწინ იჯდა, მთებსა და ღრუბლებს გასცქეროდა და მიცვალებულ ქმარს უსიტყვოდ ესაუბრებოდა, ადამიანთა „ხედვას“ მიეჩვია. სიტყვები არ ჰყოფნიდა სალაპარაკოდ, ყოველთვის ვერ ახერხებდა აზრის ზუსტად ჩამოყალიბებას, რათა ის გრძნობები გამოეხატა, ადამიანები რომ აღძრავდნენ მასში, მაგრამ ის კი ნამდვილად შეეძლო, მათ სულებს ჩასწვდომოდა და გადაშლილი წიგნივით წაეკითხა.

ეს ყველაფერი იმ ადამიანის დაკრძალვის დღეს დაიწყო, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა - ან, იქნებ, ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც საერთოდ უყვარდა, - მაშინ, მის გვერდით მდგარმა ერთ-ერთი ვისკოსელის პატარა შვილმა - ახლა ის ბიჭი უკვე დიდი იყო და ათასობით კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა, - ჰკითხა, რატომ იყო ასე მოწყენილი.

ბერტას არ უნდოდა, ბიჭი სიკვდილსა და მარადიულ განშორებაზე ლაპარაკით დაეფრთხო, ამიტომაც უთხრა, ჩემი ქმარი სხვაგან გაემგზავრა და რატომღაც იგვიანებსო.

- მე მგონი, მოგატყუათ, - უპასუხა ბიჭმა, - სულ ახლახან ვნახე: აი, იმ საფლავის ქვას იყო ამოფარებული, იღიმებოდა და ხელში სადილის კოვზი ეჭირა.

დედამ ბავშვი საშინლად დატუქსა და ბერტას მოუბოდიშა, ამ ასაკში ბავშვები ათას სისულელეს იგონებენო, მაგრამ ბერტამ მაშინვე შეწყვიტა ტირილი და იქით გაიხედა, საითაც ბიჭი მიუთითებდა. მის ქმარს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა, რაც მუდამ ნერვებს უშლიდა - ამოჩემებული კოვზით ჭამდა, თუმცა ყველა კოვზი ერთნაირი იყო და ერთი და იმავე რაოდენობის წვნიანს იტევდა, ის მაინც არ შეჭამდა საჭმელს, სანამ თავის კოვზს არ იპოვიდა. ამის შესახებ ბერტას არავისთვის მოუყოლია, ეშინოდა, გიჟად არ ჩათვალონო.

ბიჭი კი მართლაც ხედავდა მის ქმარს, და სუფრის კოვზი სწორედ იმის მანიშნებელი იყო, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა. ბავშვები დაფარულს ხედავენ. ბერტამ მაშინ გადაწყვიტა, ასეთივე „ხედავა“ ესწავლა, მასაც უნდოდა ქმრის დანახვა, მასთან დალაპარაკება და ერთთავად - თუნდაც აჩრდილის თუ მოჩველების - გვერდით ყოფნა.

თავდაპირველად სახლში ჩაიკეტა, გარეთ აღარ გამოდიოდა და ელოდა, როდის გამოეცხადებოდა ქმარი. ერთ მშვენიერ დღეს კი წინათგრძნობამ უკარნახა - გარეთ უნდა გასულიყო და ადამიანებს დაჰკვირვებოდა. მაშინ იგრძნო, რომ ქმარს უნდოდა, უფრო გაეხალისებინა მისი ცხოვრება და ქვრივს მეტი მონაწილეობა მიეღო იმაში, რაც ვისკოსში ხდებოდა.

ბერტამაც კარის წინ დადგა სკამი, დაჯდა და მთებს დაუწყო ცქერა. ვისკოსის ქუჩებში გამვლულები იშვიათად გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მაგრამ სწორედ იმ დღეს გვერდზე სოფლიდან მეზობელმა ჩამოიარა და იმან უთხრა, რომ სოფელში მოხეტიალე ვაჭრები ჩასულიყვნენ და არაჩვეულებრივ კოვზებს ყიდდნენ სულ იაფად. ნათქვამის დასმტკიცებლად, ჩანთიდან ლამაზი კოვზი ამოიღო და აჩვენა.

ბერტა, ცხადია, ხვდებოდა, რომ მეტად ველარასოდეს ნახავდა ქმარს, მაგრამ ქმარმა სთხოვა, კარის წინ მჯდარიყო და ქალაქს დაჰკვირვებოდა, და ისიც უსრულებდა თხოვნას. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ, ზურგს უკან, მარჯვნივ, ვიღაცის სიახლოვე იგრძნო და მტკიცედ დაიჯერა, რომ ის იყო მისი ქმარი, რომელიც გვერდით ედგა,

საფრთხისგან იცავდა და იმასაც ასწავლიდა, რაც სხვებისათვის მიუწვდომელი იყო, თუნდაც ღრუბლების მონახაზით მომავლის ამოცნობას. თავდაპირველად გული სწყდებოდა, რომ როგორც კი ქმრისკენ შეაბრუნებდა თავს, ქმრის სილუეტი ქრებოდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ გულში შეეძლო მასთან ლაპარაკი და იმ დროიდან უკვე ყველაფერზე საუბრობდნენ, რაც კი ვისკოსში ხდებოდა.

კიდევ სამი წელიც მიილია და უკვე შეძლო იმ გრძნობების „ხედვაც“, სხვა ადამიანები რომ განიცდიდნენ, ქმარი კი სხვადასხვა სასარგებლო და პრაქტიკულ რჩევას აძლევდა: ქმრის წყალობით არ მოატყუებინა თავი არავის და ის კომპენსაცია აიღო, რაც ეკუთვნოდა; მისივე წყალობით ბანკის გაკოტრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გამოიტანა ფული, სხვები კი, ვისაც იმ ბანკში ჰქონდა ფული დაბანდებული, უკაპიკოდ დარჩნენ.

\* \* \*

ერთ დილას - ბერტას უკვე აღარ ახსოვდა, რამდენი წლის წინ მოხდა ეს ამბავი, - ქმარმა უთხრა, რომ ვისკოსი შეიძლებოდა განადგურებულიყო. ბერტამ ეს ნათქვამი ჯერ მიწისძვრას დაუკავშირა, რის შედეგადაც ახალი მთები იზრდებოდა მათ მხარეში, მაგრამ ქმარმა დაამშვიდა და აუხსნა, რომ მიწისძვრა უახლოეს ათასწლეულში არ მოხდებოდა. არა, საქმე სულ სხვაგვარ განადგურებას ეხებოდა, და თუმცა ბერტა ბოლომდე ვერ ხვდებოდა, რას ეუბნებოდა ქმარი, მაინც შემფოთდა. ქმარმა სთხოვა, ყურადღებით დაჰკვირვებოდა ყველაფერს - ეს ხომ მისი სამშობლო იყო, ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა ამქვეყნად, თუმცა კი დროზე ადრე მოუწია მისი მიტოვება.

იმ დღიდან ბერტას ყურადღება აღარ მოუდუნებია. აკვირდებოდა თანამემამულეებს, ცაში მოცურავე უცნაური მოხაზულობის ღრუბლებს, მონადირეებს, ვისკოსში რომ ჩამოდიოდნენ, მაგრამ ვერა და ვერ ხვდებოდა, რას უნდა გაენადგურებინა ეს უცოდველი ქალაქი. ქმარი მაინც დაჟინებით უმეორებდა, ყურადღება არ მოედუნებინა, და ისიც უსრულებდა თხოვნას.

და, აი, სამი დღის წინ ყველაფერს მიხვდა, როცა ვისკოსში ეშმაკთან ერთად შემოსული უცხოელი დაინახა. დღეს კი, შენიშნა, რომ შანტალს ერთ მხარზე ანგელოზი ეჯდა, მეორეზე - ეშმაკი, ბერტამ ეს ორივე შემთხვევა ერთმანეთთან დააკავშირა და დარწმუნდა, რომ მის ქალაქ ვისკოსში მალე უცნაური ამბები მოხდებოდა.

ბერტამ გაიღიმა, მარჯვნივ გაიხედა და ქმარს შეუმჩნევლად გაუგზავნა კოცნა. არა, სულაც არ იყო არაფრის მაქნისი დედაბერი - მას კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი

საქმე ჰქონდა გასაკეთებელი - ქალაქი უნდა გადაერჩინა, ის ქალაქი, სადაც დაიბადა, და გადაარჩენდა კიდეც, თუმცა ჯერ არ იცოდა, როგორ.

შანტალმა საკუთარ ფიქრებს ჩაღრმავებული ბერტა მიატოვა და შინ დაბრუნდა. მეზობლები ხშირად ჭორაობდნენ, რომ დედაბერი უწმინდურ ძალასთან იყო შეკრული. ამბობდნენ, თითქოს, ქმრის სიკვდილის შემდეგ მთელი წელი სახლიდან არ გამოსულა და ჯადოქრობასა და მჩხიბაობას სწავლობდა. როცა შანტალი ჭორიკნებს ეკითხებოდა, ვის უნდა ესწავლებინა ბერტასთვის ჯადოქრობა, პასუხობდნენ, რომ თავად სატანა ეახლებოდა ხოლმე ღამდამობით. ზოგნი კი ამტკიცებდნენ: მშობლებისაგან ნასწავლ ძველ შელოცვებს იმეორებს და კელტ დრუიდთა სულებს იმახებსო. თუმცა, ეს არც არავის ადარდებდა და აწუხებდა: უბოროტო დედაბერი არავის არაფერს უშავებდა და ყოველთვის შეეძლო, რაღაც საინტერესო მოეთხრო.

მაგრამ ბერტა ყოველთვის ერთსა და იმავეს ყვებოდა. მოულოდნელად შანტალი ადგილზე გაქვავდა და გასაღებს ხელი მოუჭირა. მას არაერთხელ მოესმინა ბერტას ქმრის დაღუპვის ამბავი, მაგრამ მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ეს ამბავი ყველაზე თვალსაჩინო გაკვეთილი იყო მისთვის. გაახსენდა, სულ ცოტა ხნის წინ როგორი გაბოროტებული დაბოროიანებდა ტყეში, მზად იყო, დაეგლიჯა ყველაფერი, რასაც გადაეყრებოდა - საკუთარი თავი, ქალაქი, მისი ბინადარნი და მათი შვილები.

მაგრამ ნამდვილი და ჭეშმარიტი მიზანი მხოლოდ უცხოელი იყო. თვითონაც კარგად უნდა დაფიქრებულიყო, მშვიდად დაემიზნებინა და მსხვერპლი გაეგმირა. ამისათვის კი გეგმა იყო საჭირო - დიდი სისულელე იქნებოდა, დღეს საღამოსვე მოეთხრო ყველასთვის ყველაფერი და სიტუაცია ხელიდან გაეშვა. შანტალმა გადაწყვიტა, კიდეც ერთი დღე მოეცადა და უცხოელის დანაბარები ხვალ ეთქვა ვისკოსელებისათვის, თუკი საერთოდ გადაწყვეტდა ამ ამბის გამხელას.

იმ საღამოს უცხოელმა, ჩვეულებისამებრ რომ მასპინძლობდა იქ მყოფთ, ფულის გადახდისას შანტალს პატარა წერილიც მიაწოდა. გოგონამ წერილი ჯიბეში ჩაიღო, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც კი აინტერესებდა მისი შინაარსი, მაგრამ შენიშნა, რომ უცხოელი დროდადრო მისკენ აპარებდა მზერას, თითქოს უსიტყვოდ რაღაცას ეკითხებოდა. როლები შეცვლილი იყო: ახლა შანტალი ფლობდა სიტუაციას, ის ირჩევდა ბრძოლის დროსა და ადგილს. ასე გამოცდილი მონადირეები იქცევიან - მსხვერპლს უსაფრდებიან და ელიან, სანამ თვითონ არ გამოვა სროლისთვის ხელსაყრელ მანძილზე.

შინ დაბრუნებულმა შანტალმა წერილი გახსნა. უცნაური წინათგრძნობით მიხვდა, რომ ამაღამ მშვიდად დაიძინებდა. უცხოელი შეხვედრას სთხოვდა - იმავე ადგილას, სადაც პირველად.

იმასაც სწერდა, რომ აჯობებდა, პირისპირ ელაპარაკათ. მაგრამ თუ თვითონ ისურვებდა, შეეძლო, სხვებიც წამოეყვანა.

შანტალმა არა მარტო მუქარა იგრძნო წერილიდან, არამედ გაუხარდა კიდევ, რომ ეს მუქარა გახშირდა. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ უცხოელი მოთმინებას კარგავდა, საშიში ადამიანი კი მოთმინებას არ კარგავს ხოლმე. დიადი მშვიდობისმყოფელი აქაბი ხშირად იმეორებდა: „ამქვეყნად ორგვარი სულელები არსებობენ: ერთნი, როგორც კი მუქარას იგრძნობენ, დაწყებულ საქმეს თავს ანებებენ, მეორენი კი ფიქრობენ, რომ მუქარით შეძლებენ რაღაცას მიაღწიონ“.

შანტალმა ბარათი დახია, ნაკუწები უნიტაზში ჩაყარა და ჩარეცხა, მერე ცხელი აბაზანა მიიღო და ღიმილით ჩაწვა ლოგინში. უკვე მიაღწია იმას, რაც უნდოდა, მას კი ერთი რამ სურდა - ხელახლა შეხვედროდა უცხოელს და პირისპირ დალაპარაკებოდა. იმისათვის, რომ როგორმე დაემარცხებინა მოწინააღმდეგე, ისიც უნდა გაეგო, ვინ იყო და რას წარმოადგენდა.

თითქმის იმავე წამს ჩაეძინა ღრმად და მშვიდად. პირველ ღამეს სიკეთის პირისპირ აღმოჩნდა, მეორე ღამეს - სიკეთესა და ბოროტებას შორის, მესამე ღამეს კი ბოროტებას დაუპირისპირდა. ვერც ერთმა ვერ მიაღწია საწადელს, მაგრამ ორივე მის სულში ჩასახლდა და ახლა იმის გასარკვევად იწყებდნენ ბრძოლას, რომელი უფრო ძლიერი იყო.

იმ დროისათვის, როცა უცხოელი მოვიდა, შანტალი უკვე თავით ფეხამდე იყო გალუმპული - ისევ წვიმდა და ქარი ქროდა.

- ამინდზე ნუ ვილაპარაკებთ, - მოსვლისთანავე გააფრთხილა შანტალმა, - როგორც ხედავთ, წვიმს. ერთი ადგილი ვიცი, თავის შეფარებას შევძლებთ.

შანტალი წამოდგა და ბრეზენტის შალითაში გამოხვეული რაღაც მოგრძო ნივთი მისწია თავისკენ.

- როგორც ვხვდები, თოფია? - ჰკითხა უცხოელმა.

- თოფია.

- ჩემს მოკვლას აპირებ.

- ვაპირებ. დარწმუნებული არა ვარ, რომ მაინცდამაინც თქვენი მოკვლა მინდა, მაგრამ ვილაცას სიამოვნებით მოვკლავდი. თუმცა კი თოფი სულ სხვა მიზნით წამოვიღე: გზად შეიძლება, „წყეული მგელი“ შემხვედროდა, მოვკლავდი და ვისკოსელების პატივისცემასაც დავიმსახურებდი. გუშინ მთელ ღამეს მესმოდა მისი ყმუილი, მაგრამ არავინ დამიჯერა.

- „წყეული მგელი“ რაღაა?

შანტალი წუთით დაფიქრდა - ღირდა კი, გული გადაეშალა კაცისათვის, ვისაც მტრად თვლიდა? მაგრამ უცებ ერთი წიგნი გაახსენდა იაკონურ საბრძოლო ხელოვნებაზე. ყოველთვის განურჩევლად კითხულობდა ყველაფერს, რასაც სასტუმროს ბინადარნი ტოვებდნენ ნომრებში, რადგან წიგნების ყიდვას ფულის უსაგნო ფლანგვად მიიჩნევდა. და აი, ერთ-ერთ ასეთ წიგნში ამოიკითხა, მოწინააღმდეგის დასასუსტებლად საუკეთესო გზაა, დაარწმუნო, რომ ემორჩილები და მის ნებას მიჰყვები.

და სანამ წვიმასა და ქარში მიაბიჯებდნენ, უცხოელს „წყეული მგლის“ ამბავს უყვებოდა. ორი წლის წინ, ერთი ვისკოსელი - თუ დავაკონკრეტებთ, ადგილობრივი მჭედელი, სეირნობისას ძუ მგელს გადაეყარა. მჭედელი დაფრთხა, დიდ ჯოხს სტაცა ხელი და ისე ესროლა, რომ ჯოხმა მხეცს თავზე გადაუფრინა. ჩვეულებრივ, ასეთ ვითარებაში, მგელი გარბის ხოლმე, მაგრამ ეს ლეკვებთან ერთად იყო, ამიტომ მჭედელს შეუტია და ფეხში სტაცა პირი. მჭედელი, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, საკმაოდ ღონიერი კაცი იყო, ამიტომ არ დაიბნა და მუშტი ისეთი ძალით დასცხო მგელს, რომ მგელმა თავი ანება და ლეკვებთან ერთად ტყისკენ გაიქცა; მას შემდეგ ის მგელი აღარავის უნახავს, მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ მარცხენა ყურზე თეთრი ნიშანი ჰქონდა.

- „წყეული“ რატომღა შეარქვეს?

- მხეცი, რაც უნდა გააფთრებული იყოს, ადამიანს თავს არასოდეს ესხმის, თუ შვილები არ ჰყავს დასაცავი. თუ ასეთი რამ მაინც მოხდა და მხეცმა ადამიანის სისხლს გემო გაუსინჯა, უკვე ძალიან საშიში ხდება: კაციჭამიად იქცევა. ვისკოსში ყველას სჯერა, რომ ერთხელაც ეს მგელი ისევ გაიწევს ადამიანზე.

„მეც იგივე დამემართა“, - გაიფიქრა უცხოელმა.

შანტალი ახალგაზრდა იყო, აქაურ გზებსაც მიჩვეული, ამიტომ ცდილობდა, სწრაფად ევლო; უნდოდა, დაეღალა, დაემცირებინა და ამით ფსიქოლოგიურად დაეჯაბნა, თუმცა არც უცხოელი ჩამორჩებოდა. ქოშინით მიჰყვებოდა, მაგრამ ერთხელაც არ უთხოვია, ნაბიჯი შეენელებინა.

მწვანე ტოტებით კარგად შენიღბულ კარავს მიადგნენ, სადაც მონადირეები უსაფრდებოდნენ ხოლმე ნადირს, და გაყინული ხელების ფშვნეკით შიგ შევიდნენ.

- რა გნებავთ? - ჰკითხა შანტალმა, - ჩემთან შეხვედრა რატომ გინდოდათ?

- ერთი გამოცანა მინდა გითხრა: ცხოვრებაში რომელი დღე არ მოდის არასოდეს? - ჰკითხა მან და ისე, რომ პასუხისთვის აღარ დაუცდია, თვითონვე უპასუხა: - ხვალინდელი. მაგრამ რატომღაც მგონია, შენ გჯერა, თითქოს ხვალინდელი დღე დადგება, ამიტომაც სახვალისოდ გადადე ის, რის გაკეთებაც გთხოვ. შაბათ-კვირაც მოვიდა. თუ შენ არაფერს იტყვი, მე მომიწევს თქმა.

შანტალი კარვიდან გამოვიდა, უსაფრთხო ადგილას დადგა, შალითა გახსნა და თოფი ამოიღო. მაგრამ უცხოელმა თითქოს ვერც შენიშნა, რას აკეთებდა, ისე განაგრძო.

- ერთი მითხარი, წიგნი რომ დაგეწერა ამ ოქროს შესახებ, ნუთუ გგონია, რომ მკითხველები, ყოველდღიურად უამრავ სირთულეს რომ აწყდებიან, ცხოვრებასა და ადამიანებს არაერთგზის დაუჩაგრავთ და შვილების დასაპურებლად და განათლების მისაცემად არაქათის გამოცლამდე უწევთ მუშაობა, მოიწონებენ შენს ასეთი ტანჯვა-ვაებას მხოლოდ იმისთვის, რომ ოქრო უნდა მოგეპარა და გაქცეულიყავი?

- არ ვიცი, - უპასუხა შანტალმა და ლულაში პირველი ტყვია ჩადო.

- არც მე ვიცი. სწორედ ასეთი პასუხი მჭირდებოდა.

ახლა უკვე მეორე ლულაშიც იდო ტყვია.

- შენ მზად ხარ, მომკლა, თუმცა კი მგლის ამბით ცდილობ, დამამშვიდო. მაგრამ მე არ ვღელავ, რადგან ამგვარად შენ ჩემს კითხვაზე მცემ პასუხს: ადამიანთა მოდგმა ბოროტებით არის დალდასმული, რადგან პროვინციული ქალაქის უბრალო მოსამსახურეც კი მზადაა, ფულის გულისათვის მოკლას ადამიანი. მე მოვკვდები, მაგრამ უკვე ვიცი პასუხი და ამდენად, კმაყოფილი ვკვდები.

- გამომართვით, - უთხრა შანტალმა და თოფი უცხოელს გაუწოდა, - არავინ იცის, რომ ერთმანეთს ვიცნობთ. სასტუმროშიც ყალბი მონაცემები გაქვთ დატოვებული. შეგიძლიათ, მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში წახვიდეთ და ნებისმიერ ადგილას დაიმალოთ. დამიზნებაც კი არ დაგჭირდებათ, უბრალოდ, ლულა ჩემკენ მომართეთ და სასხლეტს გამოჰკარით თითი. ტყვია პატარ-პატარა საფანტებისგან შედგება, რომელიც კონუსურად გამოიფრქვევა ლულიდან. ასეთ ტყვიებს დიდ მხეცებზე სანადიროდაც იყენებენ და ადამიანებზეც. შეგიძლიათ, განზეც გაიხედოთ, თუ იმის დანახვა არ გინდათ, როგორ დაცხრილავს საფანტი ჩემს სხეულს.

უცხოელმა სასხლეტს თითი გამოსდო, დაუმიზნა და გოცეებული შანტალი უცებ მიხვდა, რომ ორღულიანი თოფი უცხოელს სწორად და ჩვეულად ეჭირა, იმ ადამიანივით, კარგად რომ ფლობს იარაღს. ასე იდგნენ საკმაოდ დიდხანს: შანტალმა იცოდა, უცხოელი რომ წაბორძიკებულიყო, მოულოდნელად გამოჩენილ მხეცს ან ფრინველს დაეფრთხო, თითი თავისით გამოეკვრებოდა სასხლეტს. უკვე ხვდებოდა, რა ბავშვური და გულუბრყვილო გადაწყვეტილება იყო, ორთაბრძოლაში გამოეწვია უცხოელი, გაელიზიანებინა და შეემოწმებინა, თვითონ თუ შეძლებდა იმის გაკეთებას, რასაც სხვებს სთავაზობდა.

უცხოელს კი ისევ მიზანში ჰყავდა ამოღებული, თვალს არ ახამხამებდა და არც ხელი უთრთოდა. ახლა უკვე გვიანი იყო; ახლა უცხოელი თვითონაც მიხვდა, რომ იმ გოგონას სიცოცხლის ხელყოფა, ვინც გამოწვევა ესროლა, ურიგო აზრი არ უნდა

ყოფილიყო. შანტალი უკვე აპირებდა კიდევ, შეწყალება ეთხოვა, მაგრამ უცხოელმა მანამ დაუშვა თოფი, სანამ გოგონა ხმას ამოიღებდა.

- მე თითქმის ფიზიკურად შევიგრძნობ შენს შიშს, - ჩაილაპარაკა მან და თოფი გაუწოდა, - ვგრძნობ ოფლის სუნს, შენს სახეზე რომ მოწანწკარებს, თუმცა წვიმის წვეთებშია შერეული. და მიუხედავად იმისა, რომ ქარი ჯოჯოხეთური ხმაურით დაშლივინებს ხის ტოტებში, მაინც მესმის, როგორც გიცემს გული, ლამის მკერდიდან ამოგივარდეს.

- დღეს საღამოს გავაკეთებ იმას, რაც მთხოვეთ, - უთხრა შანტალმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს უცხოელის ნათქვამი არც კი გაეგონოს, რადგან, რაც უთხრა, სიმართლე იყო, - მე მხოლოდ თქვენი გაცნობა მინდოდა. მინდოდა, გამეგო, რა უფრო მეტია თქვენში - ბოროტება თუ სიკეთე. მე უკვე შევძელი თქვენთვის დამემტკიცებინა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რას განვიცდიდი თუ აღარ განვიცდიდი, თქვენ მაინც შეგეძლოთ სასხლეტისათვის თითი გამოგეკრათ. შეგეძლოთ, მაგრამ არ გაისროლეთ. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ შეგეშინდათ. თქვენ სხვებს იყენებთ პირადი კონფლიქტების გადასაჭრელად, მაგრამ იმის უნარი არ შეგწევთ, საკუთარი პოზიცია გამოავლინოთ.

- ერთხელ ერთმა გერმანელმა ფილოსოფოსმა თქვა: „ღმერთსაც კი აქვს საკუთარი ჯოჯოხეთი და ეს მისი სიყვარულია ადამიანებისადმი“. არა, შანტალ, არ შემშინებია. მე უარესი სასხლეტისთვისაც გამომიკრავს თითი, უფრო სწორად, მე ვაწარმოებდი იარაღს, რომელთან შედარებითაც შენი ორლულიანი თოფი მხოლოდ ბავშვური სათამაშოა, და ამ იარაღს მთელ მსოფლიოში ვყიდდი. ჩემი საქმიანობა სრულიად კანონიერი და ლეგალური იყო, მთავრობის ნებართვებით, საექსპორტო თანხებითა და სხვა ათასი ჯურის იჯარის გადახდით. ცოლად მოვიყვანე ის, ვინც მიყვარდა. მყავდა ორი არაჩვეულებრივი გოგონა და ყოველთვის შემეძლო მომეთხოვა და მიმეღო ის, რაც მსურდა.

შენგან განსხვავებით - შენ ხომ გგონია, რომ ბედი დაგცინის, - ყოველთვის მზად ვიყავი, მემოქმედა და ათასობით მოწინააღმდეგის ბოროტ ძალას შევჭიდებოდი. შემეძლო ზოგჯერ დავმარცხებულიყავი კიდევ, ზოგჯერ გამემარჯვა, რადგან მესმოდა, რომ წაგება და მოგება განუყოფელია ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, რადგან მხოლოდ ლაჩრები ვერ იტანენ დამარცხებას, მაგრამ ვერც გამარჯვებას აღწევენ.

ბევრს ვკითხულობდი, ეკლესიაშიც დავდიოდი, მეშინოდა ღვთისა და მის მცნებებს ვიცავდი. გიგანტური კომპანიების დირექტორი ვიყავი და ძალიან მაღალ ხელფასს ვიღებდი. ყოველი გარიგებიდან საკომისიოც მეკუთვნოდა და იმდენი ფული მქონდა, შემეძლო, მერჩინა ცოლი, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. იარაღით ვაჭრობაში ხომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ფული ტრიალებს. ვიცოდი იარაღის ყოველი პარტიის მიმართულება, რადგან პირადად ვაკონტროლებდი ყველაფერს;



კორუფციის რამდენიმე შემთხვევა აღმოვაჩინე და ის ხალხი სამსახურიდან დავითხოვე, იარაღის უკანონო გაყიდვა კი შევაჩერე. ჩემი იარაღი ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად მზადდებოდა, ურომლისოდაც, დარწმუნებული ვიყავი, შეუძლებელი იყო პროგრესი და შემოქმედება.

უცხოელი გოგონას მიუახლოვდა და მხარზე ხელი შემოხვია: უნდოდა შანტაღს მისი თვალები დაენახა და მისი ნათქვამის სიმართლე დაეჯერებინა.

- შენ ალბათ, გგონია, რომ იარაღის მწარმოებლებზე უარესი არავინაა ამქვეყნად. იქნებ, ასეცაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ადამიანმა ჯერ კიდევ გამოქვაბულში ყოფნის დროს დაიწყო იარაღის გამოყენება: ჯერ იმიტომ, რომ საკვები ეშოვნა, და მერე კი, თითქმის იმავდროულად, იმისათვის, რომ სხვებზე ძალაუფლება მოეპოვებინა. სამყარო მიწათმოქმედების გარეშე ძალიან დიდხანს არსებობდა, არც მესაქონლეობა სჭირდებოდა, არც რელიგია, არც მუსიკა, მაგრამ იარაღის გარეშე ერთი დღეც არ უარსებია.

მან მიწიდან ქვა აიღო.

- აი, ისიც - დედაბუნების მიერ გულმოდგინედ ბოძებული პირველი იარაღი მათთვის, ვინც წინაისტორიულ ხანაში გარეული მხეცებისაგან იცავდა თავს. ერთხელ ასეთმა ქვამ იხსნა ის ადამიანი, რომლის შთამომავალთა უთვალავი მონაცვლეობის შემდეგ გავჩნდით შენც და მეც. ეს ქვა რომ არა, იმ ადამიანს რომელიმე კაციჭამია შეჭამდა და ათასობით მილიონი ადამიანი აღარ დაიბადებოდა ამქვეყნად.

ქარი გაძლიერდა, წვიმა სახეში სცემდათ, მაგრამ შანტაღი და უცხოელი თვაღს არ აშორებდნენ ერთმანეთს.

- მონადირეებს ლანძღავენ, ვისკოსი კი გულლიად იღებს მათ, რადგან მათი წყალობით არსებობს. ადამიანები ვერ იტანენ ხარების ბრძოლას, მაგრამ კორიდას შემდეგ „სახელოვან“ ბრძოლაში დაცემული ხარის ხორცს ყიდულობენ. იარაღის მწარმოებლებსაც ლანძღავენ, მაგრამ ისინი მანამ იარსებებენ, სანამ დედამიწის ზურგზე თუნდაც ერთი შეიარაღებული ადამიანი დარჩება. რადგან, თუ ერთი შეიარაღებული მანც არსებობს, მეორეც აუცილებლად უნდა შეიარაღდეს, რათა ბალანსი არ დაირღვეს.

- კარგი, მაგრამ, ვისკოსი რა შუაშია?! - ჰკითხა შანტაღმა, - რა შუაშია მცნებების დარღვევა, დანაშაული, ქურდობა, ადამიანთა ბუნება? რა შუაშია სიკეთე და ბოროტება?

უცხოელს სახე შეეცვალა და თვალებში აუწერელი ნაღველი ჩაუდგა.

- გაიხსენე, რა გითხარი საუბრის დასაწყისში: ვცდილობდი, ყოველთვის კანონის შესაბამისად მემოქმედა და თავი „წესიერ ადამიანად“ ჩამეთვალა. და აი, ერთხელ ტელეფონით დამირეკეს და ქალის ხმამ - რბილმა, მაგრამ სრულიად უემოციომ -

მაცნობა, რომ ტერორისტებმა, რომელთა სახელითაც ის ლაპარაკობდა, ჩემი ცოლი და შვილები მოიტაცეს. სანაცვლოდ ისინი იმას მთხოვდნენ, თანაც, დიდი რაოდენობით, რისი მიცემაც მე შემეძლო - იარაღს. მათ მიბრძანეს, ჩვენი ლაპარაკი საიდუმლოდ შემენახა და შემპირდნენ, თუ მათ მთხოვნებს შევასრულებდი, ჩემს ოჯახს არაფერი დაუშავდებოდა.

ქალმა ისიც მოასწრო ეთქვა, რომ ნახევარ საათში კიდევ დამირეკავდა, რომ ერთ-ერთი სადგურის რომელიღაც სატელეფონო ჯიხურში უნდა დავლოდებოდი, და ტელეფონი გათიშა. ისიც მითხრა, ჩემს ცოლ-შვილზე არ მენერვიულა - მათ არაფერს ავნებდნენ და რამდენიმე საათში გაათავისუფლებდნენ, თუკი ელექტრონული ფოსტით ბრძანებას გავგზავნიდი ჩვენს ერთ-ერთ საზღვარგარეთულ ოფისში. სიმართლე უნდა ითქვას, თუმცა საქმე იარაღის უკანონო შესყიდვას ეხებოდა, ამას ვერავინ შეამჩნევდა, იმ კომპანიაშიც კი, სადაც მე ვმუშაობდი.

უპირველეს ყოვლისა, როგორც კანონმორჩილმა ადამიანმა, რომელსაც სურს, მუდამ კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდეს, მაშინვე პოლიციას შევატყობინე ყველაფერი. იმ წუთიდან უკვე აღარ შემეძლო, თავად მიმელო გადაწყვეტილებები და თავადვე მეგო პასუხი მათზე, ვიქეცი საცოდავ ადამიანად, რომელსაც უნარი აღარ შესწევდა, დაეცვა საკუთარი ოჯახი. ჩემი სამყარო უცხო ადამიანებთან ყოველწამიერი, ბოდვისმაგვარი საუბრებით აივსო. იმ დროს, როცა მითითებულ სატელეფონო ჯიხურში შევედი, ტექნიკოსების მთელმა არმიამ მიწისქვეშა სადენებს მიუერთა ყველაზე ზუსტი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას აძლევდა, სწრაფად და შეუცდომლად განესაზღვრათ, საიდან მოდიოდა ზარი. ვერტმფრენები ძრავებს ახურებდნენ და ასაფრენად ემზადებოდნენ, მანქანები საწყის პოზიციებს იკავებდნენ, განგაშის ხმაზე ფეხზე იდგა კარგად გაწვრთნილი და კბილებამდე შეიარაღებული რაზმი.

ერთმანეთისაგან დაშორებულ კონტინენტებზე მდებარე ორი სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობებმა უკვე იცოდნენ მომხდარის შესახებ. ტერორისტებთან მოლაპარაკება ყველამ ერთად ამიკრძალა. ჩემგან მხოლოდ იმას ითხოვდნენ, ბრძანებები შემესრულებინა, ის სიტყვები მეთქვა, რასაც მკარნახობდნენ, და ისე მოვქცეულიყავი, როგორც სპეციალისტები მთხოვდნენ.

იმავე საღამოს ბინა, სადაც გატაცებულები ჰყავდათ, შტურმით აიღეს და გამტაცებლები - ორი ყმაწვილი და ერთი გოგონა, სამივე გამოუცდელი ბავშვი, უძლიერესი პოლიტიკური ორგანიზაციის პატარა ჭანჭიკები რომ იყვნენ, - ტყვიებით ჩაცხრილეს. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მათ ჩემი ცოლისა და გოგონების დახოცვა მოასწრეს. თუკი ღმერთსაც აქვს ჯოჯოხეთი, ადამიანებისადმი მისი სიყვარულით რომ არის შექმნილი, უბრალო მოკვდავისთვის ხომ მისი საკუთარი ჯოჯოხეთი ხელის გაწვდენაზეა - ეს ოჯახისადმი სიყვარულია.

უცხოელი დადუმდა - ალბათ, ეშინოდა, ხმა არ გაბზარვოდა და ის მღელვარება არ გაეთქვა, რომლის დაფარვასაც ცდილობდა. მერე თავს მოერია და ისევ განაგრძო:

- იმ ტერორისტებსაც და პოლიციასაც ჩემი ქარხნის იარაღი ეჭირათ ხელში. არავინ იცის, ჩემს ქარხანაში გაკეთებული იარაღი როგორ მოხვდა ტერორისტების ხელში, თუმცა ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა: მთავარი იყო, რომ ჰქონდათ. თუმცა მუდამ ვცდილობდი, დამეცვა წარმოებისა და რეალიზაციის კანონები, ჩემი ცოლ-შვილი იმ იარაღით დაიღუპა, რომელიც მე, ეგებ სადილად მჯდომმა, მოლაპარაკების დროს გავყიდე, მანამდე კი გულარხეინად ვისაუბრე ამინდსა და პოლიტიკაზე.

ის დადუმდა და როცა ისევ ალაპარაკდა, შანტალს მოეჩვენა, რომ მის წინ სულ სხვა ადამიანი იდგა, რადგან მისი ნათქვამი აღარაფრით ეხამებოდა იმ ძველ უცხოელს.

- მე კარგად ვერკვევი იარაღსა და თოფისწამალში და რაკი ვიცი, საით ისროდნენ ტერორისტები, იმასაც მივხვდი, როგორ დახოცეს ჩემი ცოლ-შვილი. ტყვიის შემავალი ღრუ ძალიან პატარაა, თითქმის შენი ნეკის ოდენა. სხეულში შესული ტყვია ძვალს ხვდება, ოთხ ნაწილად იყოფა, სხვადასხვა მიმართულებით იბნევა და გზად ყველაფერს ანადგურებს - თირკმლებს, გულს, ღვიძლს, ფილტვებს. თუ უფრო მკვრივ სხეულს წააწყდება, მაგალითად, ხერხემალს, მიმართულებას იცვლის და თან გაიყოლებს რბილი ორგანოების ნაკუწებს. და ასე გრძელდება მანამ, სანამ გარეთ გამოსასვლელს არ იპოვის. ყოველი ოთხი გამომავალი ღრუ სიდიდით ჩემი მუშტისხელაა და ისეთი ძალით გამოდის გარეთ, რომ მთელ ოთახში მიმოაბნევს კუნთების ნაკუწებს, ძვლის ანასხლეტებს, ყველაფერს, რაც ორგანიზმში მოძრაობისას წინ ხვდებოდა.

მთელი ეს მოძრაობა ორ წამზე ნაკლებ ხანს გრძელდება: შეიძლება, გეგონოს, რომ ორი წამი არც ისე დიდი დროა, მაგრამ სიკვდილს თავისებური დროის ათვლა აქვს. მგონი, გესმის ჩემი.

შანტალმა თავი დაუქნია.

- შარშან, წლის ბოლოს, სამსახური მივატოვე. მთელ მსოფლიოში დავეხეტებოდი, მარტო დავტეროდი ჩემს უბედურებას და ერთთავად იმაზე ვფიქრობდი, როგორ შეიძლება, ადამიანმა ასეთი ბოროტება ჩაიდინოს. მე დავკარგე ყველაზე მთავარი, რაც კი ჩვენ, მოკვდავებს გაგვაჩნია - მოყვასის რწმენა. მე მაცინებდა და მატირებდა უფლის ირონია, რომელმაც ასე შემზარავად დამანახა, რომ მხოლოდ იარაღი ვიყავი სიკეთისა და ბოროტების ხელში.

თანდათან თანაგრძნობის უნარიც დავკარგე და გული ისე გამიქვავდა, რომ უკვე სულერთია, მოვკვდები თუ ვიცოცხლებ. მაგრამ სანამ სიცოცხლეს დავასრულებდე, ჩემთვის აუცილებელია, გავაცნობიერო, რა ხდებოდა იქ, სადაც ჩემი ოჯახი ჰყავდათ გამოკეტილი. მე შემძლია, გავიგო, როცა ზიზღით ავსილები ან სიყვარულით

გააფთრებულები კლავენ ადამიანს, მაგრამ ვერ ვხვდები, ასე, ყოვლად უმიზეზოდ, მოკლა, მხოლოდ იმიტომ, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა?

ჩემი მსჯელობა, შეიძლება, გულუბრყვილოდაც გეჩვენოს, ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ყოველდღე ხოცავენ ერთმანეთს ფულის გულისათვის, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მე მხოლოდ ჩემს ცოლსა და შვილებზე ვფიქრობ. მინდა, ვიცოდე, რა ხდებოდა იმ ტერორისტების გონებაში. მინდა, ვიცოდე, იყო თუ არა ისეთი წამი, როცა მათ გულეში სიბრაღე გაიელვა; როცა ხელი აუთრთოლდათ და გაიფიქრეს - ხომ არ გაეშვათ, ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ჩემს ოჯახს არ ებრძოდნენ? მინდა ვიცოდე, თუნდაც წამის მეათასედში მაინც თუ დაუპირისპირდა ერთმანეთს სიკეთე და ბოროტება; თუ შედგა ის ორთაბრძოლა, როცა სიკეთეს შეეძლო გამარჯვება?

- და მაინც, რატომ აირჩიე ვისკოსი? ჩემი ქალაქი რა შუაშია?

- თუ ასეა, რატომ დახოცეს ჩემი იარაღით, როცა ამქვეყნად უამრავი იარაღის ქარხანაა და უმეტესობას სახელმწიფო ვერც აკონტროლებს?! პასუხი მარტივია: შემთხვევით. მე მჭირდებოდა პროვინციული, მივარდნილი ქალაქი, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ბოროტებას არავინ არავის უსურვებს. იმ წამიდან, როგორც კი შენი თანამემამულეები გასამრჯელოს შესახებ შეიტყობენ, სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს დაუპირისპირდება და შენს ქალაქშიც იგივე განმეორდება, რაც იმ ბინაში მოხდა.

ტერორისტებმა, თუმცა ალყაშემორტყმულები და უკვე განწირულები იყვნენ, მაინც დახოცეს ჩემი ცოლ-შვილი, რათა უაზრო, უბრალო რიტუალი აღესრულებინათ. შენი ვისკოსი იმას მაინც მიიღებს, რაც მე არ მეღირსა - არჩევანის უფლებას. შენი თანამემამულეები იგრძნობენ, როგორ მოექცევიან სიხარბის ალყაში; დაიჯერებენ, რომ უდიდესი მისია დაეკისრათ - დაიცვან და გადაარჩინონ თავიანთი ქალაქი - და მაინც, არავინ წაართმევთ არჩევანის უფლებას - მოკლან ვინმე თუ სიცოცხლე შეუნარჩუნონ. აი, სულ ეს არის: მე მინდა, ვნახო, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს, სხვაგვარად მოიქცნენ და არა ისე, როგორც ის უბედური, სისხლში ამოსვრილი გამტაცებლები მოიქცნენ.

გახსოვს, პირველი შეხვედრისას გითხარი: ერთი ადამიანის ცხოვრება მთელი კაცობრიობის ისტორიაა-მეთქი. თანაგრძნობა რომ არსებობდეს, მივხვდებოდი, რომ ბედი სასტიკად მომექცა, სამაგიეროდ, ვიდაცისადმი გულმოწყალება. ეს მე ვერაფრით მიშველის, ოჯახს ვერ დამიბრუნებს, მაგრამ იმ დემონს მაინც გააძევებს, ფეხდაფეხ რომ დამყვება. ამიტომ მინდა, ვცადო.

- იმის გაგება რატომღა გინდოდათ, შემეძლო თუ არა თქვენი გამარცხვა?

- იმავე მიზეზით. ვინ იცის, იქნებ გგონია, რომ არსებობს მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაული. ეს ასე არ არის. დარწმუნებული ვარ, ტერორისტებიც ამგვარად ყოფდნენ

სამყაროს: სჯეროდათ, რომ სიამოვნებისთვის, სიყვარულისთვის, ზიზღისა და ფულისთვის კი არ კლავდნენ, არამედ - საქმისათვის. შენ რომ ოქროს ზოდი მოგეპარა, ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა აგეხსნა ეს დანაშაული, მერე - ჩემთვის, და ამით მივხვდებოდი, ტერორისტები როგორ იმართლებდნენ თავს ჩემი უსაყვარლესი ადამიანების დახოცვისათვის. ალბათ, უკვე შენიშნავდი, ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი, გამეაზრებინა ის, რაც მოხდა. არ ვიცი, ჩემი ჩანაფიქრი მომანიჭებს თუ არა სიმშვიდეს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

- ოქრო რომ მომეპარა, მეტად ხომ ველარც მნახავდით?

თითქმის ნახევარსაათიანი საუბრის განმავლობაში უცხოელს პირველად გაუკრთა ტუჩებზე ღიმილი.

- ნუ გავიწყდება, მე იარაღს ვაწარმოებდი. მაშასადამე, ჩემი მოღვაწეობის სფეროში საიდუმლო სამსახურებიც შედიოდა.

უცხოელმა შანტალს სთხოვა, მდინარემდე მიეცილებინა - ეშინოდა, გზა არ აკბნეოდა. გოგონამ ორლულიანი თოფი მიწიდან აიღო, - თავის მეგობარს გამოართვა, იმ საბაბით, თითქოს ამ ბოლო ხანს ნერვებს ვეღარ იმორჩილებდა და იქნებ, ნადირობისთვის გადაეყოლებინა გული, - ისევ შალითაში ჩადო და თავქვე დაეშვნენ.

ხმა აღარც ერთს არ ამოუღია. მდინარეს რომ მიადგნენ, უცხოელმა გამომშვიდობებისას უთხრა:

- მესმის, რატომაც ითრევდი ფეხს, მაგრამ მეტის მოცდა აღარ შემიძლია. ისიც მესმის, რომ საკუთარ თავთან საბრძოლველად, გინდოდა, უკეთ გაგეცანი. ახლა უკვე კარგად მიცნობ. მე ვარ ადამიანი, ვისაც ფეხდაფეხ დაჰყვება ეშმაკი. იმისათვის, რომ განვდევნო ან სამუდამოდ მივიღო იგი, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი მჭირდება.

ჭიქაზე ჩანგალი არაკუნდა და იმ პარასკევ საღამოს ბარში მსხდომმა ადამიანებმა ამ ხმისკენ გაიხედეს. შანტალ პრიმი სიჩუმეს ითხოვდა.

სიჩუმეც წამის უსწრაფესად გამეფდა. ვისკოსის არსებობის მანძილზე ასეთი რამ ჯერ არ მომხდარიყო - რომ გოგონას, ვისი მოვალეობაც მხოლოდ ბარის კლიენტთა მომსახურება იყო, ასეთი რამ გაებედა.

„ღმერთმა ქნას, მართლაც რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდეს სათქმელი, - გაიფიქრა სასტუმროს დიასახლისმა, - თუ არა და, დღესვე გავათავისუფლებ სამსახურიდან, თუმცა კი ბებიამისს შევპირდი, რომ ვუპატრონებდი“.

- მომისმინეთ, - დაიწყო შანტალმა, - თავდაპირველად იმ ამბავს გაგახსენებთ, რომელიც ყველა თქვენგანმა იცის, არ იცის მხოლოდ ჩვენმა სტუმარმა, - მან უცხოელზე მიუთითა, - შემდეგ კი იმას გეტყვით, რაც არც ერთმა თქვენგანმა არ იცის და იცის მხოლოდ ჩვენმა სტუმარმა. შემდეგ თქვენ განსაჯეთ, სწორად მოვიქეცი თუ

არა, რომ მთელი კვირის დამაბული შრომით გადაღლილებს, დასვენების დღეებში საზრუნავი გაგიჩინეთ.

„ცეცხლს ეთამაშება, - გაიფიქრა მღვდელმა, - შეუძლებელია, რაღაც ისეთი იცოდეს, რაც ჩვენ არ ვიცით. და თუმცა ერთი ღარიბი და ობოლი გოგოა, ალბათ ძალიან გამიჭირდება, დიასახლისი დავიყოლიო, სამსახურიდან არ დაითხოვოს.“

„მაგრამ ბოლოს მაინც დავითანხმებ, - ფიქრს განაგრძობდა მღვდელი, - უცოდველი არავინ არის. სასტუმროს დიასახლისი ერთი-ორი დღით გაბრაზდება და მერე აპატიებს. მთელ ვისკოსში ადამიანს ვერ იპოვის, ბარში მუშაობაზე რომ დათანხმდეს. აქ ახალგაზრდა უნდა მუშაობდეს, ჩვენს ქალაქში კი ახალგაზრდები აღარ არიან.“

- ვისკოსში სულ სამი ქუჩაა, პატარა მოედანი, სადაც ჯვარია აღმართული, რამდენიმე ლამის დანგრეული სახლი და ეკლესია, რომელსაც სასაფლაო ემიჯნება, - დაიწყო შანტალმა.

- ერთი წუთით! - შეაწყვეტინა უცხოელმა, ჯიბიდან დიქტოფონი ამოიღო, ჩართო და მაგიდაზე დადო, - ყველაფერი მაინტერესებს, რაც ვისკოსს ეხება, არ მინდა რამე გამომრჩეს. იმედი მაქვს, დიქტოფონი ლაპარაკში ხელს არ შეგიშლით.

შანტალმა არ იცოდა, ხელს შეუშლიდა თუ არა, მაგრამ დროის ტყუილად კარგვას არ აპირებდა. სულ რამდენიმე წუთის წინ ჯერ კიდევ ებრძოდა შიშს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა, ლაპარაკი დაიწყო და არც კი იცოდა, რა მოხდებოდა, კიდევ ერთხელ რომ გაეწყვეტინებინათ სათქმელი.

- ვისკოსში სამი ქუჩაა, პატარა მოედანი, რომლის შუაშიც ჯვარია აღმართული, რამდენიმე დანგრევის პირას მისული და რამდენიმე მეტ-ნაკლებად გამოსადეგი სახლი. არის სასტუმრო, ეკლესია, რომელსაც სასაფლაო ემიჯნება, და ბოძზე დაკიდებული საფოსტო ყუთი.

მეორე ჯერზე მან უფრო ზუსტად აღწერა ვისკოსი და ძალიანაც აღარ ძალიან ნერვიულობდა.

- როგორც ყველასთვის ცნობილია, ვისკოსი მაწანწალებისა და ავაზაკების თავშესაფარი იყო იმ დრომდე, სანამ წმინდა საბინის მიერ მოქცეულმა ჩვენმა დიადმა კანონმდებელმა აქაბმა ქალაქად არ აქცია და კეთილშობილი ადამიანებით არ დაასახლა, როგორებიც დღემდე ცხოვრობენ ამ ქალაქში.

მაგრამ ჩვენმა უცხოელმა სტუმარმა არ იცის, როგორ შეძლო აქაბმა ამ ჩანაფიქრის ასრულება. სწორედ ეს ამბავი მინდა, გაგახსენოთ. მას არც კი უცდია ადამიანთა დარწმუნება, რადგან კარგად იცნობდა მათ ბუნებას - იცოდა, რომ ის ადამიანები, ვინც წესიერებას სისუსტედ მიიჩნევდნენ, ძალაუფლებაში შეეცილებოდნენ.

ამიტომ სხვაგვარად მოიქცა - მეზობელი სოფლიდან ხუროები მოიწვია, ნახაზი მისცა და უბრძანა, რომ მოედანზე, იმ ადგილას, სადაც ახლა ჯვარია აღმართული, რაღაც აეშენებინათ. ქალაქის ბინადართ ათი დღის განმავლობაში, დღითა და ღამით ესმოდათ ჩაქურჩის რაკუნის და ხერხის ზუზუნის, ხედავდნენ, როგორ აშალაშინებდნენ და რანდავდნენ ფიცრებს, როგორ არჭობდნენ ლურსმნებს. მეთერთმეტე დღეს მოედნის შუაგულში უზარმაზარი რაღაც აღმართეს და ტილო გადააფარეს. ამ მონუმენტის საზეიმო გახსნაზე აქაბმა ვისკოსის მთელი მოსახლეობა მოიწვია.

საზეიმო სიტყვა არ წარმოუთქვამს, უბრალოდ, ჩამოხსნა მონუმენტს ტილო და ხალხმა დაინახა, რას აკეთებდნენ ხუროები - ეს იყო სახრჩობელა. ფიცარნაგიც ჰქონდა, თოკიც და ყველაფერი, რაც სახრჩობელას უნდა ჰქონოდა. ცვილითაც იყო გაპოხილი და მრავალი წლის განმავლობაში თოვლი და წვიმა ვერაფერს დააკლებდა. აქაბმა იმით ისარგებლა, რომ მოედანზე მთელი ვისკოსი იყო თავმოყრილი, და ყველას ერთად გააცნო თავისი კანონები: მისი კანონი დაიცავდა მიწათმოქმედებს, ხელს შეუწყობდა მესაქონლეობას, წახალისებდა ყველას, ვინც კი ვისკოსში ახალ სახელოსნოებს ან მაღაზიებს გახსნიდა. ბოლოს კი დასძინა, რომ ამიერიდან და სამარადქამოდ ვისკოსის მოქალაქეები ან პატიოსანი შრომით იცხოვრებდნენ, ანდა, იძულებულები გახდებოდნენ, ქალაქი მიეტოვებინათ. ეს იყო და ეს. მეტი აღარაფერი უთქვამს, ერთხელაც არ უხსენებია იმ დღეს გახსნილი „მონუმენტი“, რადგან აქაბი ის ადამიანი იყო, ვისაც მუქარისა არ სჯეროდა.

ამ საზეიმო შეხვედრის შემდეგ ხალხმა პატარ-პატარა ჯგუფებად დაიწყო შეკრება. ყველა ერთსა და იმავეს ამტკიცებდა, რომ წმინდანმა ძალა გამოაცალა აქაბს და ცხადია, დაუძღურებული ავაზაკი უნდა მოეკლათ. ბევრმა გეგმაც კი შეიმუშავა მის მოსაკლავად, მაგრამ მოედანზე აღმართული სახრჩობელას დანახვისას თავისდა უნებურად, ებადებოდათ კითხვა: „რატომ აღმართეს აქ სახრჩობელა? იქნებ იმათთვის, ვინც ახალი კანონით ცხოვრებას არ ისურვებდა? ვინ არის აქაბის მომხრე და ვინ - მოწინააღმდეგე? იქნებ ჩვენ შორისაც არიან მისი მსტოვრები?“

სახრჩობელა ადამიანებს გამოსცქეროდა, ადამიანები კი - სახრჩობელას. თანდათანობით მოჯანყეთა სითამამე და თავაშვებულობა შიშით შეიცვალა, რადგან ყველამ იცოდა, რომ აქაბი ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას ასრულებდა. ზოგი წავიდა ქალაქიდან, სხვებმა საქმეს მოჰკიდეს ხელი, უპირველესად, იმიტომ, რომ წასასვლელი არსად ჰქონდათ, ანდა, შეიძლება იმიტომაც, რომ მოედანზე სარხრჩობელა იყო აღმართული. სულ ცოტა ხანში ვისკოსში სიმშვიდე და კეთილდღეობა დამყარდა, თვით ქალაქიც ვაჭრობის ცენტრად იქცა. ბედად, საზღვარზე მდებარეობდა, და მეზობელ ქვეყნებთან დაიწყო მაღალხარისხიანი შალითა და ხორბლით ვაჭრობა.

ათ წელს იდგა სახრჩობელა, ფიცარი არ ფუჭდებოდა, დროდადრო მხოლოდ თოვს ცვლიდნენ ხოლმე, მაგრამ ის ერთხელაც არავის გამოუყენებია. არც აქაბს უხსენებია

მისი სახელი. თუმცა აქაბმა სახრჩობელას მეშვეობით შეძლო, თავაშვებულობა შიშად ექცია, ნდობა - ეჭვად. და ათი წლის შემდეგ, როცა კანონი საბოლოოდ დამკვიდრდა ვისკოსში, აქაბმა ბრძანა, სახრჩობელა დაეშალათ და მის ადგილას ჯვარი აღმართათ.

შანტალი დადუმდა. გამეფებულ სიჩუმეში ტაშის ხმა გაისმა - უცხოელი უკრავდა ტაშს.

- არაჩვეულებრივი ამბავია, - თქვა მან, - აქაბი, როგორც ჩანს, მართლაც, სწვდებოდა ადამიანთა ბუნებას და იცოდა: ადამიანები წესიერად იმიტომ კი არ იქცევიან, რომ კანონს ემორჩილებიან, არამედ იმიტომ, რომ სასჯელისა ეშინიან. ყველა ჩვენგანის სულში დგას ასეთი სახრჩობელა.

- და, აი, ახლა, ამ უცხოელის თხოვნით, ვაპირებ, მოედანზე აღმართული ჯვარი ავიღო და მის ადგილას ახალი სახრჩობელა დავდგა, - ჩაილაპარაკა შანტალმა.

- კარლოსი, - გაისმა ვიღაც იქ მყოფის ხმა, - ჩვენს სტუმარს კარლოსი ჰქვია და, ალბათ, უფრო თავაზიანი იქნებოდი, თუ „უცხოელს“ კი არა, სახელს დაუმახებდი.

- მე არ ვიცი, რა ჰქვია ამ კაცს. ყველაფერი, რაც სასტუმროს სარეგისტრაციო ბარათში ჩაწერა, ტყუილია. თუ გახსოვთ, თანხა ერთხელაც არ გადაუხდია საკრედიტო ბარათით. ჩვენ არც ის ვიცით, საიდან მოვიდა და საით მიდის. იქნებ, აეროპორტშიც ჩვენი თვალის ასახვევად დარეკა.

ყველამ უცხოელისკენ იბრუნა პირი, რომელიც დაჟინებულ მზერას არ აშორებდა შანტალს.

- მაგრამ, როცა სიმართლეს ამბობდა, არ ვუჯერებდით. ის მართლაც მუშაობდა იარაღის ქარხანაში, მრავალი რამ გადახდომია თავს. ვინ არ ყოფილა ამქვეყნად - იყო მოსიყვარულე მამა და უმოწყალო საქმოსანი. ვისკოსის ბინადარნი, ვერც კი ხვდებით, რომ ცხოვრება ბევრად რთულია და მდიდარი, ვიდრე თქვენ გგონიათ.

„ალბათ, აჯობებს, ახლავე გაგვიმართოს, რას გულისხმობს“, - გაიფიქრა სასტუმროს დიასახლისმა. და შანტალმაც განმარტა:

- ოთხი დღის წინ მან ოქროს ათი ზოდი მაჩვენა. ამ ოქროს უახლოესი ოცდაათი წლით შეუძლია, უზრუნველყოს ვისკოსის ბინადართა მომავალი. ამ თანხით შეიძლება, მთლიანად შეიცვალოს ქალაქი, პარკი აშენდეს ბავშვებისათვის იმ იმედით, რომ ბავშვები ისევ ირბენენ ვისკოსის ქუჩებში. მან ოქრო მაჩვენა, მერე ისევ ტყეში დამალა და ახლა აღარ ვიცი, სად არის ის ოქრო.

ყველამ ისევ უცხოელს შეხედა, ამჯერად უცხოელმაც თვალი გაუსწორა ხალხს და გოგონას ნათქვამის დასტურად, თავი დაიქნია.



- ამ ოქროს უცხოელი ვისკოსის ბინადართ გადმოგცემთ, თუკი უახლოესი სამი დღის განმავლობაში, ჩვენს ქალაქში ვინმეს მოკლავენ. თუ ეს არ მოხდება, თავის ოქროს წაიღებს და ქალაქიდან წავა.

„მოვრჩი. ვთქვი ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა და, მოედანზე ხელახლა აღვმართე სახრჩობელა. ოღონდ ახლა ის გაფრთხილებასავით აღარ იდგება, - მასზე უდანაშაულოს ჩამოახრჩობენ და მსხვერპლად შესწირავენ ქალაქის კეთილდღეობას“.

და უკვე მესამედ შებრუნდა ხალხი უცხოელისკენ, მანაც ისევ დაიქნია თავი თანხმობის ნიშნად.

- ეს გოგონა უნიჭიერესი მთხრობელია, - თქვა მან, დიქტოფონი გამორთო და ჯიბეში ჩაიღო.

შანტალი შებრუნდა და ჭიქების რეცხვა დაიწყო. ვისკოსში თითქოს დრო გაჩერდა - ხმას არავინ იღებდა. ისმოდა მხოლოდ წყლის ჩხრიალი და ჭიქების წკარუნი მარმარილოს დახლზე დადებისას. და კიდევ, ოდნავ მოშორებით - შიშველ ტოტებში ქარის შრიალის ხმა.

სიჩუმე მერმა დაარღვია:

- პოლიცია გამოვიძახოთ.

- კარგი აზრია, - უპასუხა უცხოელმა, - მე მათ დიქტოფონის ჩანაწერს წარვუდგენ და ისინიც დარწმუნდებიან, რომ მთელი საღამოს მანძილზე მე მხოლოდ ერთი წინადადება წარმოვთქვი: „ეს გოგონა უნიჭიერესი მთხრობელია“.

- ძალიან გთხოვთ, აბრძანდით თქვენს ნომერში, ბარგი ჩაალაგეთ და სასწრაფოდ დატოვეთ ჩვენი ქალაქი, - უთხრა სასტუმროს დიასახლისმა.

- მე ერთი კვირის საფასური წინასწარ მაქვს გადახდილი და ზუსტად ერთ კვირას ვიცხოვრებ ამ სასტუმროში. თუნდაც ამისათვის პოლიციის გამოძახება დამჭირდეს.

- იმაზე არ გიფიქრიათ, რომ შეიძლება სწორედ თქვენ მოგკლან?

- ცხადია, მიფიქრია. მაგრამ ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ოღონდ, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ჩემი მოკვლით დანაშაულს ჩაიდენთ, შეპირებულ ჯილდოს კი ვერ მიიღებთ.

იქ მყოფნი, ჯერ ახალგაზრდები, შემდეგ ასაკოვნებიც, ნელ-ნელა დაიდრნენ გასასვლელისკენ. ბარში კი მხოლოდ შანტალი და უცხოელი დარჩნენ.

გოგონამ ჩანთა აიღო, პალტო ჩაიცვა და კართან მისული შედგა:

- თქვენ ძალიან ბევრი იტანჯეთ და შურისძიება გწყურიათ. გული მკვდარი გაქვთ, სულში კი წყვილია გაქვთ ჩაბუდებული და დემონი, რომელიც ფეხდაფეხ დაგყვებათ, ალბათ, უკვე იცინის, რადგან თქვენ მისი წესებით დაიწყეთ თამაში.

- გმადლობ, რომ თხოვნა შემისრულე. იმისთვისაც გმადლობ, რომ მშვენიერი და მართალი ამბავი მოჰყევი.

- იქ, ტყეში, მითხარით, რომ რაღაც კითხვებზე გინდოდათ პასუხის მიღება, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორი გეგმა გაქვთ შემუშავებული, მხოლოდ ბოროტება დაჯილდოვდება. სიკეთე შექების მეტს ვერაფერს მიიღებს. შექებით კი, მოგეხსენებათ, კუჭს ვერ ამოივსებ, ვერც შვილებს დააპურებ და ვერც ქალაქს ამოიყვან ჭაობიდან. ამიტომ მგონია, რომ თქვენ კითხვებზე კი არ გსურთ პასუხის მიღება, არამედ ის ჭეშმარიტება გინდათ, დაამტკიცოთ, რის დაჯერებაც თავად გსურთ. ეს ჭეშმარიტება კი ასე ჟღერს: „მთელი სამყარო ბოროტებით არის დამძიმებული“.

უცხოელს თვალების გამომეტყველება შეეცვალა და შანტალმა ეს შენიშნა.

- თუ მთელი სამყარო მართლა ბოროტებით არის დამძიმებული, მაშინ ის უბედურება, თქვენ რომ შეგემთხვათ, გამართლებული იქნება, - განაგრძო შანტალმა, - მაშასადამე, იოლად შეგიძლიათ ცოლისა და შვილების დაკარგვას შეეგუოთ. ხოლო თუ აღმოჩნდა, რომ მაინც არსებობენ კეთილი ადამიანები, თქვენი ცხოვრება აუტანელი გახდება, თუმცა კი საწინააღმდეგოს ამტკიცებთ. ბედისწერამ მახეში გაგაბათ, თქვენ კი დარწმუნებული ხართ, რომ ეს არ დაგიმსახურებიათ. არა, თქვენ არ გსურთ, ნათელმა იზეიმოს, თქვენ გსურთ საბოლოოდ დარწმუნდეთ, რომ ამ სამყაროში მხოლოდ წყვილია მეფობს.

- ამით რა გინდა, მითხრა? - უცხოელს ხმაში მღელვარება შეეპარა.

- მინდა, უფრო სამართლიანი ნაძლევი დავდოთ. თუ ამ სამ დღეში ვისკოსში არავის მოკლავენ, თქვენ ათივე ზოდს აჩუქებთ ქალაქს, ამით შეძლებთ, მადლობა გადაუხადოთ იმისათვის, რომ ათი მცნება არ დაარღვიეს.

უცხოელს გაეცინა.

- მე კი ამ ამაზრზენ თამაშში მონაწილეობისათვის, ჩემს კუთვნილ ოქროს მივიღებ, - განაგრძო შანტალმა.

- არც ასეთი სულელი ვარ. ამ პირობაზე რომ დაგთანხმდე, მაშინვე თანამემამულეებს გააფრთხილებ.

- გეთანხმებით, პატარა რისკი ნამდვილად არსებობს. მაგრამ, დამერწმუნეთ, არ გავაფრთხილებ - ბებიის ხსოვნასა და სულის ხსნას გეფიცებით.

- ეგ არ არის საკმარისი. არავინ იცის, ესმის კი ღმერთს ჩვენი ფიცი. ან, საერთოდ, თუ არსებობს სულის ხსნა.

- ნუთუ ვერ ხვდებით, რომ არავის გავაფრთხილებ, იმიტომ რომ, ვისკოსში უკვე აღვმართე მეორე სახრჩობელა. თუ ვითვალთმაქცებ, ამასაც მაშინვე გაიგებთ. ისიც მინდა გითხრათ, ახლავე რომ მოვუყვე ყველას, რაზე ვილაპარაკეთ, მაინც არავინ დამიჯერებს. ეს იგივე იქნებოდა, ვისკოსელებთან მივსულიყავი და მეთქვა: „ეს ოქრო თქვენია, მიუხედავად იმისა, შეასრულებთ თუ არა უცხოელის თხოვნას“. ჩემი თანამემამულეები მძიმე სამუშაოს არიან მიჩვეულები, ოფლითა და მძიმე შრომით მოიპოვებენ ყოველ გროშს და იციან, რომ ფული ციდან არ ცვივა.

უცხოელმა სიგარეტი გააბოლა, ჭიქაში დარჩენილი სასმელი შესვა და წამოდგა. შანტალი კარის ზღურბლთან ელოდა პასუხს. ოთახში ცივი ქარი იჭრებოდა.

- ოღონდ, იცოდე, არ მომატყუო, - უთხრა უცხოელმა, - მაინც გავიგებ. მე თქვენს აქაბზე ნაკლებ არ ვიცნობ ადამიანთა მოდგმას.

- ეჭვიც არ მეპარება. მაშასადამე, შევთანხმდით?

და უცხოელმა - დღეს უკვე მერამდენედ - უსიტყვოდ დაიქნია თავი.

- კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ: თქვენ ჯერ საბოლოოდ არ დაგიკარგავთ იმედი, რომ ადამიანი შეიძლება, კეთილი იყოს. სხვაგვარად, საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად ამხელა თამაშს არ წამოიწყებდით.

შანტალმა კარი გაიხურა და ვისკოსის ერთადერთ და სრულიად უკაცრიელ ქუჩას გაუყვა. ის ტიროდა, ცრემლებს ვერაფრით იკავებდა. თავისდაუნებურად, თვითონაც გახდა ამ თამაშის მონაწილე: მიუხედავად ბოროტებისა, რომელიც ამქვეყნად არსებობდა, მან ფსონი ადამიანების სიკეთეზე დადო. თავის სიცოცხლეში არავის არასოდეს მოუყვებოდა უცხოელთან ამ შეთანხმების ამბავს, რადგან ახლა მისთვისაც აუცილებელი იყო, გაეგო, ვინ გაიმარჯვებდა.

ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა, მაგრამ გოგონამ იცოდა - ჩაბნელებული ფანჯრებიდან და ჩამოფარებული ფარდებიდან ვისკოსის ბინადარნი, უკლებლივ ყველანი, მას უთვალთვალდნენ და მზერით მიაცილებდნენ სახლამდე. რა მოხდა მერე - ამ სიბნელეში ცრემლებს მაინც ვერ დაინახავდნენ.

უცხოელმა კი თავის ნომერში ფანჯარა გამოაღო, რომ ღამეულ ცივ ჰაერს წამიერად ჩაეხშო დემონის ხმა.

როგორც ელოდა, ამან არ გაჭრა - დემონი შანტალთან საუბრით ზედმეტად იყო აღტყინებული. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე უცხოელმა პირველად შეამჩნია დემონის დასუსტება. წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ წავიდა და მიატოვა, მაგრამ მაშინვე ისევ შეიგრძნო მისი სიახლოვე - არც დასუსტებული იყო, არც

გამლიერებული, უბრალოდ, ისეთივე იყო, როგორც ადრე. ის უცხოელის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში ბინადრობდა, იმ ადგილას, რომელიც გონიერებასა და ლოგიკას წარმართავდა, მაგრამ ცხადლივ და სხეულებრივ არასოდეს ეჩვენებოდა, ამიტომაც უცხოელი წარმოსახვით ცდილობდა მის დანახვას. ყოველთვის სულ სხვადასხვაგვარად წარმოიდგენდა ხოლმე, დაწყებული ყველაზე ჩვეულებრივი - რქიანი და კუდიანი ეშმაკის სახით - და ქერა, ხუჭუჭთმიანი ქალიშვილის გამოსახულებით დამთავრებული. ბოლოს წარმოსახვა ოციოდე წლის შავთმიან ბიჭზე შეაჩერა: მას შავი შარვალი და ცისფერი პერანგი ეცვა და კინკრიხოზე დაუდევრად ჩამოეფხატა მწვანე ბერეტი.

მისი ხმა პირველად იმ კუნძულზე ჩაესმა, სადაც სამსახურიდან წასვლისთანავე გაემგზავრა. მაშინ სანაპიროზე იდგა, იტანჯებოდა, მაგრამ გამწარებით ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, რომ ეს ტანჯვა მალე დასრულდებოდა. სწორედ იმ დროს მოჰკრა თვალი მზის ჩასვლას - ამაზე ლამაზი არასოდეს არაფერი ენახა, - და იმავე წამს ისევ წარმოუდგენელი სიძლიერით მოიცვა სასოწარკვეთამ და სულში გადახსნილი უფსკრულის პირას მიიყვანა - ამ უმშვენიერეს მზის ჩასვლას მისი ცოლ-შვილი ვეღარასოდეს ნახავდა. მას ქვითინი წასკდა, რადგან სწორედ მაშინ შეიგრძნო, რომ ვეღარასოდეს ამოვიდოდა ამ უფსკრულიდან.

იმავე წამს ვიღაცის მეგობრულმა და თანაგრძნობით გამსჭვალულმა ხმამ უთხრა, რომ მარტო არ იყო ამქვეყნად, ხოლო ის, რაც თავს გადახდა, იდუმალი აზრით იყო აღსავსე - ყოველი ადამიანის ბედი წინასწარ არის განსაზღვრული და დაწერილი. ტრაგედია გარდაუვალია. რასაც უნდა ვაკეთებდეთ, როგორც უნდა მოვიქცეთ, მაინც ვერ შევძლებთ, გვერდი ავუაროთ იმ გზას, რომელსაც უცილობლად მივყავართ ბოროტისაკენ.

„სიკეთე საერთოდ არ არსებობს. სათნოება და მაღლი საშინელების ერთ-ერთი სახესხვაობაა, - ჩაესმოდა ხმა, - როცა ადამიანი ამას გააცნობიერებს, მიხვდება, რომ ჩვენი სამყარო მხოლოდ და მხოლოდ სათამაშოა ღვთის ხელში“.

და ამის შემდეგ იმავე ხმამ, - რომელმაც თავს სამყაროს მპყრობელი უწოდა და ისიც უთხრა, რომ თავად ფლობდა ყველა იდუმალ ცოდნას, - იმის ახსნა დაიწყო, ვინ იყვნენ ამ პლაჟზე მის ირგვლივ თავმოყრილი ადამიანები.

„აგერ, ოჯახის სამაგალითო მამა, რომელიც ბავშვებს ჩაცმაში ეხმარება - სინამდვილეში მხოლოდ იმაზე ოცნებობს, თავის მდივანთან გააბას რომანი, მაგრამ ცოლის რისხვისა ეშინია. მის ცოლს ძალიან უნდა, იმუშაოს და დამოუკიდებლობა მოიპოვოს, მაგრამ ქმრისა ეშინია. იქვე არიან მათი შვილები, ძალიან კარგად იქცევიან, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ, არ დაისაჯონ.“

აგერ, ჩრდილში, განმარტოებით ზის ქალიშვილი და წიგნს კითხულობს - თავი უდარდელად უჭირავს, სინამდვილეში კი შიშისგან ცახცახებს, სიცოცხლის ბოლომდე მარტოხელა არ დავრჩეო.

ამ ჩოგნიან ბიჭსაც სული შიშით აქვს სავსე, რადგან მთელი სიცოცხლე მოუწევს იმ იმედების გამართლება, მშობლები მასზე რომ ამყარებენ.

აგერ ის ოფიციალტი, მდიდარ კლიენტებს ტროპიკულ სასმელებს რომ სთავაზობს - შიშით ძრწის, რადგან ყოველ წუთს შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ.

ეს სტუდენტი გოგონა კი ოცნებობს მოცეკვავე გახდეს, მაგრამ მეზობლების ჭორებმა შეაშინა და ახლა ადვოკატობას აპირებს.

ამ მოხუცმა სიგარეტის წევას თავი დაანება და არც სასმელს ეკარება, ირგვლივ ყველას არწმუნებს, ერთიცა და მეორეც შემმაგდაო. სინამდვილეში, სიკვდილის შიშით დაზაფრული ამბობს უარს ორივეზე.

აგერ, ნაპირზე წყლის დგაფუნითა და სიცილით ჩაირბინეს ახლად დაქორწინებულებმა - ბედნიერები არიან, მაგრამ გულში იდუმალი შიში აქვთ ჩაბუდებული, რომ სულ მალე დაბერდებიან, დაუძღვრდებიან და დამახინჯდებიან.

აი, გზისპირზე გაჩერებული მანქანიდან ვიღაც ბატონი ილიმება და მზედაკრულ ხელს ვიღაცას უქნევს, გული კი შიშისაგან ეწურება, რადგან იცის, რომ აუცილებლად გაკოტრდება.

ამ სამოთხისეულ ყოფას კი შორიდან გადმოსცქერის სასტუმროს პატრონი, კლიენტების საამებლად თვითონაც რომ კანიდან ძვრება და არც თავის თანამშრომლებს ასვენებს, მაგრამ მასაც გული შიშით აქვს გათანგული, რადგან, თუმცა პატიოსანი ადამიანია, რომელიმე ჩინოვნიკმა რომ მოინდომოს, საბუღალტრო დავთრებში მაინც აღმოუჩენს დარღვევებს.

ირგვლივ არაჩვეულებრივი პეიზაჟია: პლაჟი, მშვენიერი საღამოს სილამაზით სუნთქვაც კი შეგეკვრება, ადამიანთა სულებში კი შიშია ჩაბუდებული. მარტოობისა და სიბნელის შიში, წარმოსახვა რომ საკუთარი დემონებით ავსებს; შიში იმისა, რომ კარგი ტონის დაწერილი თუ დაუწერილი კანონები არ დაარღვიო; ღვთის სამსჯავროს შიში, ადამიანთა ჭორებისა და კანონმდებლობის შიში, თვით უმნიშვნელო დანაშაულსაც რომ სჯის; რისკისა და ყველაფრის დაკარგვის, სიყვარულისა და უარყოფის, ხელფასის მომატების, უცნობ ადგილებში მოგზაურობის და უცხო ენაზე ლაპარაკის, ცუდი შთაბეჭდილების მოხდენის, დაბერებისა და სიკვდილის შიში; შიში - რომ შენიშნავენ შენს ნაკლოვანებებს ან ვერ შენიშნავენ ღირსებებს, და შენი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით შეუმჩნეველი დარჩები.

შიში, შიში და შიში. ცხოვრება ტერორის რეჟიმით მიედინება დამოკლეს მახვილის ქვეშ. „იმედი მაქვს, ეს მაინც დაგამშვიდებს, - ჩაესმოდა დემონის ხმა, - სასოწარკვეთა

მხოლოდ შენი ხვედრი როდია, ყველა ასე ცხოვრობს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შენ უკვე განვლე უსაშინლესი რამ: ის, რისიც ყველაზე მეტად გემინოდა, რეალობად იქცა. შენ ახლა აღარაფერი გაქვს დასაკარგი, დანარჩენები კი შიშით არსებობენ: ერთნი აცნობიერებენ ამას, მეორენი ცდილობენ, ყურადღება არ მიაქციონ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის აქვეა, მათ გვერდით, და ერთხელაც იქნება, წამოეწევა“.

დაუჯერებელი იყო, მაგრამ უცხოელს თითქოს გულზე მოეშვა - უცხო ადამიანთა ტანჯვამ ტკივილი დაუყუჩა. იმ დღიდან დემონი უფრო ხშირად ესაუბრებოდა. ასე გაგრძელდა ორ წელიწადს. და იმის შეგრძნება, რომ დემონი უკვე სრულად დაეპატრონა მის სულს, არც ახალისებდა და არც ანაღვლებდა.

რაც უფრო ეჩვეოდა დემონს, მით მეტად ცდილობდა, მისგან შეეტყო, რა იყო ბოროტება, მაგრამ პასუხი ერთხელაც არ მიუღია.

„უაზრობაა, სცადო და გაიგო, რატომ ვარსებობ. თუკი აუცილებლად გჭირდება ამის ახსნა, შეგიძლია, საკუთარ თავს უთხრა, რომ მე ვარ ის სასჯელი, რაც ღმერთმა თავისთვის განიზიარა, როცა დაუფიქრებლად შექმნა სამყარო“.

და რადგანაც ეშინოდა თავის თავზე არ სურდა ლაპარაკი, უცხოელმა თვითონ დაიწყო იმ ტექსტების ძებნა, სადაც ჯოჯოხეთი მოიხსენიებოდა. თითქმის ყველა რელიგიის წმინდა წიგნებში იყო ლაპარაკი „განსასჯელზე“, საითაც ადამიანის უკვდავი სული მიემართებოდა, თუ სიცოცხლეში კაცობრიობის წინაშე ჩაიდენდა დანაშაულს. დიახ, სწორედ კაცობრიობის წინაშე, და არა - პიროვნებისა. ზოგიერთი წიგნი ამტკიცებდა, რომ სხეულს განშორებული სული მდინარეს გადაცურავდა, ძალს ხვდებოდა და იმ კარიბჭეში შედიოდა, რომელსაც ველარასოდეს დააღწევდა თავს. ადამიანის მიწიერ სხეულს მიწასვე აბარებდნენ, ამიტომ ადგილი, სადაც მის სულს უნდა ეტანჯა, მიწისქვეშეთში მდებარე წყვდიადის საუფლო იყო. ხოლო იმ აზრს, რომ იქ, შიგნით, ცეცხლი გიზგიზებდა, ადამიანებს ვულკანების ამოფრქვევა უმტკიცებდა, და წარმოსახვა უკარნახებდა, რომ ცოდვილ სულებს მარადიული ცეცხლი შთანთქავდა.

ერთ-ერთ არაბულ წიგნში უცხოელმა საიქიოში ტანჯვის საინტერესო აღწერა აღმოაჩინა: სხეულს განშორებულ სულს სამართებლის პირის სიგანის ადგილი უნდა გაეგლო (საით მიჰყავდა სული ამ გზას, წიგნში არ იყო აღწერილი); მარჯვნივ სამოთხე იყო, მარცხნივ კი - კონცენტრირებული რკალები, რომლებიც დედამიწის წყვდიადის სიღრმისკენ მიემართებოდა. ცოდვილს მარჯვენა ხელით თავისი კეთილი საქმეები მიჰქონდა, მარცხენით კი - ცოდვები. მიწიერი ცხოვრების დამსახურებათა მიხედვით, იქით გადავარდებოდა, საითაც სიმძიმე გადასწონიდა.

ქრისტიანულ წიგნებში აღწერილია ადგილი, საიდანაც გოდება და კბილთა ღრჭენანი ისმის.

იუდაიზმის მიხედვით ჯოჯობეთი მიწისქვეშა გამოქვაბულია, მხოლოდ გარკვეული რაოდენობის სულელებს რომ იტევს და იმ დღეს, როცა ჯოჯობეთი ცოდვილებით გაივსება, დადგება კიდეც სამყაროს აღსასრული.

ისლამი ჯოჯობეთს განმარტავს, როგორც ცეცხლს, რომელიც შთანთქავს ცოდვილთ, „თუ ღმერთი სხვაგვარად არ ინებებს“.

ინდუიზმისათვის ჯოჯობეთი არ არის მარადიული სატანჯველი. ამ რელიგიის მიმდევართ სწამთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ სული კვლავ განსხეულდება, რათა იქ გამოისყიდოს თავისი ცოდვები, სადაც ჩაიდინა, ანუ ამ სამყაროში. და მაინც, ამ რელიგიაშიც არსებობს მიღმიერ სამყაროში ტანჯვის 21 სახეობა. მათგან თითოეულს თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი „მიწიერ სამყაროში“.

ბუდისტებიც განასხვავებენ სასჯელს, რაც საიქიოში მიესჯება სულს: რვა ცეცხლოვანი ჯოჯობეთია და რვა - ყინულოვანი, არის კიდეც ერთი საუფლო, სადაც ცოდვილი ვერც სიცხეს გრძნობს და ვერც სიცივეს, მაგრამ მარადიული შიმშილისა და წყურვილისათვის არის განწირული.

თუმცა, გამომგონებლობის მხრივ, ჩინელებს ვერავინ შეედრება; სხვებისაგან განსხვავებით, მათ რელიგიაში ჯოჯობეთი მიწის ქვეშ არ მდებარეობს. ჩინელებს სწამთ, რომ ცოდვილთა სულელები მთაზე ადიან, რომელსაც „ფოლადის მცირე ღობე“ ჰქვია და „ფოლადის დიდი ღობით“ არის გარშემორტყმული. მათ შორის სართულებად განთავსებული რვა დიდი ჯოჯობეთი თექვსმეტ პატარა ჯოჯობეთს მართავს, რომლებსაც თავის მხრივ, ათი მილიონი პატარ-პატარა ჯოჯობეთები ექვემდებარება. ჩინელების რწმენით, ეშმაკთა ლეგიონები იმ ცოდვილი სულელებისაგან შედგება, რომელთაც უკვე მოხდილი აქვთ სასჯელი.

მაშასადამე, ეშმაკის წარმოშობასა და ბუნებას დამაჯერებლად მხოლოდ ჩინელები ხსნიან - ეშმაკებს საკუთარ ტყავზე აქვთ გამოცდილი ბოროტება და ცდილობენ, სხვა სულელებიც ამ გზით ატარონ, რათა შურისძიების მარადიული ციკლი შექმნან.

„ალბათ, მეც იგივე მემართება“, - გაიფიქრა უცხოელმა და შანტალის სიტყვები გაახსენდა. ამ სიტყვებს ეშმაკმაც მოჰკრა ყური და მაშინვე მიხვდა, რომ ამდენი შრომით მოპოვებული ტერიტორიის ნაწილი დაკარგა. ამ ადგილის ხელახლა დაპყრობის ერთადერთი გზა იყო, არ დაეშვა, რომ უცხოელის სულში ექვს დაესადგურებინა.

„ჰო, ეჭვი გეპარება, - უთხრა ეშმაკმა, - სახრჩობელას ამბავი მშვენიერია და კარგადაც განმარტავს მთავარს: ადამიანები იმიტომ იქცევიან სათნოდ, რომ არსებობს შიში. თუმცა, თავისი არსით, ისინი ბოროტები არიან და მაშასადამე - ჩემი შთამომავლები“.

უცხოელი სიცივისაგან კანკალებდა, მაგრამ მაინც ვერ გადაეწყვიტა ფანჯრის დახურვა.

- ღმერთო, მე არ დამიმსახურებია ის, რაც შემამთხვია. და თუკი შენ გამიმზადე ეს სატანჯველი, მეც შემიძლია, ასევე მოვექცე სხვებს. ეს სამართლიანი იქნება.

ეშმაკი დაფრთხა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, რადგან არ უნდოდა, სხვას დაენახა, რომ თვითონაც შიშით ძრწოდა. მისი ქვეშევრდომი ღმერთს სცოდავდა და თავის ქმედებას ამართლებდა, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო; ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ეშმაკმა პირველად გაიგონა, რომ მან ღმერთს მიმართა.

ეს უკვე ცუდი ნიშანი იყო.

„კარგი ნიშანია“, - გაიფიქრა შანტალმა, როცა მოახლოებული პურის ფურგონის ხმა შემოესმა. ვისკოსის ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესით მიედინებოდა: ადამიანები სახლებიდან გამოდიოდნენ, პურს ყიდულობდნენ, წინ შაბათი და კვირა ელოდათ და ამ ორ დღეს უსასრულოდ ილაპარაკებდნენ შემოთავაზებულ ნადღევზე, მერე კი, ორშაბათს - არც მთლად სინდისის ქენჯნის გარეშე - სასტუმროსთან შეიკრიბებოდნენ, რათა ენახათ, როგორ წავიდოდა ქალაქიდან უცხოელი. და, აი, მაშინ მოუყვებოდა შანტალი თავის თანამემამულეებს, რა სანადღეო დაუდო უცხოელს და როგორ მოუგო. ის აუწყებდა, რომ გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში და გამდიდრდნენ.

არა, ცხადია, მას, საბინის მსგავსად, წმინდანად არავინ შერაცხავდა, მაგრამ მრავალი და მრავალი ათწლეულის განმავლობაში გაიხსენებდნენ მის სახელს; იმ ადამიანს, ვინც ბოროტების მეორედ მოსვლისგან იხსნა ქალაქი; ეგებ მის შესახებ ლეგენდებიც შეეთხზათ; ეგებ მომავალ ვისკოსელებს ბავშვებისათვის მოეთხროთ, რომ იყო ერთი ძალიან ლამაზი გოგონა, სახელად შანტალი, რომელიც სხვა ახალგაზრდებივით ვისკოსიდან არ წასულა, რადგან ხვდებოდა, რომ აქ უნდა აღესრულებინა თავისი ვალი. დედაბრები ეკლესიაში მისი სულის მოსახსენიებლად დაანთებდნენ სანთლებს; ყმაწვილები ამ გმირ ქალიშვილზე იოცნებებდნენ და გული დასწყდებოდათ, მის ნახვას რომ ვერ მოესწრნენ.

სიამაყით გულავსებულ შანტალს ანაზღად გაახსენდა, რომ ენისთვის კბილი უნდა დაეჭირა და თავისი კუთვნილი ოქროს შესახებ არაფერი წამოსცდენოდა, თორემ ბოლოს იმაშიც დაარწმუნებდნენ, რომ თუ თავის წილ ოქროს თანამემამულეებს არ გაუნაწილებდა, წმინდანად ვეღარ ჩაითვლებოდა.

შანტალი თავისი ქცევით უცხოელსაც სულის გადარჩენაში ეხმარებოდა და როცა ამქვეყნად ჩადენილ ცოდვათა მოსანანიებლად უფლის წინაშე წარდგომის ჟამი დადგებოდა, ესეც მაღლად ჩაეთვლებოდა. თუმცა ახლა უცხოელის ბედი ნაკლებად აწუხებდა, მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, სწრაფად გასულიყო ეს ორი დღე, რადგან უკვე ძალიან უჭირდა ამ საიდუმლოს დაფარვა.

ვისკოსის ბინადარნი მეზობელი ქალაქების მცხოვრებლებზე არც უკეთესები იყვნენ და არც უარესები, მაგრამ შანტალი ერთ რამეში მაინც დარწმუნებული იყო -



მკვლელობას ვერ ჩაიდენდნენ. ახლა კი, როცა ოქროს ზოდების ამბავი უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა, ინიციატივას ვერავინ გამოიჩინდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჯილდო ყველას თანაბრად უნდა განაწილებოდა, შანტალს კი ქალაქში ისეთი არავინ ეგულებოდა, ვინც სხვის გასამდიდრებლად საკუთარ თავს საფრთხეში ჩაიგდებდა; მეორეც: რომც გაეკეთებინათ ასეთი რამ - რისიც შანტალს ერთი წამითაც არ სჯეროდა, - მკვლელობაში ვისკოსის მთელ მოსახლეობას უნდა მიეღო მონაწილეობა, ცხადია, იმ ადამიანის გამოკლებით, ვისაც მსხვერპლად აირჩევდნენ. ერთ ადამიანსაც რომ ეთქვა უარი - სხვა თუ არავინ, თვითონ შანტალი მაინც არ დაეთანხმებოდა მკვლელობას, - ვისკოსის ბინადართ დაპატიმრება არ ასცდებოდათ. სჯობს ღარიბი, პატიოსანი და თავისუფალი იყო, ვიდრე მდიდარი და - პატიმარი.

კიბეზე ჩასვლისას შანტალს გაახსენდა, რომ მერის არჩევნებმაც კი ამ სამქუჩიან პატარა ქალაქში ცხარე კამათი გამოიწვია და ვისკოსის ბინადარნი სხვადასხვა პარტიად დაყო. როცა ქვედა ქალაქში საბავშვო პარკის გაშენება გადაწყვიტეს, ისეთი გააფთრებული დებატები გაიმართა, მშენებლობა ვეღარ დაიწყო - ერთნი ამტკიცებდნენ, პარკის გაშენება უაზრობა იყო, რადგან ვისკოსში ბავშვები არ ჰყავდათ, მეორენი კი დაჟინებით იმეორებდნენ, რომ პარკს თუ გააშენებდნენ, ბავშვებიც დაბრუნდებოდნენ: შვებულების დროს ჩამოსული მშობლები სასიკეთო ცვლილებებს შენიშნავდნენ და ბავშვებს მშობლიურ ქალაქში ჩამოიყვანდნენ. ვისკოსელები ყველაფერზე კამათობდნენ - იმაზე, ვარგოდა თუ არა პური; იმაზეც, რა ფასად უნდა გაეცათ ნადირობის ლიცენზია; იმაზეც, არსებობდა თუ არა „წყეული მგელი“; კამათობდნენ ბერტას უჩვეულო ქცევაზე და, ალბათ, სასტუმროს კლიენტებთან შანტალ პრიმის საიდუმლო შეხვედრებზეც. თუმცა, ჯერ ვერავის გაეხედა, ამის შესახებ პირდაპირ ეთქვა მისთვის.

შანტალი პურის ფურგონთან მივიდა, თავის სიცოცხლეში პირველად ეჭირა თავი ისე, თითქოს თავად ასრულებდა უმთავრეს როლს ვისკოსის ცხოვრებაში. დღემდე ის ერთი დაუცველი, ღარიბი, გასათხოვარი გოგო იყო, ბარში რომ მუშაობდა და ვერა და ვერ ეპოვა ცხოვრების თანამგზავრი, მაგრამ ორი დღის შემდეგ ფეხებს დაუკოცნიდნენ, გულმოწყალებისა და სულგრძელობისთვის მადლობას ეტყოდნენ და იქნებ მერის თანამდებობაც კი შეეთავაზებინათ (თვითონ, ალბათ, უარს იტყოდა, ერჩია, თავისი ახალი მდგომარეობით დამტკბარიყო და სრულად შეეგრძნო უჩვეულო დიდება).

ფურგონთან შეკრებილი ადამიანები უხმოდ ყიდულობდნენ პურს. ყველა შანტალს უყურებდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა.

- რა ხდება დღეს ვისკოსში? - გაუკვირდა მძღოლს, - ვინმე ხომ არ მოკვდა?

- არა, - უპასუხა მჭედელმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შაბათ დღეს გამოძინება შეეძლო, მაინც პურის საყიდლად მოსულიყო, - უბრალოდ, ვიღაც-ვიღაცეები ცუდად იქცევიან და ეს გვაწუხებს.

შანტალი ფურგონთან იდგა და ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა.

- აიღე, რაც გინდა, - შემოესმა ვიღაცის ხმა, - მძლოლს ეჩქარება.

გოგონამ მექანიკურად გაუწოდა ფული და პური გამოართვა. ფურგონის მძლოლმა მხრები აიჩეჩა, თითქოს ამით გამოხატა თავისი გაოცება, შანტალს ხურდა დაუბრუნა, საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა.

- ჰოდა, ახლა მე გეკითხებით, რა ხდება ჩვენს ვისკოსში? - შეშინებულ შანტალს ნათქვამი საკმაოდ ხმამაღალი გამოუვიდა.

- თვითონაც იცი, რაც ხდება - ფულის სანაცვლოდ მკვლელობისკენ გვიბიძგებ! - უპასუხა მჭედელმა.

- მე არავის არ ვუბიძგებ, მხოლოდ ის გავაკეთე, რაც უცხოელმა მთხოვა! თქვენ რა, ყველანი ჭკუიდან შეიშალეთ?

- როგორც ჩანს, შენ შეიშალე. როგორ გაბედე, იმ გიჟის თხოვნა შეგესრულებინა? რაში გჭირდებოდა? ან ამით რა მოიგე? გინდა, რომ ჩვენი ქალაქი ჯოჯოხეთად იქცეს და იმ დროს დაემსგავსოს, როცა აქაბი მართავდა აქაურობას? შენ ღირსება შეილახე და უპატიოსნოდ მოიქეცი!

შანტალი აცახცახდა.

- არა, ნამდვილად შეიშალეთ! ნუთუ რომელიმე თქვენგანმა სერიოზულად აღიქვა ეს სანაძლეო?

- თავი გაანებეთ, დროა, საუზმისათვის ყავა მოვადულოთ, - თქვა სასტუმროს დიასახლისმა.

ხალხი თანდათან დაიშალა. შანტალი კი ისევ აცახცახებული იდგა, პურს გულში იხუტებდა და იმის ძალაც არ ჰქონდა, შინ წასულიყო. მისი თანამემამულეები, მუდამ და ყოველთვის რომ ეკამათებოდნენ ერთმანეთს, პირველად მისულიყვნენ ერთიან დასკვნამდე - დამნაშავე შანტალი იყო! თურმე უცხოელი და ეს სანაძლეო კი არა, შანტალ პრიმი უბიძგებდა მათ მკვლელობისაკენ. სამყარო თითქოს თავდაყირა დადგა.

შანტალმა პური თავისი სახლის ზღურბლზე დატოვა, ქუჩას გაუყვა, ქალაქიდან გავიდა და ტყისკენ გაემართა. აღარც ჭამა უნდოდა, აღარც ყავის დაღევა. საერთოდ აღარაფერი აღარ უნდოდა. ის უცებ მიხვდა უმნიშვნელოვანეს რამეს და ამის მიხვედრამ შიშით, ძრწოლითა და პანიკით აავსო.

ფურგონის მძლოლს არავინ არაფერი უთხრა.

უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ამ საკითხზე ემსჯელათ და თავიანთი აზრი აღმფოთებით ან სიცილით გამოეთქვათ. მაგრამ იმ ყმაწვილმა, პური და ფუნთუშები

რომ მოჰქონდა ვისკოსში, იმის პასუხი ვერა და ვერ მიიღო, რა ხდებოდა ქალაქში. იმ დილას ვისკოსელებს პირველად შეეკრათ პირი და არავის სურდა, წუხანდელ ამბავზე უცხოსთან ელაპარაკა, თუმცა, უკვე ყველამ იცოდა, რაც ბარში მოხდა და ყველანი გაუცნობიერებლად ჩაერთვნენ დუმილის შეთქმულებაში.

იქნებ, ყოველი მათგანი გულის სიღრმეში წარმოიდგენდა წარმოუდგენელს და თავის შესაძლებლობებს აფასებდა.

ბერტამ დაუძახა. დედაბერი ისევ კართან იჯდა და უაზროდ აკვირდებოდა ქალაქის ცხოვრებას - უაზროდ იმიტომ, რომ ქალაქში უკვე შემოსულიყო საფრთხე და ეს საფრთხე უფრო მეტი იყო, ვიდრე ვინმეს შეეძლო, წარმოედგინა.

- ლაპარაკის თავი არა მაქვს, - უთხრა შანტალმა, - აღარც ფიქრი შემიძლია, აღარც მოქმედება და არც რაიმეზე ლაპარაკი.

- მაშინ გვერდით მომიჯექი და მომისმინე.

ამ დილას შეხვედრილ ადამიანთაგან მხოლოდ მოხუცი ბერტა მოეკიდა თანაგრძნობით. შანტალი არა მარტო მიუჯდა, არამედ ჩაეხუტა კიდევ. ერთხანს ასე ისხდნენ, მერე კი ბერტამ დაარღვია სიჩუმე:

- ტყეში წადი, ცოტა დამშვიდდი, რომ საღად მსჯელობა შეძლო. ბრალი არაფერში მიგიძღვის. ეს მათაც იციან, მაგრამ დამნაშავე სჭირდებათ.

- დამნაშავე უცხოელია.

- მხოლოდ მე და შენ ვიცით მაგ კაცის ნამდვილი ვინაობა. მე და შენ, და სხვამ არავინ. დანარჩენებს კი უნდათ, დაიჯერონ, რომ შენ უღალატე, რადგან შეგეძლო, უფრო ადრე გეთქვა ყველაფერი და, რაკი არ უთხარი, მაშასადამე, არ ენდობოდი და მოღალატე ხარ.

- მოღალატე?

- ჰო.

- მაინც, რატომ უნდათ ამის დაჯერება?

- დაფიქრდი და მიხვდები.

შანტალი დაფიქრდა. უნდათ იმიტომ, რომ ადამიანი სჭირდებათ, ვისაც ყველაფერს დააბრალებენ. იმიტომ, რომ მსხვერპლი სჭირდებათ.

- არ ვიცი, რით დასრულდება ეს ყველაფერი. ჩვენს ქალაქში წესიერი ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ, როგორც ერთხელ თქვი - ცოტა წაილაჩრებენ. ასე რომ, იქნებ, აჯობოს კიდევ, დროებით გაეცალო აქაურობას, - თქვა ბერტამ.

დედაბერი, ალბათ, ხუმრობდა - სერიოზულად ვის უნდა დაეჯერებინა უცხოელის ნადღევი? ალბათ, არავის. ამას გარდა, შანტალს არც წასასვლელი ჰქონდა სადმე და არც ფული.

როგორ თუ ფული არ ჰქონდა? ის ოქროს ზოდი რაღა იყო, ტყეში რომ ელოდა და პლანეტის ნებისმიერ კუთხეში შეეძლო მისი წაყვანა? მაგრამ შანტალს ამაზე ფიქრიც არ უნდოდა.

სწორედ იმ წუთს, თითქოს ბედის ირონიით, მათ წინ უცხოელმა ჩაიარა და, როგორც ყოველთვის, ახლაც მთებისკენ გაემართა. ქალებს რომ გაუსწორდა, უხმოდ დაუქნია თავი და გზა განაგრძო. ბერტამ თვალი გააყოლა, შანტალმა კი აქეთ-იქით გაიხედა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ვერავინ დაინახა, როგორ მიესალმა უცხოელი. ხომ შეიძლებოდა, ისიც ეთქვათ, პირი აქვთ შეკრული და ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენო.

- დღეს ცუდ გუნებაზე ჩანს, - ჩაილაპარაკა დედაბერმა, - უცნაურია.

- იქნებ მიხვდა, რომ იმან, რაც ხუმრობით ჩაიფიქრა, უკვე სერიოზული სახე მიიღო?

- არა, აქ რაღაც სხვაა... არც კი ვიცი, მაგრამ... თუმცა, მგონი... არა, ვერ ვხვდები.

„ჩემს ქმარს ეცოდინება“, - გაიფიქრა ბერტამ და მარცხენა მხრიდან სულისშემხუთველი შემფოთება შეიგრძნო. მაგრამ ახლა ქმართან დალაპარაკება არ შეიძლებოდა.

- აქაბი გამახსენდა, - თქვა ხმამაღლა.

- არაფრის მოსმენა არ მინდა, არც აქაბზე, არც ჩვენი ქალაქის ისტორიაზე, საერთოდ, არაფერზე! მხოლოდ ის მინდა, რომ ყველაფერი ძველებურად იყოს და ვისკოსი, მთელი თავისი ნაკლოვანებების მიუხედავად, ვიღაც შემლილის გამო არ დაიღუპოს.

- მე მგონი, თვითონაც ვერ ამჩნევ, როგორ გიყვარს ვისკოსი!

შანტალი ისევ კანკალმა აიტანა. ბერტამ ხელი მოხვია, მხარზე მიიყრდნო და შვილივით მიუალერსა, თუმცა, შვილი არასოდეს ჰყოლია.

- აქაბმა ხალხს სამოთხისა და ჯოჯოხეთის ამბავიც დაუტოვა. ამ ამბავს ჩვენი მამა-პაპანი თავიანთ შვილებს გადასცემდნენ, მაგრამ ახლა, რატომღაც, ყველამ დაივიწყა. ერთხელ ადამიანი, ცხენი და ძაღლი გზად მიდიოდნენ. ერთ უზარმაზარ ხეს რომ ჩაუარეს, ხეს მეხი დაეცა და სამივემ ერთად განუტევა სული. თუმცა ადამიანი მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ეს სამყარო მიატოვა, და თავის ცხენთან და ძაღლთან ერთად გზა განაგრძო. ზოგჯერ მიცვალებულებს რაღაც დრო სჭირდებათ, რათა თავიანთი სიკვდილი გააცნობიერონ...

ეს რომ თქვა, ქმარი დაუდგა თვალწინ, რომელიც იქვე იდგა და დაჟინებით სთხოვდა, გაეშვა გოგონა, რადგან რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეცნობებინა მისთვის. ბერტას

მოუნდა, ქმრისთვის აეხსნა, რომ ის რა ხანია, ცოცხლებში აღარ ეწერა და ამიტომაც, სიტყვა არ უნდა შეეწყვეტინებინა ცოლისათვის.

- გზა შორი იყო, თანაც აღმართს აუყვებოდა. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა და სამივე სიცხესა და წყურვილს გაეთანგა. მოსახვევს რომ გასცდნენ, მარმარილოს დიდებული პორტალი დაინახეს, მის უკან კი - ოქროთი მოკირწყლული მოედანი. მოედნის შუაგულში შადრევნიდან ცივი და სუფთა წყალი გადმოჩქეფდა. მოგზაური შესასვლელის მცველისაკენ გაემართა.

- გამარჯობა.

- გაგიმარჯოს.

- რა ჰქვია ამ მშვენიერ ადგილს?

- სამოთხე.

- რა კარგია, რომ სამოთხემდე მოვალწიეთ, ძალიან გვწყურია.

- შეგიძლია, შეხვიდე და იმდენი დალიო, რამდენიც გინდა.

- ჩემი ცხენი და ძაღლიც წყურვილით იხოცებიან.

- ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იქ ცხოველების შეყვანა აკრძალულია, - უთხრა მცველმა.

მოგზაური შეწუხდა, წყურვილი კლავდა, მაგრამ წყლის დასაღევად მარტო არ შევიდა, მცველს მადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო. კიდევ დიდხანს მიაბიჯებდნენ აღმართზე. ბოლოს ძალაგამოლეულებმა რაღაც დასახლება დაინახეს: გადაფერდებულ და ჭიით გამოჭმულ მესერს იქით მოუკირწყლავი ხეივანი მოჩანდა. ერთ-ერთი ხის ქვეშ სახეზე ქუდმიფარებული კაცი იწვა და, ეტყობოდა, ეძინა.

- გამარჯობა, - მიესალმა მგზავრი.

მწოლიარემ მისალმების ნიშნად უსიტყვოდ დაუქნია თავი.

- მე, ჩემი ცხენი და ძაღლი წყურვილით ვიხოცებით.

- აგერ, იმ ქვეშ იქით წყაროა. დალიეთ, რამდენიც გენებოთ.

მოგზაური, ცხენი და ძაღლი ნაკადულთან მივიდნენ და წყურვილი მოიკლეს.

მერე ისევ იმ კაცთან დაბრუნდნენ მადლობის სათქმელად.

- შემოიარეთ ხოლმე, ყოველთვის სიამოვნებით გაგიმასპინძლებით, - უპასუხა მან.

- ხომ ვერ მეტყვი, რა ჰქვია ამ ადგილს?

- სამოთხე.

- სამოთხე? მარმარილოს პორტალთან დარაჯმა გვითხრა, რომ სამოთხე იქ იყო.

- არა, იქ სამოთხე კი არა, ჯოჯოხეთია.

- თუ ასეა, რატომ არ აუკრძალავთ ტყუილის თქმას? - დაიბნა მოგზაური, - ამან ხომ დიდი არეულობა შეიძლება გამოიწვიოს?

- პირიქით, დიდ სამსახურს გვიწვევენ. იქ ისინი რჩებიან, ვისაც ნამდვილი მეგობრების დალატი შეუძლია.

ბერტა თავზე მოეფერა შანტალს და შეიგრძნო, გოგონას ტვინში როგორი გააფთრებით ებრძოდა ერთმანეთს ბოროტება და სიკეთე, ამიტომ სთხოვა, ტყეში წასულიყო და ბუნებისათვის ეკითხა რჩევა.

- ამას იმიტომ გთხოვ, რომ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ამ მთებში შეყუჟული ჩვენი პატარა სამოთხეც მზად არის, მეგობარს უღალატოს.

- ცდები, ბერტა. შენ სხვა თაობას ეკუთვნი, შენს ძარღვებში ჯერ კიდევ იმ ავაზაკთა სისხლი ჩქეფს, ოდესღაც ვისკოსში რომ ცხოვრობდნენ; ჩემი სისხლი კი უკვე სიკეთით არის გაზავებული. აქაურები კეთილშობილი ადამიანები არიან. კეთილად თუ არა, ერთმანეთს ეჭვის თვალთ მანაც უყურებენ, და ეჭვი თუ არა, შიში მანაც აქვთ შერჩენილი.

- იქნებ ვცდები კიდევ, მაგრამ შენ მანაც ისე მოიქეცი, როგორც გითხარი. ბუნებას მიუგდე ყური.

შანტალი წავიდა. ბერტამ კი ქმრის აჩრდილის დამშვიდება სცადა - დაუშვებელია, ასაკოვანს კი არა, გადაბერებულ ადამიანსაც კი სიტყვა შეაწყვეტინო და არ დააცადო, კეთილი რჩევა მისცეს გოგონას. უკვე რა ხანია, საკუთარ თავზე ზრუნავდა, ახლა კი დრო იყო, ვისკოსზე ეზრუნა.

ქმარმა უთხრა, რომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და ამდენი რჩევა არ მიეცა შანტალისათვის, რადგან ამქვეყნად არავინ იცოდა, როგორ განვითარდებოდა ეს ამბავი და რით დასრულდებოდა.

ქმრის პასუხმა ბერტა გააოცდა, დარწმუნებული იყო, მიცვალებულებმა ყველაფერი იცოდნენ. განა ქმარმა არ გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; ან, იქნებ, დაჩაჩანაკებულს ჭკუა გამოეღია და ერთი და იმავე კოვზით წვნიანის ჭამის გარდა, სხვა უცნაურობებიც დასჩემდა?

ქმარმა შეახსენა, რომ მიცვალებულებს ასაკი არ ემატებათ. ისიც უთხრა, რომ თუმცა ბევრი ასეთი რამ იციან, რაც ცოცხლებს არც დაესიზმრებათ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ დიდი დრო სჭირდებათ უმაღლესი ანგელოზების სამყოფამდე მისაღწევად. მან კი სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა თავისი მიწიერი ცხოვრება - ჯერ თხუთმეტი

წელიც არ იყო გასული - და კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სასწავლი, ჩასაწვდომი, მიუხედავად იმისა, რომ მაინც ახერხებდა, ბერტასთვის დახმარება გაეწია.

ბერტამ ჰკითხა, ლამაზი იყო თუ არა უმაღლესი ანგელოზების საუფლო. ქმარმა ურჩია, მთელი ენერჯია ვისკოსის გადასარჩენად მიემართა. თუმცა, ვისკოსის ბედი დიდად არ აწუხებდა - თვითონ უკვე მკვდარი იყო, რეინკარნაციის საკითხი კი ჯერ სერიოზულად არც განიხილებოდა (თუმცა ვიღაც-ვიღაცეები ამაზე უკვე მსჯელობდნენ), თანაც, რეინკარნაცია რომც ყოფილიყო შესაძლებელი, პირადად მას ახალი ცხოვრების დაწყება ახალ, უცნობ ადგილზე ერჩია. ამგვარად, მხოლოდ იმიტომ ცდილობდა ვისკოსის გადარჩენას, რომ მის ცოლს მშვიდად და უშფოთველად გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

„ამაზე შეგიძლია, არ იდარდო“, - გაიფიქრა ბერტამ. მაგრამ ქმარი მაინც უმტკიცებდა, რომ კართან ჯდომა აღარას არგებდა, რაღაც აუცილებლად უნდა ელონა. თუ ბოროტება გაიმარჯვებდა, ამ პატარა, ყველასაგან მივიწყებული ქალაქიდან, მხოლოდ სამი ქუჩის, მოედნისა და ეკლესიისაგან რომ შედგებოდა, ბოროტება მთელ ველს მოედებოდა, მერე - მთელ რაიონს, ქვეყანას, კონტინენტს, ზღვებსა და მთელ სამყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ვისკოსში ორას ოთხმოცდაერთი ადამიანი ცხოვრობდა, რომელთაგან შანტალი ყველაზე ახალგაზრდა იყო, ბერტა კი - ყველაზე ბებერი, ქალაქს სულ ხუთი ადამიანი მართავდა: სასტუმროს დიასახლისი ტურისტების მიღებასა და გამასპინძლებაზე იყო პასუხისმგებელი; მღვდელი ადამიანთა სულელებს პატრონობდა; მერი სანადირო ლიცენზიებს გასცემდა; მერის ცოლი მერსა და მის გადაწყვეტილებებს წარმართავდა; „წყეული მგლის“ მიერ დაწყევლილი და სასწაულებრივად გადარჩენილი ადგილობრივი მჭედელი და ბოლოს, ის ადამიანი, ვისაც ქალაქის გარშემო მიწის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა. ეს მან არ ისურვა საბავშვო პარკის მშენებლობა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სულ მალე ვისკოსი ისევ დაიწყებდა ზრდას და იმ მშვენიერ ადგილას დიდებული სახლის აშენებას გეგმავდა.

ვისკოსის დანარჩენი ბინადარნი ნაკლებ ინტერესდებოდნენ იმით, რაც ხდებოდა ან არ ხდებოდა ქალაქში. მათ თავიანთი საზრუნავი ჰქონდათ - ცხვრები, ხორბალი და ოჯახები, რომლებიც უნდა ერჩინათ. ისინი დადიოდნენ სასტუმროს ბარში, ესწრებოდნენ წირვას, იცავდნენ კანონებს, სამჭედლოში მიჰქონდათ ნამგლები, ცელები და სხვა საგნები და დროდადრო მიწასაც ყიდულობდნენ.

მთავარი მიწათმფლობელი კი ბარში არ დადიოდა და მთელი ეს ამბავი თავისი მოახლისაგან შეიტყო: მოახლე წინა საღამოს ბარში ყოფილიყო და უკან მობრუნებული, აღელვებული უყვებოდა თავის მეგობრებსა და ბატონს სასტუმროში დაბინავებული უმდიდრესი კაცის შესახებ. მისგან შვილი რომ გავაჩინო, ვინ იცის, იქნებ იმ კაცმა თავისი ქონების ნაწილი მაინც მისცეს ჩემს შვილსო.

მიწათმფლობელმა, ვისკოსის მომავლით რომ იყო შეშფოთებული და იმითაც, რომ შანტალ პრიმის ისტორიას ტურისტები და მონადირეები შეეძლო დაეფრთხო, სასწრაფო თათბირი მოიწვია. სწორედ იმ წუთებში, როცა შანტალი ტყისკენ მიაბიჯებდა, უცხოელი თავის იდუმალ ბილიკებში დაკარგულიყო, ხოლო ბერტა გარდაცვლილ ქმარს ეკითხებოდა, ღირდა თუ არა ქალაქის გადასარჩენად გარჯა, პატარა ეკლესიის სანაწილეში ვისკოსის პირველი პირები შეიკრიბნენ.

- პოლიცია გამოვიძახოთ! - თქვა მიწათმფლობელმა, - ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია. ცხადია, არავითარი ოქრო არ არსებობს. საერთოდ, მგონია, რომ ეს უცხოელი ჩემი მოსამსახურის შეცდენას აპირებდა და ამიტომ აყრიდა თვალეზში ნაცარს.

- ვერ დაგეთანხმებით, თქვენ იქ არ ყოფილხართ და არაფერი არ იცით, - უპასუხა მერმა, - ოქრო მართლა არსებობს. სენიორიტა პრიმი, დამამტკიცებელი საბუთი რომ არ ჰქონდეს, ხმას არ ამოიღებდა და საეჭვოდ არ გახდიდა თავის სახელს. იმაში ნამდვილად გეთანხმებით, რომ პოლიცია უნდა გამოვიძახოთ. სულაც არ არის გამორიცხული, უცხოელი სამართალდამცველებს ემალებოდეს, იქნებ მის დასაჭერად ჯილდოც კია დაწესებული, ის კი ჩვენს მხარეში ნამარცვის გადამალვას ცდილობს.

- სისულელეა! ასე რომ იყოს, უფრო ფრთხილად იქნებოდა, - შეედავა სასტუმროს დიასახლისი.

- მოკლედ, ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობოთ პოლიციას.

შეთანხმდნენ. ვნებების დასაცხრობად მღვდელმა ჭიქებში ღვინო ჩამოასხა. დამსწრეებმა ახლა იმაზე დაიწყეს საუბარი, რას ეტყოდნენ პოლიციას, რადგან უცხოელის წინააღმდეგ მართლაც არ გააჩნდათ არავითარი მამხილებელი საბუთი და გამორიცხული არ იყო, ეს საქმე, ბოროტმოქმედებისაკენ წაქეზებისათვის, შანტალ პრიმის დაპატიმრებით დასრულებულიყო.

- ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი ოქროა. ოქროს გარეშე არავინ დაგვიჯერებს.

ეს ხომ ცხადი იყო. მაგრამ სად იყო ახლა ის ოქრო? ოქრო მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდა ნანახი და იმანაც არ იცოდა, სად გადამალა უცხოელმა.

მღვდელმა შესთავაზა, ხალხი გამოეყვანათ და ქალაქის მიდამოები მოეჩხრიკათ, მაგრამ სასტუმროს დიასახლისმა ფარდა გადასწია, საიდანაც სასაფლაოს ხედი იშლებოდა, მარჯვნივ და მარცხნივ მთები მოჩანდა, ქვევით კი - ველი, და თქვა:

- ასი კაცი და ასი წელი დაგვჭირდება ამ ოქროს მოსაძებნად.

მიწათმფლობელს კიდევ ერთხელ დასწყდა გული, რომ ასეთი მშვენიერი ადგილი სასაფლაოსთვის ცდებოდა - მიცვალებულებს ხომ სულაც არ ადარდებდათ, რა ხედი იშლებოდა მათი საფლავებიდან.



- ოდესმე ამ სასაფლაოზეც მოგვიწევს ლაპარაკი, - ნაფიქრს მიუხვდა მღვდელი, - შეგვიძლია, მიცვალებულებს აქვე ახლოს, ბევრად უკეთესი ადგილი შევთავაზოთ, ეკლესიის მიმდებარე მიწა კი სხვაგვარად გამოვიყენოთ.

- ამ მიწას არავინ იყიდის და აქ არაფერს ააშენებენ.

- ადგილობრივები არ იყიდიან, ტურისტები კი ძალიან ბედნიერები იქნებიან, თუ ამ მხარეში საზაფხულო სახლის შეძენას მოახერხებენ. ოღონდ, ჩვენს თანამემამულეებს უნდა ვთხოვოთ, ბევრი არ ილაპარაკონ. ქალაქიც იხეირებს და მერიაც გამდიდრდება.

- მართალს ბრძანებთ. ვისკოსელებს უნდა ვთხოვოთ, რომ სასაფლაო არ ახსენონ. ეს ძნელი არ იქნება.

ანაზღად სიჩუმე ჩამოწვა - ჩამოწვა დიდი ხნით და ველარავინ ბედავდა ამ სიჩუმის დარღვევას. ქალები ფანჯრიდან გადაშლილ მიდამოს გასცქეროდნენ, მღვდელი ბრინჯაოს პატარა ჯვარცმას წმენდდა, მიწათმფლობელი ღვინოს წრუპავდა, მჭედელი კი უკვე მერამდენედ იხსნიდა და იკრავდა ფეხსაცმლის ზონრებს. მერი წამდაუწუმ დასცქეროდა საათს, თითქოს ყველას მიანიშნებდა, რომ სხვა უამრავი საქმეც ჰქონდა გასაკეთებელი.

თუმცა ადგილიდან არავინ იძვროდა. ყოველმა აქ მყოფმა იცოდა, რომ ვისკოსელებს სიტყვაც არ დასცდებოდათ, თუკი ვინმე სასაფლაოს მიწების ყიდვას დააპირებდა, თუნდაც იმიტომ არ ამოიღებდნენ ხმას, რომ ამ სასიკვდილოდ განწირულ ქალაქში ერთხელ მაინც ენახათ ახალმოსახლე. მაგრამ ქალაქის ბინადარნი გახვრეტით ცენტსაც ვერ მიიღებდნენ თავიანთი დუმილის ფასად.

რომ მიეღოთ?

რომ მიეღოთ იმდენი, რამდენიც სიცოცხლის ბოლომდე ეყოფოდით?

რომ მიეღოთ იმდენი, რამდენიც სიცოცხლის ბოლომდე ეყოფოდით მათ და მათ შვილებსაც?

სწორედ ამ დროს სანაწილეში ცხელმა ნიავმა ჩამოიქროლა.

- რა ვქნათ? - ხუთი უგრძესი წუთის შემდეგ იკითხა მღვდელმა.

ყველა მისკენ შებრუნდა.

- თუ ჩვენი თანამემამულეები მართლაც არაფერს იტყვიან, მგონი, შეგვეძლება, მოლაპარაკებები დავიწყოთ, - უპასუხა მიწათმფლობელმა, თან ყოველ სიტყვას წონიდა, რომ მისი ნათქვამის დამახინჯება ვერავის მოეხერხებინა და ნათქვამის აზრიც გასაგები ყოფილიყო დამსწრეთათვის.

- ჩვენი თანამოქალაქეები წესიერი, შრომისმოყვარე და თავმდაბალი ადამიანები არიან, - სასწრაფოდ შეაშველა სიტყვა სასტუმროს დიასახლისმა და მანაც ისევე

ფრთხილად განაგრძო საუბარი, როგორც მიწათმფლობელმა, - მაგალითად, დღეს მეფუნთუშეს უნდოდა, გაეგო, რა ხდებოდა ქალაქში, მაგრამ სიტყვაც არავის დაუძრავს. ასე რომ, შეგვიძლია, მათი იმედი გვქონდეს.

და ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ამჯერად დუმილი უფრო მძიმე იყო, დამთრგუნველი და ყველაფრის გამომააშკარავებელი. და მაინც, თამაში გრძელდებოდა და ახლა მჭედელმა გამოთქვა აზრი:

- ამ საქმეში ჩვენი თანამოქალაქეების თავმდაბლობა არ კმარა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ იმის გაკეთებას ვაპირებთ, რაც ვიცით, რომ ამორალური და დაუშვებელია.

- რის გაკეთებას?

- ნაკურთხი მიწის გაყიდვას.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. საკითხის პრაქტიკული მხარე უკვე განხილული და გადაწყვეტილი იყო, მაშასადამე, ახლა შეეძლოთ, საკითხის მორალურ მხარეზე ელაპარაკათ.

- ამორალურია, უყურო, როგორ ნადგურდება ჩვენი ვისკოსი, - განაცხადა მერის ცოლმა, - ხვდებოდე, რომ ჩვენ ვართ უკანასკნელნი, ვინც ამ ქალაქში იცხოვრებს და ჩვენი წინაპრების, ჩვენი მამა-პაპის, აქაბის, კელტების ოცნებები რამდენიმე წელიწადში გაქრება. მალე ჩვენც მივატოვებთ ვისკოსს - ზოგნი მოხუცთა თავშესაფარში წავალთ, ზოგნი შვილებს დავასხდებით კისერზე და ვაიძულებთ, გვიპატრონონ ჩვენ - დაუძლურებულებს, ქანცგამოლეულებს, წარსულზე დანადვლიანებულებსა და შერცხვენილებს იმით, რომ ძალა არ გვეყო, მომავალი თაობებისათვის გადაგვეცა წინაპრების ნაანდერძევი.

- მართალს ბრძანებთ, - დაეთანხმა მჭედელი, - ამორალურად ვცხოვრობთ. რადგან, ვისკოსის ნგრევასთან ერთად, ეს ველ-მინდორიც გაუკაცურდება, ანდა გროშის ფასად იყიდის ვიღაცა. მერე მანქანები გამოჩნდება, ახალ გზებს გაიყვანენ, სახლებს დაანგრევენ და მათ ადგილას, იმ მიწაზე, ჩვენი წინაპრების სისხლით რომ არის მორწყული, რკინის კოშკებს ააშენებენ. პურს მანქანები გალეწავენ, ადამიანები დილაობით მოვლენ სამუშაოდ და საღამოობით ისევ თავიანთ სახლებს დაბრუნდებიან. აი, რა სირცხვილი და თავლაფის დასხმა ერგო წილად ჩვენს თაობას - ჩვენ ნება დავრთეთ ჩვენს შვილებს, აქაურობა მიეტოვებინათ! ჩვენ ვერ შევძელით, შვილები მშობლიურ მიწაზე დაგვეტოვებინა.

- ამიტომ, ვალდებულები ვართ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გადავარჩინოთ ეს ქალაქი, - თქვა მიწათმფლობელმა.

ის იყო ერთადერთი, ვისაც ხელს აძლევდა ვისკოსის დაცემა: შეეძლო, მთელი მიწები შეესყიდა და შემდეგ რომელიმე მსხვილი კომპანიისათვის მიეყიდა, თუმცა, სულაც

არ იყო დაინტერესებული, გროშებად გაეყიდა ის მიწა, რომლის წიაღშიც განძი იყო დამალული.

- თქვენ რაღას იტყვით, მამაო? - მღვდელს მიმართა სასტუმროს დიასახლისმა.

- მე მხოლოდ ჩემი რელიგიის საკითხებში ვერკვევი და ამ რელიგიას საფუძვლად უდევს ერთი ადამიანის მსხვერპლი კაცობრიობის გადასარჩენად.

და მესამედ ჩამოწვა დუმილი - ახლა უკვე ცოტა ხნით.

- შაბათის წირვისთვის უნდა მოვემზადო, - განაგრძო მან, - მოდით, ამ სადამოს ერთხელ კიდევ შევიკრიბოთ.

ყველა მაშინვე დაეთანხმა და შეხვედრის საათი დათქვეს. ყველას საქმიანი და შეწუხებული სახე ჰქონდა, წინ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ელოდათ.

- რაც ახლა ბრძანეთ, მამაო, ძალიან საინტერესოა, - ჩვეული გულგრილობით თქვა მერმა, - მშვენიერი თემაა ქადაგებისათვის. მგონი, ურიგო არ იქნებოდა, დღევანდელ წირვას ყველანი დავსწრებოდით.

შანტალი აღარ ყოყმანობდა, პირდაპირ იმ ადგილისკენ გაეშურა, ასო „Y“ -ს რომ ჩამოჰგავდა. გზად იმაზე ფიქრობდა, რას მოიმოქმედებდა ოქროს წამოღების მერე. ალბათ, შინ დაბრუნდებოდა, ფულს აიღებდა, ტანთ გამოიცვლიდა, რომ ამინდის ჭირვეულობაზე არ ყოფილიყო დამოკიდებული, გზაზე გავიდოდა და შემხვედრ მანქანას გაჰყვებოდა. უკან მოიტოვებდა სანამლეოს: აქაურები ღირსნი არ იყვნენ იმ სიმდიდრისა, პირდაპირ ხელში რომ უვარდებოდათ. ჩემოდანს, ალბათ, არ წაიღებდა, არ უნდოდა, ვინმე მიმხვდარიყო, რომ სამუდამოდ ტოვებდა ვისკოსს, მთელი თავისი მშვენიერი და უმაქნისი ლეგენდებით, მშიშარა და კეთილშობილი ხალხით, მუდამ ერთსა და იმავე თემაზე მოლაპარაკე, ერთი და იმავე სტუმრებით სავსე ბართა და ეკლესიით, რომელშიც არასოდეს შედიოდა.

და ის ზიზღი, ნახევარი საათის წინ მთელ სხეულში რომ ჰქონდა გამჯდარი, სულ სხვა, ბევრად სასიამოვნო გრძნობით შეეცვალა - შანტალი მოსალოდნელი შურისძიებით ტკბებოდა.

მოსწონდა, რომ სწორედ თვითონ დაანახებდა თანამემამულეებს, რამდენი ბოროტება ჩაბუდებულიყო მათ, თითქოსდა, უბრალო და კეთილ სულებში. ყველანი ამ ბოროტმოქმედების ჩადენაზე ოცნებობდნენ. მხოლოდ ოცნებობდნენ, ჩადენას კი ვერავინ ბედავდა. ასე, ძილ-ბურანში გაატარებენ ლაჩრულ სიცოცხლეს და თავს თავიანთი კეთილშობილებითა და იმის ღრმა რწმენით დაიმშვიდებენ, რომ მუდამ მზად იყვნენ, ქალაქის ღირსება დაეცვათ, მაგრამ უკვე ისიც ეცოდინებათ, რომ მხოლოდ შიშმა შეაჩერა ისინი და არ მოკლეს უდანაშაულო ადამიანი. დილაობით საკუთარი სულიერი სიმტკიცით იამაყებენ, ღამდამობით კი თავს დაიწყევლიან, რომ ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან!

პირველი სამი თვის განმავლობაში ბარში მხოლოდ იმაზე ილაპარაკებენ, რა წესიერი და კეთილშობილი ხალხი ცხოვრობს ვისკოსში. მერე სანადირო სეზონი დაიწყება და ამ თემას ცოტა ხნით დაივიწყებენ, რადგან უცხოებთან არ ღირს ამ ამბავზე საუბარი: ისინი ხომ ვისკოსში ჩამოდიან, რათა ღვთით კურთხეულ მხარეში დაისვენონ, სადაც ყველა ერთმანეთის მეგობარია, სადაც უცილობლად ბატონობს სიკეთე, ბუნება გულუხვია და ადგილობრივი პროდუქტებიც, პატარა ფარდულში რომ იყიდება, ერთიანად არის გაჯერებული ამ უსაზღვრო სიყვარულით.

დასრულდება სანადირო სეზონი და ისევ მიუბრუნდებიან ამ თემას, ოღონდ, ამჯერად - რაკი ამ თვეების მანძილზე ყოველ სადამოს იფიქრებენ დაკარგულ სიმდიდრეზე - თავიანთი ამგვარი ქცევის მიზეზს ჩაემიებიან, ეცდებიან, გაერკვნენ, რატომ არავის ეყო ვაჟკაცობა, ღამის სიბნელესა და სიჩუმეში მოეკლათ ყოვლად უმაქნისი დედაბერი ბერტა და, სანაცვლოდ, ოქროს ათი ზოდი მიეღოთ? ან - მწყემსი სანტიაგო, მთის ფერდობისაკენ უთენია რომ მიერეკება ხოლმე ფარას. ნადირობის დროს რატომ არ გახდა ვინმე უბედური შემთხვევის მსხვერპლი? ასე იმსჯელებენ სხვადასხვა ვარიანტზე - ჯერ სირცხვილნარევი თავშეკავებით, მერე კი - გააფთრებით.

ამასობაში ერთი წელიწადიც გავა და ქალაქის ბინადართ ერთმანეთი შესძულდებათ - ვისკოსმა ხომ გამდიდრების უნიკალური შანსი ვერ გამოიყენა. მაშინ ისიც გაახსენდებათ - შანტალ პრიმი, რომლმაც, ალბათ, ჩუმად მიაღწენა თვალი უცხოელს, იცოდა, სადაც გადამალა ოქრო, ამოთხარა და უკვალოდ გაქრა ქალაქიდან. აი, მაშინ კი აღარაფერს შეარჩენენ, გაიხსენებენ, ბებუის სიკვდილის შემდეგ მთელი ქალაქი როგორ უმართავდა ხელს ამ უმადურ, არაფრის მქონე გოგოს, რომელსაც აქედან წასასვლელი ფულიც არ ჰქონდა, ბარში დაიწყო მუშაობა, და იმის ნაცვლად, რომ გათხოვილიყო და ოჯახი შეექმნა, სასტუმროს კლიენტებს - უმეტესად, ასაკოვან კაცებს, - ლოგინში უგორდებოდა, ტურისტებს ეკვლუცებოდა და ამით ჭამდა ლუკმაპურს.

და სიცოცხლის ბოლომდე გულს დაუფლეთთ ორი შეგრძნება - საკუთარი თავის სიბრალული და ზიზღი. შანტალს კი ბედნიერებას შეაგრძნობინებს ეს შურისძიება. არასოდეს დაავიწყდება, როგორ უცქეროდა პურის საყიდლად მოსული ხალხი; თვალებით როგორ სთხოვდნენ, ხმა არ ამოეღო მოსალოდნელ მკვლელობაზე, რასაც ვერასოდეს გაბედავდნენ, მაგრამ სწორედ ამიტომაც, მასვე დაადანაშაულებენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამჟღავნდა მათი სილაჩრე.

„ჟაკეტი. ტყავის შარვალი. ორ პერანგს ჩავიცვამ და ოქროს ქამართან მივიმაგრებ. ჟაკეტი, ტყავის შარვალი. ჟაკეტი“.

და, აი, უკვე იმ ქვაყრილთან იდგა, ასო „Y“ -ს რომ ჰგავდა. იქვე ეგდო პირწამახული ტოტიც - ორი დღის წინ ამ ტოტით გათხარა მიწა. შანტალი იდგა და სრულად

შეიგრძნობდა იმ წუთს, რომლის წყალობითაც პატიოსანი გოგო ქურდად უნდა ქცეულიყო.

სულაც არა. იმ უცხოელმა წააქეზა და, სანაცვლოდ, კომპენსაცია უნდა მიეღო. ეს ოქრო იყო ამ ფარსში მონაწილეობის საფასური. ბევრი რამის გამო დაიმსახურა: იმიტომ, რომ პურის ფურგონთან თავმოყრილი, არშემდგარი მკვლელების მზერას გაუძლო; იმიტომაც, რომ მთელი სიცოცხლე ვისკოსში გაატარა; იმიტომაც, რომ ზედიზედ სამ ღამეს არ სძინებია; იმიტომაც, რომ სული წაიწყმიდა - თუკი, ცხადია, არსებობდა სული და მისი ხსნა.

მან ფხვიერი მიწა გათხარა და ზოდი დაინახა. იმავე წამს რაღაც ხმაც მოესმა.

უთვალთვალეობდნენ. მიწის კომტები ისევ ორმოში ჩაყარა, თუმცა ხვდებოდა, რომ უკვე გვიან იყო. მერე შებრუნდა და ახსნა-განმარტებისთვის მოემზადა - აქ იმიტომ ვთხრიდი, რომ გუშინ უცხოელს მოგვარი თვალი, დღეს დილას კი გათხრილი მიწა შევამჩნიეო.

მაგრამ იმან, რაც დაინახა, ხელ-ფეხი გაუყინა - მას, ვინც მის ზურგს უკან იდგა, არც განძი აინტერესებდა, არც არეულობა ვისკოსში, არც სამართლიანობა და უსამართლობა. მას მხოლოდ სისხლი სწყუროდა.

თეთრი ნიშანი მარცხენა ყურზე. „წყეული მგელი“.

მგელი ისე იდგა, რომ უახლოეს ხესთან მისარბენ გზას უღობავდა. მისი ცისფერი თვალებით მონუსხული შანტალი ადგილს მიეყინა, გონება კი საოცარი სისწრაფით უმუშავებდა: რა უნდა ექნა? ტოტით ვერ მოიგერიებდა - ძალიან პატარა იყო და იარაღად არ გამოდგებოდა. შეეძლო, ქვაყრილზე ამძვრალიყო, მაგრამ იქაც ვერ დაიმალებოდა. ან, იქნებ, ლეგენდა არად ჩაეგდო და სხვა მგელივით დაეფრთხო, თუმცა ეს ძალიან სახიფათო ჩანდა; ჯობდა, ისევ დაეჯერებინა, რომ ნებისმიერ ლეგენდაში სიმართლეა დაფარული.

„ეს უკვე სასჯელია“.

სასჯელი და, თანაც, დაუმსახურებელი, როგორც ყველაფერი, რაც მის ცხოვრებაში მომხდარა: თითქოს საგანგებოდ აირჩია ღმერთმა, რომ მისი დახმარებით თავისი ზიზღი ეჩვენებინა სამყაროსათვის.

ყოვლად გაუცნობიერებელ ინსტინქტს დამორჩილებულმა შანტალმა მიწაზე ფრთხილად დადო ტოტი და ეშვებისაგან თავის დასაცავად, ყელთან ხელი ისე წელა მიიტანა, რომ ეგონა, ეს მოძრაობა საუკუნე გაგრძელდა. ნეტავ ტყავის შარვალის მაინც ჩაეცვა; თეძოებიც საკმაოდ საშიში ადგილი იყო, მგელს რომ არტერიისთვის გაეკრა კბილი, ათ წუთში სისხლისგან დაიცლებოდა - ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ მონადირეები, როცა უხსნიდნენ, რატომ იცვამდნენ მალაყელიან ჩექმებს.

მგელს ტანზე ბეწვი აეჯაგრა და მუქარით დაიყმუვლა. არ აშინებდა, უბრალოდ, თავდასხმას აპირებდა. შანტალი ჯერ თვალებში უცქეროდა, მაგრამ დაკრეჭილი კბილების დანახვისთანავე, გული ფეხებში გაეპარა.

სულ რამდენიმე წამში გაირკვეოდა, ეცემოდა მგელი თუ გზას განაგრძობდა. მაგრამ შანტალი დარწმუნებული იყო - არ წავიდოდა. ძირს დაიხედა, შეამოწმა, ქვა ხომ არ ეგდო სადმე, რომ გაქცევისას ფეხი არ წამოეკრა. ქვა ვერ დაინახა. გადაწყვიტა, მგლისკენ წასულიყო, ერჩია მგელს ფეხში ეტაცა პირი, ტკივილს როგორმე გაუძლებდა, მაგრამ ასე უფრო მოახერხებდა ხემდე მიეთრია მგელი.

შანტალს ოქრო გაახსენდა. გაიფიქრა, რომ ისევ დაბრუნდებოდა და თან წაიღებდა. ნებისმიერ იმედს ეჭიდებოდა, რაც ძალას მისცემდა და შეაძლებინებდა, ღირსეულად შეხვედროდა იმ წუთს, როცა ალესილი კბილები ძვლამდე ჩაესობოდა, იქნებ, თავიც ვერ შეეკავებინა და დაცემულიყო, აი, მაშინ კი მგელი ყელს გამოლადრავდა.

გასაქცევად მოემზადა.

და იმავე წამს - როგორც კინოებში ხდება ხოლმე, - მგლის ზურგს უკან, თუმცა საკმაოდ მოშორებით, ადამიანი დაინახა.

მგელმაც იგრძნო უცხო მოახლოება, მაგრამ თავი არ შეუბრუნებია, არც შანტალს მოუშორებია მგლისთვის თვალი. დარწმუნებული იყო, მხოლოდ ნებისყოფის ძალით აკავებდა ნახტომისაგან, ამიტომაც აღარ უნდოდა, ხიფათში ჩაეგდო თავი: ის ადამიანი თუ მოუახლოვდებოდა, გადარჩენის შანსიც გაუჩნდებოდა - თუნდაც ეს ოქროს ფასად დასჯდომოდა.

მოშორებით მდგარ ადამიანს ხმა არ ამოუღია, დაიხარა, მერე მარცხნივ წავიდა. შანტალმა იცოდა - იქ ხე იდგა, რომელზეც ადვილად შეიძლებოდა აძრომა. იმავე წამს ჰაერში რაღაცამ გაიშხუილა და მგლის გვერდით ქვა დაეცა. მხეცი წარმოუდგენელი სისწრაფით შეტრიალდა საფრთხის მიმართულებით.

- გაიქეცი! - იყვირა უცხოელმა.

შანტალი თავისი ერთადერთი თავშესაფრისკენ გაიქცა, უცხოელი კი სწრაფად აძვრა მეორე ხეზე. და როცა „წყეული მგელი“ მიეჭრა, უკვე თითქმის კენწეროზე იჯდა.

მგელი ყმულით ახტებოდა ხეს და ასვლას ცდილობდა.

- ტოტები! ტოტები დაამტვრიეთ! - დაუძახა შანტალმა.

მაგრამ უცხოელი თითქოს გახვევებულიყო. შანტალმა სამჯერ გაუმეორა ერთი და იგივე, სანამ უცხოელი მიხვდებოდა, რა უნდა გაეკეთებინა, მერე კი ტოტები დაამტვრია და მგელს ესროლა.

- არა! არა! ტოტები შეაგროვეთ და ცეცხლი წაუკიდეთ! მე სანთებელა არა მაქვს! - შანტალის ხმაში სასიკვდილოდ განწირული ადამიანის სასოწარკვეთა ისმოდა.

უცხოელმა ტოტები შეაგროვა, მაგრამ ცეცხლის წაკიდებას თითქმის საუკუნე დასჭირდა, გუმინდელ წვიმას ტოტები დაენესტიანებინა, მზე კი წელიწადის ამ დროს იშვიათად გამოდის ღრუბლებიდან.

შანტალი დაელოდა, სანამ უცხოელმა იმპროვიზებული ჩირაღდანი კარგად არ გააღვივა. რომ შეძლებოდა, წავიდოდა და მარტო დატოვებდა უცხოელს - მაშინ იქნებ თვითონაც შეეგრძნო ის შიში, მთელი სამყაროსთვის რომ ჰქონდა გამზადებული. მაგრამ შანტალი ვისკოსიდან წასვლას აპირებდა და, ძალაუწევურად, უცხოელს უნდა დახმარებოდა.

- ახლა კი მოგიწევთ დაამტკიცოთ, რომ კაცი ხართ! - დაუმახა მან, - ტოტები მაგრად ჩაბლუჯეთ და ხიდან ჩამოდით, ჩირაღდანი მგელს მიუშვირეთ.

უცხოელი არ განძრეულა, თითქოს გაშეშდაო.

- რაღას უცდით, - ისევ გასძახა შანტალმა და უცხოელიც იმ ყოვლისმომცველ ძალას დაემორჩილა, გოგონას ხმაში რომ ისმოდა; ძალას, რომელიც შიშმა შვა, მაგრამ იმის უნარიც შესწევდა, წამის მეასედში მიეღო გადაწყვეტილებები და შიშისა და ტანჯვის მიუხედავად, ემოქმედა.

უცხოელმა ხიდან ჩამოსვლა დაიწყო, ყურადღება აღარ მიუქცევია, ნაპერწკლები სახეს რომ უწვავდა, აალებული ტოტები მაგრად ჩაბლუჯა. სულ ახლოს მხეცის დუჟმოდგარი, ეშვებდაკრეჭილი ხახა დაინახა და შიშმა გათანგა. მაგრამ რაღაც უნდა ელონა - დღეს მაინც, თუკი იმ დღეს უმოქმედოდ იყო, როცა მისი ცოლ-შვილი მოიტაცეს და დახოცეს.

- თვალეებში უყურეთ! - ისევ ჩაესმა შანტალის ყვირილი.

ბრძანებას დაემორჩილა. თანდათან სულ უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. ახლა მას შეეძლო, მოწინააღმდეგის იარაღისთვის კი არ ეცქირა, არამედ პირდაპირ თვალეებში ჩაეხედა მტრისთვის. ახლა უკვე ერთნაირ პირობებში იყვნენ; ახლა ორივეს შეეძლო, თავზარი დაეცა მეორისათვის.

ის მიწაზე ჩამოხტა. მგელი უკან გახტა - ცეცხლმა დააფრთხო. ისევ იღრინებოდა და ადგილზე ხტოდა, მაგრამ ახლოს ვერ ეკარებოდა.

- შეუტიეთ!

უცხოელმა მგლისკენ გადადგა ნაბიჯი. მან უფრო ხმამაღლა დაიწყო ღრენა, კბილებიც დაკრიჭა, მაგრამ უკან დაიხია.

- შეუტიეთ! გააგდეთ!

ჩირადდანი ისე აგიზგიზდა, სულ ცოტაც და, ხელს დასწვავდა. დრო აღარ რჩებოდა. დიდხანს აღარ უფიქრია, მგლის ველურ, ცისფერ თვალებს დაჟინებით ჩააცქერდა და წინ გაექანა. მგელმა ღრენა და ხტუნვა შეწყვიტა - ზურგი აქცია და ტყეს შეაფარა თავი.

შანტალი წამის უსწრაფესად ჩამოძვრა ხიდან. როდისღა მოასწრო მიწიდან ხავსის აკრეფა და ცეცხლის წაკიდება?

- ჩქარა! წავიდეთ! - დაიძახა უცხოელმა.

- სად?

სად? ნუთუ ვისკოსში, რომ ყველამ დაინახოს, ერთად როგორ ბრუნდებიან ტყიდან? შანტალს საშინლად სტკიოდა ზურგი, გულიც გამალებით უცემდა და მიწაზე ჩაიმუხლა.

- კოცონი დაანთეთ, - უთხრა უცხოელს, - უნდა დავფიქრდე.

შანტალი შეირხა და იკვილა: მხარი საშინლად ეტკინა. უცხოელმა ტოტები და ფოთლები შეაგროვა და კოცონი დაანთო. ხელის ყოველ განძრევაზე შანტალი ტკივილით იკრუნჩხებოდა და უხმოდ კვნესოდა: ალბათ, ხეზე ამრომისას თუ დაიშავა მხარი.

- არა უშავს, არა უშავს, - უთხრა უცხოელმა, როცა შენიშნა, როგორ იტანჯებოდა, - არაფერი მოგიტეხია. ასეთი რამ მეც მემართება ხოლმე - ძლიერი დამაბულობის დროს კუნთი იკუმშება. მოდი, დაგიზელ.

- ხელი არ მახლოთ. არ მომიახლოვდეთ. ნუ მელაპარაკებით.

ტკივილი, შიში, სირცხვილი. ეჭვიც აღარ ეპარებოდა, როცა ოქროს თხრიდა, უცხოელი სულ ახლოს იდგა. უცხოელი ეშმაკი იყო და ეშმაკები ადამიანის სულს გადაშლილი წიგნივით კითხულობენ, - ამიტომ მან იცოდა, რომ ამჯერად შანტალს ოქროს მოპარვა ჰქონდა გადაწყვეტილი.

მან ისიც იცოდა, რომ ამ წუთებში მთელი ქალაქი ოცნებობდა დანაშაულის ჩადენაზე. იცოდა ისიც, რომ მაინც ვერაფერს გააკეთებდნენ, რადგან ვერავინ გაბედავდა ბოროტების ჩადენას, მაგრამ განზრახვაც საკმარისი იყო, რომ თავის კითხვაზე პასუხი მიეღო: ადამიანი, უპირველესად, ბოროტების მატარებელია. ისიც იცოდა, რომ შანტალი გაქცევას აპირებდა და, ამდენად, წუხანდელი ნამღევი უკვე აღარაფერს ნიშნავდა, შეეძლო, იქ დაბრუნებულიყო, საიდანაც მოვიდა (მაინც, საიდან მოვიდა?), თავისი განძი ხელუხლებლად წაეღო და თავისი ეჭვი დამტკიცებულად ჩაეთვალა.

შანტალმა სცადა, უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო, მაგრამ ვერ შეძლო. კოცონის ალი მგელს კი აფრთხოვდა, მაგრამ მალე მწყემსების ყურადღებას მიიპყრობდა, ცეცხლისკენ წამოვიდოდნენ და ერთად ნახავდნენ.



გახსენდა, რომ დღეს შაბათი იყო. ადამიანები საშინლად უგემოვნო პატარ-პატარა ქანდაკებებით, ცნობილი ტილოების რეპროდუქციებითა და წმინდანთა თაბაშირის ფიგურებით გაძეპგილ სახლებში ისხდნენ და ცდილობდნენ, როგორმე გაერთოთ თავი. სულ მალე კი ისეთი გასართობი გამოუჩნდებოდათ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რომ აღარ ყოფილა.

- ხმა არ გამცეთ.

- მე სიტყვაც არ მითქვამს.

„ხომ არ ვიტყვით?“, გაიფიქრა შანტალმა, მაგრამ თავი შეიკავა, არ უნდოდა, უცხოელს მისი ცრემლები დაენახა.

- მე თქვენ სიკვდილს გადაგარჩინეთ და ამით დავიმსახურე ეს ოქრო.

- სიკვდილს მე გადაგარჩინე. მგელი უკვე ნახტომისათვის ემზადებოდა.

სრული სიმართლე იყო.

- მაგრამ, მეორე მხრივ, მე მგონია, შენ რაღაც გადამირჩინე სულში, - განაგრძო უცხოელმა.

ძველი ხერხია. შანტალი თავს ისე დაიჭერდა, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას ეუბნებოდა უცხოელი, და ეს იქნებოდა რაღაც ნებართვისმაგვარი, რათა მისი სიმდიდრით ესარგებლა და სამუდამოდ მიეტოვებინა აქაურობა. ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

- გუშინდელ ნაძლევზე გეუბნები. აუტანელ ტკივილს განვიცდიდი და გამოსავალს იმაში ვხედავდი, რომ სხვა ადამიანებისთვისაც ასეთივე ტკივილი მიმეყენებინა. შენ მართალი ხარ.

ემშაკს, კვალდაკვალ რომ დაჰყვებოდა უცხოელს, სულ არ მოსწონებია მისი ნათქვამი და შანტალის ეშმაკს სთხოვა დახმარება, მაგრამ ის სულ ცოტა ხნის წინ იყო გაჩენილი და გოგონას მართვას ჯერ ვერ ახერხებდა.

- მერე, ეგ რას ცვლის?

- არაფერს. ჩვენ ნაძლევი დავდეთ და დარწმუნებული ვარ, მოვიგებ კიდევ. თუმცა, ვხვდები ჩემს უბადრუკობას და იმასაც ვხვდები, ასეთი რატომ გავხდი - ვფიქრობდი, რომ უბედურება თავს დაუმსახურებლად დამატყდა.

შანტალი იმაზე ფიქრობდა, შეუმჩნევლად როგორ გასულიყვნენ ტყიდან: ჯერ ისევ ადრიანი დილა იყო, მაგრამ აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

- დარწმუნებული ვარ, პატიოსნად გამოვიმუშავე ეს ოქრო, ამიტომაც, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თან წავიღებ, - უთხრა შანტალმა, - თქვენც იმავეს გირჩევთ:

აჯობებს, ვისკოსში აღარ დავბრუნდეთ; მოდი, ველისკენ დავეშვათ, გზად მიმავალი მანქანა გავაჩეროთ და ორივე ჩვენ-ჩვენს გზას ვეწიოთ.

- წადი. მაგრამ იცოდე, რომ ვისკოსელები სწორედ ამ წუთებში მსჯელობენ, ვინ უნდა მოკვდეს.

- იქნებ ასეცაა. ამაზე ილაპარაკებენ მთელ ორ დღეს, ვიდრე დათქმული დრო არ გავა, მერე ეს კამათი კიდევ ორ წელს გაგრძელდება, დიდხანს იმსჯელებენ, ვინ უნდა ყოფილიყო მსხვერპლი. მე კარგად ვიცნობ ჩემს თანამემამულეებს: მუდამ ყოყმანობენ, როცა მოქმედებაა საჭირო, და დაუნდობლები არიან, თუ ვინმეს დადანაშაულება სჭირდებათ. თუ თქვენ ქალაქში აღარ დაბრუნდებით, კამათით თავს აღარ შეიწუხებენ, უბრალოდ, გადაწყვეტენ, რომ მე მოვიგონე ყველაფერი.

- ვისკოსი არაფრით განსხვავდება სხვა ქალაქებისაგან. რაც ვისკოსში ხდება, იგივე ხდება სხვა კონტინენტებზე, სხვა ქალაქებში, სოფლებსა და მონასტრებშიც. მაგრამ შენ ეს არ გესმის, ისევე, როგორც არ გესმის, რომ ამჯერად ბედმა გამიღიმა - მე ვიპოვე ადამიანი, ვინც მიზნის მიღწევაში დამეხმარებოდა.

„ჰო, აი, ეს გოგონა ვიპოვე, ახლა ჩემ გვერდით რომ ზის: გარეგნულად წესიერი და შრომისმოყვარე ადამიანია, მაგრამ მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობს. ჩვენ არ შეგვიძლია, მტერი დავინახოთ, რადგან ბოლომდე თუ ჩავემიებით, მივხვდებით, რომ ჩვენი ერთადერთი და ჭეშმარიტი მტერი ჩვენი ღმერთია, რომელმაც გვაიძულა, გადაგვეტანა ყველაფერი, რაც გადავიტანეთ. ამიტომაც, ყველაფერს წარუმატებლობასა და იმედგაცრუებას ვაბრალებთ, ჯავრს იმაზე ვიყრით, რაც გარს გვარტყია, და ვერასოდეს დავიოკებთ შურისძიების წყურვილს, რადგან ეს შურისძიება თავად სიცოცხლის წინააღმდეგ არის მიმართული.“

- რაზე ვლაპარაკობთ? - ჰკითხა გაბრაზებულმა შანტალმა, ამქვეყნად ყველაზე მეტად ეს უცხოელი ეზიზღებოდა და ახლა ბრაზობდა, რომ სწორედ მას ესმოდა ყველაზე კარგად, რაც მის სულში ხდებოდა, - მითხარით ერთი, რატომ არ შემიძლია, აქაურობა მივატოვო და ოქროც თან წავიღო?

- იმიტომ, რომ გუშინ მივხვდი: როცა ადამიანებს იმას ვთავაზობ, რაც ყველაზე მეტად მეზიზღება - ყოველგვარი მიზეზისა და მოტივის გარეშე მოკლან სხვა ადამიანი, ისევე, როგორც ჩემი ცოლ-შვილი დახოცეს, - ამით საკუთარი თავის გადარჩენაზე ვფიქრობ. გახსოვს, ჩვენი მეორე შეხვედრისას ერთი ფილოსოფოსის სიტყვები გითხარი. მან თქვა, რომ თავად უფალ ღმერთსაც კი აქვს თავისი ჯოჯოხეთი: ეს არის მისი სიყვარული ადამიანებისადმი, რადგან ადამიანთა ქცევა აწამებს ყოველწამიერ მთელი მისი მარადიული ცხოვრების მანძილზე. გახსოვს?

მაგრამ მანვე ისიც თქვა, რომ ადამიანს მის სულში არსებული ხინჯიც სჭირდება, რადგან ამის გარეშე ვერ მოიპოვებს სრულყოფილებას.

- ვერ ვხვდები, რას ამბობთ.

- აქამდე მე მხოლოდ ვფიქრობდი. შენი თანამემამულეების მსგავსად, მეც დღედაღამ შურისძიებაზე ვოცნებობდი, გეგმებს ვაწყობდი, ვიტანჯებოდი და არაფერს ვაკეთებდი. ერთხანს გაზეთებში ვკითხულობდი იმ ადამიანთა შესახებ, ვისაც მსგავს სიტუაციაში დაეკარგათ ახლობლები, მაგრამ ისინი სრულიად სხვაგვარად იქცეოდნენ: მსხვერპლთა დახმარების ჯგუფებს აყალიბებდნენ, სამართლიანობის გამარჯვებისთვის იბრძოდნენ, რაღაც კამპანიებს ატარებდნენ და ამით ადასტურებდნენ, რომ დანაკარგით გამოწვეულმა ტკივილმა არასოდეს არ უნდა მიგიყვანოს შურისძიებამდე.

მეც ვცადე, სულ სხვა, ალბათ, უფრო სულგრძელი კუთხით დამენახა ყველაფერი, მაგრამ ვერ შევძელი. ახლა კი, როცა ძალა მოვიკრიბე, როცა უკვე უფსკრულის პირას მივედი, მოულოდნელად ამ უფსკრულის ფსკერზე სინათლე დავინახე.

- განაგრძეთ, - უთხრა შანტალმა, რადგან თვითონაც შენიშნა შუქი.

- არ მინდა იმის მტკიცება, რომ კაცობრიობა გარყვნილი და ბოროტია. მე იმის დამტკიცებას ვცდილობ, რაც ქვეცნობიერად ვიცოდი - მე ცოდვილი ვარ და სრულიად ვიმსახურებდი იმ სასჯელს, რაც ბედმა მარგუნა.

- თქვენ გინდათ, დაამტკიცოთ, რომ ღმერთი სამართლიანია?

უცხოელი ცოტა ხნით დადუმდა.

- ალბათ.

- მე არ ვიცი, სამართლიანია თუ არა ღმერთი; ყოველ შემთხვევაში, მე დიდად სამართლიანად არასოდეს მომქცევია, ყველაზე მეტად სული სწორედ უსასოობის შეგრძნებით დამიმახინჯა. მე არ შემძლია, ისეთი კარგი ვიყო, როგორც მინდოდა, ვყოფილიყავი, ან ისეთი ცუდი, როგორც, წესით, უნდა გავმხდარიყავი. ჯერ კიდევ სულ რამდენიმე წუთის წინ ვფიქრობდი, რომ ღმერთმა მე ამირჩია ადამიანებზე შურის საძიებლად იმ ტანჯვის გამო, თვითონ რომ აყენებდნენ.

„მე მგონი, შენც იგივე ეჭვი გიღრღნის გულს, ოღონდ, ამ ეჭვის მასშტაბი შეუდარებლად დიდია. შენ კარგი ადამიანი იყავი და ეს არავინ დაგიფასა.“

შანტალი გააოცა თავისივე აზრმა. უცხოელის დემონმა კი შეამჩნია, რომ გოგონას ანგელოზის ნათელი ძლიერდებოდა.

„რამე იღონე!“ - უბრძანა უცხოელის დემონმა გოგონას დემონს.

„არ გამომდის, - უპასუხა მან, - ძალიან ძნელია ბრძოლა“.

- არა, შენ ღმერთის სამართლიანობა კი არ გთრგუნავს, არამედ ის, რომ ყოველთვის გერჩინა, გარემოებათა მსხვერპლი ყოფილიყავი. ბევრ ადამიანს ვიცნობ, ვინც ასეთ ბედისწერას ირჩევს, - უთხრა უცხოელმა.

- შენ, მაგალითად.

- არა. მე ავუმხედრდი იმას, რაც შემემთხვა, და ნაკლებად მაინტერესებს, მოსწონთ ეს სხვებს, თუ არა. შენ კი, პირიქით, უბედური და უპატრონო გოგოს როლი მოირგე, რომელიც ყველას უნდა ჰყვარებოდა და შესცოდებოდა, მაგრამ რადგანაც ეს ყოველთვის არ ხდებოდა, სიყვარულისკენ შენი დაუკმაყოფილებელი ლტოლვა შურისძიებად იქცა - ბუნდოვან და გაუცნობიერებელ შურისძიებად. სულის სიღრმეში გინდა, რომ არაფრით განსხვავდებოდე ვისკოსის სხვა ბინადართაგან - ყველა ჩვენგანს უნდა, ისეთი იყოს, როგორიც ყველაა. მაგრამ ბედისწერა სხვა გზით მიგვაქანებს.

შანტალმა უხმოდ დაუქნია თავი.

„რამე იღონე!“ - ახლა შანტალის დემონმა მიმართა თავის კოლეგას, - ეს „არას“ ამბობს, მაგრამ, იმავდროულად, მისი სული წვდომისთვის მზადაა და თანხმობას აცხადებს“.

უცხოელის დემონი იმან აღაშფოთა, რომ ახლად მოსულმა შეამჩნია მისი უძღურება: შეამჩნია, რომ ძალა არ შესწევდა თავისი ხელქვეითი გაეჩუმებინა.

„სიტყვები არაფერს ნიშნავს, - უპასუხა მან, - ილაპარაკონ, თვითონ ცხოვრება მოაწყობს ისე, რომ იმის საპირისპიროდ იმოქმედებენ, რასაც ამბობენ“.

- არ მინდოდა, შენთვის სიტყვა შემეწყვეტინებინა, თუ შეიძლება, განაგრძე. რას ამბობდი ღვთის სამართლიანობაზე? - უთხრა უცხოელმა.

შანტალი კმაყოფილი დარჩა, რომ აღარ მოუწევდა იმის მოსმენა, რაც არ სიამოვნებდა.

- არ ვიცი, გამიგებთ თუ არა. მაგრამ, ალბათ, შენიშნავდით - ვისკოსი დიდი რელიგიურობით არ გამოირჩევა, თუმცა, სხვა ქალაქების მსგავსად, აქაც დგას ეკლესია. ამიტომაც აქაბს, თუნდაც წმინდა საბინის მიერ მოქცეულს, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მღვდლები ვერაფერს შეასმენდნენ ქალაქის პირველ მცხოვრებლებს, რომელთა უმეტესობაც ავაზაკი იყო. აქაბს მიაჩნდა, წმინდა მამები, სიკვდილის შემდგომ სატანჯველზე რომ უყვებოდნენ ხალხს, ვერ მოახერხებდნენ, ახალი დანაშაულების ჩადენისაგან დაეცვათ ისინი. ადამიანი, რომელსაც აღარაფერი აქვს დასაკარგი, მარადისობაზე არ ფიქრობს.

ამიტომ, ცხადია, პირველი მღვდლის გამოჩენისთანავე იგრძნო საფრთხე და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ებრაელთაგან ნასესხები მიტევების დღე დაამკვიდრა, მაგრამ ცერემონია თავად მოიფიქრა.

\* \* \*

წელიწადში ერთხელ ვისკოსის ბინადარნი თავ-თავიანთ სახლებში იკეტებოდნენ, ორ გრაგნილს ამზადებდნენ, ყველაზე მაღალი მთისკენ შეტრიალდებოდნენ, ჯერ ერთ გრაგნილს აღმართავდნენ ცისკენ: „აი, უფალო, რა ვცოდე მე შენ წინაშე“, - იტყოდნენ და ჩადენილი ცოდვების სიას ჩაიკითხავდნენ. იქ იყო ცოლქმრული ღალატი, უსამართლობები და ათასი სხვა რამ. „მე მრავალგზის ცოდვილი ვარ, უფალო, და გვედრები, მომიტევო, რაც შეგცოდე“.

შემდეგ კი იმას აკეთებდნენ, რაც თავად აქაბმა მოიფიქრა: ვისკოსელები ახლა მეორე გრაგნილს აღაპყრობდნენ ცისკენ და წაიკითხავდნენ: „ეს კი, უფალო, ის ცოდვებია, შენ რომ მიგიძღვის ჩემ წინაშე. შენ მაიძულედი, დაუღალავად მეშრომა; ყურად არ იღებდი ჩემს ლოცვა-ვედრებას და ქალიშვილი ავად გამიხდა; მუდამ ვცდილობდი, პატიოსნად მეცხოვრა და ავაზაკებმა გამმარცვეს; ჩემი სატანჯველი აღემატებოდა ადამიანის ძალას“.

ადამიანები ცერემონიას ამ სიტყვებით ამთავრებდნენ: „მე უსამართლო ვიყავი შენ მიმართ და შენც უსამართლოდ მექცეოდი. მაგრამ დღეს მიტევების დღეა და თუ შენ ჩემი ცოდვების დავიწყებას შეძლებ, მე კი - შენისას, ისევ მოვახერხებთ, ერთ წელიწადს მშვიდად ვიცხოვროთ“.

- ღმერთს მიუტევო, მიუტევო უმოწყალო ღმერთს, რომელიც ერთთავად ქმნის და ანგრევს, - თქვა უცხოელმა.

- ჩვენი საუბარი უკვე ძალიან პირადული ხდება, - თვალი აარიდა შანტალმა, - მე ისე კარგად არ ვიცნობ ცხოვრებას, რომ შემეძლოს, რაიმე გასწავლო.

უცხოელს ხმა არ ამოუღია.

„ძალიან არ მომწონს, რაც ხდება“, - გაიფიქრა უცხოელის ეშმაკმა, რომელმაც თავისი ქვეშევრდომის მხრებთან სუსტი ნათება შეამჩნია, - რისი დაშვებაც მას არაფრით არ შეეძლო. ორი წლის წინ ერთ-ერთ ჩვეულებრივ პლაჟზე მან ამ ნათების გამეგება მოახერხა.

კულტური კერპთაყვანისმცემლობისა და პროტესტანტული მწვალებლობიდან მომდინარე ლეგენდებისა და გადმოცემების და ამ მხარეში გაბატონებული იმ წესების წყალობით, პადრემ იცოდა, აქ მობინადრე ავაზაკების დასამოშმინებლად რომ დაედგინა ვიღაც არაბს - ვისკოსის ბინადარნი რელიგიურობით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა მუდამ წესისამებრ ასრულებდნენ ჯვრისწერასა და ნათლობას (რა ხანია, მოგონებად რომ ქცეულიყო), მიცვალებულებს წესს უგებდნენ

(ასე რომ მომრავლდა ამ ბოლო ხანს) და საადდგომო ლიტურგიას ესწრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი შაბათობით, დილის თერთმეტ საათზე, მესაზე მისასავლელად თავს არ იწუხებდა, მღვდელი თუნდაც იმიტომ ატარებდა მესას, რომ ვისკოსში თავისი ყოფნა გაემართლებინა და ვისკოსელებისთვის დაემტკიცებინა, რომ წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა და მისთვის უცხო იყო უსაქმურად ყოფნა.

რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ეკლესია ხალხით გავსებული ნახა. იმდენი ხალხი მოსულიყო, ზოგიერთებს საკურთხეველთან მიახლოების ნებაც კი დართო, თუ არადა, ზოგს გარეთ მოუწევდა ყოფნა. ხალხი ოფლად იღვრებოდა, ამიტომ ჭერზე მიმაგრებული გამათბობლები არ ჩაართვევინა, რასაც ჩვეულებრივ აკეთებდა ხოლმე, ეს კი არა, ბრძანა, ორი გვერდითა სარკმელი გაეღოთ. თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავ რა არის ასეთი ოფლიანობის მიზეზი, სიცხე თუ ძლიერი მღელვარებაო.

ეკლესიაში მთელ ქალაქს მოეყარა თავი, არ იყო მხოლოდ სენიორიტა პრიმი, რომელსაც, ალბათ, ხალხში გამოჩენისა ერიდებოდა მას შემდეგ, რაც წინა ღამით ჩაიდინა, და არ იყო მოხუცი ბერტა, ყველა რომ ჯადოქრად თვლიდა, და აქედან გამომდინარე, არც მესაზე მოდიოდა ხოლმე (ჯადოქრები ხომ ღვთისმსახურებას ვერ იტანენ).

- სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა!

ეკლესიის თაღებქვეშ მრავალხმიანმა „ამინ“-მა დაიგუგუნა და პადრემ ლიტურგია დაიწყო: ჯერ პროკომიდია წარმოთქვა, მერე, როგორც ყოველთვის, მრევლიდან ყველაზე მორწმუნე ქალს დაავალა, ხმამაღლა ეთქვა ექტენია, საზეიმოდ იგალობა ფსალმუნი და მკაცრად და გარკვევით დაიწყო სახარების კითხვა. შემდეგ იმათ, ვისაც სკამები ჰქონდათ, დასხდომა სთხოვა, დანარჩენები კი ფეხზე დარჩნენ.

ქადაგების დრო დადგა.

- ლუკას სახარებაში მოთხრობილია, როგორ მიუახლოვდა ერთ-ერთი მთავართაგანი იესოს და ჰკითხა: „კეთილო მოძღვარო, რა უნდა ვქნა, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სასუფეველი?“ და მისდა გასაოცრად, იესომ უპასუხა: „რატომ მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ღმერთისა“.

მრავალ წელიწადს ვფიქრობდი სახარების ამ ნაწყვეტზე, მინდოდა, გამეგო, რას გულისხმობდა ჩვენი უფალი, როცა ამბობდა, რომ არ იყო კეთილი. იმას ხომ არა, რომ მთელი საქრისტიანო, რომელიც გულმოწყალებაზეა დაფუძნებული, ბოროტებიდან მომდინარე მცნებებით სულდგმულობდა? და ბოლოს მივხვდი: ამ პასუხში ქრისტე თავის ადამიანურ ბუნებას გულისხმობდა. ადამიანური ბუნებით ის ბოროტებით იყო სავსე; ხოლო თავისი ღვთაებრივი ბუნებით სიკეთეს განასახიერებდა.

მღვდელი დადუმდა, რათა მრევლს გაეაზრებინა მისი ნათქვამი. მაგრამ იცოდა, რომ ცრუობდა, რადგან ქრისტეს ეს სიტყვები ახლაც არ ესმოდა, და იცოდა, თუკი განკაცებული ქრისტე ადამიანური ბოროტების მატარებელი იყო, ასეთივე უნდა ყოფილიყო საქმენი მისნი და სიტყვანი მისნი. მაგრამ ამ საკითხის გასარკვევად არ ეცალა, ერჩია, სწავლული ღვთისმეტყველებისთვის მიენდო ეს საკითხი. ახლა მთავარი იყო, ამ განმარტებისათვის დამაჯერებელი ფორმა მიეცა.

- დღეს ბევრი ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. მინდა, ყველა თქვენგანმა გააცნობიეროს: ადამიანისაგან განუყოფელია იმის გაგება, რომ ჩვენ ყველანი, ჩვენი ბუნებით სულმდაბლები ვართ და ცოდვილნი, და ამის გამო, საიქიოში მარადიული სატანჯველი გვექნებოდა მოსჯილი, ქრისტეს რომ თავი არ გაეწირა ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად. გიმეორებთ: ღვთის ძის მსხვერპლმა გადაგვარჩინა ჩვენ. ერთი ადამიანის თავგანწირვამ იხსნა ადამიანთა მოდგმა.

ქადაგების დასასრულს კი მინდა, გაგახსენოთ ძველი აღთქმის ერთი ნაწილი - „იობის წიგნი“. ღმერთს, რომელიც თავის ციურ საუფლოში მყოფობდა, სატანა მიუახლოვდა. ღმერთმა ჰკითხა, სად იყო და საიდან მოვიდა.

- მთელი სამყარო მოვიარე, - უპასუხა სატანამ.

- ნახე თუ არა ჩემი მონა-მორჩილი იობი? ნახე, როგორ მეთაყვანება და ჩემს სახელს როგორ სწირავს მსხვერპლს?

- ბოლოს და ბოლოს, იობს არაფერი აკლია და რატომ არ უნდა ეთაყვანოს ღმერთს ან რატომ არ უნდა შესწიროს მსხვერპლი? - სიცილით უპასუხა სატანამ, - აბა, წაართვი ყველაფერი, რაც მიეცი და მაშინ ვნახავთ, ისევ ძველებურად გცემს თუ არა თაყვანს.

ღმერთი დათანხმდა ამ ნაძლევზე. წლების განმავლობაში ათას უბედურებას ატეხდა თავს იმ ადამიანს, ვინც ესოდენ ეთაყვანებოდა. იობი გაუცნობიერებელ ძალას ეჯახებოდა და ღვთის უმაღლეს სამართლიანობად მიიჩნევდა, თუმცა კარგავდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა - შვილები დაეხოცა და ტანზე გამოყრილი წყლულებით საშინლად იტანჯებოდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მოთმინების ფიალა არ აევსო და ღმერთი არ დაწყევლა. და სწორედ იმ წუთს დაუბრუნა ღმერთმა ყველაფერი, რაც კი წაართვა.

ჩვენ უკვე მრავალი წელია, ვაკვირდებით, როგორ ნადგურდება ჩვენი ქალაქი. და, აი, ახლა ვფიქრობ, ღმერთი ხომ არ გვსჯის იმისათვის, რომ ყველაფერს უდრტვინველად ვიღებდით, თითქოს ვიმსახურებდით იმას, რომ დაგვეკარგა ის ადგილი, სადაც ვცხოვრობდით; მინდვრები, სადაც პურის ყანას ვზრდიდით, იალაღები, სადაც ცხვარ-საქონელს ვაბალახებდით, და სახლები, რომლებზეც ჩვენი წინაპრები ოცნებობდნენ. ხომ არ მოლაწია ამბოხების ჟამმა? თუკი უფალმა იობი აიძულა, აჯანყებულიყო, იქნებ ჩვენც ამისკენ მოგვიწოდებს?

მაგრამ რატომ აიძულა იობი აჯანყებულიყო? იქნებ, იმის დასამტკიცებლად, რომ ადამიანი, თავისი ბუნებით, ცოდვილია, და ყველაფერი, რაც ღმერთმა უბოძა - მხოლოდ მოწყალებაა და არა ჯილდო კარგი ქცევისათვის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ძალიან კარგები ვიყავით, და ამით ამპარტავნობის ცოდვაში ჩავდექით. აი, ამისთვის დავისაჯეთ.

ღმერთმა სანაძლეო დაუდო სატანას, მაშასადამე, ერთი შეხედვით, არასწორად მოიქცა. მაგრამ გაიხსენეთ, ჩაუფიქრდით - ის დათანხმდა, სატანასთან დაედო ნაძლევი, სამაგიეროდ, იობმა ჭკუა ისწავლა და მოინანია, რადგანაც ისიც, ჩვენსავით, გულზვაობის ცოდვაში იყო ჩამდგარი, როცა თავს წმინდანად მიიჩნევდა.

არავინ არის კეთილი, - ამბობს უფალი. არავინ. დროა, მივხვდეთ, წმინდანებად არ უნდა მივიჩნიოთ თავი და ამით არ უნდა შეურაცხვყოთ ღმერთი. დროა, გავაცნობიეროთ ჩვენი ცოდვები და ნაკლოვანებები, და თუ ოდესმე მოგვიწევს სატანასთან დანაძლევება, გავიხსენოთ, რომ თვით უფალმა დაუდო სანაძლეო სატანას, რათა თავისი მორჩილი იობი ეხსნა.

ქადაგება დასრულდა. მღვდელმა ყველას სთხოვა, ფეხზე წამომდგარიყვნენ, და მსახურება განაგრძო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მრევლმა ზუსტად გაიგო თავისი მწყემსის ნათქვამი.

- ორივე ჩვენ-ჩვენი გზით წავიდეთ, შენ - შენი გზით, მე კი ოქროს წავიღებ და...

- „ოქროს წავიღებ!“ - გამოაჯავრა უცხოელმა, - ის ჯერ შენ არ გეკუთვნის.

- თქვენთვის იოლია, ბარგს ჩაალაგებთ და გაქრებით, მე კი ეს ოქრო თუ არ მექნა, ისევ ვისკოსში მომიწევს დაბრუნება. სასტუმროს დიასახლისის სამსახურიდან დამითხოვს, სახელიც გატეხილი მექნება - ყველა გადაწყვეტს, რომ ვიცრუე. თქვენ არ შეგიძლიათ, უბრალოდ, არა გაქვთ უფლება, ასე მომექცეთ. დამეთანხმეთ, რომ ეს ოქრო პატიოსანი შრომით მოვიპოვე.

უცხოელი წამოდგა და კოცონიდან რამდენიმე ცეცხლმოკიდებული ტოტი გამოიღო:

- მგელი ყოველთვის გაურბის ცეცხლს, ასე არ არის? ჰოდა, მე ვისკოსში ვბრუნდები. შენ შეგიძლია, ისე მოიქცე, როგორც საჭიროდ ჩათვლი: - მოიპარე, გაიქეცი, დაიმალე, ამას ჩემთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო სერიოზული საქმე მაქვს გასაკეთებელი.

- მოიცადეთ! მარტო არ დამტოვოთ!

- მაშინ, გამომყევი.

შანტალმა კოცონს, ქვაყრილსა და უცხოელს მოავლო თვალი, რომელსაც ხელში აღმოდებული ტოტები ეჭირა და უკვე კარგა შორს წასულიყო. შეეძლო იგივე გაეკეთებინა - ცეცხლმოდებული ტოტები აეღო, ოქრო ამოეთხარა და თავქვე,



ველისკენ დაშვებულიყო - აზრი აღარ ჰქონდა სათუთად მოვლილ-შენახული ნივთების წამოსაღებად შინ დაბრუნებას. მეზობელ ქალაქში მივიდოდა, ბანკში გაიგებდა, რა ღირდა ეს ზოდი, გაყიდდა და იქვე იყიდდა ტანსაცმელსა და ჩემოდნებს. ასე მოიპოვებდა თავისუფლებას.

- დამიცადეთ! - გასძახა უცხოელს, მაგრამ ის ვისკოსისაკენ მიაბიჯებდა და სადაცაა თვალსაც მიეფარებოდა.

„სწრაფად იფიქრე“, - თავს შეუძახა შანტალმა.

თუმცა, საფიქრალი არც არაფერი ჰქონდა. კოცონიდან რამდენიმე აღმოდებული ტოტი ამოიღო, ქვაყრილთან მიირბინა, ორმო ამოთხარა, ოქრო ამოიღო, სახელოთი გადაწმინდა და დახედა - თავის სიცოცხლეში უკვე მესამედ.

უცებ პანიკურმა შიშმა მოიცვა. ისევ ორმოში ჩააგდო ზოდი, კოცონიდან კიდევ რამდენიმე ტოტი ამოიღო და იქით გაიქცა, საითაც უცხოელი უნდა წასულიყო. ეჩვენებოდა, თითქოს ზიზღი ეღვრებოდა მთელი სხეულიდან. ერთ დღეში ორ მგელს გადააწყდა - ერთი ცეცხლით დააფრთხო, მეორეს კი ვერაფრით შეაშინებდა: მას უკვე დაეკარგა ყველაფერი, რაც უყვარდა, და დაბრმავებული ცდილობდა, გაენადგურებინა ყველაფერი, რაც კი გზად შეხვდებოდა.

შანტალი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, მაგრამ უცხოელს მაინც ვერ დაეწია. ალბათ, ტყეში მიიძალა, ცეცხლი ჩააქრო და „წყეული მგელი“ ორთაბრძოლაში გამოიწვია - ის ხომ ისეთივე ჟინით ისწრაფოდა სიკვდილისაკენ, როგორც მკვლელობისაკენ.

ვისკოსში შესულმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც გაუგია ბერტას ძახილი, და ეკლესიიდან გამოსული ხალხის ტალღას შეერია. გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ მთელი ქალაქი მესაზე მისულიყო. უცხოელს ბოროტება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ისე გამოვიდა, როგორც პადრეს სურდა - ეს კვირა მონანიებებსა და აღსარებებს დაეთმობოდა, თითქოს შეიძლებოდა ღმერთის მოტყუება.

ყველა შანტალს უცქეროდა, მაგრამ ხმა არავის გაუცია. შანტალი თვალს არავის არიდებდა, ყველას თამამად უყურებდა, რადგან არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა და არც მოსანანიებელი ჰქონდა რამე - ის მხოლოდ უბრალო პაიკი იყო იმ უმოწყალო ბრძოლაში, რომლის წესებსაც თანდათან ჩასწვდა. ზიზღმა მოიცვა.

თავის ოთახში ჩაიკეტა, ფანჯარაში გაიხედა. ხალხი უკვე დაშლილიყო, მაგრამ შანტალმა ერთი უცნაურობაც შეამჩნია: შემოდგომის მშვენიერი დღე იდგა, ვისკოსი კი თითქოს ჩამკვდარიყო. ჩვეულებრივ, ამ მოედანზე, სადაც მრავალი წლის წინ სახრჩობელა იდგა, ახლა კი ჯვარი იყო აღმართული, ვისკოსელები თავს იყრიდნენ და საუბრობდნენ ხოლმე.

ერთხანს გასცქეროდა დაცარიელებულ ქუჩას და გრძნობდა, სახეს კი არ სწვავდა, მხოლოდ უთბობდა ზამთრის მზე. ახლა რომ ხალხი მოედანზე მდგარიყო, ალბათ

აუცილებლად ამინდზე ილაპარაკებდნენ, სითბოზე, იმაზეც, მოვიდოდა თუ არა წვიმა ან გვალვა ხომ არ იყო მოსალოდნელი. მაგრამ დღეს ყველა შინ იყო გამოკეტილი და შანტალი ვერ ხვდებოდა, რატომ.

რაც უფრო დიდხანს იდგა ფანჯარასთან, მით უფრო ძალუმად შეიგრძნობდა, რომ არაფრით განსხვავდებოდა თანამემამულეებისაგან - თუმცა მთელი სიცოცხლე თავს სულ სხვა ადამიანად მიიჩნევდა, ისეთ გაბედულ, თამამ გეგმებს აწყობდა, მსგავსი აზრადაც არ მოუვიდოდათ აქაურ გლეხებს.

რა სირცხვილია. და, ამასთან, რა ბედნიერებაც: ის აქ იყო - ვისკოსში, არა იმიტომ, რომ ბედისწერამ დაჩაგრა, არამედ იმიტომ, რომ ამას იმსახურებდა. მთელი სიცოცხლე გრძნობდა, რომ სხვებისაგან განსხვავდებოდა, და ახლაც მიხვდა: ზუსტად ისეთივე იყო, როგორებიც სხვები. უკვე სამჯერ ამოთხარა ოქროს ზოდი და არც ერთხელ ძალა არ ეყო, წაეღო. დიახ, მან დანაშაული ჩაიდინა, ოღონდ მხოლოდ გულში, განხორციელება კი ვერ შეძლო, ვერ გაბედა, ვერ მოახერხა.

თუმცა, იმასაც ხვდებოდა, რომ სინამდვილეში ეს დანაშაული გულშიც არ უნდა გაევიღო, რადგან განსაცდელი ან საცდური კი არ იყო, არამედ ხაფანგი.

„რატომ ხაფანგი?“ - გაიფიქრა მან. რაღაც კარნახობდა, რომ ზოდში იმალებოდა იმ ამოცანის ამოხსნა, უცხოელმა რომ დაუსახა, მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაინც ვერ მიხვდა პასუხს.

ახლადმოვლენილმა დემონმა შეამჩნია, რომ სენიორიტა პრიმის მხარს უკან არსებული ნათელი, სულ ცოტა ხნის წინ რომ თანდათან მატულობდა, ახლა ჩაინავლა და სადაცაა გაქრებოდა კიდევ. რა საწყენია, რომ აქ მისი მეგობარი არ იყო და არავისთან შეეძლო თავისი წარმატებით ეტრაბახა.

მაგრამ რა იცოდა, რომ ანგელოზებსაც აქვთ თავიანთი სტრატეგია, და ნათელი მისი ყურადღების მოსადუნებლად მიიღია სენიორიტა პრიმის ზურგს უკან. ანგელოზს მხოლოდ ის სურდა, რომ მის ქვეშევრდომს დაეძინა და ძილში ისე დალაპარაკებოდა მის სულს, ხელი არავის შეეშალა - არ უნდოდა, შიშისა და დანაშაულის გრძნობა ჩართულიყო მათ საუბარში, რადგან ადამიანი ამ გრძნობებს დილიდან დაღამებამდე შეიგრძნობს ხოლმე.

შანტალმა დაიძინა. და ძილში ჩაესმა ის, რაც უნდა მოესმინა, და მიხვდა იმას, რასაც უნდა მიმხვდარიყო.

- მოდით, მიწის ნაკვეთებსა და სასაფლაოზე ნუღა ვილაპარაკებთ, - თქვა მერის ცოლმა, როცა „პირველი პირები“ ისევ ეკლესიაში შეიკრიბნენ, - გულახდილად ვთქვათ ყველაფერი.

ხუთმა თანამოსაუბრემ თანხმობა განაცხადა.

- ჩვენმა პადრემ დამარწმუნა, რომ ღმერთს შეუძლია, ზოგიერთი უღირსი საქციელიც კი გაამართლოს, - თქვა ლატიფუნდისტმა.

- ნუ თვალთმაქცობთ, - უთხრა პადრემ, - საკმარისია, ფანჯრიდან გაიხედოთ, და ყველაფერს მიხვდებით. იმიტომაც უბერავს თბილი ნიავი, რომ თავად ეშმაკმა იწება ჩვენთან მობრძანება.

- სწორია, - დაეთანხმა მერი, რომელსაც ეშმაკის არსებობისა საერთოდ არ სჯეროდა, - ჩვენი დარწმუნება არ გჭირდებათ. ასე რომ, ძვირფას დროს ნუ დაგვკარგავთ და პირდაპირ და გულახდილად ვილაპარაკოთ.

- ნებას თუ მომცემთ, მე დავიწყებ, - თქვა სასტუმროს დიასახლისმა, - ყველას ერთი და იგივე აზრი გვიტრიალებს თავში: უცხოელის წინადადება უნდა მივიღოთ. სხვაგვარად რომ

ვთქვათ, დანაშაული უნდა ჩავიდინოთ.

- უფრო სწორად, მსხვერპლშეწირვა აღვასრულოთ, - შეუსწორა რელიგიურ რიტუალებს მიჩვეულმა პადრემ.

ეკლესიაში ჩამოწოლილი სიჩუმე ადასტურებდა, რომ ამ აზრს ყველა ეთანხმებოდა.

- მხოლოდ ლაჩრებს სჩვევიათ ჩუმად მოქმედება. მოდით, ერთად ვილოცოთ, რომ ღმერთმა ყური მოგვაპყრას და გაიგოს, რომ ამას ვისკოსის საკეთილდღეოდ ვაკეთებთ. მუხლი მოიდრიკეთ.

დამსწრენი დაემორჩილნენ, თუმცა შინაგანად სინდისი ქენჯნიდათ, რადგან ხვდებოდნენ - უაზრობაა, ღმერთს იმ ცოდვის მიტევება სთხოვო, რომლის ჩადენამდეც იცოდი, რომ ბოროტებას სჩადიოდი. მაგრამ მაშინვე აქაბიც გაახსენდათ, მისი დაწესებული „მიტევების დღე“, და მიხვდნენ, რომ როცა კვლავ დადგებოდა ეს დღე, ყველა შეძლებდა, ღმერთი დაედანაშაულებინა იმ საცდურისათვის, რომელსაც წინ ვერაფრით აღუდგებოდნენ.

პადრემ მოითხოვა, ყველას გაემეორებინა მის მიერ აღვლენილი ლოცვა:

- უფალო, განა შენ არ გვასწავლიდი, რომ არავინ არის კეთილი. მაშინ მიგვიღე ჩვენც, რაოდენ არასრულყოფილნიც უნდა ვიყოთ, და შენი გამოუთქმელი გულმოწყალებითა და უსასრულო სიყვარულით მოგვიტევე, როგორც მიუტევე ჯვაროსნებს, იერუსალიმის წმინდა მიწის დასაბრუნებლად მუსლიმებს რომ ხოცავდნენ; როგორც მიუტევე ინკვიზიტორებს, შენი ეკლესიის სიწმინდეს რომ იცავდნენ; როგორც მიუტევე იმათ, ვინც შეურაცხველი და გოლგოთაზე აგიყვანა. მოგვიტევე, რამეთუ იძულებულნი ვართ, მსხვერპლი გავიღოთ ჩვენი ქალაქის გადასარჩენად.

- ახლა საკითხის პრაქტიკულ მხარეს მივუბრუნდეთ, - თქვა მერის ცოლმა, - მოდით, გადავწყვიტოთ, ვინ იქნება მსხვერპლი და ვინ აღასრულებს მსხვერპლმეწიროვას.

- იმ გოგონამ, ყველა რომ ვეხმარებოდით და თავს ვეველებოდით, ვისკოსში ეშმაკი შემოიყვანა, - თქვა ლატიფუნდისტმა, რომელსაც არც თუ დიდი ხნის წინ ამ გოგონასთან ჰქონდა ღამე გატარებული და შიში ზარავდა, ერთ მშვენიერ დღეს მის ცოლს არ გაეგო ყველაფერი, - ბოროტება მხოლოდ ბოროტებით ამოიძირკვება და ამიტომაც მან უნდა ზღოს დანაშაული.

ორი იქ დამსწრე დაეთანხმა, თან განაცხადეს, რომ სენიორიტა პრიმი, ამასთან ერთად, ის ერთადერთი ადამიანი იყო ვისკოსში, ვისი ნდობაც არ შეიძლებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს რამით განსხვავდებოდა სხვებისაგან, და არც მალავდა, რომ ძალიან უნდოდა ქალაქიდან წასვლა.

- დედა არა ჰყავს. ბებია მოუკვდა. ვერც ვერავინ შეამჩნევს მის გაქრობას, - განაცხადა მერმა და ამით ამ მოსაზრების მომხრეებს მესამე ადამიანიც მიემატა.

მაგრამ მოულოდნელად, ცოლმა გაუწია წინააღმდეგობა:

- დავუშვათ, ის არის ერთადერთი ადამიანი, ვინც იცის, სად არის ოქრო დამალული, ყოველ შემთხვევაში, ერთადერთია, ვინც საკუთარი თვალით ნახა ეს ოქრო. ამას გარდა, მისი ნდობა იმიტომაც არ შეიძლება, რაც უკვე ბრძანეთ: მან მოიყვანა ბოროტება ჩვენს ქალაქში და მან აიძულა ჩვენი თანამემამულეები, დანაშაულზე ეფიქრათ. რაც გინდათ, თქვით, მაგრამ თუ ჩვენი მოქალაქეები ხმას არ ამოიღებენ, ამ გოგოს მემშვეობით თავის გამართლებას შევძლებთ. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვის დაუჯერებენ, ამ არაკეთილსინდისიერ გოგოს თუ ჩვენ - წარმატებულ ადამიანებს?

- შანტალს დასანახავად ვერ იტან და რატომ გინდა, გადაარჩინო?

- ვხვდები, რატომაც, - თქვა პადრემ, - იმიტომ, რომ დამნაშავე ის ადამიანი უნდა იყოს, ვინც ტრაგედიისკენ გვიბიძგა. სიცოცხლის ბოლომდე ის უნდა ატარებდეს ამ ტვირთს და გამორიცხული არ არის, მანაც იუდასავით დაასრულოს სიცოცხლე: მან გასცა ქრისტე, შემდეგ კი, სასოწარკვეთილმა, თავი მოიკლა, თუმცა ამ სასოწარკვეთას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან მან ყველა კეთილისმყოფელი პირობა შექმნა ბოროტმოქმედების ჩასადენად.

მერის ცოლი გააოცა პადრეს სიტყვებმა - მან ზუსტად ის თქვა, რასაც თვითონ ფიქრობდა. შანტალი ლამაზი გოგო იყო, კაცებს აცდუნებდა, სხვა ვისკოსელების მსგავსი ცხოვრება არ აკმაყოფილებდა, მუდამ წუწუნებდა, რომ ამ მიყრუებულ ქალაქში სული ეხუთებოდა. ამ ქალაქში კი, მთელი თავისი ნაკლოვანებების მიუხედავად, შრომისმოყვარე და პატიოსანი ადამიანები ცხოვრობდნენ. ამ ქალაქში ცხოვრებას ბევრი ადამიანი ინატრებდა (იმ უცხოელებს გულისხმობდა, რომელნიც

მალევე ხვდებოდნენ, რაოდენ გულისამრევად მოსაწყენი იყო მუდმივად მშვიდ ქალაქში ცხოვრება, და უკან, თავიანთ ქალაქებში ბრუნდებოდნენ).

- მე კი ვერც წარმომიდგენია, სხვა ვინ უნდა ავირჩიოთ, - თქვა სასტუმროს დიასახლისმა. თავიდან მხოლოდ ის აწუხებდა, სად უნდა ემოვა შანტალის შემცვლელი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ თავის წილ ოქროს თუ მიიღებდა, შეეძლო, სასტუმრო დაეკეტა და სადმე შორს გადასახლებულიყო, - გლეხები და მწყემსები ოჯახის ხალხია, ბევრ მათგანს შვილებიც ჰყავთ, რომელთაც რა ხანია, ვისკოსი მიატოვეს. ქალაქის რომელიმე ბინადარს რამე რომ შეემთხვას, ნათესავები რაღაცას იეჭვებენ. სენიორიტა პრიმი კი ერთადერთია, ვისაც არავინ მოიკითხავს.

პადრეს ვინმეზე მითითება სულაც არ სურდა, რადგან კარგად ახსოვდა იესოს სიტყვები, უდანაშაულოს განსჯისათვის რომ დასწყევლა ადამიანები, მაგრამ იცოდა, ვინც უნდა გაეწირათ მსხვერპლად, და ეს ისე უნდა გაეკეთებინათ, რომ სხვებიც მიმხვდარიყვნენ.

- ვისკოსის ბინადარნი დილიდან საღამომდე შრომობენ. ყველა თავის მოვალეობას ასრულებს: ეს მოვალეობა ყველას გააჩნია, იმ უბედურ გოგოსაც კი, ვინც ეშმაკმა შეარჩია თავისი ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად. ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ და არა მგონია, შეგვეძლოს, კიდევ ერთი მუშახელი მოვაკლოთ ქალაქს.

- ამ შემთხვევაში, წმინდა მამაო, მსხვერპლს ვერ გავიღებთ. მაშინ სასწაულს უნდა ველოდოთ - მაგალითად, ამ საღამოს ვისკოსში რომ კიდევ ერთი უცხოელი გამოჩენილიყო... თუმცა, ესეც სახიფათოა, რადგან მასაც აუცილებლად ეყოლებოდა ოჯახი და მასაც აუცილებლად მოიკითხავდნენ. ჩვენს ქალაქში ყველა შრომობს და თავისი ოფლით მოიპოვებს ლუკმაპურს, იმ პურს, ფურგონით რომ ჩამოაქვს მეფუნთუშეს.

- მართალს ბრძანებთ, - უპასუხა პადრემ, - მგონი, გუშინდელს აქეთ აუსრულებელი ილუზიებით ვიტყუებთ თავს. ყოველ ვისკოსელს ჰყავს ახლობელი, ვინც დაკარგულს მოისაკლისებს და იტყვის: „ხელი არ ახლოთ!“ ამ ქალაქში მხოლოდ სამ ადამიანს გვძინავს მარტოს - მე, დედაბერ ბერტას და სენიორიტა პრიმს.

- თქვენ რა, საკუთარ თავს გვთავაზობთ მსხვერპლად?

- რას არ იზამს კაცი საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დანარჩენმა ხუთმა ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქა - იმავე წამს შენიშნეს, რა არაჩვეულებრივად მზიანი შაბათი იდგა და არავითარი ბოროტება არ მოხდებოდა. ბოროტმოქმედების ნაცვლად, მოწამეობა აღსრულდებოდა. თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, იმავე წამს გაიფანტა აქამდე ეკლესიაში ჩამოწოლილი ჯანლი და დამაბულობა, სასტუმროს დიასახლისს კი ანაზღად მოუწადა, ფეხები დაეკოცნა ამ წმინდა ადამიანისთვის.

- მაგრამ ერთი სირთულეც არსებობს, - განაგრძო მღვდელმა, - მოგიწევთ, დანარჩენებიც დაარწმუნოთ, რომ ღვთისმსახურის მოკვლა სასიკვდილო ცოდვა არ არის.

- ამას თქვენ თვითონ აუხსნით მოქალაქეებს! - წამოიძახა მერმა, რომელიც უკვე ცხადად ხედავდა, რა რეფორმებს გაატარებდა მიღებული თანხით; რა სარეკლამო კამპანიას გააჩაღებდა გაზეთებში; რა გადასახადებს შეამცირებდა და ამის ხარჯზე უზარმაზარ ინვესტიციებს მოიზიდავდა; რამდენი ტურისტი ჩამოვიდოდა მას შემდეგ, რაც სასტუმროს კეთილმოაწყობდა; ახალ სატელეფონო ხაზს გაიყვანდა და ყველა ახლანდელ პრობლემას გამოასწორებდა.

- არა, მე ამას ვერ ვიზამ, - უპასუხა პადრემ, - მოწამეები ხალხს არ ეწინააღმდეგებიან, თუ მათი მოკვლა სურთ. მაგრამ არც თვითონ ეძებენ სიკვდილს, რადგან ეკლესია გვეუბნება, რომ სიცოცხლე ღვთის საჩუქარია. თქვენ მოგიწევთ ყველაფრის ახსნა.

- ჩვენ არავინ დაგვიჯერებს. ხალხი უდიდეს ავაზაკებად ჩაგვთვლის, თუ წმინდა ადამიანი სასიკვდილოდ ისე გავიმეტეთ, როგორც ფულზე დახარბებულმა იუდამ - იესო.

პადრემ მხრები აიჩეჩა. მზე ისევ მიეფარა ღრუბელს და ეკლესიაში ისევ გამეფდა დამაბულობა.

- მაშინ მხოლოდ სენიორა ბერტა რჩება, - თქვა ლატიფუნდისტმა.

პადრემ დიდი ხნის დუმილის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი:

- როგორც ეტყობა, ბერტას ძალიან ტანჯავს ქმარზე დარდი: მერამდენე წელია, თავისი სახლის კარის წინ ზის, არაფერს აკეთებს - მხოლოდ ნაღვლობს და მგონი, საბრალო, თანდათან ჭკუიდან იშლება: გვერდით ჩავლისას არაერთხელ მსმენია, თავის თავს როგორ ელაპარაკება.

ოთახში ისევ ჩამოიქროლა ნიავმა და ადამიანები დაფრთხნენ, რადგან ფანჯრები ჩარაზული იყო.

- უბედური ქალია, - სიტყვა შეაშველა სასტუმროს დიასახლისმა, - დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ კი თავისი საყვარელი ქმრის გვერდით ყოფნა შემლებოდა. ხომ იცით, ორმოცი წელი ერთად იცხოვრეს.

ეს ყველამ იცოდა, ამიტომ გული არავის ასჩუყებია.

- ძალიან, ძალიან ასაკოვანი სენიორიტაა, შეიძლება ითქვას, უკვე გალია წუთისოფელი, - თქვა ლატიფუნდისტმა, - თანაც - ერთადერთია ჩვენს ქალაქში, ვინც არაფერს აკეთებს. ერთხელ ვკითხე კიდეც, რატომ იჯდა - ზამთრობითაც კი - სახლის კარის წინ? და იცით, რა მიპასუხა? მითხრა, რომ დარაჯობდა, როდის შემოვიდოდა ბოროტება ქალაქში.

- როგორც ჩანს, ვერ აღასრულა თავისი ვალი.

- პირიქით, რამდენადაც თქვენი ნალაპარაკებიდან მივხვდი, იგივე ადამიანი განდევნის ბოროტებას, ვინც ის ქალაქში შემოუშვა, - თქვა პადრემ.

ისევ დუმილი ჩამოწვა და ყველა მიხვდა, რომ მსხვერპლი უკვე ამორჩეული იყო.

- კიდევ ერთი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, - ჩაილაპარაკა სასტუმროს დიასახლისმა, - ჩვენ ვიცით, როდის მოხდება მსხვერპლშეწირვა ჩვენი ქალაქის ასაყვავებლად. ვიცით, ვინ იქნება მსხვერპლი: ამის წყალობით მისი განწმენდილი სული ცად ამალდება და, ამქვეყნიური სატანჯველის ნაცვლად, საუკუნო ბედნიერებას მოიპოვებს. ისლა გვრჩება, გავარკვიოთ, როგორ აღვასრულოთ ეს მსხვერპლშეწირვა.

- ვისკოსის ბინადარ ყველა მამაკაცს უნდა მოვეთათბიროთ, სადამოს ათ საათზე ქალაქის მოედანზე მოვიყაროთ თავი. მგონი, ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ. ჩვენ კი დათქმულ დროზე ადრე ისევ აქ შევხვდეთ და ცალკე მოვილაპარაკოთ, - ბრძანა პადრემ.

სანამ სანაწილედან გავიდოდნენ, პადრემ მერის ცოლსა და სასტუმროს დიასახლისს სთხოვა, სადამოს ბერტასთან მისულიყვნენ და ლაპარაკით გაერთოთ. თუმცა დედაბერი არსად დადიოდა, მაინც აჯობებდა, ფრთხილად ყოფილიყვნენ.

შანტალი ჩვეულებისამებრ მივიდა ბარში, მაგრამ იქ არავინ დახვედრია.

- დღეს სადამოს ვისკოსის მამაკაცები მოედანზე იკრიბებიან, - აუხსნა სასტუმროს დიასახლისმა.

შეეძლო, მეტი აღარაფერი ეთქვა - შანტალი ისედაც მიხვდა, რა ხდებოდა.

- მართლა შენი თვალით ნახე ოქრო?

- ვნახე. მაგრამ გირჩევთ, უცხოელს სთხოვოთ, ოქრო სასტუმროში გადმოიტანოს. თორემ, ადვილი შესაძლებელია, საწადელს მიაღწიოს და უკვალოდ გაქრეს ქალაქიდან.

- გიჟი ხომ არ არის?

- გიჟია.

სასტუმროს დიასახლისი მიხვდა, რომ შანტალი არ ცდებოდა. უცხოელის ნომრისკენ წავიდა და მალევე უკან გამობრუნდა.

- დამეთანხმა. მითხრა, რომ ოქრო ტყეში აქვს დამალული და ხვალ აუცილებლად მოიტანს.

- როგორც ვატყობ, დღეს არ გჭირდებათ.

- არა, მჭირდება. ვალდებული ხარ, შენი კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულო.

სასტუმროს დიასახლისმა არ იცოდა, როგორ მოეთხრო გოგონასათვის, რაზე ისაუბრეს ეკლესიაში, მაგრამ ძალიან უნდოდა, თავისი თვალთ ენახა შანტალის რეაქცია.

- უბრალოდ, ძალიან ვნერვიულობ. თუმცა ვხვდები, რომ შვიდჯერ გაზომვას საჭირო...

- შვიდჯერ კი არა, შვიდასჯერ რომ გაზომონ, გაჭრას მაინც ვერ გაბედავენ.

- ვინ იცის, - უპასუხა დიასახლისმა, - მაგრამ რომ გაეხედათ, შენ რას იზამდი?

შანტალის პასუხის გაგება სურდა. შანტალი კი მიხვდა, რომ უცხოელი ბევრად უფრო ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან, ვიდრე თვითონ, ვინც მთელი სიცოცხლე ვისკოსში გაატარა. კრება მოედანზე! რა საწყენია, რომ სახრჩობელა აიღეს.

- მითხარი, რას იზამდი? - არ ეშვებოდა დიასახლისი.

- ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ, - უთხრა შანტალმა, თუმცა სრულიად ზუსტად იცოდა, რასაც იზამდა, - მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ბოროტებას სიკეთე არასოდეს მოუტანია. დღეს დილას ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადე.

სასტუმროს დიასახლისი აღაშფოთა მისდამი ესოდენ უპატივცემულო დამოკიდებულებამ, მაგრამ არჩია, შანტალთან არ ეჩხუბა, მომავალში ეს ბევრ უსიამოვნებას აარიდებდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს დღევანდელი ნავაჭრი ჰქონდა დასათვლელი (თუმცა, თვითონაც იცოდა, რომ სრული უაზრობა მოიმიზეზა, რადგან სასტუმროში ერთადერთი სტუმარი ჰყავდათ), თავის ოთახში გავიდა და შანტალი მარტო დატოვა. გული დამშვიდებული ჰქონდა - სენიორიტა პრიმი გადაწყვეტილებას არ დათანხმებია, მაგრამ არც წინააღმდეგობა გაუწევია, როცა მოედანზე შეკრების ამბავი შეიტყო. თუმცა, არც იყო გასაკვირი, ამ გოგოსაც სჭირდებოდა ფული, თან არც ისე ცოტა - ჯერ მთელი სიცოცხლე წინ ჰქონდა და ალბათ ისიც თანატოლების მსგავსად დატოვებდა ვისკოსს.

მაშასადამე, შანტალი არაფერში დაეხმარებოდა მათ, მაგრამ არც ხელს შეუშლიდა.

მწირი ვახშმის შემდეგ პადრე ეკლესიაში შევიდა და მარტო ჩამოჯდა სკამზე. მერს ელოდა, სულ რამდენიმე წუთში უნდა მოსულიყო.

პადრე ბათქაშაცლილ კედლებს აკვირდებოდა, მერე საკურთხეველს გახედა, რომელსაც ხელოვნების ერთი ნიმუშიც არ ამშვენებდა, ოდესღაც ამ მხარეში მცხოვრებ წმინდანთა გამოსახულებების იაფფასიანი რეპროდუქციებით იყო



აჭრელებული. თუმცა ვისკოსელები წმინდა საბინის უმაღლოდნენ ქალაქის აღორძინებას, რელიგიურობით არასოდეს გამოირჩეოდნენ, რადგან ადამიანებს წმინდა საბინი დავიწყებოდათ და ამჯობინებდნენ, აქაბის, კელტებისა და მიწათმოქმედთა ათასწლოვანი ცრურწმენებისთვის ეცათ თაყვანი, იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რომ საუკუნო სიცოცხლის მოსაპოვებლად ისიც საკმარისი იქნებოდა, იესო ქრისტე ეცნოთ კაცობრიობის ერთადერთ მხსნელად.

სულ რამდენიმე საათის წინ პადრემ ხალხს თავისი თავი შესთავაზა მსხვერპლად. ეს ძალიან სახიფათო სვლა იყო, მაგრამ უკან დახევას და საკუთარ მსხვერპლზე უარის თქმას არ აპირებდა, ადამიანები ასეთი უგუნურები რომ არ ყოფილიყვნენ და მათი მართვა ასეთი იოლი რომ არ ყოფილიყო.

„ტყუილია. ადამიანები უგუნურები არიან, მაგრამ მათი მართვა არც ისე იოლია“, - თავის თავს შეედავა პადრე. დუმილით თუ დახვეწილი საუბრით შეძლეს და ის ათქმევინეს, რისი მოსმენაც სურდათ: მსხვერპლშეწირვა ამაოდ არ ჩაივლიდა, მსხვერპლი ხსნას მოემსახურებოდა და აქაურობის დაცემა აღორძინებით შეიცვლებოდა. მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს დასთანხმდა, ადამიანებს მისი მსხვერპლი მიეღოთ, რადგან თავისი ნათქვამისა თვითონვე სჯეროდა.

უფლის მსახურება მისი ჭეშმარიტი მოწოდება იყო და ისიც სიყმაწვილიდანვე შედგა ამ გზაზე. ოცდაერთი წლისამ უკვე ხელდასხმა მიიღო და სულ მალე სახელიც გაითქვა სიტყვის ძალოვანებითა და თავისი მრევლის წარმატებული მართვით. ღამეებს ათენებდა ლოცვაში, ავადმყოფებს უვლიდა, საკნებში შედიოდა ტუსაღებთან, მშივრებს აპურებდა - ისე იქცეოდა, როგორც სახარების ტექსტები კარნახობდა. მალე ეპისკოპოსის სმენასაც მისწვდა ამ ბრძენი და სამართლიანი ყმაწვილის სახელი.

ეპისკოპოსმა სხვა ახალგაზრდა პადრეებთან ერთად ისიც მიიწვია სადილად. სუფრასთან სხვადასხვა თემაზე მსჯელობდნენ, სადილის ბოლოს კი, თუმცა ხანშიშესულ ეპისკოპოსს სიარული უჭირდა, მაინც წამოდგა, სტუმრებს ჩამოუარა და სათითაოდ შესთავაზა წყალი. ყველამ უარი უთხრა და მხოლოდ მან სთხოვა, ჭიქა პირამდე შეეცხო.

მაშინ ერთ-ერთმა სტუმარმა ჩურჩულით, მაგრამ ეპისკოპოსის გასაგონად თქვა:

- ყველამ უარი ვთქვით წყალზე, რადგან მივიჩნევდით, რომ ღირსი არ ვიყავით, ამ წმინდა ადამიანის ხელიდან მიგვეღო წყალი. ჩვენგან მხოლოდ ერთი ვერ მიხვდა, რამხელა მსხვერპლს გაიღებს ჩვენი ეპარქიის მეთაური, როცა ამ მძიმე ბოთლით გარს უვლის მაგიდას.

ეპისკოპოსი თავის ადგილზე დაბრუნდა და თქვა:

- თქვენ, ვინც თავს კეთილ ადამიანებად თვლით, თავი არ დაიმცირეთ და ძღვენი არ მიიღეთ, ამით კი ის სიხარული წამართვით, რასაც ძღვენის გაცემა ანიჭებს ადამიანს. ამ სუფრასთან მხოლოდ ერთმა ადამიანმა დართო სიკეთეს ნება, გამჟღავნებულიყო.

და იმავე წამს ყველაზე მნიშვნელოვანი მრევლი ჩააბარა სამწყემსად.

ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ კიდევ. ყოველთვის, როცა ახალგაზრდა პადრეს ეჭვები მოეძალებოდა, დასახმარებლად ეპისკოპოსს მიმართავდა ხოლმე, თავის „სულიერ მამად“ რომ მიიჩნევდა და, როგორც წესი, ამომწურავ პასუხსაც იღებდა. მაგალითად, ერთხელ სრულიად დაკარგა იმის რწმენა, რომ თავისი ქმედებით ახარებდა უფალს, და ნაღველი შემოაწვა. მან ეპისკოპოსს წუხილის მიზეზი აუწყა და სთხოვა, აეხსნა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

- აბრაამი იღებდა უცხოელებს და უფალი კმაყოფილი იყო. ელია არ იღებდა მათ და უფალი კმაყოფილი იყო. დავითი ამაყოფდა იმით, რასაც აკეთებდა, და უფალი კმაყოფილი იყო. მეზვერე საკურთხეველთან თავს იდანაშაულებდა ნამოქმედარის გამო და უფალი კმაყოფილი იყო. იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში გავიდა და უფალი კმაყოფილი იყო. პავლე რომის იმპერიის დიდ ქალაქებში მოგზაურობდა და უფალი კმაყოფილი იყო. ჩვენ არ ძალგვიძს, ჩავწვდეთ უფლის ნაფიქრს. ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს, და უფალი კმაყოფილი იქნება შენით.

მეორე დღეს ეპისკოპოსი გულის შეტევით გარდაიცვალა. პადრემ თავისი მოძღვრის გარდაცვალება უფლის ნიშნად მიიღო და განუხრელად ასრულებდა მის უკანასკნელ რჩევას - გულის კარნახით მოქმედებდა. ზოგს მოწყალებას აძლევდა, ზოგს ურჩევდა, ემუშავათ. ხან საზეიმო მესას ატარებდა, ხან მრევლთან ერთად მღეროდა. მის ქცევაზე ახალ ეპისკოპოსს აცნობეს და მანაც თავისთან იხმო.

და რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ეპარქიის მეთაურის სავარძელში ის ადამიანი დაინახა, ვინც მრავალი წლის წინ ჭიქა წყლისთვის უსაყვედურა.

- ვიცი, რომ შენ ახლა ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მრევლის წინამძღვარი ხარ, - უთხრა მან ირონიულად, - ისიც ვიცი, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩემი წინამორბედის უახლოესი მეგობარი იყავი. ალბათ, მისი ადგილის დაკავებაზეც არ იტყოდი უარს.

- არა, მე მხოლოდ ცოდნის შეპენა მეწადა.

- თუ ასეა, ალბათ, დიდ სიბრძნესაც დაიგროვებდი. მაგრამ ხმა მომწვდა - ამბობენ, თითქოს ხანდახან მოწყალებას გასცემ, ხან კი უარს ეუბნები იმ ადამიანებს, ვისაც ჩვენი ეკლესია უნდა ეხმარებოდეს.

- მე ორი ჯიბე მაქვს და ორივეში პატარა ბარათი მიდევს, ფული კი მხოლოდ მარცხენაში მაქვს.

ახალი ეპისკოპოსი მისმა ნათქვამმა დაინტერესა და იმის გაგება მოუნდა, რა ეწერა ამ ბარათებში.

- ერთ ბარათზე დაწერე: „მე მხოლოდ ფერფლი და მტვერი ვარ „, - და მარჯვენა, ცარიელ ჯიბეში ჩავიდე. მეორეზე - „მე ვარ ღვთის განსახიერება დედამიწაზე“, - და მარცხენა ჯიბეში ჩავიდე, იქ, სადაც ფულიც მიდევს. როცა სილატაკესა და უსამართლობას ვაწყდები, ხელს მარცხენა ჯიბეში ვიყოფ და ვეხმარები. ხოლო როცა სიზარმაცესა და უსაქმურობას - მარჯვენა ჯიბეში ვიყოფ ხელს და ვხვდები, რომ არაფერი მაქვს გასაცემი. სწორედ ასე ვახერხებ, წონასწორობა შევინარჩუნო მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის.

ახალმა ეპისკოპოსმა პადრეს მადლობა გადაუხადა გულმოწყალების ესოდენ ნათელი მაგალითისთვის და თავის სამწყსოში დაბრუნების ნება დართო. ძალიან მალე კი პადრემ ბრძანება მიიღო - ვისკოსში გადაჰყავდათ სამუშაოდ.

მაშინვე მიხვდა ამ გადაყვანის დაფარულ აზრს: ეპისკოპოსს შური ამოძრავებდა. მაგრამ პადრეს ფიცი ჰქონდა დადებული, სადაც უნდა გაეგზავნათ, იქ ედიდებინა ღმერთის სახელი. შეურაცხყოფა აიტანა და ვისკოსში ჩავიდა: ამ გამოწვევისთვის ღირსეულად უნდა ეპასუხა.

წელიწადი გავიდა, შემდეგ - მეორეც. ხუთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად მცდელობისა, მაინც ვერ გაამრავლა მორწმუნეთა რიცხვი: ვისკოსს წარსულის მემკვიდრეობა ამძიმებდა აქაბის სახით. ვერც ღვთისმსახურება, ვერც ქადაგება ვერ უმკლავდებოდა იქ გამეფებულ ლეგენდებსა და ცრურწმენებს.

ათი წელი გაილია. მეათე წლის დასრულებისას მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა: ცოდნისაკენ მისი ლტოლვა ქედმაღლობად გადაგვარდა. ის იმდენად იყო დარწმუნებული ღვთიურ სამართლიანობაში, რომ დიპლომატიის ხელოვნებით ვერ შეძლო მისი გაწონასწორება. მიიჩნევდა, რომ იმ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც უფალი მყოფობდა ყველგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სამყაროში ადამიანები ხანდახან ღმერთსაც კი არ შეუშვებდნენ ხოლმე.

მეთხუთმეტე წელს კი მიხვდა, უკვე ველარასოდეს წავიდოდა ვისკოსიდან: მისდამი მტრულად განწყობილი ეპისკოპოსი კარდინალი გახდა, ვატიკანში მაღალი თანამდებობა ეკავა, შეიძლებოდა, პაპის ტიარაც მოერგო და, ცხადია, ყველაფერს იღონებდა, რომ პროვინციული მრევლის რომელიღაც პადრეს საქვეყნოდ არ გაეხმაურებინა, შურისა და ეჭვის გამო როგორ ჩატოვეს ერთ მივარდნილ ქალაქში.

ამ დროისათვის პადრეს უკვე სული ჰქონდა მოწამლული იმის გამო, რომ მის მიმართ ოდნავი ყურადღება და სიტბო არავის გაუმეტებია. ან კი მის ადგილას ვინ შეძლებდა, ირგვლივ გამეფებულ გულგრილობას შეწინააღმდეგებოდა ამდენი წლის განმავლობაში? ხანდახან იმასაც ფიქრობდა, თავის დროზე რომ აეყარა წოდება, ღმერთს მაშინ უფრო გამოადგებოდა, მაგრამ სიტუაციის შეცვლის იმედით,

ერთთავად სახვალიოდ სდებდა ამ გადაწყვეტილებას. ბოლოს, ის დროც დადგა, როცა ყველაფერი უკვე ძალიან გვიანი იყო - სამყაროსთან მას თითქმის ყოველგვარი კავშირი დაკარგული ჰქონდა.

და, აი, ვისკოსში ჩამოსვლიდან ოცი წლის შემდეგ, ერთ ღამესაც გაეღვიძა და სასოწარკვეთილმა გააცნობიერა, რომ მის სიცოცხლეს აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. მან იცოდა, რამდენის გაკეთება შეეძლო, და იმას ნაღვლობდა, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. ის ორი ბარათი გაახსენდა, ჯიბით რომ დაატარებდა, და მიხვდა, რომ ახლა უკვე მხოლოდ მარჯვენა ჯიბეში იყოფდა ხელს. მას სიბრძნის შეძენა სურდა, მაგრამ დიპლომატია არ ჰყოფნიდა; უნდოდა სამართლიანი ყოფილიყო, მაგრამ არ იყო ბრძენი; უნდოდა, მოქნილი ყოფილიყო, მაგრამ სითამამე აკლდა.

„ღმერთო, სად არის შენი გულმონწყალეზა? რატომ მომეჩევი, როგორც იობს? ნუთუ ყველა შესაძლებლობა ამომიწურე? მომეცი კიდევ ერთი შანსი!“

იმ ღამეს წამოდგა და ალაღბედზე გადაშალა ბიბლია. ასე იქცეოდა ხოლმე, როცა კითხვაზე პასუხის მიღება უნდოდა. მისი მზერა იმ გვერდზე შეჩერდა, საიდუმლო სერობის დროს ქრისტე რომ მოლაღატეს სთხოვს, ჩემს მძებნელ ჯარისკაცებს ჩემზე მიანიშნეო.

პადრე დაფიქრდა: მოლაღატეს რატომ სთხოვს ქრისტე ცოდვის ჩადენას?

„იმიტომ, რომ წინასწარმეტყველება უნდა აღსრულდეს“, - იტყოდნენ ღვთისმეტყველნი. მაგრამ მაინც გაუგებარი რჩება, რატომ უბიძგა იესომ ადამიანს, ცოდვა ჩადენა, რატომ გაიმეტა სამარადისო წყევლისათვის?

იესო ასე არ მოიქცეოდა: თავად იესოც მსხვერპლი იყო. იესოც და მოლაღატეც. ორივე მსხვერპლი იყო. ბოროტება უნდა გამჟღავნებულიყო და თავისი როლი შეესრულებინა, რათა, ბოლოს და ბოლოს, სიკეთეს ეზეიმა. რომ არ ყოფილიყო ღალატი, არ აღსრულდებოდა წინასწარ დაწერილი და მსხვერპლი ვეღარ გახდებოდა მაგალითი.

მეორე დილას კი ვისკოსში უცხოელი ჩამოვიდა, როგორც ხდებოდა ხოლმე. პადრემ ამას არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა და თავის ლოცვასთან თუ სახარებაში ამოკითხულ ნაწყვეტთან ვერაფრით დააკავშირა. მეორე საღამოსაც, როცა ისმენდა, როგორ ყვებოდა უცხოელი ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ შექმნის ამბავს, გაახსენდა, რომ მსგავსი რაღაცა ბიბლიაშიც ამოკითხა, მაგრამ ისევ არ მიაქცია ყურადღება და ჩვეულებრივ დამთხვევად მიიჩნია.

და მხოლოდ მაშინ, როცა სენიორიტა პრიმმა ხალხს აუწყა უცხოელის შემოთავაზებული სანაძლეოს შესახებ, პადრე მიხვდა, რომ მისი ლოცვა შესმენილ იქნა.

ბოროტება უნდა გამოვლენილიყო და აღსრულებულიყო, რათა სიკეთეს შეეძრა აქაურთა გულები. ვისკოსში ყოფნის მანძილზე პირველად გაივსო ეკლესია ხალხით, პირველად მოიყარეს თავი ეკლესიაში ქალაქის პირველმა პირებმა.

„ბოროტება უნდა გამომჟღავნდეს და აღსრულდეს, რათა ადამიანებმა სიკეთე დააფასონ“. და როგორც მოღალატე მოწაფე ღალატის ჩადენისთანავე მიხვდა, რაც ჩაიდინა - სინდისის ქენჯნით სულდამძიმებულ ვისკოსელებსაც სირცხვილი მიიყვანდათ ეკლესიაში, ეკლესია გახდებოდა მათი ერთადერთი თავშესაფარი და ვისკოსიც, ბოლოს და ბოლოს, მორწმუნეთა ქალაქად იქცეოდა.

თვითონ კი, აქაური პადრე, მზად იყო, ბოროტების იარაღად ქცეულიყო. განა სხვაგვარად შეეძლო, უფლისთვის დაენახვებინა თავისი სრული და აბსოლუტური მორჩილება?!

მერი დათქმულ დროს მოვიდა.

- მითხარით, პადრე, რა უნდა გავაკეთო?

- კრებას მე თავად ჩავატარებ, - უპასუხა პადრემ.

მერი შეეყოყმანდა - თვითონ იყო ქალაქის უმაღლესი ხელისუფალი და სულაც არ უნდოდა, ყველას თვალწინ და ყველას თანდასწრებით ასეთ მნიშვნელოვან თემაზე ელაპარაკა. პადრე კი, თუმცა ვისკოსში ოც წელზე მეტი ხანი გაატარა, მაინც არ იყო აქაური, არც აქაურ ლეგენდებსა და თქმულებებს იცნობდა და არც აქაბის სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში.

- ვფიქრობ, რომ ასეთ სერიოზულ ვითარებაში აჯობებდა, მე მიმემართა ხალხისათვის, - თქვა მან.

- თქვენი ნებაა. იქნებ, უკეთესიც იყოს, რადგან თუ საქმე ცუდად წარიმართა, ეკლესიას სახელი აღარ შეეღალატება. მე ჩემს გეგმას გაგაცნობთ, თქვენ კი ხალხს გადაეცით.

- თუმცა, თუ კარგად დავფიქრდებით, მთელი გეგმა თქვენი შემუშავებულია და, ალბათ, თქვენვე უნდა გააცნოთ ხალხს.

„მარადიული შიში, - გაიფიქრა პადრემ, - თუ გინდა, ადამიანი დაიმორჩილო, გულში შიში ჩაუსახე“.

ცხრას ათი წუთი აკლდა, როცა სასტუმროს დიასახლისი და მერის ცოლი ბერტასთან მივიდნენ. სახლში შევიდნენ და დაინახეს, რომ დედაბერი მშვიდად იჯდა და ქსოვდა.

- რატომღაც დღეს სადამოს ჩვენი ქალაქი თავის თავს აღარ ჰგავს, - ოთახში შესვლისთანავე მიმართა მათ ბერტამ, - უამრავი ფეხის ხმა მესმოდა, ბარში ამდენი ხალხი ვერ დაეტევა.

- ჩვენი ქალაქის მამაკაცები არიან, მოედნისაკენ მიდიან, რომ გადაწყვიტონ, რა უპასუხონ უცხოელს, - აუხსნა სასტუმროს დიასახლისმა.

- გასაგებია, რაც უნდა უპასუხონ. ან უნდა მიიღონ მისი წინადადება, ან ორ დღეში წავა.

- მისი წინადადების მიღება აზრადაც არ მოგვსვლია, - აღშფოთდა მერის ცოლი.

- მართლა? მე კი მითხრეს, თითქოს დღეს ჩვენმა პადრემ მშვენიერი ქადაგება წაიკითხა და გაიხსენა, როგორ იხსნა ერთი ადამიანის მსხვერპლმა მთელი კაცობრიობა. ისიც უთქვამს, რომ ღმერთმა სატანას სანამლეო მიიღო და თავისი უმორჩილესი მსახური დასაჯა. რატომ არის ცუდი, თუკი ვისკოსელები ამ უცხოელის წინადადებას ისე აღიქვამდნენ, როგორც... თუნდაც გარიგებას.

- ალბათ, ხუმრობთ, არა?

- არა, სრულიად სერიოზულად ვამბობ. როგორც გატყობთ, ჩემი მოტყუება გადაგიწყვეტიათ.

ორივე ქალბატონს მოუნდა, ამდგარიყვნენ და სასწრაფოდ გასცლოდნენ აქაურობას, მაგრამ ეს ძალიან სარისკო იქნებოდა.

- ჰო, მართლა, რას უნდა ვუმაღლოდე თქვენს აქ მოზრძანებას? როგორც მახსოვს, აქამდე აქ მოსვლა აზრადაც არ მოგვსვლიათ.

- ორიოდ დღის წინ სენიორიტა პრიმმა თქვა, რომ „წყეული მგლის“ ყმული ესმოდა.

- ყველამ იცის, რომ „წყეული მგელი“ ჩვენი მჭედლის სულელური მონაჩმახია, - თქვა სასტუმროს დიასახლისმა, - დარწმუნებული ვარ, მეზობელი სოფლიდან რომელიმე ქალს წაიყვანდა ტყეში, მასთან კავშირის დამყარებას ისურვებდა, უარს მიიღებდა და, თვალის ასახვევად, ამ ამბავს მოიგონებდა. მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, დავრწმუნებულიყავით, რომ თქვენი სახლის სიახლოვეს სიმშვიდეა და საფრთხე არ გემუქრებათ.

- სრული სიმშვიდეა. აი, მაგიდის გადასაფარებელს ვქსოვ, თუმცა, იქნებ, სამუშაო ვერც კი დავასრულო, ვინ იცის, იქნებ ხვალაც კი მოვკვდე.

უხერხული დუმილი ჩამოწვა.

- ალბათ გეცოდინებათ, რომ მოხუცებს ასეთი რამ სჩვევიათ: მოულოდნელად კვდებიან ხოლმე, - დასძინა ისევ ბერტამ.

ატმოსფერო თითქმის განიმუხტა.

- თქვენთვის ჯერ ადრეა სიკვდილზე ფიქრი.

- იქნებ ადრეცაა, მაგრამ არავინ იცის, ხვალ რა გველის. ჰო, მართლა, მინდა, გითხრათ, რომ მთელ დღეს სწორედ ამაზე ვფიქრობდი.

- რაიმე განსაკუთრებული მიზეზი გქონდათ?

- გგონიათ, რომ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი უნდა მქონოდა?

სასტუმროს დიასახლისმა იგრძნო, რომ სასწრაფოდ უნდა შეეცვალა საუბრის თემა, მაგრამ სიფრთხილე იყო საჭირო. ამ დროისათვის მოედანზე კრება უკვე დაწყებული იქნებოდა და, ალბათ, დიდხანსაც არ გასტანდა.

- მე მგონი, ასაკის მატებასთან ერთად, სიკვდილზეც ვიწყებთ ფიქრს. ალბათ, ქედმოდრეკილნი და ბრძნული მორჩილებით უნდა შევხვდეთ მის მოსვლას, რადგან ხშირად სიკვდილი მძიმე სატანჯველისაგანაც გვათავისუფლებს.

- მართალს ბრძანებთ, - უპასუხა ბერტამ, - სწორედ ამაზე ვფიქრობდი დღეს. და იცით, რა დასკვნამდე მივედი? ძალიან, ძალიან, ვერც კი წარმოიდგენთ, ისე ძალიან მეშინია სიკვდილისა და არ მჯერა, რომ ჩემი წასვლის დროც დადგა.

ისევ მძიმე დუმილი ჩამოწვა. მერის ცოლს გაახსენდა, დღეს ეკლესიაში ეკლესიის მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე რომ ლაპარაკობდნენ - იქაც ერთს ამბობდნენ და მეორეს გულისხმობდნენ.

არც მან და არც მისმა თანამგზავრმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა მოედანზე: ვერავინ წარმოიდგენდა, რა გეგმას შესთავაზებდა პადრე ვისკოსელებს და რას ეტყოდა ხალხი. ცხადია, უაზრობა იქნებოდა, ბერტასთვის პირდაპირ ეთქვათ ყველაფერი - სხვების გულისათვის არავინ დათანხმდებოდა სიკვდილზე. ამიტომ, ახლავა მიხვდა: თუ ამ დედაბრის მოკვლას მართლა აპირებდნენ, ეს ყველაფერი ისე უნდა მოეხერხებინათ, რომ ძალადობის კვალი არ დაეტოვებინათ გამოძიებისთვის.

გაქრობა. ბერტა აუცილებლად უნდა გამქრალიყო. მისი დასაფლავება ან გვამის ტყეში დაგდება არ შეიძლებოდა. როგორც კი უცხოელი დარწმუნდებოდა, რომ მისი სურვილი აღსრულდა, გვამი უნდა დაეწვიათ და ფერფლი მთებში მიმოეხრიათ. ბერტა იქნებოდა სწორედ ის ადამიანი, ვინც, გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც, გაანოყიერებდა და ააყვავებდა აქაურობას.

- რაზე დაფიქრდით? - თავის თავთან მსჯელობა გააწყვეტინა დედაბერმა.

- კოცონზე ვფიქრობდი, - უპასუხა მერის ცოლმა, - მშვენიერ კოცონზე, რომელიც სულსაც გაგვითბობდა და სხეულსაც.

- რა კარგია, რომ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ: ხომ იცით, რომ ვიღაც-ვიღაცეები კუდიანს მეძახიან.

ტყუილის თქმა არ შეიძლებოდა, დედაბერი საფრთხეს იყნოსავდა, და ორივე ქალმა თავი დაუქნია.

- იმ დროში რომ გვეცხოვრა, კოცონზე დაწვა არ ამცდებოდა. დიახ, დიახ, ცოცხლად დამწვავდნენ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცეები გადაწყვეტდნენ, თითქოს რაღაც დანაშაული მიმიძღვის.

„რა ხდება? - გაიფიქრა სასტუმროს დიასახლისმა, - ნუთუ ვინმემ გაგვთქვა? ნუთუ მერის ცოლმა მოასწრო აქ მოსვლა და დედაბერს ყველაფერი უამბო? ან იქნებ პადრე შეაწუხა სინდისმა და დედაბერს შესთხოვა პატიება?“

- დიდი მადლობა, რომ მომინახულეთ, მაგრამ თავს მშვენივრად ვგრძნობ. მზად ვარ, ნებისმიერი მსხვერპლი გავიღო, იმ სულელური დიეტის ჩათვლით, ქოლესტერიინის მოკლებას რომ უწყობს ხელს; მე მინდა, რომ ვიცოცხლო.

ბერტა წამოდგა და კარი გააღო. სტუმრები წასასვლელად გაემზადნენ. კრება მოედანზე ჯერ არ დასრულებულიყო.

- მართალი გითხრათ, გამიხარდა თქვენი ნახვა, ახლა ამ რიგს ჩავამთავრებ და დასაძინებლად დავწვები. ისე კი, „წყეული მგლის“ არსებობისა მჯერა, ამიტომ, მინდა, გთხოვოთ: ორივენი ახალგაზრდები ხართ, იქნებ კრების დამთავრებამდე სადმე ახლომახლო დარჩენილიყავით, რათა დავრწმუნდე, რომ მგელი ჩემს სახლს ვერ მოეკარება.

სასტუმროს დიასახლისი და მერის ცოლი დაეთანხმნენ, მერე ღამე მშვიდობისა უსურვეს და ბერტამაც კარი მიხურა.

- ყველაფერი იცის! - ხმადაბლა თქვა სასტუმროს დიასახლისმა, - ვიღაცამ გააფრთხილა! ნუთუ ვერ შეამჩნიე, რა დამცინავად გველაპარაკებოდა? მიხვდა, რომ მის სადარაჯოდ მოვედით.

მერის ცოლი ოდნავ აიღანძა.

- შეუძლებელია, რამე იცოდეს. ისეთი გიჟი არავინ მეგულება, მოსულიყო და... იქნებ, მართლაც...

- რა?

- იქნებ მართლაც კუდიანია? გახსოვს, სანამ ვლაპარაკობდით, ქარი რომ უბერავდა?

- ფანჯრები კი დაკეტილი იყო.



ორივეს გული შეეკუმშა - ასწლეულების ცრურწმენებმა წამოყო თავი. თუ ბერტა მართლა კუდიანი იყო, მისი სიკვდილი ხსნა კი არა, დალუპვა იქნებოდა ქალაქისათვის.

ასე ამბობდა ლეგენდა.

ბერტამ შუქი ჩააქრო და დარაბის ჭუჭრუტანიდან გახედა ქუჩაში მდგარ ორ ქალს. არ იცოდა, რა ეღონა - ეტირა, ეცინა თუ მორჩილად მიელო თავისი ხვედრი. მხოლოდ ერთი რამ იცოდა დანამდვილებით - ის აირჩიეს მსხვერპლად.

ქმარი ნაშუადღევს ესტუმრა და, მისდა გასაოცრად, მარტო არ იყო - სენიორიტა პრიმის ბებია ახლდა. პირველი, რაც ბერტამ შეიგრძნო, ეჭვი იყო - ერთად რატომ უნდა მოსულიყვნენ? მაგრამ მაშინვე შეამჩნია მათი შემფოთებული თვალები, ხოლო როცა სტუმრებმა ეკლესიაში შეკრებილთა საუბარი გადასცეს, სასო წარეკვეთა.

სტუმრები სთხოვდნენ, სასწრაფოდ გაქცეულიყო.

- ალბათ, ხუმრობთ, - ჯიუტობდა ბერტა, - გავიქცე? ჩემი დასიებული ფეხებით სად გავიქცე, ეკლესიამდეც ვერ მივაღწევ, აქედან ას ნაბიჯზე რომ არის. არა, ჩემო ძვირფასებო, თუ შეგიძლიათ, ეგ საკითხი იქ, ზემოთ გადაწყვიტეთ და როგორმე დამიცავით! ტყუილად ხომ არ ვლოცულობდი და ყველა წმინდანს ვთხოვდი დახმარებას.

სტუმრებმა აუხსნეს, რომ მდგომარეობა უფრო სახიფათო იყო, ვიდრე ეს ბერტას წარმოედგინა: სიკეთისა და ბოროტების შერკინების ჟამი დამდგარიყო, ამ ბრძოლაში ჩარევა კი არავის შეეძლო. ანგელოზებსა და დემონებს ის ბრძოლა დაეწყო, დროდადრო რომ იმართებოდა ხოლმე და წლობით ან ასწლეულობით გრძელდებოდა, რის შედეგადაც ან ილუპებოდა, ან ხსნა ევლინებოდა რომელიღაც ქვეყანას.

- ეგ მე არ მეხება; მე თავს ვერაფრით დავიცავ; მაგ ბრძოლასთან მე არაფერი მესაქმება; არც მისი დაწყება მითხოვია.

თუმცა, არც არავის უთხოვია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ორიოდე წლის წინ, ერთ-ერთმა მფარველმა ანგელოზმა შეცდომა დაუშვა. ადამიანები მოიტაცეს - მათგან ორი ქალი განწირული იყო, მაგრამ სამი წლის გოგონა მამის იმედად უნდა გადარჩენილიყო, მას უნდა დაეცვა სასოწარკვეთისაგან და თავს დატეხილ უბედურებაში ნუგეში ეცა.

მამამისი კარგი ადამიანი იყო, მაგრამ, რატომღაც, საშინელი უბედურება შეემთხვა (რატომ, არავინ იცოდა, რადგან ეს მხოლოდ უფლის ნება-სურვილით ხდება ხოლმე და მის განზრახულს ვერავინ ვერასოდეს ჩასწვდება), ამიტომ, ეს უბედურება გოგონას დახმარებით უნდა გადაეტანა და სულიერი ჭრილობები შეხორცებოდა.

ნაგულისხმები იყო, რომ ამ სტიგმით ნიშანდებული გოგონა გაიზრდებოდა და ოცი

წლის ასაკში საკუთარი ტანჯვით განკურნავდა სხვა ადამიანებს. ისიც იყო ნაგულისხმები, რომ თავის სიცოცხლეში რაღაცას ისეთს გააკეთებდა, მისი ნამოქმედარი მთელ პლანეტას დაეტყობოდა.

დიახ, ასეთი იყო ჩანაფიქრი. და ყველაფერი კარგად მიდიოდა - პოლიციაც იმ ბინაში შეიჭრა, სადაც მძევლები ჰყავდათ, ვისაც სიკვდილი ეწერა, დაილუპა, მაგრამ გოგონას მფარველმა ანგელოზმა, - ბერტამ უნდა იცოდეს, რომ სამი წლის ბავშვები თავიანთ ანგელოზებს ხედავენ და ელაპარაკებიან, - გოგონას ანიშნა, უკან, კედლისკენ დაეხია. მაგრამ გოგონა ვერ მიუხვდა და იმისათვის, რომ გაეგო, რას ეუბნებოდა ანგელოზი, მისკენ გადადგა ნაბიჯი.

გოგონამ სულ რაღაც ოცთდაათი სანტიმეტრით წაიწია წინ, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ საბედისწერო ტყვიას გაეგმირა. იმ წუთიდან ბედის ბორბალი სხვაგვარად დატრიალდა: ის, რასაც სულები უნდა აელორძინებინა, უმოწყალო ბრძოლად იქცა. სცენაზე ეშმაკი გამოვიდა და მოკლული გოგონას მამის სული მოითხოვა - სული, რომელიც აღსავსე იყო ზიზღით, სასოწარკვეთითა და შურისძიების წყურვილით. ანგელოზები არ თანხმდებოდნენ - თუმცა ეს კაცი საძრახის საქმიანობას ეწეოდა, მაინც კეთილი ადამიანი იყო და, საერთოდაც, იმისთვის იყო არჩეული, რომ შვილს დახმარებოდა სამყაროს შეცვლაში.

იმ დროიდან ამ ადამიანმა ანგელოზების შეგონებებისათვის სმენა დაიხშო, ეშმაკი კი თანდათან დაეპატრონა მის სულს და თითქმის მთლიანად დაიმორჩილა.

- თითქმის მთლიანად, - გაიმეორა ბერტამ, - თქვენ თქვით, თითქმისო?

სტუმრებმა დაუდასტურეს. რჩებოდა მხოლოდ ერთი შეუმჩნეველი ნათელი, რადგან ერთ-ერთმა ანგელოზმა არ ისურვა ფარ-ხმლის დაყრა. მაგრამ მისი ხმა არც კი ისმოდა გუშინდელ დღემდე, გუშინ კი მისი შორეული ჩურჩული მისწვდათ. აი, იმ ანგელოზმა თავის იარაღად სწორედ სენიორიტა პრიმი აირჩია.

შანტალის ბებია აუხსნა, რომ სწორედ ამან აიძულა, აქ მოსულიყო - თუკი ამქვეყნად არსებობდა ვინმე, ვისაც შეეძლო, შეეცვალა არსებული მდგომარეობა, ეს სწორედ მისი შვილიშვილი იყო. თუმცა კი, მაინც სასტიკი ბრძოლა ელოდათ, რადგანაც უცხოელის ანგელოზი უცხოელისავე დემონით ერთიანად იყო დათრგუნვილი.

ბერტამ თავისი სტუმრების დამშვიდება სცადა: ბოლოს და ბოლოს, ორივე ხომ კარგა ხნის გარდაცვლილები იყვნენ და ასეთი მღელვარება და დარდი მხოლოდ მე შემშვენისო. შეძლებდნენ კი ეს ორნი დახმარებოდნენ შანტალს ყველაფრის შეცვლაში?

მათ უპასუხეს, რომ შანტალის დემონიც იკრებდა ძალას. ბებია „წყეული მგელიც“ კი გაუგზავნა ტყეში ყოფნისას (აჰა, თურმე „წყეული მგელი“ მართლა არსებობს და მჭედელი არ იტყუებოდა). უნდოდა, უცხოელში სიკეთე გაედვიძებინა და მოახერხა

კიდევ. მაგრამ ამ სიკეთეს გაგრძელება არ მოჰყოლია: შანტალსაც და იმ უცხოელსაც ძალიან ძლიერი ხასიათი აღმოაჩნდათ. ისღა აიმედებდა, რომ გოგონა იმას დაინახავდა, რაც მათი ჩანაფიქრით, უნდა დაენახა. უფრო სწორად, მათ იცოდნენ, რომ შანტალმა უკვე დაინახა, რაც დასანახი იყო, და ახლა დანახული უნდა გაეცნობიერებინა.

- რა უნდა გააცნობიეროს? - იკითხა ბერტამ.

სტუმრებს ამის თქმის უფლება არ ჰქონდათ - ცოცხლებთან ურთიერთობაც საზღვრებით იყო შემოფარგლული, დემონებიც ფხიზლობდნენ და ყველაფერს გააფუჭებდნენ, წინასწარ რომ შეეტყვოთ მათი ჩანაფიქრი. მაგრამ შანტალის ბებიას ეჭვი არ ეპარებოდა, მის შვილიშვილს გამჭრიახი გონება ჰქონდა და შეძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას.

ბერტა საიდუმლოებებს აღმერთებდა, მაგრამ აღარ ჩასძიებია, ამ პასუხით დაკმაყოფილდა: მას არ ახასიათებდა იმ წვრილმანების ჩხრეკა, რაც, შეიძლება, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. მაგრამ მაინც შებრუნდა ქმრისკენ, რადგან აუცილებლად უნდოდა, ერთი საკითხი გაერკვია:

- შენ მიბრძანე, სახლის წინ ვმჯდარიყავი და წლიდან წლამდე მედარაჯა ქალაქისათვის, რომ ბოროტება შეუმჩნევლად არ შემოსულიყო. მაგრამ შენ ეს მანამდე მითხარი, სანამ მფარველი ანგელოზი შეცდომას დაუშვებდა და გოგონა დაიღუპებოდა.

ქმარმა უპასუხა, რომ ბოროტება მაინც გაივლიდა ვისკოსზე, რადგან ის ამ ქვეყნიერებაზე დაიარება და ადამიანებს მოულოდნელად წაადგება ხოლმე თავზე.

- არ მჯერა.

ქმარსაც არ სჯეროდა, მაგრამ ეს ასე იყო. შეიძლება, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა ყოველი ადამიანის გულში ყოველწუთიერად მიმდინარეობს, რადგან სწორედ გულია ის ბრძოლის ველი, სადაც ანგელოზები და დემონები ერთმანეთს ებრძვიან. მრავალი ათასწლეულის მანძილზე გრძელდება ეს ბრძოლა თუნდაც ერთი გოჯის მოსაპოვებლად, და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ერთი არ დაამარცხებს მეორეს. მისი ქმარი ახლა სულიერ სამყაროში იმყოფება, მაგრამ იქაც იყო უამრავი ამოუცნობი რამ - ალბათ, უფრო მეტიც, ვიდრე დედამიწაზე.

- ჰო, ახლა კი მეტ-ნაკლებად მჯერა შენი. ნუ ინერვიულებთ - თუ ხვალ მოგვკვდები, მაშასადამე, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი.

ბერტას არ უთქვამს, რომ ცოტათი ეჭვიანობდა და ისევ ქმრის გვერდით უნდოდა ყოფნა. შანტალის ბებია ხომ სიცოცხლეშიც იმ ადამიანად ითვლებოდა, ვინც თავისას (და არც სხვისას) ხელიდან არ გაუშვებდა.

სტუმრები წავიდნენ - შანტალს სიზმრად ნანახის გაცნობიერებაში უნდა დახმარებოდნენ. ბერტას უფრო მეტად მოეძალა ეჭვი, მაგრამ მალე დაშვიდდა, თუმცა, მაინც გაიფიქრა, რომ ქმარი ცდილობდა, ცოტა ხნით გადაედო მისი ამქვეყნიდან წასვლა, რათა შანტალის ბებიასთან სიახლოვეთ დამტკარიყო.

ვინ იცის, იქნებ ხვალვე დასრულებულიყო ეს მისი დამოუკიდებლობა, მაგრამ ბერტა სხვა დასკვნამდე მივიდა: საბრალომ ნამდვილად დაიმსახურა რამდენიმე წლით დასვენება. ამით თვითონ ბერტას რა აკლდებოდა? დაე, ეგონოს, რომ ჩიტვიით თავისუფალია და შეუძლია, ის აკეთოს, რაც მოესურვება: თავად ბერტამ ხომ მაინც იცოდა, როგორ დარდობდა ქმარი მასთან განშორებას.

ბერტამ ისევ გახედა ქუჩაში მდგარ ქალებს, გაიფიქრა, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, ერთხანს კიდევ ეცოცხლა, მთებისთვის ეცქირა და ქალებისა და კაცების, ქარისა და ხეების, ანგელოზებისა და ეშმაკების მუდმივ ბრძოლას დაჰკვირვებოდა. უცებ შიში მოეძალა და სცადა, სხვაზე გადაეტანა ყურადღება - ალბათ, ჯობდა ხვალ სხვა ფერის ძაფიც შეერია ნაქსოვისთვის, თორემ ის სუფრა, აქამდე რომ ქსოვდა, რაღაც ძალიან ერთფეროვანი გამოდიოდა.

ქალაქის მოედანზე კრება ჯერ არ დასრულებულიყო, ბერტას კი უკვე ეძინა, რადგან სრულიად დარწმუნებული იყო, რომ სენიორიტა პრიმი, თუმცა კი მიცვალებულთა სულებთან ლაპარაკი არ შეეძლო, მაინც მიხვდებოდა, რის თქმა უნდოდათ მისთვის მიცვალებულებს.

- ეკლესიაში, ტაძრის წმინდა მიწაზე, მე მსხვერპლის აუცილებლობაზე ვლაპარაკობდი, - თქვა პადრემ, - აქ კი, ეკლესიის გარეთ, მინდა, გითხრათ, რომ მოემზადოთ წამებულის გამოსავლენად.

ერთადერთი ფარნით განათებული პატარა მოედანი (თუმცა, საარჩევნო კამპანიის დროს მერი პირობას დებდა, რომ მოედანს გაანათებდა), ნახევრად მძინარე ხალხით იყო სავსე. ადრე დაწოლასა და უთენია ადგომას მიჩვეული გლეხები და მწყემსები სრულიად მდუმარედ იდგნენ მოედანზე. პადრემ ჯვრის გვერდით სკამი დადგა, ზედ ავიდა, რათა ყველას დაენახა, და ხალხს მიმართა:

- რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ეკლესიას ადანაშაულებდნენ, რომ უსამართლო ბრძოლებს აწარმოებდა, თუმცა, სინამდვილეში, ვცდილობდით, ათასგვარი საფრთხისგან დაგვეცვა თავი და გადავრჩენილიყავით.

- პადრე, - იყვირა ვიღაცამ, - ჩვენ აქ ეკლესიის ისტორიის მოსასმენად არ მოვსულვართ. გვინდა, ვიცოდეთ, როგორ ვუშველოთ ვისკოსს.

- არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჩვენი ქალაქი სადაცაა გაქრება რუკიდან და თან ჩაგიტანთ თქვენც, თქვენს მიწებსაც და თქვენს ფარასაც. მე არც ვაპირებ ეკლესიის ისტორიაზე ლაპარაკს, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა, გითხრათ: ხსნის გზა

მონანიებასა და მსხვერპლზე გადის. და სანამ სიტყვას შემაწყვეტინებდით, იმ მსხვერპლზე მინდოდა, მელაპარაკა, ვიღაც რომ გაიღებს; იმ მონანიებაზე, ყველასთვის რომ აუცილებელია, და იმ ხსნაზე, ქალაქს რომ გადაარჩენს.

- ხვალ ეგ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდება, - გაისმა კიდეც ვიღაცის ხმა.

- ხვალ უცხოელი ოქროს გვიჩვენებს, - თქვა მერმა, თან უხაროდა, რომ შეეძლო, რაღაც ისეთი ეცნობებინა ხალხისათვის, რაც მღვდელმაც კი არ იცოდა, - სენიორიტა პრიმს არ სურს, მარტომ ატაროს ეს პასუხისმგებლობა, და სასტუმროს დიასახლისმა უცხოელი დაითანხმა, ოქრო აქ მოეტანა. ამ გარანტიის გარეშე ჩვენ თითოს თითზე არ დავაკარებთ.

მერს სიტყვის თქმა მოუწია და იმ ჯადოსნურ ცვლილებებზე დაიწყო ლაპარაკი, რაც ქალაქს ელოდა - კეთილმოწყობა, გარდაქმნები, საბავშვო პარკი, გადასახადების შემცირება და ასე მოულოდნელად მოვლენილი სიმდიდრის განაწილება.

- ყველას თანაბრად უნდა გაუნაწილდეს, - იყვირა ვიღაცამ.

დადგა დრო, მთავარი სათქმელი ეთქვა. მერს ეს ძალიან არ სიამოვნებდა, მაგრამ მოედანზე შეკრებილი ადამიანები უკვე გამოფხიზლებულიყვნენ და ყველა მას უცქეროდა.

- ცხადია, ყველას თანაბრად გაუნაწილდება, - მერს დაასწრო პადრემ. ესმოდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ: ან ყველას ერთად უნდა ეტვირთა ჩადენილი დანაშაული და თანაბარი ანაზღაურება მიეღო, ანდა ძალიან მალე ერთ-ერთი მათგანი შურითა და შურისძიებით აღივსებოდა და დანარჩენებს პოლიციაში დაასმენდა. პადრეს კარგად ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა.

- ვინ უნდა მოკვდეს?

მერმა იმის ახსნა დაიწყო, რატომ მიაჩნდათ სამართლიანად, არჩევანი ბერტაზე შეეჩერებინათ - ასაკოვანი ქალი იყო, დღემდე მისტიროდა თავის ქმარს, მეგობრები არ ჰყავდა, და საერთოდ, სიბერეს უკვე ისე გამოემტერებინა, დილიდან დაღამებამდე თავისი სახლის კარის წინ იჯდა; არაფრით არ უწყობდა ხელს ვისკოსის აყვავებას. ნაცვლად იმისა, რომ მიწები ან ფარა შეეძინა, ფული ბანკში შეიტანა და პროცენტებს იღებდა, მისგან ხეირი მხოლოდ ვაჭრებს ჰქონდათ, რომელნიც, ამ მეფუნთუშის მსგავსად, თავიანთი საქონლის გასაყიდად კვირაში ერთხელ ჩამოდიოდნენ ქალაქში.

ამდენ ხალხში ერთი საწინააღმდეგო შეძახილიც არ გახმიანებულა. მერი კმაყოფილი იყო, იფიქრა, ხალხი მის ავტორიტეტს ენდობოდა. მაგრამ პადრემ იცოდა, რომ დუმილის ახსნა სხვაგვარადაც შეიძლებოდა; დუმილი ყოველთვის როდი ნიშნავს თანხმობას. ზოგჯერ მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ადამიანებს სწრაფი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი არ შესწევთ. ასე რომ, თუკი ვინმე იყო ხალხში ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე, ძალიან მალე იგრძნობდა სინდისის ქენჯნას -

იფიქრებდა, რატომ ხმა არ ამოვიღე, მე ხომ წინააღმდეგი ვიყავიო - და ამ ფიქრს შეიძლებოდა, არასასიამოვნო შედეგიც მოჰყოლოდა.

- ერთსულოვნებაა საჭირო, - თქვა პადრემ, - საჭიროა, ყველამ ხმამაღლა განაცხადოს, ეთანხმება თუ არა ამ აზრს, დაე, ღმერთმა გაიგოს ყველა თქვენგანის ხმა და იცოდეს, რომ მის მხედრობაში თამამი ადამიანები დგანან. იმათ კი, ვისაც ღმერთი არა სწამს, ვთხოვ, საჯაროდ გამოხატოს თავისი აზრი, რათა მის ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა იცოდნენ, რას ფიქრობს.

მერს არ მოეწონა პადრეს ნათქვამი: მან თქვა, „საჭიროაო“, მაგრამ უნდა ეთქვა: „ჩვენთვის არის საჭიროო“ ან „საჭიროა მერისთვისო“. როგორც კი ეს ამბავი ჩამთავრდება, მაშინვე მოუწევს, რაღაც იღონოს საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად. მაგრამ ახლა, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა, პადრეს დააცადა თავის გამოჩენა.

- მაშასადამე, ვინ არის თანახმა?

პირველი „მე“ მჭედელმა წარმოთქვა. შემდეგ, ხალხის წინაშე თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად იგივე სიტყვა მერმა გაიმეორა ხმამაღლა. მოედანზე შეკრებილები ერთიმეორის მიყოლებით ხმამაღლა აცხადებდნენ თანხმობას და ასე გაგრძელდა, სანამ ყველამ არ გამოთქვა თავისი აზრი. ერთნი იმიტომ თანხმდებოდნენ, რომ სურდათ, კრება სწრაფად დამთავრებულიყო და შინ დაბრუნებულიყვნენ; მეორენი - იმიტომ, რომ ოქროზე და იმაზე ფიქრობდნენ, მოულოდნელად გამდიდრებულები როგორ წავიდოდნენ ვისკოსიდან; მესამენი - იმიტომ, რომ უკვე ხედავდნენ, როგორ გაუგზავნიდნენ ფულს დიდ ქალაქებში გადასახლებულ შვილებს, რათა მათაც შეძლებოდათ, ამაყად დაეჭირათ თავი და მეგობრებს არ ჩამორჩენოდნენ. და არავის, იქ მყოფთაგან არავის სჯეროდა, რომ ვისკოსი თავის დაკარგულ დიდებას დაიბრუნებდა, ყველას მხოლოდ სიმდიდრის მოპოვება უნდოდა, რომელსაც, მათი ღრმა რწმენით, ყოველთვის იმსახურებდნენ, მაგრამ ვერასოდეს იძენდნენ.

და არავის უთქვამს: „წინააღმდეგი ვარ!“

- ჩვენს ქალაქში 108 ქალია და 173 მამაკაცი, - განაგრძო პადრემ, - ყოველ სახლში ერთი თოფი მაინც ინახება, რადგან ადგილობრივი ტრადიციით, ყველას უყვარს ნადირობა. ხვალ დილას ყოველმა თქვენგანმა თითო ტყვიით გატენილი თოფი მოიტანოს ეკლესიაში, ჩვენს მერს რამდენიმე თოფი აქვს, ამიტომ ვთხოვ, ერთი თოფი ჩემთვისაც გამოაყოლოს.

- იარაღს ვერავის ვანდობთ, - ხალხიდან იყვირა ერთმა. - თოფი სიწმინდეა; თოფი ჭირვეულია და უცხო ხელს ვერ იტანს.

- დამამთავრებინეთ. მე აგიხსნით, როგორ ხვრეტენ სიკვდილმისჯილ ადამიანს. განაჩენის აღსასრულებლად შვიდ ჯარისკაცს გამოყოფენ. შვიდივე ჯარისკაცს

თოფებს აძლევენ, მაგრამ ამათგან მხოლოდ ექვსია საბრძოლო ტყვიით გატენილი, ერთში კი ფუჭი ტყვია დევს. ერთნაირად ისვრის, მაგრამ ერთ თოფში ფუჭი ტყვია დევს და, ცხადია, მსჯავრდებულს ვერ განგმირავს.

ჯარისკაცებმა არ იციან, ვინ ისვრის ფუჭი ტყვიით. ყველას ჰგონია, რომ სწორედ მას შეხვდა ის თოფი, და ამიტომაც ამ ადამიანის მოკვლას დანარჩენებს აბრალებს, რომელთაც ადრე არასოდეს უნახავთ მსჯავრდებული, მაგრამ სამსახური ავალდებულებთ, ესროლონ.

- თავს დამნაშავედ არავინ გრძნობს, - თქვა აქამდე მდუმარედ მდგარმა ლატიფუნდისტმა.

- ასეა. ხვალ მეც ასე მოვიქცევი: 87 ვაზნიდან ტყვიას ამოვიღებ, დანარჩენებში კი დავტოვებ. ყველა ერთდროულად გაისვრის, მაგრამ არავის ეცოდინება, ვის თოფში იდო ფუჭი ტყვია. ამგვარად, ყოველ ჩვენგანს შეეძლება, იფიქროს, რომ თვითონ არ მიუძღვის დანაშაული.

მოედანზე თავმოყრილი ხალხი უკვე გვარიანად დაქანცულიყო და ამიტომაც პადრეს ნათქვამზე ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ხალხს გუნება გამოუკეთდა, თითქოს მოსახდენმა თავისი ტრაგიკული მნიშვნელობა დაკარგა და უდანაშაულო განძის მადიებლობად იქცა. ყოველი ვისკოსელი მამაკაცი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ მას შეხვდებოდა ფუჭი ტყვიით გატენილი თოფი, თვითონ არ იქნებოდა დამნაშავე ამ მკვლელობაში, ის მხოლოდ თანამოქალაქეებს გაჰყვებოდა ქალაქის გადასარჩენად. ყველა გამოცოცხლდა - ბოლოს და ბოლოს, ვისკოსში რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა.

- მინდა, დამერწმუნოთ, რომ ჩემი თოფი ფუჭი ტყვიით არ იქნება დატენილი. მე ჩემს თავს ვერ დავემალე. ჩემს წილ ოქროზეაც უარს ვაცხადებ, ამას თავისი მიზეზი აქვს, - თქვა პადრემ.

მერს ისევ არ მოეწონა არც ნათქვამი და არც ის, როგორ იყო ეს სიტყვები წარმოთქმული. პადრემ ვისკოსელებს აგრძნობინა, რომ თამამი და კეთილშობილი ადამიანი იყო, თავგანწირვა და ლიდერობა შეეძლო. მისი ცოლიც რომ ამ მოედანზე ყოფილიყო, აუცილებლად იტყოდა, პადრე მერობას უმიზნებს და მომდევნო არჩევნებზე აუცილებლად წამოაყენებს თავის კანდიდატურასო.

„არა უშავს, არა უშავს, ცოტაც დამაცადონ“, - გაიფიქრა მერმა. ორშაბათს ახალი დეკრეტის გამოცემას აპირებდა და იმდენ გადასახადს დააკისრებდა ეკლესიას, რომ პადრე იძულებული გახდებოდა, ქალაქიდან წასულიყო. ახიც იქნებოდა მასზე, თუკი მთელ ქალაქში ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც გამდიდრება არ უნდოდა.

- ვის გავგზავნით.... - იკითხა მჭედელმა.

- მსხვერპლს მე მოვიყვან, - უპასუხა პადრემ, - ამას მე ვითავებ. მაგრამ სამი კაციც უნდა გამომეყვას.

მსურველი არავინ ჩანდა, ამიტომ პადრემ თვითონ აირჩია სამი ჯანიანი კაცი. მათგან მხოლოდ ერთმა დააპირა უარის თქმა, მაგრამ დანარჩენების ამრეზილი მზერა იგრძნო და მაშინვე დათანხმდა.

- მსხვერპლშეწირვა სად მოხდება? - პადრეს ჰკითხა ლატიფუნდისტმა.

მერი მიხვდა, რომ საოცარი სისწრაფით კარგავდა ავტორიტეტს და ახლავე რაღაც უნდა ელონა.

- ამ საკითხს მე გადავწყვეტ, - თქვა და ზიზღით შეხედა ლატიფუნდისტს, - ჩვენ ვერ დავუშვებთ, ვისკოსის მიწა სისხლით შეიღებოს. მსჯავრი ხვალ საღამოს აღსრულდება, კელტების მონოლითთან. ფარნები, ლამპები და ჩირაღდნები წამოიღეთ, რათა ყველამ დაინახოს, საით უნდა მივმართოთ თოფები.

პადრე სკამიდან ჩამოვიდა და ხალხს ამით ანიშნა, რომ კრება დამთავრებული იყო. ქალების სმენას ისევ მისწვდა ქვაფენილზე ახმაურებული მრავალი ადამიანის ფეხის ხმა - კაცები სახლებში ბრუნდებოდნენ, რაღაცას სვამდნენ, ფანჯარაში იცქირებოდნენ, ანდა ქანცგამოლეულები მაშინვე ლოგინში წვებოდნენ. მერი ცოლს შეხვდა და მანაც უამბო, რა უთხრა ბერტამ და რა შიში ჰქამა. ისიც უამბო, რომ სასტუმროს დიასახლისთან ერთად დიდხანს ზომავდნენ და წონიდნენ დედაბრის ნათქვამ ყოველ სიტყვას და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბერტა, ალბათ, არაფერს ეჭვობდა, მათი შიში მხოლოდ სინდისის ქენჯნით იყო გამოწვეული. „ეს ყველაფერი სისულელეა, „წყეული მგლისა“ არ იყოს“, - დასძინა მერის ცოლმა.

პადრე კი ეკლესიაში დაბრუნდა და დილამდე ლოცულობდა.

შანტალი ყავას გუშინდელ პურს ატანდა - კვირაობით მეფუნთუმე არ მოდიოდა. ფანჯრიდან ვისკოსელებს ხედავდა, თავ-თავიანთი სახლებიდან რომ გამოდიოდნენ და თან სანადირო თოფები გამოჰქონდათ. შანტალი სიკვდილისთვის გაემზადა, რადგან ერთთავად იმაზე ფიქრობდა, რომ არჩევანი მასზე შეიძლებოდა, შეჩერებულიყო, მაგრამ კარზე არავის დაუკაკუნებია - ხალხი მის სახლს გვერდს უვლიდა, ეკლესიაში შედიოდა და იქიდან ხელცარიელი ბრუნდებოდა.

შანტალი ქვევით ჩავიდა, ბარში შევიდა და სასტუმროს დიასახლისისგან შეიტყო, რაც წინა საღამოს მოხდა. ისიც გაიგო, როგორ აირჩიეს მსხვერპლი; ისიც, რაც პადრემ ჩაიფიქრა. დიასახლისი ყოველგვარი გაბოროტების გარეშე ლაპარაკობდა. ეტყობოდა, მოვლენები შანტალის სასიკეთოდ შემობრუნებულიყო.

- იცი, რას გეტყვი? ალბათ, ოდესმე ვისკოსი მიხვდება, რა სიკეთე გაუკეთე მის ბინადართ.



- მაგრამ ჯერ უცხოელმა უნდა გიჩვენოთ ოქრო, - თქვა გოგონამ.

- ცხადია. სულ ახლახან გავიდა სასტუმროდან და თან ცარიელი ზურგჩანთა წაიღო.

შანტალმა გადაწყვიტა, ტყეში აღარ წასულიყო, რადგან გზად ბერტას სახლთან მოუწევდა გავლა და გაუჭირდებოდა დედაბრისათვის თვალეში შეხედვა. შინ მიბრუნებულს კი ისევ ის სიზმარი გაახსენდა.

გუშინ, დღისით, უცნაური სიზმარი ნახა: თითქოს ანგელოზი ოქროს თერთმეტ ზოდს აწვდიდა და სთხოვდა, შეენახა.

შანტალმა უპასუხა, რომ ამ ოქროს მისაღებად ვიღაცის მოკვლა იყო საჭირო. მაგრამ ანგელოზმა უთხრა - პირიქით, სწორედ ეს ზოდები ადასტურებს, რომ ოქრო საერთოდ არ არსებობს.

ამ სიზმარმა აფიქრებინა, გუშინ სასტუმროს დიასახლისისათვის ეთხოვა, უცხოელს დალაპარაკებოდა - შანტალი მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მაგრამ რადგანაც მის ცხოვრებაში ყველა ბრძოლა მისი დამარცხებით მთავრდებოდა, ახლაც ეჭვი ეპარებოდა, რომ შეძლებდა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას.

ბერტა მწვერვალების იქით ჩამავალი მზის სილამაზით ტკბებოდა, როცა ანაზდად შეამჩნია, რომ მის სახლს პადრე და სამი კაცი უახლოვდებოდა. ნაღველი შემოაწვა გულზე. ამ ნაღველს სამი მიზეზი ჰქონდა - უპირველესად, მიხვდა, რომ აღსასრული მოახლოვდა; მეორეც - აღარც ქმარი გამოჩენილა მის დასამშვიდებლად (იქნებ მოსალოდნელი ამბისა ეშინოდა, ანდა თავისი უღონობისა რცხვენოდა); და ბოლოს, ეს დაგროვილი ფული ბანკის აქციონერებს დარჩებოდათ, თვითონ ველარ მოასწრებდა ფულის გამოტანას და დაწვას.

მაგრამ, ამასთან, გაუხარდა კიდევ, რადგან ქმარს შეხვდებოდა, რომელიც ამ ბოლო ხანს, რატომღაც, სენიორიტა პრიმის ბეზიასთან ერთად დასეირნობდა; და კიდევ იმიტომ, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღე ასეთი ცივი, მაგრამ მზიანი და ნათელი იყო: ყველა ხომ ვერ ახერხებდა, საფლავში წაეღო ასეთი ულამაზესი მოგონებები.

პადრემ თანმხლებთ ანიშნა, შორიახლო დალოდებოდნენ, თვითონ კი დედაბერთან მივიდა.

- სადამო მშვიდობისა. ხედავთ, რა ყოვლისშემძლეა უფალი, თუკი ასეთი მშვენიერების შექმნა შეუძლია, - უთხრა ბერტამ, გულში კი გაიფიქრა: „თქვენ მე წამიყვანთ, მაგრამ მთელი სამყაროს ცოდვებს აქ დავტოვებ“.

- ვერც კი წარმოიდგენთ, რა მშვენიერია სამოთხე, - უპასუხა პადრემ, მაგრამ ბერტა მიხვდა, რომ ნასროლი ისარი მიზანს მისწვდა და ახლა პადრე მთელი ძალისხმევით ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას.

- მართალს ბრძანებთ, ვერ წარმომიდგენია. უფრო მეტიც, საერთოდ არც კი მჯერა, რომ სამოთხე არსებობს, თქვენ იქ ნამყოფი ხართ?

- ჯერ არა. სამაგიეროდ, ჯოჯოხეთში ვყოფილვარ და ვიცი, რა საშინელებაა, თუმცა გარედან ძალიან მომხიბლავი ჩანს.

ბერტა მიხვდა, რომ პადრე ვისკოსს გულისხმობდა.

- ცდებით, პადრე. თქვენ სამოთხეში იყავით, ოღონდ ამას ვერ მიხვდით. თუმცა, ადამიანთა უმრავლესობას იგივე სჭირს - ყველაზე ბედნიერ ადგილებშიც კი ეძებენ სატანჯველს, რადგან არ სჯერათ, რომ ბედნიერებას იმსახურებენ.

- მგონი, მარტოობაში გატარებულმა წლებმა სიბრძნე შეგმატათ.

- მრავალი წლის მანძილზე სალაპარაკოდ არავინ მოსულა, ახლა კი, ჩემდა გასაოცრად, ყველას ერთად გავახსენდი. წარმოდგინეთ, პადრე, გუშინ საღამოს სასტუმროს დიასახლისმა და ჩვენი მერის ცოლმა დამდეს პატივი და მესტუმრნენ, დღეს კი თქვენ მობრძანდით, ჩვენი მწყემსი. დროა, ვიამაყო.

- ამის მიზეზიც გაქვთ, - უპასუხა პადრემ, - ვისკოსში თქვენზე ძვირფასი ადამიანი არ არსებობს.

- რა მოხდა, მემკვიდრეობა ხომ არ მივიღე?

- ოქროს ათი ზოდი. თქვენი სახელი თაობებს გადაეცემა და ყველა მაღლიერიებით გაგიხსენებთ. შესაძლებელია, ძეგლიც კი დაგიდგან.

- შადრევანი მირჩევნია. ლამაზიც არის, წყურვილსაც უკლავს ადამიანებს და ამშვიდებს.

- კეთილი, შადრევანი იყოს. გპირდებით.

ბერტამ გადაწყვიტა, დროა, თავის მოსულელებას შევეშვა და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

- პადრე, მე უკვე ყველაფერი ვიცი. თქვენ სასიკვდილოდ გაიმეტეთ უდანაშაულო ქალი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. წყეულიმც იყავით! თქვენც, ეს ქალაქიც და მისი ბინადარნიც.

- დიახ, ნამდვილად ვიქნებით წყეულნი, - უთხრა პადრემ, - ოც წელზე მეტხანს ვცდილობდი, მაღლი მომეფინა ამ მხარისთვის, მაგრამ ყური არავინ მათხოვა. ოც წელზე მეტხანს ვცდილობდი, სიკეთე გამეღვივებინა ადამიანთა გულებში, მანამდე ვცდილობდი, სანამ არ მიხვდით, რომ ღმერთმა წილად მარგუნა, მისი მარცხენა ხელი ვყოფილიყავი, რათა იმ ბოროტებაზე მიმეთითებინა, რისი ჩადენაც მათ შეეძლოთ. იქნებ ახლა მაინც შეშინდნენ და მოიქცნენ.

ბერტას ტირილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა.

- ოქროს სიტყვებია, მხოლოდ საწყენია, რომ ეს სიტყვები არაფერს ამბობს. ამით მხოლოდ უსამართლობისა და მხეცობის ახსნა გწადიათ.

- სხვებისაგან განსხვავებით, მე ამას ფულის გამო არ ვაკეთებ. მე ვიცი, რომ უცხოელის ოქროც და ჩვენი ქალაქიც დაწყევლილია, ეს ოქრო ბედნიერებას არავის მოუტანს. მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ღმერთმა მთხოვა დახმარება. უფრო სწორად, კი არ მთხოვა, ჩემი ლოცვა შეისმინა და მიბრძანა.

„უაზრო კამათია“, - გაიფიქრა ბერტამ. მღვდელმა კი ჯიბეში ხელი ჩაიყო და რამდენიმე ტაბლეტი ამოიღო.

- ვერაფერს იგრძნობთ, - უთხრა ბერტას, - ნება მოგვეცით, შემოვიდეთ.

- სანამ ცოცხალი ვარ, ვერც თქვენ და ვერც ვინმე ვისკოსელი ჩემი სახლის ზღურბლს ვერ გადმოაბიჯებს. იქნებ მერე, როცა ეს ღამე დასრულდება, ჩემი სახლის კარი ღია დაგხვდეთ, მაგრამ ახლა - არა.

პადრემ ანიშნა და თანმხლებთაგან ერთ-ერთმა პლასტმასის ბოთლი მოიტანა.

- ეს აბი დალიეთ. რამდენიმე საათით დაგეძინებათ და უკვე ცად, თქვენი ქმრის გვერდით გაიღვიძებთ.

- მე ყოველთვის ჩემი ქმრის გვერდით ვარ და, თუმცა უძილობა მტანჯავს, დასაძინებელი წამალი მაინც არასოდეს დამიღვივია.

- მით უკეთესი - წამალი მაშინვე იმოქმედებს.

მზე უკვე ჩასულიყო და ბინდი სწრაფად ეფინებოდა ველს, ეკლესიას, მთელ ქალაქს.

- თუ არ დავლევ?

- დალევთ.

ბერტამ პადრეს თანმხლებთ გახედა და მიხვდა, რომ მართალს ეუბნებოდა. მან აბი გამოართვა, ენაზე დაიდო და წყალი მიაყოლა - მთელი ბოთლი გამოცალა. წყალს არც ფერი აქვს, არც სუნი, არც გემო, და მაინც, ქვეყნად წყალზე ძვირფასი არაფერია. ზუსტად ისევე, როგორც ბერტაზე მნიშვნელოვანი არავინ იყო ამწუთას.

მან ისევ მოავლო თვალი უკვე ბინდით დაფარულ მთებს. დაინახა, როგორ აინთო ცაზე პირველი ვარსკვლავი, და გაიფიქრა, რომ მშვენიერი სიცოცხლე განვლო: იმ ადგილას დაიბადა და მოკვდა, რომელიც უყვარდა - მერე რა, თუ ამ ადგილს არ უყვარდა ბერტა? ჭეშმარიტ სიყვარულს თანაზიარობა არ სჭირდება, ხოლო ის, ვინც თავისი სიყვარულისთვის გასამრჯელოს ითხოვს, ტყუილად კარგავს დროს.

მთელი სიცოცხლე ღვთის მადლი არ მოჰკლებია. არსად არასოდეს უმოგზაურია, მაგრამ მტკიცედ იცოდა - ვისკოსშიც იგივე ხდებოდა, რაც ყველგან და ყოველთვის. უსაყვარლესი ქმარი დაკარგა, მაგრამ უფალმა სიხარულიც მიანიჭა - ქმარი სიკვდილის შემდეგაც მის გვერდით იყო. ქალაქის დიდებაც ახსოვდა, მის დაცემასაც მოესწრო და იმქვეყნად ისე მიდიოდა, რომ მის საბოლოო განადგურებას ვეღარ ნახავდა. ადამიანთა ღირსებებიც იცოდა და ნაკლოვანებებიც, და მიუხედავად იმისა, რაც ახლა ხდებოდა მის თავს, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ეფიცებოდა, თითქოს უხილავ სამყაროშიც სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა - მაინც სჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ადამიანთა სიკეთე სძლევდა ბოროტებას.

მას ეცოდებოდა პადრე, მერი, სენიორიტა პრიმი, უცხოელი, ყველა ვისკოსელი, რადგან უცილობლად სწამდა - ბოროტება სიკეთეს ვერასოდეს მოიტანს, როგორც უნდა დაარწმუნონ თავიანთი თავი მისმა თანამემამულეებმა. და როცა ისინი მიხვდებიან, რა მოხდა სინამდვილეში, უკვე ძალიან გვიანი იქნება.

ბერტას მხოლოდ ერთ რამეზე სწყდებოდა გული - ზღვა არასოდეს ენახა. იცოდა, რომ ზღვა არსებობდა, უზარმაზარი იყო, ერთდროულად დაუმორჩილებელიც და მორჩილიც, მაგრამ ვერასოდეს შეძლო მასთან მისვლა, ვერ მოახერხა, თუნდაც ერთი პეშვი მარილიანი წყალი პირში ჩაეგუბებინა, ცხელი ქვიშა შეეგრძნო შიშველი ფეხებით და ცივ ტალღაში ჩაეყვინთა, როგორც დიადი დედის წიაღში (ახსოვდა, რომ კელტები სწორედ ამ შედარებას იყენებდნენ ხოლმე).

ზღვა რომ არა, ამქვეყნად არაფერი იყო ისეთი, რის დატოვებაც ნალველით აუვსებდა გულს. ცუდი იყო, ცხადია, ძალიან ცუდი და სამწუხარო, რომ აი, ასე უწევდა ამქვეყნიდან წასვლა, მაგრამ ბერტა თავს მსხვერპლად არ თვლიდა - უეჭველად თავად ღმერთმა არგუნა ეს ხვედრი და ის პადრეს ხვედრზე უკეთესი იყო.

- მინდა, სიკეთესა და ბოროტებაზე დაგელაპარაკოთ, - პადრეს ხმა ჩაესმა ბერტას და იმავე წამს იგრძნო, რომ ხელ-ფეხი წაერთვა.

- არ არის საჭირო. თქვენ არ იცით, რა არის სიკეთე. იმ ბოროტებით ხართ მოწამლული, თქვენ რომ შეგამთხვიეს, და ახლა იმავე ბოროტებას მიწაზე მიმოაფენთ. თქვენ არაფრით განსხვავდებით უცხოელისაგან, ჩვენს გასანადგურებლად რომ ჩამოვიდა ვისკოსში.

ბერტას თავადაც ძლივსღა ესმოდა თავისი ხმა. მან ცაზე აჭიატებულ ვარსკვლავებს ახედა და თვალეხი დახუჭა.

უცხოელი თავისი ნომრის სააბაზანოში შევიდა, გულდაგულ, სათითაოდ გარეცხა ოქროს ზოდები და ისევ ძველ, ჭუჭყიან ზურგჩანთაში ჩააწყო. ორი დღის წინ სცენიდან ჩამოვიდა, მაგრამ ახლა, მოქმედების დასასრულს, ისევ უნდა გამოჩენილიყო.

ყველაფერი გულდასმით იყო მოფიქრებული და დაგეგმილი, ყველა დეტალი გათვლილი ჰქონდა - დაწყებული ქალაქიდან, რომელიც სრულიად განმარტოებით იდგა და ძალიან მცირე რაოდენობის მოსახლეობით გამოირჩეოდა, თანამზრახველით დამთავრებული - იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე წინააღმდეგობის გაწევას დააპირებდა - სწორედ ის ააშორებდა ნებისმიერ ეჭვს და ხელისუფალთ საშუალებას არ მისცემდა, მკვლელობის წაქეზებაში დაედანაშაულებინათ. დიქტოფონი და გასამრჯელო პირველი ეტაპის ფრთხილი ნაბიჯები იყო, როცა ვისკოსელებთან დაამყარა მეგობრული ურთიერთობა. მეორე ეტაპზე ამ მიწაში თავზარდაცემისა და დაბნეულობის თესლი ჩააგდო. თვითონაც ისე ექცეოდა ადამიანებს, როგორც ღმერთი მოექცა მას.

ყველაფერი წინასწარ განსაზღვრა და ყველაფერზე იზრუნა - ყველაფერზე, გარდა ერთისა: ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებდა. თავიდანვე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ გადამწყვეტ წუთს მოკლე „არა“-ს გაიგონებდა, რაც ყველაფერს შეცვლიდა; ერთი ადამიანი მაინც გამოჩნდებოდა, ვინც უარს იტყოდა დანაშაულზე და ესეც საკმარისი იქნებოდა იმის დასტურად, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დაკარგული. თუ ერთი ადამიანი მაინც იხსნიდა ქალაქს, გადარჩებოდა მთელი სამყაროც: ცხადი გახდებოდა, რომ იმედი ჯერ არ გამქრალა; რომ სიკეთე უფრო ძლიერია და ტერორისტებმა თავადაც არ იცოდნენ, ბოროტების იარაღნი რომ იყვნენ, თვითონაც მიტევენას მიიღებდა და, ტანჯვის სანაცვლოდ, მოგონებათა ნათელი ნაღველი დარჩებოდა გულში. ამ ნაღველით ისწავლიდა ცხოვრებას და ახალი ბედნიერების ძიებას დაიწყებდა. ამ „არას“ სანაცვლოდ, რომლის მოსმენაც ასე ეწადა, ვისკოსელები ათ ზოდ ოქროს მიიღებდნენ.

მაგრამ გეგმა ჩაეშალა. ახლა კი უკვე გვიანი იყო - განზრახულს ვედარ შეცვლიდა.

კარზე დაუკაკუნეს.

- წამოდით, - შემოესმა სასტუმროს დიასახლისის ხმა, - დროა.

- მოვდივარ, მოვდივარ.

პიჯაკი ჩაიცვა, ბარში ჩავიდა და სასტუმროს დიასახლისს უთხრა:

- ოქრო მე მაქვს. მაგრამ მოულოდნელობებისაგან თავის დასაცავად, მინდა, გაგაფრთხილოთ: ალბათ, გეცოდინებათ, რომ სხვებმაც იციან, სად ვიმყოფები. თუკი შემთხვევით გადაწყვეტთ და მსხვერპლად მე ამირჩევთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პოლიცია მეორე დღესვე მომძებნის. გახსოვთ, ალბათ, რომ რამდენჯერმე დავრეკე ტელეფონით, მეთანხმებით?

სასტუმროს დიასახლისმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

კელტების მონოლითამდე ნახევარი საათის სავალი იყო. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ეს მონოლითი მხოლოდ და მხოლოდ

უხსოვარ დროს მეხის დაცემით კლდიდან მოწყვეტილი, წვიმიტა და თოვლით გაპრიალებული უჩვეულო ფორმის ქვა იყო. აქაბი აქ ქალაქის საბჭოს სხდომებს ატარებდა ხოლმე, რადგან ქვა მაგიდას ჩამოჰგავდა, თავად ბუნებას რომ დაედგა სუფთა ჰაერზე.

ასე გრძელდებოდა, სანამ სამეცნიერო ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა, სახელმწიფოს მიერ კელტების მემკვიდრეობის შესასწავლად რომ იყო გამოგზავნილი, ყურადღება არ მიაქცია ამ ქვას. მაშინვე არქეოლოგები ჩამოვიდნენ, ქვას ზომავდნენ, რაღაცას ანგარიშობდნენ, თხრიდნენ და კამათობდნენ. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კელტების რომელიღაც ტომისათვის ეს ადგილი წმინდად იყო მიჩნეული. თუმცა, ვერ დაადგინეს, რა რიტუალები და ცერემონიები ტარდებოდა ამ ქვაზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ადრე აქ ასტრონომიული ობსერვატორიის მაგვარი რაღაცა უნდა ყოფილიყო; სხვები ამტკიცებდნენ, რომ აქ ნაყოფიერების ქალღმერთის თაყვანსაცემად ამოდიოდნენ და ამ ქვაზე ქურუმები ქალწულებთან ამყარებდნენ რიტუალურ შერწყმას. დისკუსია კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა, რის შემდეგაც მეცნიერები მათთვის უფრო საინტერესო ადგილებისკენ გაემართნენ და აქაურობასთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნა აღარ გაუკეთებიათ.

ვისკოსის მერმა თავისი არჩევისთანავე ჟურნალისტებს სტატია დაუკვეთა კელტთა მემკვიდრეობის შესახებ, შემდეგ კი ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა იმ იმედით, რომ ქალაქში ტურისტებს მოიზიდავდა, მაგრამ კელტების მონოლითთან მისასვლელი გზა საცალფეხო და სახიფათო იყო, არც სანახავი იყო არაფერი - ერთი ქვის მაგიდა იდგა, მეზობელი ქალაქები და სოფლები კი ბევრად საინტერესო სანახაობას სთავაზობდნენ ტურისტებს - ქანდაკებებს, წარწერებსა და ათას სხვა რამეს. ასე რომ, ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მონოლითმა ისევ ძველებურად განაგრძო არსებობა - პიკნიკზე მისული ვისკოსელები შემოუსხდებოდნენ ხოლმე ირგვლივ.

იმ დღეს ვისკოსელთა სახლებში ერთსა და იმავე საკითხზე კამათობდნენ: ქმრები მარტონი აპირებდნენ მონოლითისკენ წასვლას, ცოლები კი დაჟინებით მოითხოვდნენ, მათაც მიეღოთ მონაწილეობა „საიდუმლო მსხვერპლშეწირვაში“, როგორც ცოტა ხნის წინ შეერქვა მოსალოდნელ ბოროტმოქმედებას. ქმრები ამტკიცებდნენ, რომ ქალების იქ ყოფნა არცთუ უსაფრთხო იქნებოდა, რადგან არავინ იცოდა, რა შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ამდენი იარაღიდან გასროლას. ცოლები კი ამტკიცებდნენ, რომ მათ ქმრებს მხოლოდ პატივმოყვარეობა ამოძრავებდათ, ქალთა უფლებებს არ ითვალისწინებდნენ, რადგან სამყარო უკვე აღარ იყო ისეთი, როგორც მამაკაცებს წარმოედგინათ. ბოლოს და ბოლოს, ქმრები დანებდნენ, ცოლები კი გამარჯვებას ზეიმობდნენ.

და, აი, უამრავი მანათობელი ციციანათელა დაიდრა მონოლითისკენ. და რადგანაც უცხოელსაც ჩირაღდანი ეჭირა, ბერტას კი არაფრის დაჭერა არ შეეძლო, იმ

ციცინათელათა რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდა ვისკოსის ბინადართა რაოდენობას - ორას ოთხმოცდაერთი იყო. ყოველ მამაკაცს ცალ ხელში ფარანი ან ლამპა ეჭირა, მეორეში - შუაზე გადაკეცილი სანადირო თოფი, რომ შემთხვევითი გასროლა არ მომხდარიყო.

ბერტა იყო ერთადერთი, ვისაც შეკრების ადგილისაკენ ფეხით არ უწევდა სიარული - მას უშფოთველად ეძინა იმპროვიზებულ საკაცეზე, რომელსაც ორი შეშის მჭრელი დიდი გაჭირვებით მიათრევდა. „კიდევ კარგი, უკან მაინც არ გვეყოლება წამოსაყვანი, - ფიქრობდა ერთი მათგანი, - იმდენ ტყვიას მიაჭედებენ, რომ ვეღარც კი ავწევთ“.

გაახსენდა, რომ ერთი ტყვია ექვსი პატარა ტყვიის ბურთულისაგან შედგებოდა. ყველა ტყვია რომ მიზანს, ე.ი. დედაბრის სხეულს მოხვედროდა, ხუთას ოცდაორი გამოვიდოდა და სისხლზე მეტი ტყვია ექნებოდა სხეულში.

იმ წუთს ხის მჭრელმა იგრძნო, როგორ აუზუყბუყდა მუცელი და გადაწყვიტა, ორშაბათამდე აღარაფერზე ეფიქრა.

გზაზე უხმოდ მიაბიჯებდნენ, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, თითქოს წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულები, რაც ხდებოდა, კომმარული სიზმარივით მიეღოთ და მალევე დაევიწყებინათ - და რაც მალე დაივიწყებდნენ, მით უკეთესი. ადამიანები მძიმედ სუნთქავდნენ - დაღლილობის კი არა, უფრო მღელვარების გამო. ბოლოს, კარგა ხნის სიარულის შემდეგ, უზარმაზარი, განათებული ნახევარწრე შემოერთყა იმ კორდს, რომელზეც კელტური მონოლითი იდგა.

მერმა შეშის მჭრელებს ანიშნა, თოკები გადაეჭრათ, რომლითაც ბერტა საკაცეზე იყო მიმაგრებული, და დედაბერი ქვის მაგიდაზე დაესვენებინათ.

- არა, ასე არ ივარგებს, - თქვა მეწისქვილემ, რომელსაც გაახსენდა, რომ ფილმებში ჯარისკაცები, ტყვიებისგან თავის დასაცავად, უმეტესად მიწაზე არიან გაკრულები - მწოლიარე ადამიანისათვის ტყვიის მოხვედრება ძნელი იყო.

მაშინ შეშის მჭრელებმა ბერტა წამოსვეს და ზურგით ქვას მიაყუდეს. იდეალური სამიზნე გამოვიდა, მაგრამ ანაზდად ქალის ტირილი გაისმა:

- პირდაპირ მე მიყურებს! ხედავს, რასაც ვაკეთებთ!

ცხადია, ბერტა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ამ გულკეთილი, ბედნიერად გაღიმებული დედაბრის ცქერა, რომელსაც სულ მალე პატარ-პატარა ტყვიები მოუსწრაფებდა სიცოცხლეს.

- ზურგით შეაბრუნეთ, - ბრძანა მერმა, რომელსაც ასევე უჭირდა ამის ცქერა.

შეშის მჭრელები ჯუჯღუნით მიუახლოვდნენ მონოლითს, ბერტა შეაბრუნეს, მუხლებზე დააყენეს, ისე, რომ სახითა და მკერდით მონოლითზე იყო მიყუდებული. მაგრამ რადგანაც ამგვარ მდგომარეობაში მისი გაჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა,

იძულებულები გახდნენ, მაჯებზე თოკები შეებათ, ქვაზე შემოეხვიათ და ასე დაემაგრებინათ.

საშინელი სანახაობა გამოვიდა - ხალხისკენ ზურგშექცეულ, მუხლმოდრეკილ ქალს ხელები ზეცისკენ აღეპყრო, თითქოს ლოცულობდა, თუ ვიღაცას შესთხოვდა შეწყალებას. ვიღაცას ესეც არ მოეწონა, მაგრამ მერმა შეკრებილებს უბრძანა, დროზე აღესრულებინათ აღსასრულებელი.

ახლა სიტყვებისა და თავის მართლების დრო აღარ იყო - ერთიცა და მეორეც შეეძლოთ, სახვალიოდ გადაედოთ, როცა ყველგან მხოლოდ ამაზე ილაპარაკებდნენ. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ქალაქის სამი ქუჩიდან ერთ-ერთზე კიდევ დიდხანს არ ივლიდა ხალხი - ყველა ხომ მიჩვეული იყო, რომ იქ, თავისი სახლის კარწინ, მთებს მიჩერებული, ჩუმად მობუტბუტე ბერტა უნდა მჯდარიყო. კიდევ კარგი, ვისკოსიდან სხვა გზითაც შეიძლებოდა გასვლა, და იმ ვიწრო შესახვევითაც, თვითნაკეთი კიბით პირდაპირ გზატკეცილისკენ რომ მიემართებოდა.

- მოდით, დავამთავროთ, - თქვა მერმა, კმაყოფილი იყო, რომ პადრე სიტყვას არ ძრავდა, და მაშასადამე, არც მის ავტორიტეტს ადგებოდა ჩრდილი, - თორემ შეიძლება, ველიდან ვინმემ თვალი მოჰკრას ამ ჩვენს განათებულ მონოლითს და იმის გარკვევა მოინდომოს, რა ხდება აქ. ერთს დავუმიზნებთ, ვისვრით - და დავიშლებით!

ყოველგვარი წუწუნის გარეშე! სამშობლოს დამცველი ჯარისკაცებივით აღვასრულებთ ჩვენს ვალს. და სინდისის ქენჯნა აღარ შეგვაწუხებს. ბრძანებას უნდა დავემორჩილოთ.

მაგრამ ანაზღად მერი არა მხოლოდ იმას მიხვდა, რატომ დუმდა პადრე, არამედ ისიც გააცნობიერა, რომ მახეში გაება. ამიერიდან აქ დამსწრენი - თუკი ეს ამბავი გამჟღავნდებოდა, - იმას იტყოდნენ, რასაც ომის შემდგომ ამბობენ ხოლმე მკვლელები: „ჩვენ ბრძანებას ვასრულებდით“. რა ხდებოდა ახლა ამ ადამიანების სულებში და ვინ იყო თვითონ - არამზადა თუ მხსნელი?

მაგრამ გულის აჩუყების უფლება არ ჰქონდა - განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა შემართული თოფების ერთობლივი ჭახანი გაისმებოდა. წარმოიდგინა, როგორი გამაყრუებელი ხმა ექნებოდა 174 თოფის ერთად გასროლას, მაგრამ თავი დაიმშვიდა: ვინმეს რომც მისწვდომოდა ზათქის ხმა, იმათ ამოსვლამდე ხალხი უკვე დაშლილი იქნებოდა. კიდევ კარგი, ჯერ კიდევ ვისკოსში გააფრთხილა ყველა, უკან გაბრუნებულებს ფარნები და ლამპები ჩაეჭროთ. გზას თვალდახუჭულებიც გაიკვლევდნენ - შუქი მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ სროლის დროს უბედური შემთხვევა არ მომხდარიყო.

ქალებმა ინსტინქტურად დაიხიეს უკან, როცა კაცებმა ორმოცდაათ მეტრში გაუნძრევლად მიმაგრებული ფიგურა მიზანში ამოიღეს. არავინ ააცილებდა -



აქაურები ბავშვობიდანვე სწავლობდნენ სროლას, შეეძლოთ, გაქცეული მხეცი მოეკლათ და გაფრენილი ჩიტი ჩამოეგდოთ.

მერი უკვე გაემზადა ბრძანების გასაცემად, რომ ანაზღად ქალის ხმა გაისმა:

- შეჩერდით!

სენიორიტა პრიმი იყო.

- ოქრო სად არის? ოქრო თუ ნახეთ?

კაცებმა იარაღი დაუშვეს. მართლაც - ოქრო არავის ენახა. ყველა უცხოელისკენ შებრუნდა.

ის ნელა გავიდა წრის შუაგულში, ზურგჩანთა მიწაზე დადო და აუჩქარებლად ამოალაგა ოქროს ზოდები.

- აი, ისიც, - თქვა მან და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, ნახევარწრედ მდგარი ხალხის ბოლოში.

შანტალი კი ზოდებთან მივიდა და ერთი აიღო.

- ეს ოქროა, მაგრამ მინდა, რომ თქვენც დარწმუნდეთ. ცხრა ქალი მომიახლოვდეს და ყოველმა მათგანმა ოქროს თითო ზოდი აიღოს ხელში.

მერი შეშფოთდა - ქალები ცეცხლის ხაზზე უნდა დამდგარიყვნენ, ვინმეს შემთხვევით რომ ხელი აჰკანკალებოდა - ტყვია გავარდებოდა. მაგრამ ცხრა ქალი - მათ შორის, მისი ცოლიც, - სენიორიტა პრიმთან მივიდა.

- დიახ, ოქროა, - თქვა მერის ცოლმა, როცა გულმოდგინედ დაათვალიერა ის, რაც ხელში ეჭირა და თავის არც ისე ბევრ ძვირფასეულობას შეადარა, - სახელმწიფო დამლა აქვს და კიდევ რაღაც ციფრები აწერია, რომლითაც სერიული ნომერი და წარმოების თარიღი აღინიშნება ხოლმე. არ გვატყუებენ.

- მაშინ გეჭიროთ ეს ზოდები და მომისმინეთ, რასაც გეტყვით.

- ახლა ლაპარაკის დრო აღარ არის, სენიორიტა პრიმი, - საუბარში ჩაერია მერი და მერე ცოლს მიმართა: - გადით აქედან და გვაცადეთ, დაწყებული საქმე დავამთავროთ!

- გაჩუმდი, იდიოტო!

შანტალის ყვირილმა ყველა დააფრთხო. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამის თქმას ვინმე გაუბედავდა მერს.

- ხომ არ გაგიჟდით?

- ხმა ჩაიკმინდე! - უფრო ხმამაღლა დაიყვირა შანტალმა, რომელიც თავით ფეხამდე ცახცახებდა და მერს ზიზღით გაცრიატებული თვალებით შესცქეროდა, - მე მგონი, გაგიჟდი, თუ ვერ ხვდები, რომ მახეში გაგაბეს, რომელიც ყველას სასჯელსა და სიკვდილს გვიქადის! შენ პირველი მოხვდი ამ ხაფანგში!

მერმა შანტალისაკენ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ორმა კაცმა შეაჩერა.

- მოვისმინოთ, რას გვეტყვის! - ვიღაცის ხმა გაისმა ხალხში, - ათი წუთი აღარაფერს შეცვლის!

ათი წუთი კი არა, ახლა ხუთი წუთიც უზარმაზარი დრო იყო და ამას ყველა ვისკოსელი ხვდებოდა. რაც უფრო დიდხანს იდგებოდნენ ამ კორომზე, მით მეტად შეიგრძნობდნენ შიშს; მით უფრო მტკივნეულად განიცდიდნენ თავიანთ დანაშაულს; მით მეტად დასწვავდათ სირცხვილი; მით უფრო ძნელი იყო ხელის ცახცახის დაცხრობა. ყველას მხოლოდ ერთადერთი რამ უნდოდა - რაღაც მიზეზი ეპოვათ და უარი ეთქვათ იმაზე, რისთვისაც აქ იყვნენ მოსულები. აქეთ მომავალი ყოველი მამაკაცი ფიქრობდა, რომ მისი თოფი ფუჭი ტყვიით იქნებოდა გატენილი და ყველაფერი მალე დასრულდებოდა, ახლა კი ყველას ეშინოდა, რომ სწორედ მისი თოფი გაისროდა სასიკვდილო ტყვიას და ამ დედაბრის აჩრდილი, ყველა რომ ჯადოქრად თვლიდა, ღამლამობით აღარ მოასვენებდა.

იმისაც ეშინოდათ, რომ ვიღაცას წამოსცდებოდა ნამოქმედარი. ან პადრე არ შეასრულებდა დანაპირებს და დანაშაული ყველას დაუმძიმებდა სულს.

- კარგი, ხუთ წუთს გამლევთ, - თქვა მერმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს შანტალს თვითონ რთავდა ნებას, ელაპარაკა, თუმცა უკვე ყველა ხვდებოდა, რომ თამაში შანტალის მიერ დადგენილი წესებით წარიმართებოდა.

- იმდენს ვილაპარაკებ, რამდენიც მომესურვება, - უპასუხა გოგონამ, ის უკვე თავს მორეოდა და სულაც არ აპირებდა, მოპოვებული გამარჯვების ერთი ნამცეცი დაეთმო. უჩვეულოდ მბრძანებლური და მტკიცე ხმა ჰქონდა, - მაგრამ დიდხანს მაინც არ დამჭირდება ლაპარაკი. ძალიან საინტერესო სანახავები ხართ. განსაკუთრებით იმიტომ არის საინტერესო, რომ აქ მყოფმა ყველა ადამიანმა იცის - აქაბის დროს ჩვენს ქალაქში ხშირად ჩამოდიოდნენ ადამიანები, რომელნიც ამბობდნენ, რომ ისეთი ფხვნილი ჰქონდათ, რითაც ტყვიას ოქროდ აქცევდნენ. ეს ადამიანები თავს ალქიმიკოსებს უწოდებდნენ და ერთხელ, როცა ერთ-ერთ მათგანს აქაბი სიკვდილით დაემუქრა, მან ყველას თვალწინ მართლაც აქცია ტყვია ოქროდ.

დღეს თქვენც გსურთ, იგივე გააკეთოთ - ტყვია სისხლს შეურიოთ და ოქროდ აქციოთ; იმ ოქროდ, ხელში რომ გვიჭირავს. ერთი მხრივ, სრულიად მართლები ხართ. მეორე მხრივ - ოქრო, რომელიც ასე მოულოდნელად ჩაგივარდათ ხელში, ასევე მოულოდნელად გაგიქრებათ ხელიდან.

უცხოელი ვერ ხვდებოდა, რაზე ლაპარაკობდა გოგონა, მაგრამ ძალიან უნდოდა, არ გაჩერებულიყო: იგრძნო, სულის რომელიღაც ჩაბნელებულ კუნჭულში როგორ აცრიატდა უკვე მივიწყებული ნათელი.

- სკოლაში ყველას წაგვიკითხავს ცნობილი ლეგენდა მეფე მიდასზე. ეს კაცი ერთხელ ღმერთს შეხვდა და ღმერთი შეჰპირდა, მისი ნებისმიერი სურვილი აღესრულებინა. მიდასი ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ მეტი უნდოდა, და სთხოვა, ოქროდ მიქციე, რასაც ხელს ვახლებო.

გახსოვთ, ალბათ, მერე რა მოხდა. მიდასმა ოქროდ აქცია თავისი ავეჯი, სახლი და ყველაფერი, რაც გარს ერტყა. დაუღლელად შრომობდა და ოქროდ აქცია ხეები ბაღში და კიბის საფეხურები. შუადღისას მოშივდა და წახემსება გადაწყვიტა. მსახურებმა ცხვრის შემწვარი ფეხი მიართვეს და ისიც მაშინვე ოქროდ იქცა. ღვინით სავსე ჭიქა მიიტანა პირთან - ისიც ოქროდ ქცეულიყო. მიდასი მაშინღა მიხვდა, რა შეცდომა დაუშვა, დახმარების სათხოვნელად ცოლთან მიიჭრა, მაგრამ, ხელის შეხებისთანვე ისიც ოქროს ქანდაკებად აქცია.

შეშინებული მსახურები სახლიდან გაექცნენ, ეშინოდათ, მათაც იგივე ბედი არ სწეოდათ. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ოქროთი გარშემორტყმული მიდასი შიმშილითა და წყურვილით მოკვდა.

- ამას რატომ გვიყვები? - ჰკითხა მერის ცოლმა. ოქრო სწრაფად დადო მიწაზე და ხალხს შეერია, ქმარს ამოუდგა გვერდით, - ვისკოსში ხომ ღმერთი არ გამოჩენილა, რომელიც ასეთივე უნარით დაგვაჯილდოებდა?

- რატომ გიყვებით? უბრალოდ, იმიტომ, რომ ოქროს, თავისთავად, არავითარი ფასი არა აქვს. საერთოდ, არავითარი. მას ვერ შეჭამ, ვერ დალევ, მისი მეშვეობით ვერც მიწასა და საქონელს იყიდ. ფასი მხოლოდ ფულს აქვს და იქნებ, ამიხსნათ, როგორ აპირებთ ამ ოქროს ფულად ქცევას?

ჩვენ ყველას ორი გზა გვაქვს. შეგვიძლია, მჭედელს ვთხოვოთ, ზოდები გადაადნოს და ორას ოთხმოც ნაწილად ჩამოასხას. ყველა ჩვენგანს შეეძლება, ქალაქში წავიდეს და თავისი წილი გაყიდოს. მაგრამ იმავე წამს ყურადღებასაც მივიქცევთ, რადგან ჩვენს მთებში, მოგეხსენებათ, ოქროს საბადო არ არსებობს, ამიტომ ყველა დაექვდება, საიდან უნდა გასჩენოდათ ვისკოსის ბინადართ პატარ-პატარა ოქროს ზოდები.

ხელისუფლება გამოძიებას დაიწყებს.

ჩვენ, ცხადია, ვეტყვით, რომ ძველი კელტების განძს მივაგენით, მაგრამ ექსპერტიზა მაშინვე დაადგენს, რომ ოქრო სულ ცოტა ხნის წინ არის ჩამოსხმული, ისიც გაახსენდებათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ აქ არქეოლოგიური გათხრები ტარდებოდა და კელტებს ამდენი ოქრო რომ ჰქონოდათ, უფრო დიდ და ლამაზ ქალაქს ააშენებდნენ.

- უმეცარივით ლაპარაკობ, - ხმა ამოიღო ლატიფუნდისტმა, - ოქროს ასევე ჩავაბარებთ ბანკში - თავისი დამღებითა და ნომრებით, სანაცვლოდ ფულს მივიღებთ და თანაბრად გავყოფთ.

- ეგ მეორე გზაა. მერი ათ ზოდს ბანკში მიიტანს და სანაცვლოდ ფულს მოითხოვს. ბანკის კლერკი, ცხადია, მერს იმ კითხვებს არ დაუსვამს, რასაც ჩვენ გვკითხავდა, ყველანი ერთად რომ მივსულიყავით. მერი ქალაქის მეთაურია და ამიტომაც მხოლოდ ზოდების შეძენის დამამტკიცებელ საბუთს მოსთხოვენ. მერი უპასუხებს, რომ არავითარი საბუთი არ გააჩნია, მაგრამ ყოველ ზოდზე - როგორც სულ ცოტა ხნის წინ აღნიშნა მისმა მეუღლემ, - დამლა და ნომერია გამოსახული, და, მაშასადამე, ოქრო ნამდვილია, ზედვე აქვს აღნიშნული გამოშვების თარიღიცა და ნომერიც.

ამ დროისათვის ჩვენი უცხოელი აქედან უკვე ძალიან შორს იქნება.

კლერკი სთხოვს მერს, ერთხანს დაელოდოს - ის პირადად იცნობს მერს და ეჭვი არ ეპარება მის პატიოსნებაში, მაგრამ ასეთი დიდი თანხის გასაცემად ნებართვის აღებაა საჭირო. თან ჩაეკითხება, მაინც საიდან იშოვა ამდენი ოქრო. მერი აუხსნის, რომ ერთმა ჩამოსულმა უცხოელმა აჩუქა - ჩვენს მერს პასუხის გაცემა არ გაუჭირდება.

კლერკი მმართველს მოახსენებს ოქროს შესახებ. მმართველი კი, არა, ისიც, ცხადია, არავის ეჭვით არ უყურებს, მაგრამ რადგანაც თვითონაც ამ ბანკში მუშაობს და ხელფასს იღებს, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ბანკის მმართველთა საბჭოს მოიწვევს. ბანკის მმართველთა საბჭოს კი, ალბათ, არც ჩვენი მერი ეცნობება და არც ბანკიდან ამხელა თანხის გაცემის სურვილი ექნებათ, ამიტომ მერს სთხოვენ, ორიოდე დღეს მოიცადოს, სანამ ზოდების წარმომავლობას დაადგენენ.

და გაირკვევა, რომ ოქრო მოპარულია ან იმ ადამიანების მიერ არის ნაყიდი, ვინც ნარკოტიკებით ვაჭრობაში არიან ეჭვმიტანილნი.

შანტალი დადუმდა. ის შიში, რაც მაშინ, ამ ოქროს პირველად ხელში აღებით შეიგრძნო, ახლა ყველა მის თანამემამულეს გადაედო. ერთი ადამიანის ისტორია მთელი კაცობრიობის ისტორიად იქცა.

- ყველა ზოდზე ხომ სერიის ნომერი და გამოშვების თარიღია. ძალიან ადვილია იმის დადგენა, საიდან არის ეს ოქრო.

ყველამ უცხოელს შეხედა, სრულიად გულგრილად რომ იდგა ხალხში.

- უცხოელს ნურაფერს ჰკითხავთ, - გააფრთხილა შანტალმა, - ის რაღაცას გვიპასუხებს, ჩვენც დავიჯერებთ, მაგრამ ძნელია, დაუჯერო იმ ადამიანს, ვინც სხვებს მკვლელობისკენ უბიძგებს.

- ხომ შეგვიძლია, აქ დავტოვოთ, სანამ ოქროს ფულად არ ვაქცევთ, - იკითხა მჭედელმა.

უცხოელმა სასტუმროს დიასახლისს რაღაც ანიშნა.

- ვერ შევძლებთ, - თქვა დიასახლისმა, - როგორც ჩანს, საკმაოდ ძლიერი მეგობრები ჰყავს. ჩემი თანდასწრებით რამდენჯერმე დარეკა, ვიღაცებს ელაპარაკა, ბილეთები შეუკვეთა. მისი გაქრობისთანავე ცხადი გახდება, რომ მოიტაცეს და პოლიცია მაშინვე ჩამოვა ვისკოსში.

შანტალმა ოქროს ზოდი მიწაზე დადო და ცეცხლის ხაზს გასცილდა. დანარჩენი რვა ქალიც უკან გაჰყვა.

- თუ გსურთ, შეგიძლიათ, ესროლოთ. მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ხაფანგია, რომელიც უცხოელმა დაგიგოთ, და ამიტომ მე ამ მკვლელობაში არ მივიღებ მონაწილეობას.

- არაფერიც არ იცი! - დაიყვირა ლატიფუნდისტმა.

- თუ არ ვცდები, სულ უახლოეს მომავალში, მერი ციხეში აღმოჩნდება, პოლიციელები კი ვისკოსს მოედებიან იმის გასაგებად, საიდან იშოვა ამდენი ოქრო. მერე ყველას მოგიწევთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ოღონდ არა - მე.

მაგრამ, პირობას გაძლევთ, არ დაგაბეზდებთ: მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არ ვიცი, აქ რა ხდებოდა. ამას გარდა, მერს ყველა ვიცნობთ, განსხვავებით ამ უცხოელისაგან, რომელიც ხვალ სამუდამოდ დატოვებს ვისკოსს. ვინ იცის, იქნებ მერს სურვილი აქვს, თვითონ იკისროს დანაშაული და თქვას, რომ ვისკოსში ერთი კვირით ჩამოსული ვიღაც უცხოელი გაძარცვა. მაშინ მერს ყველა გმირად შერაცხავს, დანაშაული არასოდეს გამჟღავნდება, ჩვენ კი ისე ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით, ოღონდ აღარც ოქრო გვექნება.

- დანაშაულს ჩემს თავზე ავიღებ! - თქვა მერმა, რადგან ხედავდა, რომ გოგონა ჭკუიდან შემლილიყო და სისულელეებს როშავდა.

ტკაცანი გაისმა - ვიღაცამ ორლულიანი თოფი ჩაკეცა.

- დამიჯერეთ! - ყვიროდა მერი, - მე ვიკისრებ! დანაშაულს მე დავიბრალებ!

პასუხად კიდევ გაისმა ტკაცანი, შემდეგ კიდევ და კიდევ. და ასე გაგრძელდა, სანამ ყველა შემართული თოფი მიწისკენ არ დაიხარა - რამდენჯერ უნდა დაეჯერებინათ პოლიტიკოსებისთვის?! ახლა მხოლოდ მერსა და პადრეს ეჭირათ შემართული იარაღი: ერთს მიზანში სენიორიტა პრიმი ჰყავდა ამოღებული, მეორეს - ბერტა. მაგრამ შემის მჭრელი, ის, აქეთ მომავალი რომ ფიქრობდა, რამდენ ტყვიას დაახლიდნენ დედაბერს - მიხვდა, რაც ხდებოდა, მერს და პადრეს მიეჭრა და განაიარადა.

მერი ჯერ იმდენად არ გაგიჟებულყო, დანაშაული უბრალო შურისძიების გამო ჩაედინა, პადრეს კი იარაღი პირველად ეჭირა ხელში და რომც ესროლა, მიზანში ვერ მოარტყამდა.

სენიორიტა პრიმი მართალს ამბობდა: ვილაცის სიტყვის დაჯერება ძალიან სახიფათო იყო. მოულოდნელად ყველამ გააცნობიერა ეს ჭეშმარიტება და ჯერ ასაკოვნები, შემდეგ კი - ახალგაზრდები, წრიდან გავიდნენ.

ისინი ხმის ამოუღებლად დაეშვნენ ფერდობზე. გზადაგზა ცდილობდნენ, ამინდზე ეფიქრათ; მომავალ დოღზე, მინდორზე, რომელიც რამდენიმე დღეში ხელმეორედ უნდა მოეხნათ; ნადირობის მოახლოებულ სეზონზე. სხვა არაფერი ხდებოდა და არც შეიძლებოდა, მომხდარიყო, რადგან ვისკოსი დროში იყო ჩაკარგული და აქაური ყოველი დღე ტყუპისცალივით ჰგავდა მეორეს.

ადამიანები თავს ირწმუნებდნენ, რომ ყველაფერი, რაც უკანასკნელი სამი დღის მანძილზე ხდებოდა ამ ქალაქში, უბრალოდ, სიზმარი იყო.

სიზმარი იყო. კომმარული სიზმარი.

კორდზე სამი ადამიანილა დარჩა - ამათგან ერთი ქვაზე იყო მიბმული და ეძინა. და იქვე, მიწაზე, ორი ფარანიც იდო.

- აი, ეს ოქრო ამიერიდან ვისკოსს ეკუთვნის, - შანტალს უთხრა უცხოელმა, - მე კი ოქროს გარეშე ვრჩები და ვერც ჩემს კითხვაზე მივიღე პასუხი.

- ეს ოქრო ვისკოსს კი არა, მე მეკუთვნის. ესენიც და ის ზოდიც, ასო „Y“ -ს ფორმის ქვაყრილთან რომ არის ჩაფლული. მერე კი გამყვებით და დამეხმარებით, ეს ოქრო ფულად ვაქციო, რადგან თქვენი ერთი სიტყვაც აღარ მჯერა.

- მშვენივრად იცი, რომ ამას არ გავაკეთებ. რაც შეეხება შენს ზიზლს ჩემდამი, უმჯობესი იქნებოდა, საკუთარი თავი შეგზიზღებოდა. ჩემი მაღლიერი უნდა იყო იმისთვის, რაც აქ მოხდა, რადგან ოქრო რომ გიჩვენე, მე შენ ბევრად მეტი შანსი მოგეცი, ვიდრე გამდიდრებაა.

მე შენ გაიძულე, გემოქმედა. ჩემი წყალობით შეძელი, საკუთარი პოზიცია აგერჩია და ყოვლად უმიზეზოდ არ დაპირისპირებოდი მთელ სამყაროს, როგორც ამას მანამდე აკეთებდი.

- მაღლობის მეტი რა მეთქმის, - დამცინავად უთხრა შანტალმა, - ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე შემეძლო, ჩემი მოსაზრება გამომეთქვა ადამიანის ბუნებაზე. ვისკოსი ახლა განადგურების პირასაა მისული, მაგრამ მისი წარსული დიდებითა და სიბრძნით იყო აღსავსე. მე შემეძლო პასუხი გამეცა თქვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან კითხვაზე, მაგრამ თავად კითხვა დამავიწყდა.

შანტალი მონოლითთან მივიდა და ბერტას მაჯებზე გადაჭერილი თოკები შეუხსნა, შუბლზე პატარა ჭრილობას მოჰკრა თვალი - ალბათ, ქვაზე მიბმისას დაიზიანაო, - დააკვირდა და დარწმუნდა, რომ უბრალო ნაფხაჭნი იყო. ამაზე უარესი ის იყო, რომ ახლა დილამდე მოუწევდა აქ ჯდომა, სანამ დედაბერი გაიღვიძებდა.

- ახლაც შეგიძლია, იმ კითხვაზე მიპასუხო? - ჰკითხა უცხოელმა.

- მგონი, უკვე გაიმბეს წმინდა საბინისა და აქაბის შეხვედრის ამბავი, არა?

- ცხადია, მიაგბეს. წმინდანი აქაბთან მივიდა, ერთხანს ილაპარაკეს და აქაბი მოიქცა, რადგან მიხვდა, რომ წმინდანმა აჯობა ვაჟკაცობით.

- მართალს ამბობთ, ოღონდ, იმის თქმა დაავიწყდათ, რომ ცოტა ხნის საუბრის შემდეგ წმინდანმა დაიძინა, აქაბმა კი ხანჯლის ლესვა მაშინვე დაიწყო, რაწამს წმინდანმა მისი სახლის ზღურბლს გადმოაბიჯა. და რაკი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მთელი სამყარო მისი ანარეკლი იყო, გადაწყვიტა, წმინდანი გამოეცადა, ამიტომ ჰკითხა:

- ახლა რომ ულამაზესი მეძავი მესტუმროს, როგორებიც მრავლად არიან ქალაქში, ნუთუ შეძლებდი, არ გეფიქრა მის სილამაზესა და მიმზიდველობაზე?

- ვერა, მაგრამ თავის მოთოკვას კი შევძლებდი, - უპასუხა განდეგილმა.

- მე რომ შენთვის უამრავი ოქროს ფული შემომეთავაზებინა იმის სანაცვლოდ, რომ მთა და სენაკი მიგეტოვებინა, ბარში ჩამოსულიყავი და ჩემს რაზმს შემოერთებოდი, შეძლებდი ამ ოქროსათვის ისე გეცქირა, როგორც უბრალო კენჭებისათვის?

- ვერა, მაგრამ თავის მოთოკვას შევძლებდი.

- შენთან რომ ორი ძმა მოსულიყო, რომელთაგან ერთს ეზიზღებოდი და ყველგან გლანძღავდა, მეორე კი - როგორც წმინდანს, ისე გეთაყვანებოდა, შეძლებდი, ორივეს ერთნაირად მოჰქცეოდი?

- ძალიან დავიტანჯებოდი, მაგრამ იმ ტანჯვაშიც შევძლებდი თავის მოთოკვას და ერთმანეთისაგან არ გამოვარჩევდი.

შანტალი დადუმდა და მერე დასძინა:

- ამბობენ, რომ წმინდანმა ამ ხანმოკლე საუბრით შეძლო აქაბის მოქცევა.

უცხოელს გოგონას განმარტება არ სჭირდებოდა, თავადაც იცოდა, რომ ერთი და იგივე ძალა მოქმედებდა აქაბზედაც და წმინდა საბინიზედაც: სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს ებრძოდა მათი სულების დასაპატრონებლად, ისევე, როგორც ამქვეყნად არსებული ყველა სხვა ადამიანთა სულების დასაპატრონებლად იბრძვის ყოველწამიერ. როცა აქაბი მიხვდა, რომ საბინი მისი ტოლი იყო, იმასაც მიხვდა, რომ თვითონაც იყო საბინის ტოლი.

ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ მოთოკავს თავს. და როგორ არჩევანს გააკეთებს.

ეს არის და ეს.

\* \* \*

შანტალმა უკანასკნელად მოავლო თვალი ველს, მთებს, ტყეს, სადაც ბავშვობაში დაეხეტებოდა, და მაშინვე შეიგრძნო წყაროს წყლის, ახალი მწვანისა და ოჯახის ღვინის გემო, იმ ღვინისა, მხოლოდ აქ რომ ამზადებდნენ საუკეთესო ყურძნისაგან და გულდაგულ უმაღავდნენ ტურისტებს. საქმე ის იყო, რომ ღვინო ცოტა გამოსდიოდათ, ამიტომ ვისკოსიდან არ გაჰქონდათ; შემოსავლის ძებნაში კი მეღვინეს შეიძლება, ღვინოც გაეფუჭებინა.

შანტალი მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ ბერტას გამომშვიდობებოდა. ტანსაცმელიც კი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ჩაიცვა, რათა ვერავინ მიმხვდარიყო, ქალაქიდან ხანმოკლე გამგზავრებამ რომ მდიდარ ქალად აქცია. ყველა საზრუნავი უცხოელმა ითავა, ყველაფერი მოამზადა და გაითვალისწინა, ოქროს გასაყიდად საჭირო ყველა ქალაქის ხელი მოაწერა, რათა გაყიდული ოქროს ღირებულება სულ ახლახან იმავე ბანკში გახსნილ სენიორიტა პრიმის ანგარიშზე ჩაერიცხათ. ოპერატორს, რომელიც შანტალსა და უცხოელს გადაჭარბებული თავაზიანობით ექცეოდა, ერთი კითხვაც არ დაუსვამს. მაგრამ შანტალი დარწმუნებული იყო: აუცილებლად იფიქრებდა, რომ ეს ასაკოვანი ბატონი თავის ახალგაზრდა საყვარელს უხსნიდა ანგარიშს.

„რა სასიამოვნო შეგრძნება იყო!“ - გაახსენდა შანტალს. ბანკის მსახურმა ალბათ წარმოიდგინა, რა მომხიბვლელი იქნებოდა შანტალი ლოგინში, ალბათ, ღირდა კიდევ ამოდენა ფულად.

გზად რამდენიმე თანამემამულეს შეხვდა: არავინ იცოდა, ვისკოსის დატოვებას რომ აპირებდა, და ამიტომ ისე ესალმებოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყო; თითქოს ეშმაკი არც სწევოდეს ქალაქს. შანტალიც ისე ესალმებოდა და ისე ეჭირა თავი, თითქოს ეს დღე ერთი ჩვეულებრივი დღე იყო მის ცხოვრებაში.

ჯერ ვერ ხვდებოდა, რა ძალა ჰქონდა იმას, რაც სულ ცოტა ხნის წინ გადაეხსნა თვალწინ და ერთიანად შეცვალა მისი არსებობა, მაგრამ ამის გასაცნობიერებლად ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა. ბერტა ისევ თავისი სახლის კარწინ იჯდა - ამჯერად იმიტომ კი არა, რომ ქალაქისთვის ედარაჯა, უბრალოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა არაფრის გაკეთება არ შეეძლო.



- ჩემს პატივსაცემად შადრევანს ააშენებენ, - უთხრა ბერტამ, - ეს დუმილის საფასურად მოვითხოვე. ვიცი, რომ შადრევანი დიდხანს ვერ გაძლებს და ვერც ბევრ ადამიანს მოუკლავს წყურვილს, რადგან ვისკოსი მაინც განწირულია. ეშმაკი თუ არა, ის დრო მაინც დალუპავს, რომელშიც ვცხოვრობთ.

შანტალმა ჰკითხა, როგორი იქნებოდა შადრევანი. და ბერტამაც თავისი ჩანაფიქრი გაუზიარა: მზის დისკოდან გადმოღვრილ წყალს გომბეშო სვამს. მზე თვითონ იყო, ბერტა, გომბეშო კი - პადრე.

- სანამ ეს შადრევანი იდგება, მე დავურწყულებ ლტოლვას ნათლისაკენ.

მერმა სცადა, წინააღმდეგობა გაეწია, ამგვარი შადრევნის აგება ქალაქს ძვირი დაუჯდებაო, მაგრამ ბერტამ დაიჟინა და ქალაქის მმართველებიც დათანხმდნენ - მომავალ კვირას უკვე მუშაობა დაიწყებოდა.

- შენ კი, ჩემო კარგო, ბოლოს და ბოლოს, იმას გააკეთებ, რასაც გირჩევდი. შემიძლია, ერთი რამ გითხრა, მაგრამ, რასაც გეტყვი, იმაში სრულიად დარწმუნებული ვარ: ადამიანის სიცოცხლე ან ხანმოკლეა, ან ხანგრძლივი, ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ გაატარებს ამ სიცოცხლეს.

შანტალმა გაიღიმა, დედაბერს აკოცა და ვისკოსს ზურგი აქცია, ამჯერად - უკვე სამუდამოდ. ბერტა მართალი იყო: დრო არ უნდა დაეკარგა, თუმცა იმედოვნებდა, რომ მისი სიცოცხლე ძალიან ხანგრძლივი იქნებოდა.